

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

David Aghmashenebeli University of Georgia

სამეცნიერო ჟურნალი

ს პ ე ქ ტ რ ი

SCIENTIFIC JOURNAL

S P E C T R I

N6

თბილისი Tbilisi

2022

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო
ჟურნალი „სპექტრი“

მთავარი რედაქტორი

იამზე თაბორიძე - პროფესორი (სდასუ)

მთავარი რედაქტორის მოადგილე

თამარ ტუფინაშვილი - პროფესორი
(სდასუ)

პასუხისმგებელი მდივანი

რუსუდან კავთიაშვილი - პროფესორი
(სდასუ)

სარედაქციო კოლეგია:

ნინო მეგრელიშვილი -
პროფესორი(სდასუ)

ნუნუ ხეცურიანი - პროფესორი
(სდასუ)

თამაზ გვენეტაძე - პროფესორი
(სდასუ)

რუსუდან კვანჭახაძე - ასოც.
პროფესორი

ნინო ნანობაშვილი - ასოც. პროფესორი
(სდასუ)

გიორგი გოგიაშვილი - პროფესორი
(სდასუ)

ციალა ჩქარეული - პროფესორი
(სდასუ)

პოლიკარპე მონიავა - პროფესორი
(სდასუ)

დავით კბილაძე - პროფესორი (სდასუ)

ვახტანგ ანთია - პროფესორი (სდასუ)

გიორგი კალანდია - პროფესორი
(სდასუ)

მაკა დოლიძე - ასოც. პროფესორი
(სდასუ)

ნოე ჯორბენაძე - პროფესორი (თსუ)

შალვა პეტრიაშვილი - პროფესორი
(თსსუ)

გიორგი ჩახუნაშვილი - პროფესორი
(თსსუ)

პაატა იმნაძე - პროფესორი (თსუ)

იოსებ ნანობაშვილი - პროფესორი
(ვენა)

მიხაელ მარტინევი - პროფესორი
(ზაარლანდი)

ალექსანდრე ნაკონეჩნი - პროფესორი
(კიევი)

გლიბოვეცი ნიკოლაი - პროფესორი
(კიევი)

ნამიკ ისაზადე - აკადემიური
დოქტორი (ტალინი)

ვალერი კრიშენი პროფესორი(დნეპრი)

გამომცემლობა „მერიდიანი“ 2022
ISSN 2587-4810, E-ISSN 2720-8389

David Aghmashenebeli University of Georgia, Scientific Journal "Spectri"

Editor-in-Chief

Iamze Taboridze – Professor(DAUG)

Deputy Editor-in-Chief

Tamar Tuphinashvili - Professor(DAUG)

Executive Secretary

Rusudan Kavtiashvili - Professor(DAUG)

Editorial Board:

Nino Megrelishvili – Professor (DAUG)

Nunu Khetsuriani – Professor (DAUG)

Tamaz Gvenetadze – Professor (DAUG)

Rusudan Kvantchakhadze – Assoc.

Professor (DAUG)

Nino Nanobashvili - Assoc. Professor

(DAUG)

Giorgi Gogiashvili – Professor (DAUG)

Tsiala Chkareuli – Professor (DAUG)

Polycarpe Moniava – Professor (DAUG)

David Kbiladze – Professor (DAUG)

Vakhtang Antia – Professor (DAUG)

George Kalandia – Professor (DAUG)

Maka Dolidze – Assoc. Professor (DAUG)

Noe Jorbenadze - Professor (TSU)

Shalva Petriashvili - Professor (TSMU)

Giorgi Chakhunashvili - Professor (TSMU)

Paata Imnadze - Professor (TSU)

Ioseb Nanobashvili - Professor (Vienna)

Michael Martinek - Professor (Saarland)

Alexander Nakonechny - Professor (Kiev)

Glibovets Nikolai - Professor (Kiev)

Namig Isazade - PhD (Tallinn)

Valerii Kryshen (Dnepr)

Meridian Publishing House 2022

ISSN 2587-4810, E-ISSN 2720-838

სარჩევი - CONTENT

მედიცინა - MEDICINE

ლალი გუჯეჯიანი

ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობა ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე მწვავე კორონარული სინდრომის დროს კანგავლითი კორონარული სტენტირების შემდგომი ჰოსპიტალური სიკვდილობის თვალსაზრისით და გენდერული განსხვავება 10

Lali Gujejiani

Predictive value of troponin initial value in acute coronary syndrome of ST segment elevation in terms of PCI follow-up mortality and gender difference

მაია სვანიძე, ნათია სვანიძე, ფატი გაბუნია

დამოკიდებულება მიწისპირა ოზონის დონესა და ზოგიერთ ინფექციურ დაავადებას შორის. 22

Maia Svanidze, Natia Svanidze, Pati Gabunia

The relationship between ground-level ozone levels and some infectious diseases

თამარ სულთანაშვილი, რამაზ ხეცურიანი, მანანა არაბული, მზია წიკლაური, შალვა პეტრიაშვილი.

სტუდენტობის პერიოდში გამოვლენილ დაავადებათა პროგნოზირება ქართველ სტუდენტებში..... 32

Tamar Sultanishvili, Ramaz Khetsuriani, Manana Arabuli, Mzia Tsiklauri, Shalva Petriashvili

Prediction of diseases detected during the student period in Georgian students

ქეთევან გოცირიძე, მაია კაკაურიძე, თამარ ტუფინაშვილი, იამზე თაბორიძე.

სკოლიოზი მხატვრული ტანვარჯიშით დაკავებულ გოგონებში..... 45

Ketevan Gotsiridze, Maia Kakauridze, Tamar Tuphinashvili, Iamze Taboridze

Scoliosis in Girls Engaged in Artistic Gymnastics

ნესტან ბოსტოღანაშვილი, რუსუდან კვანჭახაძე, ეკა თათარიშვილი, ირმა ცხოვრებაძე, ნანა ცხოვრებაძე.

მიკრობიოტის როლი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების განვითარებისა და მკურნალობის პროცესში.....57

Nestan Bostoganashvili, Rusudan Kvanchakhadze, Eka Tatarashvili, Irma Tskhovrebadze, Nana Tskhovrebadze

The role of microbiota in the development and treatment of thyroid disease

მაია ისპირელი

ატოპიური დერმატიტის ეპიდემიოლოგია სამხედრო მოსამსახურეებში..... 71

Maia Ispireli

Epidemiology of atopic dermatitis in military personnel

ქეთევან არაზიძე, ირაკლი გოგოხია, ნოდარ ლებანიძე

პოსტოპერაციული ტკივილი მართვა მულტიმოდალური გაუტკივარების გამოყენებით 79

Postoperative pain management using multimodal analgesia

Ketevan Arabidze, Irakli Gogokhia, Nodar Lebanidze

ელგუჯა არდია, თამაზ გვენეტაძე, თეიმურაზ გორგოძე

საზარდულის თიაქარი და თიაქარპლასტიკა, როგორც რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევის მიზეზი მამაკაცებში..... 97

Elguja Ardia, Tamaz Gvenetadze, ²Teimuraz Gorgodze

Inguinal hernia and hernioplasty as a cause of male reproductive system dysfunction (review of literature)

მინდია იობაშვილი, ირმა ჯიქია, თამარ გოგია, ლალი ბექაური, მაკა ჯორბენაძე, მარინა ფაილოძე

ეპიდემიოლოგიური და დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორც რისკ-ფაქტორები საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის ეტიო-პათოგენეზში.....112

Mindia Iobashvili, Irma Jikia, Tamar Gogia, Lali Bekauri, Maka Jorbenadze, Marina Failodz

Retrospective analysis of patients' operative material during reproductive period with leiomyoma

სამართალი - Law

ია ხარაზი, ანი დამენია

სამოქალაქო სამართალურთიერთობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი)..... 123

Ia Kharazi, Ani Damenia

Some Legal Aspects of Civil Law According to German Civil Law (Comparative Analysis)

ოსებ ხუციშვილი

განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში..... 132

Ioseb Khutsishvili

The legal mechanism for the re-use of diversion in criminal procedure legislation

მირანდა გურგენიძე

ევროპული პატენტის ვალიდაციის ასპექტები საქართველოს საპატენტო სისტემაში..... 153

Miranda Gurgenidze

Aspects of European patent validation in the Georgian patent system

ხვიჩა ბეგიაშვილი

სისხლის სამართლის საქმეზე ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადებთან და ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.....

164C:\Users\SMART.34\Desktop\speqtri\6\ხ. ბეგიაშვილის სტატია[23].docx

Khvicha Begiashvili

Problems related to the time limits of covert investigative action in a criminal case and notification of covert investigative action according to the Criminal Procedure Code of Georgia

თამარ სადრაძე

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესის შემოწმება წინასასამართლო სხდომაზე..... 178

Tamar Sadradze

Checking the rule of information exchange on possible evidence at the pre-trial hearing

C:\Users\SMART.34\Desktop\speqtri\6\თამარ სადრაძე სტატია - 04.05.2022 (1).docx

ბიზნესი და სოციალური მეცნიერებები - BUSINESS AND SOCIAL SCIENCES

დავით კბილაძე, თამარ ჩირაძე, თამარ კბილაძე..... 192

მდგრადი განვითარების მიზნები და საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი მიმართულება საქართველოში.

Davit Kbiladze, Tamar Chiradze, Tamar Kbiladze

Sustainable Development Goals and some directions of university education in Georgia

ქეთევან ნანობაშვილი, ნიკა კვლივიძე, გიორგი კაკაშვილი..... 202

მარკეტინგული გადაწყვეტილებების ხელშეწყობი საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა.

Ketevan Nanobashvili, Nika Kvlividze, Giorgi Kakashvili

Information-analytical System Supporting Marketing Decisions

სოფო ჩქოფოია

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება, განვითარება და დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა ქვეყნის აღმშენებლობაში..... 210

Sopo Chkopoia

The importance of the formation, development and decentralization of local self-government in the reconstruction of the country

თინათინ დოლიაშვილი, ხვიჩა გოგია, მონიკა ლატარია

სამოქალაქო ავიაციის სუბიექტების საქმიანობის ანალიზი 2020-2021 წლების ჭრილში..... 223

Tinatin Doliashvili, Khvicha Gogia, Monika Lataria

Performance Analysis of the Civil Aviation Entities 2020-2021

ვახტანგ ნადირაძე, ინგა ბეჟანიანი

შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში..... 234

Vakhtang Nadiradze, Inga Bejaniani

Introduction of Internal Financial Control System in the Public Sector

ჟურნალისტიკა, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები -
JOURNALISM, ARTS AND HUMANITIES

თეა ჭანტურია

აუდიოვიზუალური კულტურის ფორმირება და მისი ტექნოლოგიური მიღწევები..... 240

Tea Chanturia

The formation of audiovisual culture and its technological advances

მაია თუნგია

მედიაგანათლება თუ მედიაწიგნიერება - ტერმინოლოგიური განმარტებისათვის..... 254

Maya Tungia

Media education or media literacy - for terminological definition

მაკა დოლიძე

პოლიტიკური პროცესები და კონფლიქტური სიტუაციები..... 261

Maka Dolidze

Political processes and conflict situations

ნარგიზა კანკია

უცხოელი დოკუმენტალისტების კრიტიკული თვალით დანახული საქართველო..... 269

Nargiza Kankia

Georgia seen by foreign documentalists with a critical eye

მედიცინა - MEDICINE

ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობა ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე მწვავე კორონარული სინდრომის დროს კანგავლითი კორონარული სტენტირების შემდგომი ჰოსპიტალური სიკვდილობის თვალსაზრისით და გენდერული განსხვავება

ლალი გუჯეჯიანი, MD, PhD, ასისტენტ პროფესორი

ევროპის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.01>

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობის დადგენა STEM -ის დროს ჰოსპიტალური ლეტალობის თვალსაზრისით.

მასალა და მეთოდები: შრომას საფუძვლად დაედო შპს ადაპტის ანგიოკარდიოლოგიური კლინიკაში 2009-2010 წლებში ST ელევაციით მიმდინარე მმი-ს დიაგნოზით ჰოსპიტალიზებული 603 პაციენტის კლინიკური მონაცემები.

დადგინდა ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა, პროგნოზული ღირებულება და დიაგნოსტიკური სიზუსტე, განისაზღვრა ტროპონინის ზღვრული მაჩვენებელი ლეტალობის პროგნოზისთვის.

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 23-ის გამოყენებით.

კვლევის შედეგები: ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტებს შორის ჰოსპიტალური ლეტალობა დაფიქსირდა 99 შემხვევაში, მათ შორის 49 ქალი და 50 მამაკაცი.

ტროპონინის საშუალო მნიშვნელობა მამაკაცებსა და ქალებს შორის სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მმი-ს დროს როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, ტროპონინების მნიშვნელობა წარმოადგენს ჰოსპიტალური ლეტალობის დამოუკიდებელ პრედიქტორს. ROC ანალიზმა აჩვენა, რომ ტროპონინის ზღვრული მნიშვნელობა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზისათვის ქალებში არის 0.41.

ROC მრუდის ქვემოთ ფართობი =0,768,(95%CI=0,697-0,840, $p<0.000$) რაც ნიშნავს, რომ ტესტი სარწმუნოა. ქალებში ტესტის მგრძობელობა - 0.694(95%CI: 0.565-0.823), სპეციფიურობა - 0.753(95%CI: 0.699-0.807), დიაგნოსტიკური სიზუსტე - 0.743(0.693-0.793). ტესტის დიაგნოსტიკური სიზუსტე ქალებში საშუალოა. მამაკაცებში ტროპონინის ოპტიმალური მნიშვნელობა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზისათვის არის 0.295, ROC მრუდის ქვემოთ ფართობი =0,8540,,(95%CI=0, 798-0,910, $p<0.000$) რაც ნიშნავს, რომ ტესტი სარწმუნოა/ მგრძობელობა - 0.920(95%CI: 0.845-0.995); სპეციფიურობა - 0.621(95%CI: 0.562-0.680) დიაგნოსტიკური სიზუსტე - 0.669(95%CI: 0.617-0.721. მამაკაცებში ტროპონინების მნიშვნელობა წარმოადგენს ჰოსპიტალური ლეტალობის დამოუკიდებელ პრედიქტორს, ამასთან იგი გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით 0.92 და საშუალო სპეციფიურობით 0,621.

დასკვნა: ტროპონინის მაღალი მნიშვნელობა შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც ლეტალობის დამატებითი პროგნოზული ფაქტორი PCR-ის შემდგომ პერიოდში მმი-ს დროს.

საკვანძო სიტყვები: ტროპონინი, მგრძობელობა, სპეციფიურობა, ჰოსპიტალური ლეტალობა.

Predictive value of troponin initial value in acute coronary syndrome of ST segment elevation in terms of PCI follow-up mortality and gender difference

Lali Gujejiani, MD, PhD, Assistant Professor

European University

Abstract

The aim of the study was to determine the prognostic value of the initial troponin level in terms of hospital mortality during STEM.

Materials and Methods: The study was based on the clinical data of 603 patients hospitalized with ST-elevation MM diagnosed in 2009-2010 at Adapti Angiocardiology Clinic Ltd.

Sensitivity and specificity of the test, predictive value and diagnostic accuracy were determined, troponin threshold for mortality was predicted.

Statistical analysis was performed using SPSS 23 software package.

Results: Among the patients we studied, hospital mortality was reported in 99 cases, including 49 women and 50 men. The mean value of troponin did not differ significantly between men and women. Regression analysis showed that the importance of troponins during MMI in both women and men was an independent predictor of hospital lethality. ROC analysis showed that the threshold value of troponin for the prognosis of nosocomial lethality in women is 0.41.

Area below the ROC curve = 0.768, (95% CI = 0.697-0.840, $p < 0.000$) which means that the test is reliable. Test sensitivity in women - 0.694 (95% CI: 0.565-0.823), specificity - 0.753 (95% CI: 0.699-0.807), diagnostic accuracy - 0.743 (0.693-0.793). The diagnostic accuracy of the test is moderate in women. The optimal value of troponin for the prognosis in hospital mortality in men is 0.295, the area below the ROC curve = 0.8540 ,, (95% CI = 0, 798-0.910, $p < 0.000$) which means that the test is reliable / sensitivity - 0.920 (95% CI: 0.845-0.995); Specificity - 0.621 (95% CI: 0.562-0.680) Diagnostic accuracy - 0.669 (95% CI: 0.617-0.721). The value of troponins in men is an independent predictor of hospital lethality, with a high sensitivity of 0.92 and an average specificity of 0.621.

Conclusion: The high value of troponin can be used as an additional predictor of mortality in the post-PCI period during MMI.

Keywords: Troponin, Sensitivity, Specificity, Hospital lethality

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დღემდე რჩება სიკვდილობის და ინვალიდობის დომინირებულ მიზეზად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში[1]

ბიოქიმიური მარკერი ტროპონინი T(TnT) წარმოადგენს მიოკარდის დაზიანების მგრძობიარე მარკერს. ტროპონინის საწყისი მაჩვენებელი რაოდენობრივი მახასიათებელია, რომელიც აფასებს იშემიის ხანგრძლივობას და მიოკარდის დაზიანების ხარისხს, ამასთანავე, ტროპონინების მაღალი დონე არის პერიპროცედურული ინფარქტის რისკის ფაქტორი, როგორც PCI-ს დროს[2], ისე მის შემდგომ პერიოდში[3]

TnT-ს მომატება აღმოჩნდა ლეტალობის პროგნოზული ფაქტორია ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის (STEM) დროს [4,5,6] თუმცა ტროპონინის მომატებასა და ლეტალობას შორის კავშირის ძირითადი მექანიზმები სრულად არ არის გარკვეული.

ჩვენი კვლევის მიზანია ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობის დადგენა STEM -ის დროს ჰოსპიტალური ლეტალობის თვალსაზრისით.

მასალა და მეთოდები: შრომას საფუძვლად დაედო შპს ადაპტის ანგიოკარდიოლოგიური კლინიკაში 2009-2010 წლებში მმი-ს დიაგნოზით ჰოსპიტალიზებული 603 პაციენტის კლინიკური მონაცემები. კვლევაში ჩართვის სასელექციო კრიტერიუმები პაციენტები მიმდინარე ST ელევაციით მიმდინარე მმი-თ, (პაციენტები რომელთაც ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე მწვავე ინფარქტის საფუძველზე ჩატარებული ჰქონდათ ანგიოგრაფია), თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე.

კვლევიდან გამორთვის კრიტერიუმები: სხვა მწვავე კორონარული სინდრომები, სტაბილური სტენოკარდია.

პაციენტების კვლევის ალგორითმი მოიცავდა ანამნეზის შეკრებას, ანკეტირებას, კლინიკურ-ლაბორატორიულ, ბიოქიმიური ანალიზს და ინსტრუმენტულ კვლევას - ექოსკოპია, კარდიოგრაფია, კორონაროგრაფია.

შევისწავლეთ მმი-ს მქონე 603 პაციენტის ტროპონინი T-ს რაოდენობრივი მნიშვნელობა კლინიკაში შემოსვლისას, მათ შორის 311 მამაკაცი(I) ჯგუფი და 292 ქალი (II ჯგუფი). პაციენტთა მონაცემების შედარება მოხდა სქესის მიხედვით.

სტატისტიკური ანალიზი: ლეტალობის რისკის დადგენისათვის ორივე ჯგუფი დაიყო გამოსავლის მიხედვით, დადგინდა ტროპონინის საშუალო მაჩვენებლები ქალებსა და მამაკაცებში ლეტალობისა და კეთილსაიმედო გამოსავლის ჯგუფებში.

რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისას ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას, შედარებისას ვახდენდით დისპერსიების ტოლობის შეფასებას ლევენის მიხედვით (Levene's Test), ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნობას ვადგენდით სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით. განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც $p < 0.05$. ქალებში და მამაკაცებში ჩატარდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი, დადგინდა ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა, პროგნოზული ღირებულება და დიაგნოსტიკური სიზუსტე, განისაზღვრა ტროპონინის ზღვრული მაჩვენებელი ლეტალობის პროგნოზისთვის.

მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 23–ის გამოყენებით.

კვლევის შედეგები: ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტებს შორის ჰოსპიტალური ლეტალობა დაფიქსირდა 99 შემხვევაში, მათ შორის 49 ქალი და 50 მამაკაცი. ტროპონინის საშუალო მნიშვნელობა მამაკაცებსა და ქალებს შორის სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა (ცხრილი 1)

ცხრილი 1. ტროპონინის საშუალო მნიშვნელობათა სტატისტიკური შეფასება სქესის მიხედვით

სქესი	მამრობითი (N=311)		მდედრობითი (N=292)		p
	Mean	Std. Dev.	Mean	Std. Devi.	
ტროპონინი	0.311	0.195	0.332	0.211	0.2430

მამაკაცებში და ქალებში, ტროპონინის საშუალო მნიშვნელობა სქესის მიხედვით სარწმუნოდ არ განსხვავდება.

კეთილსაიმედო გამოსავლის ჯგუფის შედარება ჰოსპიტალური ლეტალობის ჯგუფთან მოცემულია 2 ცხრილში

ცხრილი 2. ტროპონინის საწყისი მნიშვნელობა STEMI-ის მქონე ქალებსა და მამაკაცებში ჰოსპიტალური ლეტალობის მიხედვით

	ცოცხალი		ჰოსპიტალური ლეტალობა		p
	Mean	Std. Dev.	Mean	Std. Dev.	
ქალი	0.30	0.188	0.51	0.230	0.0000
კაცი	0.27	0.166	0.54	0.183	0.0000
p	0.0993		0.5499		

ტროპონინის საშუალო მნიშვნელობა მამაკაცებშიც და ქალებშიც ჰოსპიტალური სიკვდილობის ჯგუფში სარწმუნოდ აღემატება მნიშვნელობას ცოცხალთა შორის. ამავე დროს ცოცხალთა შორის ტროპონინი ქალებში არასარწმუნოდ მეტია, ხოლო ლეტალობის ჯგუფში – არასარწმუნოდ ნაკლები, ვიდრე მამაკაცებში.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ ამ ფაქტორის პროგნოზული მნიშვნელობა სქესის მიხედვით. №3 ცხრილში მოცემულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტები

ცხრილი №3. ლოგისტიკური რეგრესიის განტოლების კოეფიციენტები

sqesi	ფაქტორი	B	S.E.	χ^2 (Wald)	p
	ტროპონინი	4.486	0.759	34.950	0.0000


ქალ	Constant	-3.372	0.380	78.613	0.0000
კაცი	ტროპონინი	7.264	0.995	53.290	0.0000
	Constant	-4.531	0.493	84.572	0.0000

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მმი-ს დროს როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, ტროპონინების მნიშვნელობა წარმოადგენს ჰოსპიტალური ლეტალობის დამოუკიდებელ პრედიქტორს.

კვლევის შემდეგ ეტაპზე ტროპონინის პროგნოზული ღირებულების დასადგენად შევადგინეთ ROC მრუდი და შევისწავლეთ ტროპონინის ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა მმი-ს შემდგომი ჰოსპიტალური ლეტალობისათვის ქალებსა და მამაკაცებში.

ქალებში ტროპონინის ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა მმი-ს შემდგომო ლეტალობისათვის მოცემულია №1 დიაგრამაზე

ROC Curve



მგრძობელობისა და სპეციფიურობის ROC მრუდი ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზისათვის ქალებში

მრუდის კოორდინატების მიხედვით განვსაზღვრეთ მგრძობელობისა და სპეციფიურობის მაქსიმალური მნიშვნელობების ჯამი და დავადგინეთ, რომ ტროპონინის ზღვრული მნიშვნელობა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზისათვის ქალებში არის 0.41. ამ მნიშვნელობისათვის მოვახდინეთ ტროპონინის კონცენტრაციის, როგორც მმი-ს შემდგომი ლეტალობის პროგნოზის ტესტის შეფასება (№ 4 ცხრილი).


ცხრილი 4. ტროპონინის კონცენტრაციის, როგორც მმი-ს შემდგომი ლეტალობის პროგნოზის ტესტის შეფასება ქალებში.

მ აჩვენებ ელი	მგრძნ ობელ ობა	სპეცი ფიურ ობა	დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულება	უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულება	დიაგნოსტ იკური სიზუსტე
	0.694	0.753	0.362	0.924	0.743
95%CI	0.565	0.699	0.265	0.887	0.693
	0.823	0.807	0.459	0.961	0.793

როგორც ვხედავთ, ტესტის დიაგნოსტიკური სიზუსტე ქალებში მაღალია.

დიაგრამაზე ნაჩვენებია ROC მრუდის ქვემოთ ფართობი =0,768,(95%CI=0,697-0,840, p<0.000) რაც ნიშნავს, რომ ტესტი სარწმუნოა

მამაკაცებში ტროპონინის ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა მმი-ს შემდგომო ლეტალობისათვის მოცემულია №2 დიაგრამაზე. რამდენადაც მრუდის ქვემოთ მოთავსებული ფართობი >0,8, ტესტის კლინიკური სარწმუნობა ძალიან კარგია.



დიაგრამა 2. მგრძობელობისა და სპეციფიურობის ROC მრუდი
ჰოსიტალური ლეტალობის პროგნოზისათვის კაცებში

ROC მრუდის ქვემოთ ფართობი =0,8540,,(95% CI=0, 798-0,910, p<0.000) რაც ნიშნავს, რომ ტესტი სარწმუნოა.

ცხრილი 5. ტროპონინის კონცენტრაციის, როგორც მმი-ს შემდგომი ლეტალობის პროგნოზის ტესტის შეფასება კაცებში.

	მგრძობელობა	სპეციფიურობა	დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულება	უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულება	დიაგნოსტიკური სიზუსტე
მაჩვენებელი	0.920	0.621	0.317	0.976	0.669

95%CI	0.845	0.562	0.241	0.953	0.617
	0.995	0.680	0.393	0.999	0.721

მამაკაცებში ტროპონინის ოპტიმალური მნიშვნელობა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზისათვის არის 0.295, მამაკაცებში ტროპონინების მნიშვნელობა წარმოადგენს ჰოსპიტალური ლეტალობის დამოუკიდებელ პრედიქტორს, ამასთან იგი გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით 0.92 და სპეციფიურობით 0,621, დაბალია დადებითი შედეგის პროგნოზული ღირებულება და მაღალია უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულებულება

განხილვა: ლიტერატურის მიხედვით ტროპონინი წარმოადგენს ჰოსპიტალური ლეტალობის რაოდენობრივ მახასიათებელს [7]. იმ პაციენტებში, ვისაც აღენიშნება ტროპონინების მომატება, გაცილებით მეტია ლეტალობა [8,9], ტროპონინის დონე რჩება სიკვდილობის პრედიქტორად მაშინაც, როდესაც გათვალისწინებულია დრო სიკვდილების გამოვლენიდან რეპერფუზიის დაწყებამდე [10].

კლინიკაში შემოსვლისას ტროპონინის ზღვრული მნიშვნელობა 0,1 მკგ არ არის ასოცირებული ინფარქტის ზომასთან, ხოლო 0,43 მკგ/ლ დაკავშირებულია ინფარქტის დიდ ფართობთან [10]. STEM-ის დროს არსებობს მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები PCR-ის შემდგომი ლეტალობის თვალსაზრისით [11]. ჩვენი მონაცემებით, კლინიკაში შემოსვლისას ტროპონინის საშუალო მნიშვნელობა მამაკაცებში იყო 0,311, ქალებში 0,332 და სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ($p>0,05$). ლეტალობის ჯგუფში როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, კეთილსაიმედო ჯგუფთან შედარებით აღინიშნებოდა ტროპონინის საწყისი რაოდენობის სარწმუნო მატება.

როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში ტროპონინების საშუალო მნიშვნელობა წარმოადგენდა ჰოსპიტალური ლეტალობის პროგნოზულ ფაქტორს. ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასებამ აჩვენა, რომ ჰოსპიტალური ლეტალობისათვის ტროპონინის ზღვრული მნიშვნელობა უფრო დაბალია მამალაცებში, ვიდრე ქალებში – შესაბამისად 0,295 და 0,41. ამასთან მამაკაცებში

უფრო მაღალია ტესტის მგრძნობელობა და სპეციფიურობა და აქედან გამომდინარე პროგნოზული ღირებულება და დიაგნოსტიკური სიზუსტე.

დასკვნები

- ტროპონინის მაღალი მნიშვნელობა წარადგენს ლეტალობის პროგნოზულ ფაქტორს მმი-ს შემდგომ პერიოდში.
- ტროპონინის ტესტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლეტალობის რისკის სტრატეგიკაციისათვის.

ლიტერატურა

1. Lauer MS. Advancing cardiovascular research. *Chest*. 2012 Feb 1;141(2):500-5.
2. Zhou Y, Chen Z, Ma J, Chen A, Lu D, Wu Y, Ren D, Zhang C, Dai C, Zhang Y, Qian J. Incidence, predictors and clinical significance of periprocedural myocardial injury in patients undergoing elective percutaneous coronary intervention. *Journal of Cardiology*. 2020 Sep 1;76(3):309-16.
3. Nienhuis MB, Ottervanger JP, Bilo HJ, Dikkeschei BD, Zijlstra F. Prognostic value of troponin after elective percutaneous coronary intervention: a meta-analysis. *Catheterization and Cardiovascular Interventions*. 2008 Feb 15;71(3):318-24.
4. Ohman EM. Redefining the gold standard of myocardial infarction using troponin T. *Clinical Chemistry*. 2017 Jan 1;63(1):429-30.
5. Dhaon P, Uraiya D, Tripathi N. Short-term Prognostic Value of Admission Cardiac Troponin T, C-Reactive Protein and Echocardiographic Regional Wall Motion Abnormalities in Patients with Acute ST Elevation Myocardial Infarction. *Journal of Clinical & Diagnostic Research*. 2021 Jun 1;15(6).
6. Haji K, Marwick TH, Stewart S, Carrington M, Chan YK, Chan W, Huynh Q, Neil C, Wong C. Incremental value of global longitudinal strain in the long-term prediction of heart failure among patients with coronary artery disease. *Journal of the American Society of Echocardiography*. 2022 Feb 1;35(2):187-95.
7. Waxman DA, Hecht S, Schappert J, Husk G. A model for troponin I as a quantitative predictor of in-hospital mortality. *J Am Coll Cardiol*. 2006;48(9):1755-1762

8. Feldman DN, Kim L, Rene AG, Minutello RM, Bergman G, Wong SC. Prognostic value of cardiac troponin-I or troponin-T elevation following nonemergent percutaneous coronary intervention: A meta-analysis. *Catheterization and Cardiovascular Interventions*. 2011 Jun 1;77(7):1020-30.
9. Mills NL, Churchhouse AMD, Lee KK, et al. Implementation of a sensitive troponin I assay and risk of recurrent myocardial infarction and death in patients with suspected acute coronary syndrome. *JAMA* 2011; 305:1210-1216.
10. Frostfeldt G. Coagulation inhibition and development of myocardial damage in ST-elevation myocardial infarction (Doctoral dissertation, Acta Universitatis Upsaliensis); 2002.
11. Gujejiani L, Sharashidze N, Mamatsashvili M, Tvalchrelidze S, Taboridze I, Aladashvili L, Naphetvaridze R. Gender differences of stent implantation complications, assessment of acute coronary syndrome with st elevation. *European Scientific Journal*. 2014 Mar 1;10(9).

დამოკიდებულება მიწისპირა ოზონის დონესა და ზოგიერთ ინფექციურ დაავადებას შორის

¹მაია სვანიძე, დოქტორანტი

²ნათია სვანიძე, მედიცინის დოქტორი

¹ფატი გაბუნია, პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²ავერსის კლინიკა

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.02>

აბსტრაქტი

შესწავლილ იქნა კავშირი მიწისპირა ოზონის დონესა და ზოგიერთი ინფექციური დაავადების მანიფესტაციას შორის თბილისში.

დადგინდა უკუკავშირი სტრატოსფეროს ოზონის დონესა და მწვავე სინუსიტი, ეპიგლოტიტი და კრუპს შორის. ზოგიერთ დაავადებას შორის თბილისში 2015, 2017 და 2018 წლებში. საკითხი აქტუალურია და მისი შესწავლა ახლაც მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: ოზონის დონე, მწვავე სინუსიტი, ეპიგლოტიტი და კრუპი.

The relationship between ground-level ozone levels and some infectious diseases

¹Maia Svanidze, PhD student

²Natia Svanidze, MD, PhD

³Pati Gabunia, Professor

¹David Aghmashenebeli University of Georgia, ²Aversi Clinic, ³Grigol Robakidze University

Abstract

The relationship between ground-level ozone levels and the manifestations of some infectious diseases in Tbilisi was studied.

Feedback was found between stratospheric ozone levels and acute sinusitis, epiglottitis and croup. Among some diseases in Tbilisi in 2015, 2017 and 2018. The issue is urgent and is still being studied.

Keywords: Ozone level, acute sinusitis, epiglottitis and croup.

შესავალი: იზრდება ინტერესი კლიმატის ცვლილების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რაოდენობრივად განსაზღვრაში, ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მიწისზედა ოზონის ცვლილებების გავლენა[1]. ოზონი არის უაღრესად ჟანგვითი დამაბინძურებელი, რომელიც წარმოიქმნება მზის სხივების ზემოქმედებით და დაკავშირებულია რესპირატორულ ავადობასთან და სიკვდილიანობასთან[2].

O₃- არ გამოიყოფა პირდაპირ ატმოსფეროში. მისი ფორმირება ხდება რთული ქიმიური რეაქციების შედეგად აქროლად ორგანულ ნაერთებსა (VOCs) და აზოტის ოქსიდებს (NO_x) შორის მზის სინათლის თანაობისას. მზის სინათლე და ტემპერატურა ასტიმულირებს ასეთ რეაქციებს, ასე რომ მზიან და ცხელ დღეებში ოზონის კონცენტრაცია იზრდება. NO_x და VOC ემისიის წყაროებია ავტომანქანები, ქიმიური მრეწველობა, სამრეცხაოები და საქმიანობები, რომლებიც იყენებენ გამხსნელებს.

ოზონი გავლენას ახდენს ტრაქეაზე, ბრონქებზე, ბრონქიოლებზე და ალვეოლებზე.

იგი ფოტოქიმიური ოქსიდანტია და იწვევს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის ანთებას. მაღალი კონცენტრაციის დროს აღიზიანებს თვალებს, ცხვირის ლორწოვან გარსს და ოროფარინქსს. იწვევს ხველას და დისკო

მფორტს გულმკერდის არეში. რამდენიმე საათის ექსპოზიცია იწვევს ეპითელიუმის დაზიანებას [3].

ოზონთან (O3) დაკავშირებული კარდიორესპირატორული ეფექტები მზარდი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა. მიწისზედა O3-ს შეუძლია გააუარესოს უკვე არსებული რესპირატორული მდგომარეობა [4,5].

ოზონი არის ოქსიდანტი, რომელსაც მყისიერი ეფექტი აქვს ფილტვის რეფლექსებზე (Lee and Pisarri 2001)[6], ირანში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა მიწისზედა ოზონის დონის, როგორც მეორადი დამაბინძურებლის ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. დასკვნამ აჩვენა, რომ გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორული სიკვდილიანობის კუმულაციური შემთხვევები, რომლებიც ასოცირდება მიწისზედა ოზონის დონესთან, შესაბამისად იყო, 43 და 173 ადამიანი[1]. აზოტის ოქსიდებიდან და აქროლადი ნახშირწყალბადებიდან წარმოქმნილი ინჰალირებული ოზონი (O3) ცვლის ფილტვის ფუნქციას და იწვევს ანთებას[7]. ჩასუნთქვის შემდეგ, O3-ის დაახლოებით 80% რჩება ფილტვებში და შეიძლება რეაგირებდეს სურფაქტანტ ფოსფოლიპიდების და ქოლესტერინის ნახშირბად-ნახშირბადის ორმაგ ბმებთან, პროცესს, რომელსაც ეწოდება "ლიპიდური ოზონაცია".

სხვა კვლევის მიხედვით, ოზონის პოტენციური ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მცირეა და რთული გამოსაცნობია. უფრო მეტიც, დემონსტრირებული მიზეზობრივი კავშირის არარსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მცდელობებს რაოდენობრივად განსაზღვროს გულ-სისხლძარღვთა სიკვდილიანობის რისკები, რომლებიც მიეკუთვნება ოზონის ზემოქმედებას პოპულაციის დონეზე[8].

კვლევის მიზანია კორელაციების დადგენა მიწისპირა ოზონის დონესა და სხვადასხვა დაავადებებს შორის.

მასალა და მეთოდები: კვლევის პროტოკოლი მოიცავდა პირად ინტერვიუს სოციოდემოგრაფიულ მახასიათებლებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სამედიცინო ისტორიას, მედიკამენტებს და ცხოვრების წესს; სისხლის და შარდის ანალიზი; და კლინიკური გამოკვლევები.

ჰაერის დაბინძურება და მეტეოროლოგია. მიწისზედა ოზონის დონის მონიტორინგი ტარდებოდა 2015, 2017 და 2018 წლებში დღეში ხუთჯერ.

თვეების მიხედვით და ოზონის დონის მიხედვით შევისწავლეთ შემდეგ დაავადებათა სიხშირეები: მწვავე სინუსიტი, მწვავე ტონზილიტი, კრუპი და ეპიგლოტიტი, ზემო სასუნთქი გზების გამწვავებული ინფექციები, ბაქტერიული პნევმონია, მწვავე ბრონქიტი, მწვავე ბრონქიოლიტი.

დავადგინეთ 2015, 2017 და 2018 წლების გაერთიანებული შედეგების მიხედვით ოზონის თვიური საშუალო დონეები, ცალკეული ნოზოლოგიების შემთხვევათა აბსოლუტური მნიშვნელობებს შორის კორელაცია.

კორელაციური ანალიზი ჩატარდა პირსონის კორელაციის გამოყენებით.

შედეგები: პრობლემის აქტუალურობის გამო ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვდა სტატორსფეროს ოზონის დონის ზემოქმედება რამოდენიმე სხვადასხვა დაავადებას შორის. ჩვენს ხელთაა 2015, 2017 და 2018 წლების მიწისპირა ოზონის დონის მონაცემები.

2015, 2017 და 2018 წლების გაერთიანებული შედეგების მიხედვით ოზონის თვიური საშუალო დონეები და ცალკეული ნოზოლოგიების შემთხვევათა აბსოლუტური მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. 2015, 2017 და 2018 წლების გაერთიანებული შედეგების მიხედვით ოზონის თვიური საშუალო დონეები და ცალკეული ნოზოლოგიების შემთხვევათა აბსოლუტური მნიშვნელობები.

წელი	თვე	ოზონის დონე	მწ.სინუსიტი	მწ. ტონზილიტი	კრუპი და ეპიგლოტიტი	ზ.ს. გმწ. ინფექციები	ბაქტერიული პნევმონია	მწ.ბრონქიტი	მწ.ბრონქიოლიტი
2015	I	9,9	3	74	27	1180	21	408	73
	II	12,3	6	74	29	1372	42	764	164
	III	25,5	5	52	29	1334	38	1078	350

	IV	40,7	4	38	5	1107	25	805	303
	V	44,7	2	52	4	1193	26	679	161
	VI	28,6	7	61	8	1227	12	405	80
	VII	30,9	3	53	5	1116	12	268	43
	VII	48,5	1	44	3	1140	16	187	28
	I								
	IX	51,8	6	41	9	1076	20	279	29
	X	17,9	6	41	18	1305	22	582	83
	XI	38,4	2	63	12	1249	21	511	85
	XII	32,9	5	85	18	1439	36	603	101
20	I	5,3	13	81	10	1559	41	791	222
17	II	10,5	12	76	24	1467	41	901	328
	III	9,5	18	128	22	1992	78	1005	359
	IV	9,8	9	118	11	1765	69	676	197
	V	8,5	14	117	5	1479	39	562	133
	VI	11,5	7	124	7	1417	34	437	107
	VII	16,4	6	121	7	1484	30	307	59
	VIII	18,6	8	104	7	1347	32	215	40
	IX	16,1	5	86	15	1299	26	336	62
	X	10,0	6	122	45	1417	51	650	151
	XI	8,2	6	262	55	249	59	1064	302
	XII	12,1	5	389	33	50	134	1302	508
	I	12,1	14	397	17	129	140	1270	685

20	II	17,3	16	382	27	184	146	1460	567
18	III	20,3	18	406	37	295	154	1431	420
	IV	40,3	8	401	28	317	148	1092	315
	V	33,5	6	415	12	322	106	1057	244
	VI	28,0	3	352	11	307	89	649	154
	VII	13,5	3	200	8	270	76	514	120
	VIII	17,3	1	195	7	193	62	443	83
	IX	19,9	4	191	18	228	53	592	127
	ჯამ	720,9	232	5345	573	32508	1899	23323	6683
	ურ								
	ო								
	საშ.	21,8	19,3	445,4	1,5	19,0	4,4	49,3	10,6
	თვ								
	ოუ								
	რი								
	SD	13,1	4,7	131,6	12,7	571,7	43,5	357,9	165,4

ოზონის დონესა და მწვავე სინუსიტის შემთხვევებს შორის კორელაციური კავშირის კვლევამ აჩვენა, რომ პირსონის კოეფიციენტის მნიშვნელობამ შეადგინა $r = -0.4425$ ($p = 0.010$). ეს კავშირი უარყოფით კორელაციურ ხასიათს ატარებს, ანუ რაც მეტია ოზონის დონე, მით ნაკლებია მწვავე სინუსიტის შემთხვევების რაოდენობა (გრაფიკი 3).


ჩვენს მიერ გამოკვლეულ ნოზოლოგიებს შორის პრევალირებდა ესენციური ჰიპერტენზია, ასევე ზ.ს.გ. ინფექციები, რომლებიც ვარირებდნენ სეზონურად.

ავადობასა და ოზონის დონეს შორის კავშირის დასადგენად ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი ოზონის დონესა და ცალკეული ნოზოლოგიების შემთხვევათა აბსოლუტური მნიშვნელობებს შორის

ოზონის დონესა და მწვავე სინუსიტის შემთხვევებს შორის კორელაციური კავშირის კვლევამ აჩვენა, რომ პირსონის კოეფიციენტის მნიშვნელობამ შეადგინა $r=-0.4425$ ($p=0.010$). ეს კავშირი უკუკორელაციურ ხასიათს ატარებს, ანუ რაც მეტია ოზონის დონე, მით ნაკლებია მწვავე სინუსიტის შემთხვევების რაოდენობა (გრაფიკი 3).

ოზონის დონესა და კრუპისა და ეპიგლოტიტის შემთხვევებს შორის კორელაციური კავშირის კვლევამ აჩვენა, რომ პირსონის კოეფიციენტის მნიშვნელობამ შეადგინა $r=-0.3797$ ($p=0.029$). ეს კავშირიც ასევე უკუკორელაციურ ხასიათს ატარებს, ანუ რაც მეტია ოზონის დონე, მით ნაკლებია კრუპისა და ეპიგლოტიტის შემთხვევების რაოდენობა (გრაფიკი 4).

ოზონის დონესა და კრუპისა და ეპიგლოტიტის შემთხვევებს შორის კორელაციური კავშირის კვლევამ აჩვენა, რომ პირსონის კოეფიციენტის მნიშვნელობამ შეადგინა $r=-0.797$ ($p=0.002$). ეს კავშირი უკუკორელაციურ ხასიათს ატარებს, ანუ რაც მეტია ოზონის დონე, მით ნაკლებია კრუპისა და ეპიგლოტიტის შემთხვევების რაოდენობა.



გრაფიკი 3. კავშირი ოზონის დონესა და მწვავე სინუსიტის შემთხვევების შორის სხვა ნოზოლოგიების შემთხვევებთან კორელაციური კავშირები არ გამოდგასარწმუნო:


ა) ოზონის დონე და მწვავე ტონზილიტის შემთხვევები - $r=-0.1355$ ($p=0.452$ – NS)

ბ) ოზონის დონე და ზედა სასუნთქი გზების ინფექციების შემთხვევები - $r=-0.0814$ ($p=0.652$ – NS)

გ) ოზონის დონე და ბაქტერიული პნევმონიის შემთხვევები - $r=-0.1802$ ($p=0.316$ – NS)

დ) ოზონის დონე და მწვავე ბრონქიტის შემთხვევები - $r=-0.2232$ ($p=0.211$ – NS)

ე) ოზონის დონე და მწვავე ბრონქიოლიტის შემთხვევები - $r=-0.2553$ ($p=0.152$ – NS)



გრაფიკი 4. კავშირი ოზონის დონესა და კრუპისა და ეპიგლოტიტის შემთხვევებს შორის

განხილვა

ავსტრალიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებში ჰაერის დამაბინძურებლების, მათ შორის ოზონის (O₃) კონცენტრაციის გაზრდისას, იზრდება ისეთი დაავადებების გადაუდებელი შემთხვევების სიხშირე, როგორებიცაა მწვავე ფარინგიტი, მწვავე ტონზილიტი, მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი და ეპიგლოტიტი, და ზედა სასუნთქი გზების დაუზუსტებელი მწვავე ინფექციები[9].

ატმოსფერული ოზონის დონე ასოცირებული იყო ასთმისა[10] და მიოკარდიუმის ინფარქტის ჰოსპიტალიზაციის სიხშირის გაზრდასთან [11,12]. ჩვენს მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა კავშირი კოვიდ-19-ის შემთხვევებსა და ოზონის დონეს შორის[13]. ჩვენი კვლევის მიხედვით, ოზონის დონესთან არ არის დაკავშირებული მწვავე ტონზილიტი, ზემო სასუნთქი გზების ინფექციები, მწვავე ბრონქიტი და მწვავე ბრონქოლიტის შემთხვევები.

დასკვნები

ოზონის დონის ცვლილება მოქმედებს ზოგიერთი დაავადების გამოვლენაზე.

ოზონის დონესთან სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ესენციური ჰიპერტენზიის, გულის ჰიპერტენზიული ავადმყოფობის, მწვავე სინუსიტისა და კრუპისა და ეპიგლოტიტის სიხშირე.

ლიტერატურა:

1. Goudarzi G, Geravandi S, Foruozaandeh H, Babaei AA, Alavi N, Niri MV, Khodayar MJ, Salmanzadeh S, Mohammadi MJ. Cardiovascular and respiratory mortality attributed to ground-level ozone in Ahvaz, Iran. *Environmental monitoring and assessment*. 2015 Aug;187(8):1-9.
2. Orru, H., Andersson, C., Ebi, K. L., Langner, J., Åström, C., & Forsberg, B. Impact of climate change on ozone-related mortality and morbidity in Europe. *European Respiratory Journal*, 2013; 41(2), 285-294.
3. Souza AD, Fernandes WA, Pavão HG, Lastoria G, Albrez ED. Potential impacts of climate variability on respiratory morbidity in children, infants, and adults. *Jornal Brasileiro de Pneumologia*. 2012 Dec;38(6):708-15.
4. Zychowski KE, Lucas SN, Sanchez B, Herbert G, Campen MJ. Hypoxia-induced pulmonary arterial hypertension augments lung injury and airway reactivity caused by ozone exposure. *Toxicology and applied pharmacology*. 2016 Aug 15;305:40-5.
5. Svanidze M, Gabunia F, Taboridze I, Svanidze N. Influence of troposphere ozone on respiratory, cardiovascular and central nervous system diseases (literature review). *experimental & clinical medicine georgia*. 2022 jun 2(4): 18-24.
6. Lee LY, Pisarri TE. 2001. Afferent properties and reflex functions of bronchopulmonary C-fibers. *Respir Physiol* 125:47–65.
7. Bromberg PA. Mechanisms of the acute effects of inhaled ozone in humans. *Biochimica et Biophysica Acta (BBA)-General Subjects*. 2016 Dec 1;1860(12):2771-81.
8. Boyce CP, Goodman JE, Sax SN, Loftus CT. Providing perspective for interpreting cardiovascular mortality risks associated with ozone exposures. *Regulatory Toxicology and Pharmacology*. 2015 Jun 1;72(1):107-16.
9. Cheng J, Su H, Xu Z. Intraday effects of outdoor air pollution on acute upper and lower respiratory infections in Australian children. *Environ Pollut*. 2021 Jan 1;268(Pt A):115698.

10. Strickland MJ, Darrow LA, Klein M, Flanders WD, Sarnat JA, Waller LA, Sarnat SE, Mulholland JA, Tolbert PE: Short-term associations between ambient air pollutants and paediatric asthma emergency department visits. *Am J Respir Crit Care Med.* 2010, 182: 307-316.
11. Middleton N, Yiallourous P, Kleanthous S, Kololotroni O, Schwartz J, Dockery D, Demokritou P, Koutrakis P: A 10-year time-series analysis of respiratory and cardiovascular morbidity in Nicosia, Cyprus: The effect of short-term changes in air pollution and dust storm. *Environ Health.* 2008, 7: 39-10
12. Hanna AF, Yeatts KB, Xiu A, Zhu Z, Smith RL, Davis NN, Talgo KD, Arora G, Robinson PJ, Meng Q, Pinto JP. Associations between ozone and morbidity using the Spatial Synoptic Classification system. *Environmental Health.* 2011 Dec;10(1):1-5.
13. Svanidze M, Kharchilava D, Taboridze I. Correlations between ground-level ozone concentration and covid-19 cases in tbilisi. *proceedings of the international research, education & training center.* 2021; 13(3): 4-8

სტუდენტობის პერიოდში გამოვლენილ დაავადებათა პროგნოზირება ქართველ
სტუდენტებში

¹თამარ სულთანაშვილი, დოქტორანტი

²რამაზ ხეცურიანი, პროფესორი

³მანანა არაბული, ასოცირებული პროფესორი

³მზია წიკლაური, ასოცირებული პროფესორი

⁴შალვა პეტრიაშვილი, პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ³გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, ⁴აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.03>

აბსტრაქტი

შესავალი: ჯანმრთელობის გაუარესება უნივერსიტეტში სწავლის პროცესში შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით,

მიზანი: ავადობის რისკის ფაქტორების შესწავლა ქართველ სტუდენტებში.

მასალა და მეთოდები: გამოკითხული იქნა 766 სტუდენტი საქართველოს უნივერსიტეტებიდან, ჩატარდა ერთმომენტიანი, განივი კვლევა. ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტა-კითხვარის გამოყენებით, შესწავლილ იქნა ფაქტორთა შემდეგი ჯგუფები: აკადემიური მოსწრება, დამატებითი მუშობა, სპორტული აქტიურობა, კვების ტიპი და რეჟიმი, ძილის ჰიგიენა, ექიმთან მიმართვიანობა. ავადობისა ფარდობითი შანსი დადგინდა რეგრესიული ანალიზის გამოყენებით.

შედეგები: სტუდენტობის პერიოდში გამოვლენილ დაავადებებს შორის ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევიან: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები - 99(12.92%); გულ-სისხლძარღვთა დაავადებები - 39(5.09%); ნერვული სისტემის დარღვევები - 106(13.84%); ჰიპოვიტამინოზი - 32(4.18%); მხედველობის დაქვეითება - 22(2.87%).

სტუდენტობის პერიოდში ნერვული დაავადებების ფარდობით შანსს ზრდის ნარკოტიკების მოხმარება - $OR=10.22(95\%CI:2.74-38.10)$; ანაზღაურებით მუშაობა - $OR=1.64(95\%CI:1.05-2.55)$; უძილობა - $OR=1.92(95\%CI:1.23-2.99)$; ექიმთა მიმართვიანობა - არა $OR=1.98(95\%CI:1.08-3.64)$); ამცირებს - ოჯახში, მშობლებთან ერთად ცხოვრება - $OR=0.15(95\%CI:0.03-0.79)$; კუჭ-ნაწლავის დაავადებების განვითარების ფარდობით შანსს ზრდის: ჰიპოდინამია - $OR=4.58(95\%CI:1.99-10.54)$; ალკოჰოლი - $OR=4.64(95\%CI:2.23-9.68)$; მარტო ცხოვრება - $OR=3.05(95\%CI:1.48-6.29)$; ჭარბი საკვების მიღება - $OR=4.03(95\%CI:1.68-9.70)$. მხედველობის დაქვეითების ფარდობით შანსს ზრდის: ღამით მეცადინეობა - $OR=10.79(95\% CI:2.54-45.77)$; ჰიპოდინამია - $OR=8.36(95\% CI:2.15-32.44)$; მარხუანას მოხმარება - $OR=11.62(95\% CI:2.34-57.59)$; მარტოხელა დედა - $OR=68.18(95\% CI:14.81-313.74)$; წყვეტილი ძილი - $OR=5.22(95\% CI:1.49-18.35)$; დღისით მეცადინეობა - $OR=0.18(95\% CI:0.05-0.73)$; ძილიანობა - $OR=0.07(95\% CI:0.02-0.31)$; მარტო ცხოვრება - $OR=3.49(95\% CI:1.13-10.78)$. ჰიპოტამინოზის განვითარების ფარდობით შანსს ზრდის: მუშაობა ანაზღაურების გარეშე - $OR=2.88(95\% CI:1.22-6.76)$; წყვეტილი ძილი - $OR=3.24(95\% CI:1.58-6.67)$; სწრაფი კვება - $OR=2.05(95\% CI:0.99-4.21)$.

დასკვნა: სტუდენტობის დროს დაავადებების განვითარებას განსაზღვრავს მავნე ჩვევები, არასწორი ძილის, კვებისა და მეცადინეობის რეჟიმები და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა

საკვანძო სიტყვები: სტუდენტები, ავადობის რისკი, მავნე ჩვევები.

Prediction of diseases detected during the student period in Georgian students

¹ Tamar Sultanishvili, MD, PhD student

² Ramaz Khetsuriani, Professor

² Manana Arabuli, Associate Professor

³ Mzia Tsiklauri, Associate Professor

⁴ Shalva Petriashvili, Professor

¹ David Aghmashenebeli University of Georgia, ²Tbilisi State Medical University, ³Grigol Robakidze University, ⁴East-West Teaching University

Abstract

Objective: Deterioration of health in the process of studying at university can be caused by many factors:

The aim of our research is Study of risk factors of morbidity among Georgian students.

Materials and methods: 766 students from Georgian universities were interviewed, a one-point, cross-sectional study was conducted using a questionnaire compiled by us, the validity of which was determined in previous studies - using Krombach alpha.

The following groups of factors were studied: academic achievement, extra work, sports activity, diet type and regimen, sleep hygiene, skills, doctor referral. Universities and students were selected through randomization. The relative chance of morbidity was determined through regression analysis.

Results: Among the diseases detected during the student period with the highest frequency are: pathologies of the gastrointestinal tract - 99 (12.92%); Cardiovascular diseases - 39 (5.09%); Nervous system disorders - 106 (13.84%); Hypovitaminosis - 32 (4.18%); Diseases of the nervous system; Visual impairment - 22 (2.87%).

The relative chance of neurological diseases during the student period increases: drug use - OR = 10.22 (95% CI: 2.74-38.10); Remuneration work - OR = 1.64 (95% CI: 1.05-2.55); Insomnia - OR = 1.92 (95% CI: 1.23-2.99); Doctor referral – no - OR = 1.98 (95% CI: 1.08-3.64); Decreases - living with parents - OR = 0.15 (95% CI: 0.03-0.79). The relative chance of developing gastrointestinal diseases increases: Hypodynamics - OR = 4.58 (95% CI: 1.99-10.54); Alcohol - OR = 4.64 (95% CI: 2.23-9.68); Living Alone - OR = 3.05 (95% CI: 1.48-6.29); Excess food intake - OR = 4.03 (95% CI: 1.68-9.70). Increases the chance of relative vision impairment: study at night - OR = 10.79 (95% CI: 2.54-45.77); Hypodynamics - OR = 8.36 (95% CI: 2.15-32.44); Marijuana Consumption - OR = 11.62 (95% CI: 2.34-57.59); Single mother - OR = 68.18 (95% CI: 14.81-313.74); Intermittent sleep - OR = 5.22 (95% CI: 1.49-

18.35); Daytime study - OR = 0.18 (95% CI: 0.05-0.73); Drowsiness - OR = 0.07 (95% CI: 0.02-0.31); Living Alone - OR = 3.49 (95% CI: 1.13-10.78). Increases the relative chance of developing hypovitaminosis: Unpaid work - OR = 2.88 (95% CI: 1.22-6.76); Intermittent sleep - OR = 3.24 (95% CI: 1.58-6.67); Fast food - OR = 2.05 (95% CI: 0.99-4.21)

Conclusion: The development of diseases during studenthood is determined by bad habits, poor sleep, diet and exercise regimes. Socio-economic status of the family

Keywords: Students, morbidity Risk, Bad habits.

შესავალი

ჯანმრთელობის გაუარესება უნივერსიტეტში სწავლის პროცესში შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, რომლებიც იყოფა ორ ძირითად ჯგუფად - პირველ ჯგუფში განიხილება სასწავლო პროცესთან უშუალოდ დაკავშირებული ობიექტური ფაქტორები, ხოლო მეორე ჯგუფში - სუბიექტური, პიროვნული ფაქტორები[1].

ფაქტორებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუდმივი გონებრივი და ფსიქოემოციური სტრესი, ინფორმაციული სტრესი, მატერიალური პრობლემები და მუშაობის, დასვენების და კვების რეჟიმების ხშირი დარღვევა. კულტურის ზოგადი დონის დაქვეითება, მათ შორის სანიტარული და ჰიგიენური საშუალებების ჩათვლით, ხელს უწყობს თვითგანადგურების ქცევის გავრცელებას, როგორცაა მოწვევა, ალკოჰოლი, ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებები[2]. ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და განათლება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებია[3].

ჩვენი კვლევის მიზანია ავადობის რისკის ფაქტორების შესწავლა ქართველ სტუდენტებში.

მასალა და მეთოდები

გამოკითხული იქნა 766 სტუდენტი საქართველოს უნივერსიტეტებიდან, ჩატარდა ერთმომენტური, განივი კვლევა ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტა-კითხვარის

გამოყენებით, რომლის ვალიდურობა დადგენილია წინასწარ ჩატარებულ კვლევებში - კრომბახის ალფას გამოყენებით [4].

შესწავლილ იქნა ფაქტორთა შემდეგი ჯგუფები: აკადემიური მოსწრება, დამატებითი მუშობა, სპორტული აქტიურობა, კვების ტიპი და რეჟიმი, ძილის ჰიგიენა, უნარჩვევები, ექიმთან მიმართვიანობა. უნივერსიტეტები და სტუდენტები შეირჩა რანდომიზაციის საშუალებით.

ჩართვის კრიტერიუმები: საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტი, საქართველოს მოქალაქე. თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. გამორიცხვის კრიტერიუმები: ორსული ქალები, უარი კვლევაში ჩართვაზე

კარგი სწავლის ჯგუფში გაერთიანდნენ სტუდენტები, რომელსა საშუალო ქულა შეადგენდა A ან B- ს , საშუალო დონე - C, D ან E-ს, ხოლო ცუდი - რომელთაც ერთ საგანში მაინც ჰქონიათ F_x ან F შეფასება. კითხვარს ახლდა ინფორმირებული თანხმობის ფურცელი, სტუდენტებს მიეწოდათ სრული ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და ამოცანების თაობაზე. მონაცემების შეგროვება მოხდა მხოლოდ კვლევის მიზნით. მონაცემები კოდირებულია ნუმერაციით და ინახება მკვლევართან და ხელმისაწვდომია მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის.

ინსტრუმენტები: კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებად გამოვიყენეთ სტრუქტურირებული ინტერვიუ და თვითშეფასების კითხვარები.

სტატისტიკური ანალიზი: რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის განისაზღვრა საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა; ხარისხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია სიხშირით და %-ით.


ავადობისა ფარდობითი შანსი დადგინდა რეგრესიული ანალიზის საშუალებით.

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამების პაკეტის SPSS 23-ის გამოყენებით.

შედეგები

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტობის პერიოდში გამოვლენილ დაავადებებს შორის ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევიან ნერვული სისტემის

დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, ავითმინოზი, მხედველობის დაქვეითება (დიაგრამა1).



რეგრესიული ანალიზის საშუალებით განვსაზღვრეთ ამ დაავადებათა პრედიქტორები და მათი პროგნოზული მნიშვნელობა.

კუჭ-ნაწლავის დაავადებების განვითარების პროგნოზი მოცემულია 1 ცხრილში.

ცხრილი 1. კუჭ-ნაწლავის დაავადებების განვითარების პროგნოზი

ფაქტორები	B	S.E.	Wald	p	OR	95% C.I. OR	
ჰიპოდინამია	1.61	0.31	26.81	0.000	4.98	2.72	9.15
ნარკოტიკების მოხმარება	1.48	0.63	5.53	0.019	4.41	1.28	15.16

განქორწინებული მშობლები	1.08	0.32	11.26	0.001	2.93	1.56	5.49
მშობლებთან ცხოვრება	-.718	0.24	9.22	0.002	0.49	0.31	0.78
ცხიმოვანი საკვები	1.10	0.26	17.49	<0.001	3.01	1.79	5.03
Constant	-2.11	0.20	107.64	<0.001	0.12		

კუჭ-ნაწლავის დაავადებების განვითარების ფარდობით შანსს ზრდის ჰიპოდინამია, ნარკოტიკების მოხმარება, განქორწინებული მშობლები, ცხიმოვანი საკვები, ამცირებს - ოჯახში ცხოვრება.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების პროგნოზი მოცემულია მე-2 ცხრილში

ცხრილი 2. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების პროგნოზი

	B	SE	Wald	p	OR	95% C.I. OR	
ჰიპოდინამია	1.52	0.43	12.77	<0.001	4.58	1.99	10.54
ალკოჰოლი	1.54	0.38	16.78	<0.001	4.64	2.23	9.68
მარტო ცხოვრება	1.12	0.37	9.14	0.002	3.05	1.48	6.29
ჭარბი კვება	1.40	0.45	9.71	0.002	4.03	1.68	9.70
Constant	-3.95	0.28	192.91	<0.001	0.02		

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ფარდობით შანსს ზრდის - ჰიპოდინამია, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, მარტო ცხოვრება, ჭარბი საკვების მიღება.

სტუდენტობის პერიოდში ნერვული სისტემის დაავადებების განვითარების პროგნოზი მოცემულია მე-3 ცხრილში

ცხრილი 3. ნერვული სისტემის დაავადებების განვითარების პროგნოზი

ფაქტორები	B	S.E.	Wald	p	OR	95% C.I.for OR	
						Lower	Upper
ნარკოტიკების მოხმარება	2.32	0.67	11.98	0.001	10.22	2.74	38.10
მშობლებთან ერთად ცხოვრება	-1.92	0.86	4.96	0.026	0.15	0.03	0.79
ანაზღაურებით მუშაობა	0.49	0.23	4.80	0.028	1.64	1.05	2.55
უძილობა	0.65	0.23	8.19	0.004	1.92	1.23	2.99
ექიმთა მიმართვიანობა - არა	0.69	0.31	4.89	0.027	1.98	1.08	3.64
Constant	-2.3	0.16	204.14	<0.00	0.10		

სტუდენტობის პერიოდში ნერვული დაავადებების ფარდობით შანსს ზრდის - ნარკოტიკების მოხმარება, ანაზღაურებით მუშაობა, ექიმთა მიმართვიანობა - არა, უძილობა და ამცირებს ოჯახში - მშობლებთან ერთად ცხოვრება.

ჰიპოვიტამინოზის პროგნოზი მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4. ჰიპოვიტამინოზის პროგნოზი

ფაქტორები	B	S.E.	Wald		OR	95% C.I.for OR	
მუშაობა ანაზღაურების გარეშე	1.06	0.44	5.87	0.015	2.88	1.22	6.76
წყვეტილი ძილი	1.18	0.37	10.23	0.001	3.24	1.58	6.67

სწრაფი კვება	0.72	0.37	3.78	0.052	2.05	0.99	4.21
Constant	-4.06	0.34	146.52	<0.001	0.02		

ჰიპოვიტამინოზის განვითარების ფარდობით შანსს ზრდის - მუშაობა ანაზღაურების გარეშე, წყვეტილი ძილი, სწრაფი კვება.

მხედველობის დაქვეითების პროგნოზი მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5. მხედველობის დაქვეითების პროგნოზი

ფაქტორები	B	S.E.	Wald	P	OR	95% C.I. for OR	
						Lower	Upper
ღამით მეცადინეობა	2.38	0.74	10.41	0.001	10.79	2.54	45.77
ჰიპოდინამია	2.12	0.69	9.41	0.002	8.36	2.15	32.44
მარიხუანას მოხმარება	2.45	0.82	9.02	0.003	11.62	2.34	57.59
მარტოხელა დედა	4.22	0.78	29.39	<0.001	68.18	14.81	313.74
წყვეტილი ძილი	1.65	0.64	6.65	0.010	5.22	1.49	18.35
დღისით მეცადინეობა	-1.71	0.71	5.74	0.017	0.18	0.05	0.73
ძილიანობა	-2.61	0.73	12.74	<0.001	0.07	0.02	0.31
მარტო ცხოვრება	1.25	0.58	4.73	0.030	3.49	1.13	10.78
Constant	-5.76	0.85	45.51	<0.001	0.00		

როგორც ცხრილიდან ჩანს, სტუდენტობის პერიოდში მხედველობის დაქვეითების ფარდობით შანსს ზრდის როგორც სამოყვარულო სპორტი, ისე ჰიპოდინამია, მაგნი ჩვევებიდან - მარიხუანას მოხმარება და წყვეტილი ძილი, სოციალური ფაქტორებიდან - მარტოხელა დედა და მარტო ცხოვრება.

მხედველობის დაქვეითების ფარდობით შანსს ამცირებს - დღისით მეცადინეობა და ჭარბი ძილი.

ამრიგად, სტუდენტობის პერიოდში დაავადების განვითარება განსაზღვრულია სოციალური, ქცევითი და გარემო ფაქტორებით.

განხილვა: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა არის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია დიდ ფსიქო-ემოციურ სტრესთან, ჩვეული ყოველდღიური რუტინისა და ცხოვრების რიტმის ცვლილებასთან, რასაც ხშირად თან ახლავს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, სოციალური წრის ცვლილება და თავისუფალი დროის ახლებურად გადანაწილება[5].

უნივერსიტეტის სტუდენტებში დეპრესიის მაჩვენებლები არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე საერთო პოპულაციაში [6]. ჩენი კვლევის მიხედვით, ნერვული სისტემის დარღვევები სწავლის პერიოდში გამოუვლინდასტუდენტთა 13.84%-ს. კვლევამ აჩვენა, რომ ნერვული დარღვევების ფარდობით შანსს ზრდის - ნარკოტიკების მოხმარება, ანაზღაურებით მუშაობა, ექიმთა მიმართვიანობაზე უარის თქმა, უძილობა და ამცირებს ოჯახში - მშობლებთან ერთად ცხოვრება. ანაზღაურებით მუშაობა რისკის ფაქტორი აღმოჩნდა ჰოპოვიტამინოზისთვისაც. ხოლო ნარკოტიკების მოხმარება - კუჭ-ნაწლავის დაავადებებისათვის, რომელიც ასევე გამოირჩევა მაღალი სიხშირით (12.92%) და მისი მანიფესტაციის ფარდობითი შანსი განსაზღვრულია სოციალური ფაქტორებით - იზრდება განქორწინებული მშობლების შემთხვევაში და მცირდება ოჯახში ცხოვრების დროს. ჰიპოდინამია ზრდის როგორც კუჭ-ნაწლავის დაავადების სიხშირეს, ისე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და მხედველობის დაქვეითების სიხშირეს. მხედველობის დაქვეითება ამ შემთხვევაში სავარაუდოდ დაკავშირებულია ელექტრონულ მოწყობილობებთან დიდი დროის გატარებასთან.

ძილისა და სიფხიზლის რეჟიმის დარღვევა ხელს უწყობს ემოციური დაძაბულობის ზრდას, ყურადღების დაქვეითებას და სტუდენტების როგორც ფსიქო-ემოციური, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესებას და გავლენას ახდენს ძილის ხარისხზე[7]. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით პირველი კურსის სტუდენტებისთვის სასწავლო დატვირთვის შედგენის უფრო დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობა განისაზღვრება ახალ საცხოვრებელ

პირობებთან მათი ნაკლებად ადაპტაციისა და ძილის ხანგრძლივობისა და ხარისხის დაქვეითებასთან დაკავშირებული უარყოფითი ფაქტორების მეტი ზემოქმედების გამო[5].

ჩვენი კვლევის მიხედვით, ძილის პრობლემები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც მხედველობის დაქვეითებისათვის - ღამე მეცადინეობა და წყვეტილი ძილი, ისე ნერვული დაავადებებისათვის - უძილობა, ჰიპოვიტამინოზისათვის - წყვეტილი ძილი, რაც იწვევს ციკარდული რიტმების დარღვევას და შესაბამისად - ჰორმონულ დარღვევებს და მეტაბოლიზმის პრობლემებს.

ისინი, ვინც მშობლების სახლიდან შორს ცხოვრობენ, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი არაჯანსაღი კვების ჩვევებისადმი[8]. ჯანსაღი კვება დაკავშირებული დეპრესიის დაბალ რისკთან[9], არაჯანსაღი დიეტა არის ერთ-ერთი ძირითადი მართვადი რისკის ფაქტორებიდან[10]. გარდა ამისა, არაჯანსაღი დიეტა ცნობილია როგორც ჭარბი წონისა და სიმსუქნის რისკის ფაქტორი[11]. ჩვენი კვლევის მიხედვით, ცხიმოვანი საკვების მიღება ზრდის კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ჭარბი კვება - გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ხოლო სწრაფი კვება - ჰიპოვიტამინოზის ფარდობით შანსს.

მარიხუანა არის ყველაზე ფართოდ მოხმარებული არალეგალური ნარკოტიკი მთელ მსოფლიოში. ვარაუდობენ, რომ მისმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ბუნდოვანი ხედვა კითხვის დროს. მარიხუანას გამოყენებამ შეიძლება შეცვალოს აკომოდაციის პროცესი და შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულ ყოველდღიურ აქტივობებზე, რომლებიც დამოკიდებულია ზუსტ ადაპტაციურ ფუნქციაზე[12].

მხედველობის ხარისხი მარიხუანას მოწვევის შემდეგ შეიძლება დაკავშირებული იყოს კონტრასტული მგრძობელობის დაქვეითებასთან[13].

ლიტერატურის მიხედვით, მარიხუანას რეგულარული მოხმარება მხედველობის დაქვეითებას იწვევს ადამიანის ბადურის ნეიროტრანსმისიაზე ზემოქმედებით[14].

მხედველობის დაქვეითების სხვა მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა სოციალური ფაქტორები, მარტო ცხოვრება და მარტოხელა დედა.

ავადობა დაკავშირებულია მავნე ჩვევებთან და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან[15,16].

დასკვნა: ავადობა სტუდენტებში დამოკიდებულია ქცევით ფაქტორებსა და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

ლიტერატურა

1. Самарин АВ, Мехришвили ЛЛ. Здоровье в системе жизненных ценностей студенческой молодежи: по результатам социологического исследования. Международный научно-исследовательский журнал. 2017(1-3 (55)).
2. Singleton, R.A.; Wolfson, A.R. Alcohol consumption, sleep, and academic performance among college students. *J. Stud. Alcohol Drugs* 2009, *70*, 355–36
3. Dhryfi A, Alnahdi S, Jaziri R. The Causal Links Among Economic Growth, Education and Health: Evidence from Developed and Developing Countries. *Journal of the Knowledge Economy*. 2020 Aug 8:1-7.
4. Sultanishvili IT, Petriashvili Sh, Arabuli M, Chlikadze N, Taboridze I. Validation of the students morbidity study questionnaire. *Guram Tatishvili Bulletin of Georgia Surgery*. **2021, 9: 57-62**
5. Давиденко ДН, Щедрин ЮН, Щеголев ВА. Здоровье и образ жизни студентов. СПб.: СПбГУИТМО. 2005.
6. Ibrahim AK, Kelly SJ, Adams CE, Glazebrook C. A systematic review of studies of depression prevalence in university students. *J Psychiatr Res*. 2013 Mar;47(3):391-400.
7. Дунай ВИ, Аринчина НГ, Сидоренко ВН. Особенности нарушения сна у студентов. 2013; 3 (45):139–143.
8. Bárbara R, Ferreira-Pêgo C. Changes in Eating Habits among Displaced and Non-Displaced University Students. *Int J Environ Res Public Health*. 2020;17(15):5369.
9. Antonopoulou M, Mantzorou M, Serdari A, Bonotis K, Vasios G, Pavlidou E, Trifonos C, Vadikolias K, Petridis D, Giaginis C. Evaluating Mediterranean diet adherence in university student populations: Does this dietary pattern affect students' academic performance and mental health? *Int J Health Plann Manage*. 2020;35(1):5-21.
10. World Health Organization. 2008-2013 action plan for the global strategy for the prevention and control of noncommunicable diseases: prevent and control cardiovascular diseases, cancers, chronic respiratory diseases and diabetes. 2009

11. Cecchini M, Sassi F, Lauer JA, Lee YY, Guajardo-Barron V, Chisholm D. Tackling of unhealthy diets, physical inactivity, and obesity: health effects and cost-effectiveness. *The Lancet*. 2010 Nov 20;376(9754):1775-84.
12. Ortiz-Peregrina S, Ortiz C, Martino F, Castro-Torres JJ, Anera RG. Dynamics of the accommodative response after smoking cannabis. *Ophthalmic Physiol Opt*. 202;41(5):1097-1109.
13. Ortiz-Peregrina S, Ortiz C, Casares-López M, Jiménez JR, Anera RG. Effects of cannabis on visual function and self-perceived visual quality. *Sci Rep*. 2021;11(1):1655
14. Remy I, Schwitzer T, Albuisson É, Schwan R, Krieg J, Bernardin F, Ligier F, Lalanne L, Maillard L, Laprevote V. Impaired P100 among regular cannabis users in response to magnocellular biased visual stimuli. *Prog Neuropsychopharmacol Biol Psychiatry*. 2022;113:110437
15. Sultanishvili T, Petriashvili Sh, Taboridze I. Health Risk Behavior and Morbidity Among Georgian Students and Prognosis of Poor Academic Performance. *East European Scientific Journal*. 2022.1(77): 51-60
16. Abaishvili N, Sakvarelidze I, Morchadze L, Taboridze I. Correlation between periodontal inflammatory diseases and somatic disorders of the Georgian student population. *Black Sea Scientific Journal of Academic Research*. 2019; 45(2): 10-15

სკოლიოზი მხატვრული ტანვარჯიშით დაკავებულ გოგონებში

¹ქეთევან გოცირიძე, დოქტორანტი

²მაია კაკაურიძე, მედიცინის დოქტორი

¹თამარ ტუფინაშვილი, პროფესორი

¹იამზე თაბორიძე, პროფესორი, ORCID ID: [0000-0003-1961-6916](https://orcid.org/0000-0003-1961-6916)

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²აკ.

ლუდუშაურის სახ. სამედიცინო ცენტრი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.04>

აბსტრაქტი

ფიზიკური და სპორტული აქტივობის (PSA) გავლენა იდიოპათიური სკოლიოზზე (IS) ჯერ კიდევ გაურკვეველია. ითვლება, რომ გენეტიკური ფაქტორების გარდა, გარემო და ცხოვრების წესის ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოზარდთა იდიოპათიური სკოლიოზის (AIS) დაწყებაში.

მიზანი: მხატვრული ტანვარჯიშის გავლენის დადგენა მოზარდთა სკოლიოზის მანიფესტაციაზე.

მეთოდები: შვიისწავლეთ სკოლიოზით დაავადებული 25 ტანმოვარჯიშე გოგონა. კვლევის მეთოდები: ანამნეზი, ფიზიკალური გასინჯვა, გენეალოგიური ანალიზი, რენტგენოგრაფია. სახსრების ჭარბი მოძრაობა განისაზღვრა კარტერ-ვილკინსონის ტესტით. მხატვრული ტანვარჯიშით დაკავებულთა უმრავლესობას აღმოჩნდა ერთი ან რამდენიმე ორთოპედიული დაავადება, მათ შორის პრევალირებდა ტანდეგობის დარღვევა.

შედეგები: ჩვენს მიერ შესწავლილ მოზარდ ტანმოვარჯიშეებში ვარჯიშის დაწყების საშუალო ასაკი შეადგენს 6.32 ± 2.06 წელს. ჩვენს მიერ გამოვლენილ ორთოპედიულ დაავადებებს შორის აღსანიშნავია სკოლიოზი, რომლის მანიფესტაციის ასაკი მერყეობს 5-დან 15 წლამდე (9.31 ± 4.05). სკოლიოზი აღენიშნა 13(52%) ტანმოვარჯიშეს,

მათგან 12(48%) იდიოპათიური, ხოლო - 1(4%) დისპლაზიური. 8(32%) არასტაბილური, 5(20%) სტაბილური. 3(12%) არაპროგრესირებადი, ხოლო 10(40%) პროგრესირებადი მიმდინარეობით. გამრუდების ფორმის მიხედვით - C-ს მსგავსი (გამრუდების ერთი რკალით) – 4(16%), S-ს მსგავსი (გამრუდების ორი რკალით) – 8 – 32%, I-ს მსგავსი (გამრუდების სამი რკალით) – 1(4%). რისკის ფაქტორებს შორის სჭარბობს ისეთი გენეტიკური ფაქტორები, როგორებიცაა სკოლიოზი(52%) და სხვა ორთოპედიული დაავადებები(60%-მდე) I ხარისხის ნათესავეებში. სახსრების ჰიპერმობილობა დაუდგინდა გამოკვლეულ პაციენტთა 36%-ს.

დასკვნები:

გოგონათა შორის, რომლებიც დადიან მხატვრულ ტანვარჯიშზე, აღინიშნება სკოლიოზის მაღალი სიხშირე.

- სკოლიოზის რისკის ფაქტორებს შორის გამოიკვეთა გენეტიკური წინასწარგანწყობა და სახსრების ჰიპერმობილობა.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, სახსრების ჰიპერმობილობა, სკოლიოზი, რისკის ფაქტორები.

Scoliosis in Girls Engaged in Artistic Gymnastics

¹Ketevan Gotsiridze, MD, PhD student

²Maia Kakauridze, MD, PhD

¹Tamar Tuphinashvili, Professor

¹Iamze Taboridze, Professor

¹David Aghmashenebeli University of Georgia, ²Ghudushauri medical Center

Abstract

The impact of physical and athletic activity (PSA) on idiopathic scoliosis (IS) is still unclear. In addition to genetic factors, environmental and lifestyle factors are thought to play an important role in the onset of adult idiopathic scoliosis (AIS).

Objective: To determine the impact of artistic gymnastics on the manifestation of adult scoliosis.

Methods: We studied 25 fit girls with scoliosis. Research methods: anamnesis, physical examination, genealogical analysis, radiography. Excess movement of the joints was determined by the Carter-Wilkinson test. Most people engaged in artistic gymnastics were diagnosed with one or more orthopedic diseases, including the prevalence of tandem disorders.

Results: The average age of onset of exercise in the adolescent gymnasts we studied is $6.32 + 2.06$. Among the orthopedic diseases we have identified is scoliosis, the age of manifestation of which varies from 5 to 15 years ($9.31 + 4.05$). Scoliosis was observed in 13 (52%) gymnasts, of which 12 (48%) were idiopathic and 1 (4%) was dysplastic. 8 (32%) unstable, 5 (20%) stable. With 3 (12%) non-progressive and 10 (40%) progressive currents. According to the shape of the curvature - C-like (with one curve) - 4 (16%), S-like (with two curves) - 8 - 32%, □-like (with three curves) - 1 (4%). Risk factors include genetic factors such as scoliosis (52%) and other orthopedic diseases (up to 60%) in first-degree relatives. Joint hypermobility was diagnosed in 36% of the patients examined.

Conclusions:

- Among girls who go to artistic gymnastics, a high incidence of scoliosis is noted.
- Risk factors include genetic predisposition and joint hypermobility.

Keywords: sport, joint hypermobility, scoliosis.

შესავალი: ფიზიკური და სპორტული აქტივობის (PSA) გავლენა მოზარდთა იდიოპათიური სკოლიოზზე (AIS) ჯერ კიდევ გაურკვეველია [1]. ითვლება, რომ გენეტიკური ფაქტორების გარდა, გარემო და ცხოვრების წესის ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოზარდთა იდიოპათიური სკოლიოზის (AIS) დაწყებაში.

იაპონიაში ჩატარებული კვლევის თანახმად, ცხოვრების წესთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტორი მნიშვნელოვნად არ იყო ასოცირებული AIS-თან.

თუმცა, AIS ასოცირდებოდა ფიზიკურ დატვირთვის კლასიკური ბალეტის დროს, ამასთან AIS-ის განვითარების ფარდობითი შანსი იზრდებოდა ბავშვის ვარჯიშის სიხშირის ზრდასთან ერთად, შანსი 1,5-ჯერ მაღალი იყო იმ ბავშვებისათვის, რომელთა დედებსაც აღენიშნებოდათ სკოლიოზი. AIS ასევე დაკავშირებული იყო სხეულის მასის დაბალ ინდექსთან [2]. პლასტიურობა და მოქნილობა (სახსრების ჰიპერმოხილობა - დისპლაზიის ერთ-ერთი ნიშანი) წარმოადგენს მომავალი სპორტსმენების შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმს. ამავე დროს, ხერხემლისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სხვა კომპონენტების ტრავმები და სახსრების დაავადებების ადრეული განვითარება დამახასიათებელია სწორედ დისპლაზიის მქონე სპორტსმენებში.

IS პაციენტებში აღინიშნა JL - ს უფრო მაღალი სიხშირე, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. აღსანიშნავია, რომ ტანმოვარჯიშე გოგონებს, რომელთაც ჰქონდათ სკოლიოზი, აღენიშნებოდათ სახსრების ჭარბი მოძრაობის (Joint laxity -სახსრების სისუსტე) მაღალი სიხშირე[3]. ორთოპედიულ დაავადებებს გააჩნიათ საერთო გენეტიკური საფუძველი, შემაერთებული ქსოვილის ზოგადი დისპლაზიის სახით, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაა სახსრების ჰიპერმოხილობა[4],

ზოგიერთი კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ნანახი კავშირი ზოგადად ფიზიკურ ვარჯიშსა და ის-ს შორის, დატვირთვა კლასიკური ბალეტისა და პროფესიული ცურვის დროს ზრდიდა იდიპათიური სკოლიოზის განვითარების შანსს[5]. მხატვრული ტანვარჯიშის კოლეჯში გოგონათა 20%-ს აღენიშნებოდა სკოლიოზი[6].

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მხატვრული ტანვარჯიშის გავლენის დადგენა მოზარდთა სკოლიოზის მანიფესტაციაზე

მეთოდები: შევისწავლეთ სკოლიოზით დაავადებული 25 ტანმოვარჯიშე გოგონა.

გამოკვლევის მეთოდები: ანამნეზი, ფიზიკალური გასინჯვა, გენეალოგიური ანალიზი, რენტგენოგრაფია.

სახსრების სისუსტე (JL) შეიძლება იყოს ასეთი საერთო ფაქტორი. სახსრების ჭარბი მოძრაობა განისაზღვრა კარტერ-ვილკინსონის ტესტით.

შედეგები წარმოდგენილია რაოდენობრივი მონაცემებისათვის - საშუალო და სტანდარტული გადახრის, ხოლო თვისობრივი მონაცემებისათვის - სიხშირის და %-ის საშუალებით. სტატისტიკური დამუშავება ჩატარდა SPSS 23-გამოყენებით.

შედეგები

ვინაიდან ტანვარჯიში არ განიხილება როგორც IS-ის თერაპია ან პროგნოზული ფაქტორი, დაკვირვებული სიხშირე შეიძლება დაკავშირებული იყოს საერთო ფაქტორთან, რომელიც ზრდის IS-ის ალბათობას და ხელს უწყობს ტანვარჯიშს.

ჩვენს მიერ შესწავლილ მოზარდ ტანმომარჯიშეებში ვარჯიშის დაწყების საშუალო ასაკი შეადგენს 6.32 ± 2.06 წელს

მოზარდ ტანმომარჯიშეთა დემოგრაფიული მახასიათებლები მოცემულია 1 ცხრილში:

ცხრილი 1. მოზარდ ტანმომარჯიშეთა დემოგრაფიული მახასიათებლები

ფაქტორები		n	mean+/-SD ან n(%)
სქესი	მდედრობითი	25	100
	მამრობითი	0	0
ასაკი	წელი	12.09±2.13	
საცხოვრებელი ადგილი	თბილისი	16	64.0
	რეგიონი	8	32.0
მშობლების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა	სოციალურად დაუცველი	4	16.7
	საშუალო	18	72.0
	კარგი	3	12.0
საცხოვრებელი გარემო	მწველი მშობლები	9	36.0
	მშვიდი ოჯახური გარემო	23	91.7

მხატვრული ტანვარჯიშით დაკავებულთაგან ყველა გოგონაა, მათი უმრავლესობა თბილისელია, საშუალო ეკონომიკური მდგომარეობით.

2 ცხრილში მოცემულია დროისა და სივრცის განაწილება ვარჯიშისა და სხვა აქტივობების დროს

ცხრილი 2. დროისა და სივრცის განაწილება ვარჯიშისა და სხვა აქტივობების დროს

ფაქტორები	N	mean+/-SD ან n(%)	
დროის განაწილება	რა დროს ატარებს კომპიუტერთან დღეში (სთ)	4.04±2.20	
	რა დროს უთმობს ვარჯიშს კვირაში(სთ)	2.71±2.93	
	რა დროს ატარებს მზეზე დღეში(სთ)	2.29±1.90	
სად ვარჯიშობს	დახურულ დარბაზში კვირაში	20.00±4.83	
	ღია სივრცეში	2.48±2.84	
სკოლა	სპორტული	2	8.0
	საჯარო	23	92.0

მხატვრული ტანვარჯიშით დაკავებულთა უმრავლესობას აღმანდა ერთი ან რამდენიმე ორთოპედიული დაავადება, მათ შორის პრევალირებდა ტანდეგობის დარღვევა და სკოლიოზი(ცხრილი3)

ცხრილი 3. ორთოპედიული დაავადებების განაწილება მოზარდ ტანმოვარჯიშეებში

ფაქტორები	N	%
ორთოპედიული დაავადებები	ტანდეგობის დარღვევა	48
	სკოლიოზი	52.0
	სახსრები ჰიპერმობილობა	36.0
	ტერფმრუდობა	0.0
	ბრტყელი ტერფი	72.0

		კისერმრუდობა	1	4.0
დისპლაზიის გამოვლინებები	სხვა	ტუჩის და სასის ანომალიები, თანკბილვის ანომალიები, გულის მანკი, მხედველობა, განვითარების სხვა მანკები	2	8.0
სკოლიოზის განაწილება	ეტიოლოგიის მიხედვით	მიოპათიური;	0	0.0
		ნევროგენული;	0	0.0
		დისპლაზიური;	1	4.0
		ტრავმული	0	0.0
		იდიოპათიური.	12	48.0
	გამრუდების ფორმის მიხედვით	C-ს მსგავსი (გამრუდების ერთი რკალით);	4	16.0
		S-ს მსგავსი (გამრუდების ორი რკალით);	8	32.0
		Σ-ს მსგავსი (გამრუდების სამი რკალით).	1	4.0
	გამრუდების ლოკალიზაციის მიხედვით	კისერ-გულმკერდის (გამრუდების მწვერვალი Th3 - Th4 დონეზე);	2	8.0
		გულმკერდის(გამრუდების მწვერვალი Th8 - Th9 დონეზე);	3	12.0
		გულმკერდ-წელის(გამრუდების მწვერვალი Th11 - Th12 დონეზე);	6	24.0
		წელის(გამრუდების მწვერვალი L1 - L2 დონეზე);	4	16.0
		წელ-გავის (გამრუდების მწვერვალი L5 - S1 დონეზე).	1	4.0
	დატვირთვისას დეფორმაციის ხარისხის	არასტაბილური;	8	32.0
		სტაბილური.	5	20

	ცვლილების მიხედვით			
	კლინიკური მიმდინარეობით	არაპროგრესირებადი;	3	12.0
		პროგრესირებადი.	10	40.0
სკოლიოზის მანიფესტაციის ასაკი			9.31±4.05	

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ გამოვლენილ დაავადებებს შორის აღსანიშნავია სკოლიოზი, რომლის მანიფესტაციის ასაკი მერყეობს 5-დან 15 წლამდე.

სკოლიოზის რისკის ფაქტორები მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფში მოცემულია 4 ცხრილში.

ცხრილი 4. სკოლიოზის რისკის ფაქტორები მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფში

რისკის ფაქტორები	n	%	
სიმაღლე	სწრაფი ზრდა	8	32.0
	ჩამორჩენილი ასაკთან შედარებით	0	0.0
	ასაკთან შედარებით მაღალი	3	12.0
მასა	ჭარბი წონა	4	16.0
	სიგამხდრე	1	4.0
კვების ტიპი	ნორმალური	18	72.0
	უპირატესად ცილოვანი	17	68.0
	უპირატესად ცხიმოვანი	14	56.0
	უპირატესად ნახშირწყლოვანი	19	76.0
	სპეციალური საკვები დანამატების მიღება	0	0.0
	ვიტამინების მიღება	14	56.0
სკოლიოზი	I ხარისხის ნათესავეებში	13	52.0
	II-III ხარისხის ნათესავეებში	10	40.0

მ/ბ დისპლაზიური პათოლოგია	I ხარისხის ნათესავებში	2	8.0
	II-III ხარისხის ნათესავებში	3	12.0
ტერფმრუდობა	I ხარისხის ნათესავებში	1	4.0
	II-III ხარისხის ნათესავებში	1	4.0
ბრტყელი ტერფი	I ხარისხის ნათესავებში	15	60.0
	II-III ხარისხის ნათესავებში	10	40.0

რისკის ფაქტორებს შორის სჭარბობს ისეთი გენეტიკური ფაქტორები, როგორებიცაა სკოლიოზი და სხვა ორთოპედიული დაავადებები 1 და 2 ხარისხის ნათესავებში.

წარმოგიდგენთ კლინიკურ შემთხვევას(სურ. 1)



სურ.1 გოგონა 13 წლის, მხატვრულ ტანვარჯიშზე დადის 6 წლის მანძილზე, აღენიშნება მე-3 ხარისხის S-ის მსგავსი სკოლიოზი, სახსრების ჰიპერმობილობა.

განხილვა

ტანმოვარჯიშეებში ხერხემლის წელის ნაწილის MRI-მ აჩვენა დარღვევების მაღალი გავრცელება, მათ შორის - დისკის დეგენერაცია, მალთაშუა სახსრის ელემენტების სტრესული ცვლილებები[7].

მოზარდის ხერხემალი ძალიან მოწყვლადია ტრავმებს მიმართ, განსაკუთრებით პუბერტატულ პერიოდში [8]. ტანვარჯიშით გამოწვეული დატვირთვა 13-ჯერ აღემატება ნორმას, რაც იწვევს წელის ტკივილს [9]. ტანმოვარჯიშეებს შორის ხშირია წელის ტკივილი. ბიომექანიკურმა კვლევებმა აჩვენა ძალის მნიშვნელოვანი გენერირება ტანმოვარჯიშეთა ხერხემალში. ტანმოვარჯიშეებში განსაკუთრებით დიდია სპონდილოლიზისა და სპონდილოლისთეზის რისკი, სხვა პათოლოგიებთან ერთად, ხშირი განმეორებადი მოხრის, გაშლის, როტაციისა და დიდი დატვირთვის გამო. ხერხემლის ქრონიკული ტკივილი ხშირად შეიძლება იყოს რთული და მრავალფაქტორული და უნდა იმართოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ[10]. კვლევებმა აჩვენეს, რომ ტანმოვარჯიშე გოგონებში არათანაბრად ვითარდება კუნთები, რაც იწვევს დატვირთვის დისბალანსს, ხელს უწყობს ზურგის ტკივილს და ხერხემლის გამრუდებას, რამაც შეიძლება გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს სპორტსმენზე[11].

ამრიგად, გოგონებს შორის, რომლებიც დადიან მხატვრულ ტანვარჯიშზე, მაღალია სკოლიოზის სიხშირე. დაავადების განვითარების რისკი დამოკიდებულია როგორც უშუალოდ ფიზიკური დატვირთვაზე, ისე დაავადების მიმართ წინასწარ განწყობაზე, რაც გამოწვეულია გენეტიკური ფაქტორებით. გენეტიკურ ფაქტორებში მოიაზრება როგორც ორთოპედიული დაავადებები და თავად სკოლიოზი I-II ხარისხის ნათესავებში, ისე სახსრების ჰიპერმობილობა, რომელიც აღმოაჩნდა სპორტსმენტა უმრავლესობას.

სახსრების ჰიპერმობილობა წარმოადგენს შემაერთებელი ქსოვილის დისპლაზიის ერთ-ერთ გამოვლენას, რომელიც ხელს უწყობს ორთოპედიული ანმალიების განვითარებას.

ამავე დროს ჰიპერმობილურობა ბავშვებში წარმოადგენენ კარგ საფუძველს მხატვრული ტანვარჯიშისათვის, რამდენადაც განაპირობებს მოქნილობასა და პლასტიკურობას.

ჩვენი მკაცრი რეკომენდაციაა, მხატვრულ ტანვარჯიშზე მიყვანამდე მოხდეს ბავშვების გამოკვლევა ორთოპედის მიერ, შესწავლილ იქნეს გენეტიკური ტვირთი მათ ოჯახებში სპორტული დატვირთვის დაწყებამდე და მხატვრულ ტანვარჯიშით დაკავებულ ბავშვებს ჩაუტარდეთ პერიოდული მონიტორინგი-გასინჯვა ორთოპედის მიერ.

დასკვნები:

- გოგონათა შორის, რომლებიც დადიან მხატვრულ ტანვარჯიშზე, აღინიშნება სკოლიოზის მაღალი სიხშირე.
- სკოლიოზის რისკის ფაქტორებს შორის გამოიკვეთა გენეტიკური წინასწარგანწყობა და სახსრების ჰიპერმობილობა.

ლიტერატურა

1. Jandrić S. Scoliosis and sport. Sport Logia. 2015 Jun 1;11(1):1-0.
2. Watanabe K, Michikawa T, Yonezawa I, Takaso M, Minami S, Soshi S, Tsuji T, Okada E, Abe K, Takahashi M, Asakura K. Physical activities and lifestyle factors related to adolescent idiopathic scoliosis. JBJS. 2017 Feb 15;99(4):284-94.
3. Meyer C, Cammarata E, Haumont T, Deviterne D, Gauchard GC, Leheup B, Lascombes P, Perrin PP. Why do idiopathic scoliosis patients participate more in gymnastics?. Scandinavian journal of medicine & science in sports. 2006 Aug;16(4):231-6.
4. Лордкипანიძე, Э. Ф., Тоборидзе, И. И., & Аладашвили, М. В. Генетико-средовые взаимодействия врожденных ортопедических заболеваний. *Ортопедия, травматология и протезирование*. 1993; (1): 30-31.
5. Ghanem I, Rizkallah M. Adolescent idiopathic scoliosis for the primary care physician: frequently asked questions. Current Opinion in Pediatrics. 2019 Feb 1;31(1):48-53.
6. Trexler ET, Smith-Ryan AE, Roelofs EJ, Hirsch KR. Body composition, muscle quality and scoliosis in female collegiate gymnasts: a pilot study. International journal of sports medicine. 2015 Nov;36(13):1087-92.

7. Bennett DL, Nassar L, DeLano MC (2006) Lumbar spine MRI in the elite-level female gymnast with low back pain. *Skelet Radiol* 35:503–509
8. Fawcett L, James S, Botchu R, Martin J, Heneghan NR, Rushton A. The influence of spinal position on imaging findings: an observational study of thoracolumbar spine upright MRI in elite gymnasts. *European Spine Journal*. 2021 Oct 6:1-8.
9. Wade M, Campbell A, Smith A et al (2012) Investigations of spinal posture signatures and ground reaction forces during landing in elite female gymnasts. *J Appl Biomech* 28:677–686
10. Makovitch S, Eng C. Spine injuries in gymnasts. *InGymnastics medicine* 2020:135-176.
11. Campbell C. *The Relationship Between Muscle Length Imbalance and the Occurrence of Scoliosis and Back Pain in Collegiate Female Gymnasts*. 2015.

მიკრობიოტის როლი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების განვითარებისა და მკურნალობის პროცესში

¹ნესტან ბოსტოლანაშვილი, ^{2,3}რუსუდან კვანჭახაძე, ⁴ეკა თათარიშვილი, ^{4,5}ირმა ცხოვრებაძე, ⁵ნანა ცხოვრებაძე.

¹თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა, ²საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ³საქართველოს ნუტრიციოლოგიური ასოციაცია, ⁴კომპანია „გეფა“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი⁵.

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.05>

აბსტრაქტი

ნაწლავის მიკრობიომას ბალანსი ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელი ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით იმუნური და ენდოკრინული სისტემებისთვის. ბოლო წლებში სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა ნაწლავის მიკრობიომის ცვლილებას სხვადასხვა ენდოკრინული დაავადებების პათოგენეზში, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროს. ძირითად სამკურნალო საშუალებებთან ერთად სწორედ შერჩეულმა პრობიოტიკმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს თირეოიდული პათოლოგიების მკურნალობის საქმეში. პრობიოტიკი არის არაპათოგენური ცოცხალი ორგანიზმი, რომლის ადექვატური დოზით მიღება გამოხატულ სარგებელს უქმნის მასპინძელ ორგანიზმს. მას აქვთ უნარი აღადგინონ ნაწლავის განვლადობა ლორწოვანის ფუნქციის გაუმჯობესების გზით და გაზარდონ ნაწლავის მოტორიკა. სწორედ ასეთ პრობიოტიკს წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე საკმაოდ დამკვიდრებული, ხარისხიანი და კარგად შესწავლილია ფრანგული კომპანია ვიტარმონილის პრობიოტიკი - ულტრაბიოტიკი (Ultrabiotique), რომლის შემადგენლობაში შედის: *Lactobacillus acidophilus*, *Lactobacillus casei*, *Lactobacillus lactis*, *Bifidobacterium bifidum*

The role of microbiota in the development and treatment of thyroid disease

¹Nestan Bostoganashvili, ^{2,3}Rusudan Kvanchakhadze, ⁴Eka Tatarashvili, ^{4,5}Irma Tskhovrebadze,

⁵Nana Tskhovrebadze

¹Tbilisi Cardiovascular Clinic, ²David Aghmashenebeli University of Georgia, ³Georgian

Nutrition Association, ⁴Company "Gepha", ⁵Tbilisi State Medical University

Abstract

The balance of intestinal microbiome is very important for a healthy human body, especially for the immune and endocrine systems. In recent years, increasing attention has been paid to changes in the intestinal microbiome in the pathogenesis of various endocrine diseases, including thyroid disease. Along with the main treatments, the selected probiotics can play an important role in the treatment of thyroid pathologies. A probiotic is a non-pathogenic living organism, the adequate dose of which provides significant benefits to the host organism. It has the ability to restore intestinal permeability by improving mucosal function and increase intestinal motility. A very good example of such probiotic is "UltraBiotique"- Probiotic presented by French Company "Vitarmonil", having high quality and experience and has been well established on the Georgian market.

ბოლო წლებში დადგინდა ნაწლავთა მიკრობიოტის როლი სხვადასხვა ქრონიკული დაავადების (სიმსუქნიდან დაწყებული, ანთებითი პათოლოგიებითა და გაფანტული სკლეროზით დამთავრებული) პათოგენეზში. გასაკვირი არ არის, რომ ნაწლავთა მიკრობიოტა ახდენს გავლენას ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციაზეც, ამ კავშირის შესახებ ჯერ კიდევ ნახსენები იყო 1900-იან წლებში, დიდი ხნით ადრე სანამ გაჩნდა ტერმინები „მიკრობიოტა“ და „მიკრობიომი“.

ნაწლავის მიკროფლორა ეს არის „სასარგებლო“ ბაქტერიების ერთობლიობა, რომლებიც თითოეული ჩვენგანის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ბუნებრივად „ბინადრობენ“ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ორგანიზმის გამართულად ფუნქციონირებაში. ცნობილია, რომ ნეანდერტალელის ნაწლავის მიკრობიოტაში უკვე

შედიოდა სასარგებლო მიკროორგანიზმები, რომლებიც გვხვდება თანამედროვე ადამიანის ნაწლავში. ბოლონის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო კვლევითმა ჯგუფმა აღნიშნული შედეგის გასაჯაროება მოახდინა ძველი დნმ-ის მოპოვებით და ანალიზით 50,000 წლის წინანდელი განავლის ნალექებიდან რომლებიც შერჩეულია არქეოლოგიურ უბანში ალიკანტესთან (ესპანეთი). არსებობს ჰიპოთეზა ადამიანის მიკრობიოტის საგვარეულო კომპონენტების არსებობის შესახებ, რომლებიც ცხოვრობდნენ ადამიანის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ჰომო საპიენსსა და ნეანდერტალელებს შორის განშორებამდე, რაც მოხდა 700 000 წელზე მეტი ხნის წინ [10].

30 ტრილიონი უჯრედისაგან შემდგარი 70 კგ წონის ადამიანის მიკრობიოტა შედგება 2 კგ წონის 39 ტრილიონი ბაქტერიისაგან, მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ლოკალური ეფექტებით ნაწლავში, რადგან მასპინძლის სისხლის მეტაბოლიტების 20% წარმოიქმნება კომენსალური ბაქტერიებისაგან.

დადგენილია მიკრობიოტის შემადგენლობის განმსაზღვრელი 4 ძირითადი ფაქტორი:

- 1) მიკრობიოტის შინაგანი ფაქტორები - შემადგენლობა, ასაკობრივი დამოკიდებულება, თანმხლები დაავადებები და სხვ;
- 2) გადაცემის გზები, მაგალითად დედიდან (ფიზიოლოგიური მშობიარობა თუ საკეისრო კვეთა), ოჯახიდან, შინა მეურნეობიდან;
- 3) ცხოვრების წესი: დიეტა, წამალი, კულტურა და ფიზიკური აქტივობა; 4) მასპინძლის გენეტიკა (სხეულის მასის ინდექსი, ადაპტირებული და თანდაყოლილი იმუნიტეტი). ასევე დადასტურებულია, რომ ტვინის ფუნქციასა და ფსიქოლოგიას გარკვეული კავშირი აქვს კუჭ-ნაწლავის მდგომარეობასთან [5].

დისბიოზი არის ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის შემადგენლობისა და მისი ცხოველქმედების ადგილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება. დისბიოზისათვის დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორც არის მუცლის ხშირი შებერვა, დეფეკაციის ხანგრძლივი მოშლა (ყაბზობა, დიარეა); გულისრევა, რეკონვალესცენციის პროცესის გახანგრძლივება ნაწლავთა მწვავე ინფექციის გადატანის შემდეგ, ნაწლავთა დისფუნქცია, დეპიტრატაცია, ჰიპო და ავიტამინოზი,

საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა და ხშირი ავადობა. წლამდე ასაკის ბავშვებში მიკროფლორის ბალანსის დარღვევა ვლინდება ამოქაფებით, დეფეკაციის დარღვევით (ქაფიანი, თხევადი ან ფაფისებრი განავალი), მუცლის შებერვით, დიათეზით. ასეთი ბავშვები ძნელად იმატებენ წონას და ძილიც დარღვეული აქვთ.

დისბიოზის განვითარების სხვადასხვა მიზეზები არსებობს, შესაბამისად ერთი კონკრეტული გამომწვევის დასახელება რთულია. დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად მთელს მსოფლიოში გახშირებული ანტიბიოტიკოთერაპია მოისაზრება. მედიკამენტების ეს ჯგუფი უარყოფით გავლენას ახდენს ნაწლავის ბუნებრივი მიკრობიოტის ბალანსზე, იწვევს ე.წ „მეგობარი ბაქტერიების“ ანუ პრობიოტიკების რაოდენობრივ ცვლილებას, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზმის ცხოველმყოფელობაზე. ასაკობრივად კი დისბიოზი შესაძლოა აღინიშნებოდეს როგორც ჩვილ ბავშვთა, ისე ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილ ასაკში.

არსებობს რამდენიმე ერთმანეთზე დამოკიდებული გზა, რითიც ნაწლავური მიკროფლორა მოქმედებს ენდოკრინული დაავადებების პათოგენეზზე. მიკრობები ახდენენ მასპინძლის სხვადასხვა ენდოკრინულ ორგანოებში მოლეკულების (ადრენალინი, ნორადრენალინი, სასქესო და ფარისებრი ჯირკვლის (ფჯ) ჰორმონები) ამოცნობას და შეუძლიათ შეცვალონ თავისი მეტაბოლიზმისა და ვირულენტობის ასპექტები აღნიშნული სიგნალების საპასუხოდ. ექსპერიმენტებში ვირთხებს მიკრობების გარეშე, რომლების იმყოფებოდნენ სტერილურ პირობებში ნაწლავის ბაქტერიებისაგან სრულიად თავისუფალ გარემოში, ჰქონდათ გაცილებით უფრო პატარა ფჯ, ჩვეულებრივ გარემოში მყოფ ვირთხებთან შედარებით, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მიკრობიოტის როლს ფჯ-ის ჯანმრთელობაში. ფეკალიების ნიმუშების მიკრობული სეკვენირებით შესაძლებელია მიკრობიოტის შემადგენლობის განსაზღვრა. ჰიპერთირეოზით დაავადებულ ადამიანებს Bifidobacteria-ისა და Lactobacilli-ის რაოდენობა გაცილებით დაბალი და Enterococcu-ის მაღალი დონე აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ ჰიპოთირეოზის 90% აუტოიმუნური ხასიათისაა და შეცვლილი მიკრობიოტასა და აუტოიმუნურ დაავადებებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, შესაძლებელია რომ დისბიოზი განიხილებოდეს ჰიპოთირეოზის განვითარების ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად.

დღესდღეობით დაგროვდა ბევრი საინტერესო კვლევა, სადაც ხაზგასმულია ნაწლავური მიკრობიოტის როლი ფჯ-ის დაავადებების პათოგენეზში, ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად ჩიყვის გავრცელება, რომელიც არის დაკავშირებული იოდის (I) არასაკმარის მოხმარებასთან, არ კორელირდება მაგალითად სამხრეთ ინდოეთში იოდის დაბალ ექსკრეციასთან, და ასევე იაპონიაში ჰიპოთირეოზი ხშირად არის გავრცელებული იოდით მდიდარ რეგიონებში იოდდეფიციტური რეგიონებისაგან განსხვავებით, აღნიშნული შეიძლება დაკავშირებული იყოს მიკრობიოტის ცვლილებებთან და მის როლთან ფჯ-ის დაავადებების პათოგენეზში [4].

ფჯ-ის დაავადებებს ენდოკრინულ პათოლოგიებს შორის მეორე ადგილი უჭირავს შაქრიანი დიაბეტის (შდ) შემდეგ. ფჯ-ის დაავადებების მაღალი გავრცელება დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, გეოგრაფიულ ადგილზე, მემკვიდრეობაზე, ასევე საკვებში, ჰაერში და წყალში სტრუმეგონული (ჩიყვის გამომწვევი) ფაქტორების მომატებაზე. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ფჯ-ის დაავადებების პრევალენტობა იკლებს ფჯ-ის დიაგნოსტიკების და იოდდეფიციტის წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამების გაუმჯობესების გამო, თუმცა ისეთი პათოლოგიები, როგორცაა აუტოიმუნური თირეოიდიტი, ჰიპერთირეოზი, პაპილარული კარცინომა კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. ამერიკის თირეოიდული ასოციაციის მონაცემებით, აშშ-ში რეგისტრირებულია 20 მილიონზე მეტი ადამიანი თირეოიდული პათოლოგიის ამა თუ იმ ფორმით, ამავე დროს 12 %-ს მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც გამოუვლინდა აღნიშნული დაავადებები. ფჯ-ის დაავადებებიდან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პათოლოგიას წარმოადგენს ჰიპერთირეოზი - კლინიკური მდგომარეობა, რომლის დროსაც ხდება ფჯ-ის ჰორმონების ჭარბი რაოდენობით სინთეზი. ზოგადად ჰიპერთირეოზის გავრცელება შეადგენს 1,2–1,6%-ს, ჭეშმარიტის 0,5–0,6%-ს, ხოლო სუბკლინიკური ჰიპერთირეოზის 0,7–1,0%-ს. ჰიპერთირეოზის ყველაზე გავრცელებული კლინიკური ფორმებია: ტოქსიური კვანძოვანი ჩიყვი და გრეივისის დაავადება, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჰიპერთირეოზის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს რეგიონებში, სადაც მაღალია მიკროელემენტ იოდის მოხმარება. გრეივისის დაავადება უფრო ხშირია ქალებში, დაავადების პიკი მოდის პაციენტებში 30-60 წლების ფარგლებში, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (შვედეთი)

გრეისის დაავადების ავადობა შეადგენს 210 მილიონს წელიწადში, ქალებში შეფარდება მამაკაცებთან 3,9:1. რაც შეეხება აფროამერიკელ მოსახლეობას, ამ დაავადების გავრცელება 8%-მდეა. ჰიპოთირეოზი მდგომარეობაა, როდესაც დაქვეითებულია ფჟ-ის ჰორმონების დონე. მისი მიზეზი შეიძლება იყოს აუტოიმუნური თირეოიდიტი, იოდდეფიციტი და სხვ. აღნიშნული დაავადებები ხშირია პაციენტებში სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადებებით, ისეთი ცელიაკია, შდ ტიპი 1. ასაკის მატებასთან ერთად როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში იზრდება ჰიპოთირეოზის გავრცელების სიხშირე - 50 წელს ზევით ასაკის ადამიანების 6-8 %-ს აქვს ჰიპოთირეოზი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 70 წლისათვის მამაკაცებში სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის გავრცელება ისეთივეა, როგორც ქალებში. კვლევების თანახმად დადგინდა, რომ ქალებში ფჟ-ის პრობლემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 40-დან 55 წლის ასაკში ე.ი. უფრო მეტად კლიმაქსის პერიოდში. ფჟ-ის სხვა დაავადებების მსგავსად, ფჟ-ის კვანძები ქალებში უფრო ხშირად (დაახლოებით 2-4-ჯერ) გვხვდება მამაკაცებთან შედარებით. ფჟ-ის კვანძოვანი წარმონაქმნების ფორმირება განიხილება როგორც ორგანოს ასაკობრივი ინვოლუცია. იოდით უზრუნველყოფის მიუხედავად კვანძოვანი და მრავალკვანძოვანი ჩიყვის გავრცელება იზრდება ასაკთან ერთად. კვანძოვანი ჩიყვის გავრცელებაში რასობრივი განსხვავებანი დღესდღეობით არ არსებობს, აშშ-ში, ისევე როგორც მსოფლიოში ფჟ-ის პალპატორული კვანძების გავრცელება მაღალია (მოსახლეობის დაახლოებით 4-7%-ში).

საჭმლის მომნელებელ სისტემასა და ფჟ-ს შორის კავშირი „თირეოგასტრალური სინდრომის“ სახელწოდებით პოსტულირებული იყო 1950 წელს. მოგვიანებით გამოქვეყნდა მონაცემები ანტითირეოიდული ანტისხეულების არსებობის შესახებ აუტოიმუნური მეტაპლასტიური ატროფიული გასტიტით პაციენტებში. ფჟ-ის ფოლიკულური და კუჭის ლორწოვანი გარსის უჯრედებს აქვთ საერთო ემბრიონალური წარმოშობა - ფჟ ვითარდება კუჭის პრომიტიული უჯრედებიდან. ორივე უჯრედებს აქვთ უნარი შთანთქან იოდი და მიახდინონ მსგავსი ტიპის პეროქსიდაზების (კუჭის პეროქსიდაზა და თირეოპეროქსიდაზა) ექსპრესირება. მეორე მხრივ, მიკრობიოტის სპეციფიურმა შემადგენლობამ შეიძლება განაპირობოს

ორივე დაავადებისადმი განწყობა. სპეციფიური შემადგენლობა გამოიხატება ლაქტობაცილებისა და ბიფიდობაქტერიების რაოდენობის შემცირებით.

არსებობს რამდენიმე დონე, რომელზედაც მიკრობიოტამ შეიძლება იმოქმედოს და გამოიწვიოს ფჯ-ის ფუნქციის ცვლილებები. რეგიონი, დიეტა (იოდით უზრუნველყოფა), სიმსუქნე, ასაკი, სასქესო ჰორმონები მოქმედებენ ნაწლავთა მიკრობიოტაზე. თავის მხრივ, მიკრობიოტა მოქმედებს ფჯ-ის ენტეროჰეპატიურ ციკლზე, ლევოთიროქსინის ბიოშელწევადობასა და ანტიჰიპერთირეოიდული პრეპარატის პროპილთიოურაცილის მეტაბოლიზმზე.

ცნობილია, რომ ნაწლავური ბაქტერიები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს საკვების ნივთიერებების ხელმისაწვდომობაზე. ნაწლავის ლორწოვანი გარსის წარმომქმნელ ეპითელურ უჯრედებს აქვთ „თითის“ მსგავსი გამონაზარდები - ხაოები, რომლებიც ზრდიან ზედაპირის მოცულობას ორგანიზმში საკვების ნივთიერებების ტრანსპორტირებისათვის. ნაწლავის ანთების დროს, რაც ხშირია დისბაქტერიოზის შემთხვევაში, აღნიშნული ხაოები შეიძლება შემცირდეს, რამაც გამოიწვიოს საკვები ნივთიერებების შეწოვის დარღვევა. ამ ნივთიერებებს შორის აღსანიშნავია იოდი, სელენი, რომელიც მნიშვნელოვანია ფჯ-ის მუშაობისათვის. მიკრობიოტა უზრუნველყოფს მასპინძლისათვის მრავალ უპირატესობას და ამავე დროს კონკურენციას უწევს მასპინძელს საკვები ნივთიერებების ათვისებაზე, რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო ორგანიზმის უჯრედების, არამედ მიკრობების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს. ამგვარად, მიკრობიოტის შემადგენლობამ შეიძლება იმოქმედოს სხვადასხვა საკვებ ნივთიერებების ათვისების ხარისხზე. 2009 წლის ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თავებს, რომლებიც იღებდნენ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკს - კანამიცინს, ჰქონდათ ფჯ-ის მიერ იოდის უფრო დაბალი ათვისების უნარი.

ლიპოპოლისაქარიდები წარმოადგენენ გრამდადებითი ბაქტერიების უჯრედული კედლის კომპონენტს, დისბაქტერიოზის გამო ნაწლავის მომატებული განვლადობის დროს ლიპოპოლისაქარიდებმა შეიძლება შეაღწიონ სისხლის მომოქცევის სისტემაში. აღნიშნულმა შეიძლება განაპირობოს ფჯ-ის დაზიანება მთელი რიგი მიზეზების გამო. თუკ აიძულებს ფჯ-ს გამოიმუშავოს თავისუფალი თიროქსინი T4,

რომელიც წარმოადგენს ფჯ-ის არააქტიურ ფორმას და უნდა გარდაიქმნას T3-ის აქტიურ ფორმაში. ჩვენი ორგანიზმი გამოიმუშავებს ფერმენტ იოდთირონინ-დეიოდინაზას, რომელიც ამ გარდაქმნაზეა პასუხისმგებელი. ლიპოპოსაქარიდები აინჰიბირებენ ამ ფერმენტს და ამცირებენ აქტიური T3-ის რაოდენობას. ფჯ-ის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა არა მარტო აქტიური თირეოიდული ჰორმონი, არამედ მთელი ორგანიზმის უჯრედებზე თირეოიდული ჰორმონისათვის რეცეპტორები. იმ ადამიანებსაც კი, ვისი ფჯ-ის ჰორმონალური ბალანსი იდეალურია, შეიძლება ჰქონდეს ჰიპოთირეოზის ნიშნები, თუ ორგანიზმი ვერ აწარმოებს ფჯ-დან სიგნალების მისაღებად განკუთვნილ საკმარისი რაოდენობით რეცეპტორებს.

ლიპოპოლისაქარიდები ასევე ახდენენ ნატრიუმ-იოდიდ სიმპორტერის (NIS) ექსპრესიის ინდუცირებას ფჯ-ის ქსოვილებში, რის შედეგადაც იზრდება ფჯ-ის მიერ იოდის შთანთქმა. იოდის ნორმალური ბალანსი ძალზედ მნიშვნელოვანია ფჯ-ის ფუნქციონირებისთვის, თუმცა იოდის სიჭარბე (განსაკუთრებით სელენის ერთდროული დეფიციტის შემთხვევაში) ხელს უწყობს ჰაშიმოტოს დაავადების ჰიპოთირეოიდული ფორმის განვითარებას [10].

როგორც აღინიშნა, ნაწლავური ბაქტერიები გავლენას ახდენენ არააქტიური T4 - ის აქტიურ T3-ში გადასვლაზე. ამ კონვერსიის 20% მიმდინარეობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. კომენსალურ ნაწლავურ მიკრობებს შეუძლიათ გარდაქმნან არააქტიური T4 აქტიურ T3-სულფატში, რომელიც შეიძლება შემდგომ აღდგენილი იყოს ნაწლავური სულფატაზას სახელწოდებით აქტიურ T3 ფერმენტად. ნაღვლის მჟავები წარმოადგენენ ერთ-ერთ საინტერესო კავშირს ნაწლავურ ბაქტერიებსა და ფჯ-ის ფუნქციებს შორის. ნაღვლის პირველადი მჟავები გამომუშავდებიან ნაღვლის ბუშტში და გამოიყოფიან წვრილ ნაწლავში ცხიმების მოხმარების შემდეგ. ნაწლავური ბაქტერიებით ნაღვლის პირველადი მჟავების მეტაბოლიზმი იწვევს ნაღვლის მეორადი მჟავების წარმოქმნას, რომლებიც თავის მხრივ ააქტიურებენ იოდთირონინ-დეიოდინაზას (T4-ის T3-ში გარდამქნელი) აქტივობას [9].

ფჯ ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული წვრილი ნაწლავის ბაქტერიების ჭარბ ზრდასთან (SIBO). ჯანმრთელ ადამიანის ორგანიზმში მიკრობების უმრავლესობა თავმოყრილია მსხვილ ნაწლავში, წვრილ ნაწლავში ზოგიერთ ბაქტერიებს აქვთ

წვრილი ნაწლავის კოლონიზირებისა და გამრავლების უნარი, რასაც მოჰყვება მუცლის შებერილობა, მეტეორიზმი და სხვა არასასიამოვნო შეგრძნებები. Jiaming Zhang და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პაციენტებს აუტოიმუნური თირეოიდიტის ჰიპოთირეოზის ფუნქციით 54%-ში ჰქონდათ დადებითი ტესტი წვრილი ნაწლავის ბაქტერიების ჭარბ ზრდაზე საკონტროლო ჯგუფთან (5%) შედარებით. ვინაიდან ფჯ-ის ჰორმონები ხელს უწყობენ ნაწლავის მოტორიკის სტიმულირებას, შემცირებული მოტორიკა და ყაბზობა უზრუნველყოფს წვრილ ნაწლავში ბაქტერიების გამრავლებისათვის ხელსაყრელ გარემოს [7].

ლიტერატურაში არ არის სრულყოფილად შესწავლილ ფჯ-ის კიბოსა და კვანძების განვითარების კავშირი ნაწლავის მიკრობიომასთან. Lei Zhang და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით 74 პაციენტიდან 20-ს ჰქონდა კიბო, 16-ს კვანძები და 36 კი იყო ჯანმრთელი, ნაწლავის მიკრობიომის შემადგენლობას ანალიზებდნენ სეკვენირების პროტოკოლის მიხედვით 16SpPHK (16S რიბოსომული რნმ) გენების საფუძველზე [3]. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფჯ-ის სიმსივნის შემთხვევაში მიკრობული ალფა და ბეტა მრავალფეროვნება განსხვავდებოდა საკონტროლო კონტროლირებად ჯგუფთან შედარებით ($p < 0,01$). კიბოსა და კვანძების შემთხვევაში ჯანმრთელ პირებთან შედარებით *Neisseria*-ის ($p < 0,001$) და *Streptococcus*-ის ($p < 0,001$) ფარდობითი გავრცელება იყო მაღალი, რაც შეეხება *Butyricimonas*-სა ($p < 0,001$) და *Lactobacillus*-ს ($p < 0,001$) გამოვლინდა უფრო დაბალი ფარდობითი გავრცელება კიბოსა და კვანძების შემთხვევაში, ასევე დადგინდა კლინიკური მახასიათებლების კორელაცია ნაწლავის მიკრობიოტასთან. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გამოითქვა რეკომენდაცია, რომ კიბოსა და კვანძების მკურნალობის წარმატებული მიმდინარეობასა და გართულებების თავიდან აცილებისთვის შესაძლებელია დიაგნოსტიკის სქემაში ჩართული იყოს ნაწლავთა მიკრობიოტის შემადგენლობის განსაზღვრა.

ნაწლავთა მიკრობიოტის ცვლილება მოქმედებს ასევე ფჯ-ის დაავადებების მკურნალობის პროცესზე [1]. L-თიროქსინის პერორალური მიღების ეფექტიანობა კუჭში, თორმეტგოჯა და მსხვილ ნაწლავში შეწოვის გზით დამოკიდებულია მიკრობიოტის მიერ ფჯ-ის ჰორმონების დაშლის ხარისხზე. ბაქტერიული გამრავლების გზით მიკრობიოტის მაღალმა მაჩვენებლებმა შეიძლება განაპირობოს L-

თიროქსინის უფრო მაღალ დოზებზე მოთხოვნა. ჰიპოთირეოზის დროს ხშირად მატულობს კუჭის pH და მცირდება კუჭის პერისტალტიკა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცილის გახლეჩვის დაქვეითებას და ბაქტერიების გამრავლებას. ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის კოლონიზაცია მიკრობიოტასთან ერთად (მაგალითად, *Helicobacter pylori*), განაპირობებს L-თიროქსინის უფრო დიდი დოზებით მოხმარებას. L-თიროქსინის მჟავე გარემოში დაშლის აუცილებლობის გამო, სავარაუდოა, pH-ის მომატება პაციენტებში წარმოადგენდეს შეწოვის შემცირების ძირითად მიზეზს. მეორე მხრივ, T4-ის დონის ნორმალიზაციის მიზნით L-თიროქსინის დოზები ჰიპოთირეოზით დაავადებულ პაციენტებში SIBO-ით არ განსხვავდება იმავე დაავადებით პაციენტებში SIBO-ს გარეშე.

ჰიპოთირეოზის დროს L-თიროქსინის მკურნალობისაგან განსხვავებით ჰიპერთირეოზის მკურნალობა არ არის დამოკიდებული მიკრობიოტაზე. ცნობილია, რომ ნაწლავის მიკრობიოტა ახდენს 30-ზე მეტი პრეპარატის მეტაბოლიზირებას, ჩამოთვლილთაგან არცერთი არ გამოიყენება ფჯ-ის მკურნალობისას. ნაწლავის მიკროფლორით პროდუცირებული ნაღვლის მეორად მჟავებს, შეუძლიათ ღვიძლის ციტოქრომ P450 (CYP) ექსპრესიის მოდულირება. მეთიმაზოლი (MMI) და პროპილთიურაცილი (PTU) არ წარმოადგენენ უჯრედული ტრანსპორტერების სუბსტრატებს და არ ექვემდებარებიან CYP-ის ფერმენტების ინტენსიურ მეტაბოლიზმს. ამავე დროს PTU-ის მეტაბოლიზმი ფლავინდამოკიდებულ მონოოქსიდაზას მოქმედების გამო ახდენს ჰეპატოტოქსიკანტების გენერირებას. ბაქტერიებს აქვთ იგივე ფერმენტი (ტრიმეთილამინმონოოქსიგენაზა), რომელსაც შეუძლია PTU-ის მეტაბოლიზირება ფლავინდამოკიდებულ მონოოქსიდაზის მსგავსად, შესაბამისად PTU-ით მკურნალობის დროს პაციენტების უფრო მაღალ პროცენტს აქვთ პრეპარატის სუბთერაპიული დონე მეტიმაზოლის მკურნალობასთან შედარებით. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ნაწლავის ფლორის მეტაბოლიზმის ცვლადი ხარისხი თამაშობს გარკვეულ როლს PTU-ის ნაკლებად სტაბილურ მოქმედებაში [2,6].

ნაწლავის მიკრობიოტა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფჯ-ის მეტაბოლიზმისა და მინერალური ნივთიერებების ათვისებაში. ჩვეულებრივ დიეტებში იოდის

ფიზიოლოგიური დოზების გამოყენება არ ახდენს მიკრობიოტაზე უარყოფითი ზეგავლენას, მაგრამ მკურნალობის მიზნით იოდიდის მაღალმა დოზებმა (იოდის შემცველი საკონტრასტო ნივთიერებები) შეიძლება გამოიწვიოს მიკრობიოტის ცვლილება. ტოქსიურობა შეიძლება განპირობებული იყოს იოდის შეერთებით ამინომჟავებ Tyr-სა და His-თან გარეთა ბაქტერიულ მემბრანაზე და ციტოპლამური და მემბრანული ელემენტების დაჟანგვით.

სელენი (Se), რკინა (Fe) და თუთია (Zn) მინერალებია, რომლებიც მონაწილეობენ ფჯ-ის ფუნქციის ნორმალურ მიმდინარეობაში. სელენს შეიცავს არა მარტო საკუთრივ ფჯ, არამედ ფჯ-ის მეტაბოლიზმში მონაწილე ზოგიერთი ცილა, მაგალითად, გლუტათიონპეროქსიდაზა, I, II и III ტიპის იოდთირონინ-დეიოდინაზები (D1, D2, D3) და თიორედუქტაზას (TR). ეს უკანასკნელი შეიცავს რკინას. თუთია აძლიერებს D2-ს, რომელსაც T4 გადაჰყავს აქტიურ T3-ში. ფჯ-ის ფუნქცია ირღვევა ამ მინერალების რაოდენობის ცვლილებით, ჩიყვით დაავადებულ დედებს აქვთ იოდის, სელენისა და რკინის უფრო დაბალი რაოდენობა ჯანმრთელებისაგან განხვავებით. ექსპერიმენტულ ცხოველებში თუთიის დეფიციტი აქვეითებს T3-სა და T4-ს 30%-ით. ამავე დროს ადამიანებში ჰიპოთირეოზის დროს დადგინდა სისხლში თუთიის რაოდენობის შემცირება. Zn-სა და ფჯ-ის მეტაბოლიზმს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, ვინაიდან ჰიპოთირეოზი იწვევს Zn-ის დეფიციტს და თუთიის არასრულფასოვანი დამატება კი ჰიპოთირეოზს [8]. აღნიშნული მინერალები ასრულებენ ასევე მნიშვნელოვან როლს ნაწლავის მიკრობიოტაში. ბაქტერიები კონკურენციას უწევენ მასპინძელს სელენისათვის, მსხვილი ნაწლავის რეზიდენტური მიკრობები იწვევენ სელენის მეტაბოლიზმს, რომელიც არ აბსორბირდება მასპინძლის მიერ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა განყოფილებებში. სელენი ზრდის თავგებში მიკრობულ ნაირსახეობას: Bacteroidetes-ის მომატებითა და Parabacteroidetes-ის შემცირებით. სელენი დადებითად მოქმედებს ნაწლავში Bifidobacterium adolescentis-ის ზრდაზე. რკინა აბსორბირდება უპირატესად თორმეტგოჯა ნაწლავში, მსხვილ ნაწლავში მისი ბიოათვისება მცირეა, ბაქტერიებს გააჩნიათ რკინისთვის რამოდენიმე მაღალ აფილირებული ცილები - სიდეფორები (ენტერობაქტინი), რომელთა ექსპრესია განსაკუთრებით მაღალია პათოგენურ შტამებში. მიუხედავად იმისა, რომ რკინის მწვავე დეფიციტი ზღუდავს ბაქტერიების

ზრდას, რკინით მდიდარი დიეტა ამცირებს მიკრობიოტის მრავალფეროვნებას თაგვებში, ადამიანებში რკინის პრეპარატების მიღება ზრდის Enterobacteriaceae-ისა და Bacteroidetes-ის და ამცირებს Lactobacillaceae-ის და Bifidobacteria-ის რაოდენობას.

რაც შეეხება თუთიას, მისი როლიც მნიშვნელოვანია მიკრობიოტის მოდულაციაში, თუთიის დამატება ამცირებს დიარეის განვითარებას, ასტიმულირებს პრობიოტიკურ შტამებს (*Lactobacillus* spp) და აინჰიბირებს პათოგენური ნაწლავის ჩხირის ზრდას.

ფჯ-ის დაავადებების სამკურნალოდ მოწოდებულია სხვადასხვა სახის პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები, შესაბამისად, თირეოიდული პათოლოგიების დამხმარე მეთოდს წარმოადგენს პრობიოტიკებით მკურნალობა. პრობიოტიკი არის არაპათოგენური ცოცხალი ორგანიზმი, რომლის ადექვატური დოზით მიღება გამოხატულ სარგებელს უქმნის მასპინძელ ორგანიზმს. პრობიოტიკებს, აქვთ უნარი აღადგინონ ნაწლავის განვლადობა ლორწოვანის ფუნქციის გაუმჯობესების გზით და გაზარდონ ნაწლავის მოტორიკა.

დღესდღეობით მრავალი პრობიოტიკია წარმოდგენილი საქართველოს ბაზარზე, თუმცა საკმაოდ დამკვიდრებული, ხარისხიანი და კარგად შესწავლილია ფრანგული კომპანია ვიტარმონილის (მწარმოებელი: ლაბორატორია ნუტრისანტე; მონტეგიუ) პრობიოტიკი - ულტრაბიოტიკი (Ultrabiotique), მისი შემადგენლობაა: *Lactobacillus acidophilus*, *Lactobacillus casei*, *Lactobacillus lactis*, *Bifidobacterium bifidum*. მისი გამოყენების ძირითადი რეკომენდაციაა ნაწლავის ნორმალური ფლორის შესანარჩუნება. მიღების წესი და დოზირება: საკვების მიღებამდე 5-10 წუთით ადრე; 3-6 წლამდე ასაკის ბავშვებში - 1 კაფსულა; 6 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებში - 2 კაფსულა დღეში. მკურნალობის კურსი შეადგენს 8 დღეს. წინააღმდეგჩვენება და გვერდითი მოვლენები არ არის დადგენილი.

ამგვარად, ნაწლავის მიკრობიომას ბალანსი ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელი ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით იმუნური და ენდოკრინული სისტემებისთვის. ბოლო წლებში სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა ნაწლავის მიკრობიომის ცვლილებას სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადებების პათოგენეზში, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურული და ფუნქციური

ცვლილებების დროს, ძირითადად სამკურნალო საშუალებებთან კომბინაციაში სწორედ შერჩეულმა პრობიოტიკმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს თირეოიდული პათოლოგიების მკურნალობის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Centanni M. Thyroxine treatment: absorption, malabsorption, and novel therapeutic approaches. *Endocrine*. 2013 Feb;43(1):8-9.
2. Ishaq HM, Mohammad IS, Shahzad M, Ma C, Raza MA, Wu X, Guo H, Shi P, Xu J. Molecular alteration analysis of human gut microbial composition in Graves' disease patients. *International journal of biological sciences*. 2018;14(11):1558.
3. Zhang J, Zhang F, Zhao C, Xu Q, Liang C, Yang Y, Wang H, Shang Y, Wang Y, Mu X, Zhu D. Dysbiosis of the gut microbiome is associated with thyroid cancer and thyroid nodules and correlated with clinical index of thyroid function. *Endocrine*. 2019 Jun;64(3):564-74.
4. Leung AM, Braverman LE. Consequences of excess iodine. *Nature Reviews Endocrinology*. 2014 Mar;10(3):136-42.
5. Liu W, Zhang J, Wu C, Cai S, Huang W, Chen J, Xi X, Liang Z, Hou Q, Zhou B, Qin N. Unique features of ethnic Mongolian gut microbiome revealed by metagenomic analysis. *Scientific reports*. 2016 Oct 6;6(1):1-3.
6. Masetti G, Moshkelgosha S, Köhling HL, Covelli D, Banga JP, Berchner-Pfannschmidt U, Horstmann M, Diaz-Cano S, Goertz GE, Plummer S, Eckstein A. Gut microbiota in experimental murine model of Graves' orbitopathy established in different environments may modulate clinical presentation of disease. *Microbiome*. 2018 Dec;6(1):1-5.
7. Nugent RA, Jamison DT. What can a UN health summit do?. *Science translational medicine*. 2011 Sep 14;3(100):100-25.
8. Skrypnik K, Suliburska J. Association between the gut microbiota and mineral metabolism. *Journal of the Science of Food and Agriculture*. 2018 May;98(7):2449-60.
9. Spaggiari G, Brigante G, De Vincentis S, Cattini U, Roli L, De Santis MC, Baraldi E, Tagliavini S, Varani M, Trenti T, Rochira V. Probiotics ingestion does not directly affect thyroid hormonal parameters in hypothyroid patients on levothyroxine treatment. *Frontiers in endocrinology*. 2017 Nov 14;8:316.
10. Булгакова СВ, Романчук НП. Иммунный гомеостаз: новая роль микро-и макроэлементов, здоровой микробиоты. *Бюллетень науки и практики*. 2020;6(10).

ატოპიური დერმატიტის ეპიდემიოლოგია სამხედრო მოსამსახურეებში

მაია ისპირელი, დოქტორანტი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.06>

აბსტრაქტი

ატოპიური დერმატიტი (AD) არის კანის ქრონიკული ანთებითი დაავადება. მისი განვითარება მრავალფაქტორიანია და წარმოადგენს გენეტიკურ, იმუნოლოგიურ და გარემო მიზეზებს შორის ურთიერთქმედების შედეგს. ის ძირითადად ვლინდება ბავშვთა ასაკში, ნაკლებად მოზარდებსა და ზრდასრულ პოპულაციაში. ატოპიური დერმატიტის გავრცელების სიხშირე მოზრდილებში ცუდად არის შესწავლილი და ზოგადად შეადგენს 5-8% -ს, ხოლო სამხედრო მოსამსახურეებში ამ დაავადების გავრცელების შესახებ ერთეული სამეცნიერო შრომები არსებობს, რომელთა მიხედვით ატოპიური დერმატიტი სიხშირით მესამე დაავადებაა სამხედრო მოსამსახურეებში აკნესა და დერმატოფიტოზების შემდეგ. ატოპიური დერმატიტი ხასიათდება გამონაყარით კანზე, ქავილით, ძილის დარღვევით, ხშირად საჭიროებს სპეციფიური დიეტას, რის გამოც დიდ გავლენას ახდენს ავდმყოფის ცხოვრების ხარისხზე და მკვეთრად აქვეითებს შრომისუნარიანობას. ატოპიური დერმატიტის პათოგენეზის შესწავლას დაეთმო ბევრი სამეცნიერო ნაშრომი. საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ატოპიურ დერმატიტის დროს მიმდინარე იმუნოლოგიური პროცესები, თუმცა დაავადების მკურნალობა ყოველთვის არა არის ეფექტური, განსაკუთრებით თანდართული კანის ინფექციების არსებობისას.

საკვანძო სიტყვები: ატოპიური დერმატიტი, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები, კანის ბარიერული ფუნქცია. ფილაგრინი

Epidemiology of atopic dermatitis in military personnel

Maia Ispireli, PhD student

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

Atopic dermatitis (AD) is a chronic inflammatory disease of the skin. Its development is multifactorial and is the result of interactions between genetic, immunological and environmental causes. It is mainly manifested in children, infants, and adults. The prevalence of atopic dermatitis in adults is poorly studied and generally amounts to 5-8%, and there are a number of scientific studies on the prevalence of this disease in military personnel, according to which atopic dermatitis is the third most common disease in military personnel after acne and dermatophytosis. Atopic dermatitis is characterized by skin rashes, itching, sleep disturbances, often requires a specific diet, which has a great impact on the quality of life of the patient and dramatically reduces the ability to work. Many scientific papers have been devoted to the study of the pathogenesis of atopic dermatitis. The ongoing immunological processes in atopic dermatitis are quite well studied, although treatment of the disease is not always effective, especially in the presence of attached skin infections.

Keywords: atopic dermatitis, epidemiological investigations, skin barrier function. Filagrin

შესავალი

ატოპიური დერმატიტი (AD) არის კანის გენეტიკური მრავალფაქტორული დაავადება რომლისთვისაც დამახასიათებელია ქავილი, ასაკთან დაკავშირებული ლოკალიზაციის კერები და კერების დაზიანების მორფოლოგია: მშრალი კანი - ქსეროზი, სეროზული ექსუდატი, ექსკორიაცია, პაპულები და ლიქენიფიკაცია. იგი იწყება ადრეულ ბავშვობაში, შეიძლება გაგრძელდეს ზრდასრულ ასაკში და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ცხოვრების ხარისხს. კერძოდ - მიუხედავად იმისა, რომ AD არ არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა, ის მნიშვნელოვნად ამცირებს

პაციენტების ცხოვრების ხარისხს და შეიძლება გამოიწვიოს ძილის დარღვევა, შფოთვა და დეპრესია. [1, 2, 3, 4].

ჩვენი კვლევის მიზანია ატოპიური დერმატიტის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების მიმოხილვა.

მეთოდები: ლიტერატურის მოძიება მოხდა PubMed-ის, PMC-ს და Scholar googl-ის საძიებო სისტემებში. საკვანძო სიტყვებით: Atopic Dermatitis, epidemiology, S. Aureus, Army; Military Personnel; Prevalence; Skin Disease. микробиота, филагтри

შედეგები: AD-ის პათოგენეზი მოიცავს გენეტიკურ ფაქტორს, კანის ბარიერის ფუნქციურ დარღვევებს, თანდაყოლილი და ადაპტური, ჰუმორული და უჯრედული იმუნიტეტის დისფუნქციის კომპლექსურ ურთიერთქმედებას [5]. ატოპიური დერმატიტის განვითარების გენეტიკური ფაქტორი მოიცავს ფილაგრინის გენში მუტაციის არსებობას, რაც განაპირობებს კანის ეპიდერმული ბარიერის ფუნქციის დარღვევას. [6] დაავადების პათოგენეზში, გარდა გენეტიკურისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე გარემო ფაქტორები, კანის დამცავი ბარიერის ფორმირების დარღვევა და მე-2 ტიპის იმუნური რეგულაციის პასუხის დარღვევით, S. aureus-ის კოლონიზაციისადმი მომატებული მგრძობელობა რომლებიც განსაზღვრავენ დერმატიტის სიმძიმეს [7,8].

მე-2 ტიპის იმუნური სიგნატურები და სისხლში მომატებული IgE მაჩვენებელი აღნიშნავს, რომ ატოპიური დერმატიტი არის IgE-განპირობებული დერმატიტი. თუმცა, მოსაზრება იცვლება კანის საფარველის მიკრობიოტაზე მუდმივი დაკვირვებით შედეგად. კერძოდ ატოპიური დერმატიტი დაკავშირებულია კანის დისბაქტერიოზთან, რომლის გამწვავების ფაზაში კანის ბიოტაში ჭარბობს S. Aureus. [8]

ატოპიური დერმატიტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა (კანის დაავადებების 20-დან 40%-მდე), რომელიც გვხვდება ყველა ქვეყანაში, ორივე სქესის ადამიანებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ატოპიური დერმატიტის გავრცელება ბავშვთა პოპულაციაში 20%-მდეა, ზრდასრულ მოსახლეობაში - 2-8% [9, 10]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მასშტაბით გავრცელების სიხშირე საკმაოდ მერყეობს. იტალიაში ატოპიური დერმატიტის მაღალი პრევალენტობა აღინიშნება

ახალგაზრდა ასაკში, ძირითადად მდედრობითი სქესის პირებში [11]. ტაივანში ჩატარებული გამოკვლევებით 8 წლის ასაკის მოზარდებში ატოპიური დერმატიტით დაავადებული მამრობითი სქესი სჭარბობს მდედრობითს [12]. 6-7 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოზარდებში პრივალენტობა ინდოეთიდან ეკვადორამდე მერყეობს 0,9%-22,5%-მდე. 14-16 წლის ასაკობრივ ჯგუფში პრივალენტობა ჩინეთიდან კოლუმბიამდე მერყეობს 0.2%-24.6%-მდე. 15%-ზე მეტია მაჩვენებელი ევროპის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში [13]. პოლონეთში ჩატარებულმა გამოკვლევებმა, 3-80 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ასაკის და სქესის მიხედვით ატოპიური დერმატიტით დაავადებულთა პროცენტული მაჩვენებელი, უჩვენებს სასქესო ჰორმონების მნიშვნელოვნებას დაავადების განვითარებაში [14]. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (60-85%) AD ვითარდება სიცოცხლის პირველ წლებში. მშობლის ანამნეზის მიხედვით, AD სიმპტომების გამოვლინება ბავშვებში აღინიშნება 6 თვის ასაკში 60% შემთხვევაში, 1 წლამდე 75%, 7 წლამდე 80-90%. მხოლოდ 16.8%-ში AD-ით დაავადებული პაციენტები გვხვდება ზრდასრულ ასაკში. გასული ათწლეულების განმავლობაში, AD-ს სიხშირე მნიშვნელოვნად გაიზარდა [10, 15].

ძალიან მწირია ატოპიური დერმატიტის ეპიდემიოლოგია თავდაცვის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებში. კორეაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სამხედრო პერსონალს შორის კანის დაავადებების გავრცელება ძალიან მაღალია და რომ ზოგიერთ მათგანს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. 1321 გამოკვლეულთაგან, რომელთა 93,3% იყო მხოლოდ მამრობითი სქესის 19-24 წლამდე სამხედრო მოსამსახურე, ატოპიური დერმატიტი დაუდგინდა 5.1%. [16]. თურქეთის შავი ზღვის ცენტრალურ რეგიონში მდებარე მერზინის სამხედრო ჰოსპიტალში რეტროსპექტულად და თანმიმდევრულად გამოიკვლიეს 3382 მამაკაცი პაციენტი (1148 სამხედრო და 2234 სამოქალაქო პირი) დერმატოლოგიური დაავადებებით, აქედან აღმოჩნდა, რომ კანის ქსეროზი მნიშვნელოვნად მაღალი იყო სამოქალაქო ჯგუფში-14.1% ვიდრე სამხედრო მოსამსახურეებში-5.8% [17]. ქსეროზი, პათოგენეტიკური კლასიფიკაციით AD-ის გარე-extrinsic ფორმის, Outside-in გენეტიკური მოდელის თანახმად წარმოადგენს ატოპიური დერმატიტის დასაწყის ფაზას [18]. ოსლოს სამხედრო კლინიკა ემსახურება

ყველა სამხედრო პერსონალს ოსლოში და მიმდებარე რეგიონში. გამოკვლევებით დადგინდა, რომ დერმატოლოგიური პაციენტების 18,9% ჰქონდა ატოპიური დერმატიტი [19]

ატოპიური დერმატიტის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სენსიბილიზაციას. სეზონურობა და მონოვალენტური ალერგია მეტ ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაში, ვიდრე ატოპიური რინიტი და ასთმა [20]. რაც შეეხება კვებით ალერგიას მისი როლი კარგადაა ცნობილი, [21]. ატოპიური დერმატიტი ხშირად წარმოადგენს სხვა ალერგიული დაავადებების განვითარების რისკის ფაქტორს. სხვადასხვა სპეციალისტებთან ატოპიით დაავადებულ პაციენტებში მიმართვიანობის დროს სხვა ალერგიული დაავადებების პროცენტულობა ვლინდება შემდეგნაირად: ოჯახის ექიმი - 46,4%, დერმატოლოგი - 42,5%, პედიატრი - 32% [22]. ატოპიური დერმატიტი შეიძლება ასოცირებული იყოს რესპირატორულ ალერგიასთან - ალერგიულ რინიტთან და კონუკტივიტთან, ბრონქულ ასთმასთან. ადრეულ ბავშვობაში გამოვლენილი AD ხშირად პირველი ნიშანია იმისა, რომ ბავშვს მომავალში შეიძლება განუვითარდეს ასთმა და/ან ალერგიული რინიტი (თივის ცხელება) [13]. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ატოპიური დერმატიტის მქონე პაციენტებში რესპირატორული ალერგიის განვითარების რისკი, შეადგენს 30-80%-ს; ატოპიური დერმატიტის მქონე პაციენტების 60%-ს აქვს ბრონქული ასთმის განვითარების ლატენტური ტენდენცია, ხოლო პაციენტების 30-40%-ს უვითარდება ბრონქული ასთმა. ბრონქული ასთმით დაავადებული ბავშვების დაახლოებით 60% მიდრეკილია ერთი ან მეტი თანმხლები ატოპიური დაავადების განვითარებისკენ, როგორცაა ასთმა, ალერგიული რინიტი ან კვებითი ალერგია. ამ ფენომენს „ატოპიური მარში“ ეწოდება [4]. AD შეიძლება მიმდინარეობდეს ისეთი დაავადებების თანხლებით, როგორცაა ვიტილიგო (დიქრომაზიის პრობლემები), სიმელოტე, განსაკუთრებით ბავშვებში. ადრეულ ასაკში ატოპიის გამოვლინება ხშირად წარმოადგენს რისკს განვითარდეს ჰიპერაქტიურობა ან გონებაგაფანტულობა, აუტიზმი, ეპილეფსია [23, 24]. შესაძლოა ატოპიურმა დერმატიტმა გამოიწვიოს კავასაკის დაავადების პროვოცირება, თუმცა აღწერილია შემთხვევები, როდესაც კავასაკის დაავადება აპროვოცირებს ატოპიას [25], აგრეთვე ატოპიური დერმატიტის მიმდინარეობა შესაძლოა სერიოზულად დაამძიმოს კოკსაკის ვირუსმა [26].

პაციენტებს შორის იშვიათად, მაგრამ აღწერილია AD-ის კანის ლიმფომად გარდაქმნის შემთხვევები, გაცილებით მეტია აღწერილი ლიპომა, როგორც პირველადი დაავადება. როგორც წესი, AD-ით დაავადებულებს ხშირად აღენიშნებათ მეორადი ინფექციები – სოკოვანი, ბაქტერიული, ვირუსული. [10, 27].

როგორც ზემოთ ავლინებით, ფილაგრინი მონაწილეობს კანის pH-ის (შედარებით დაბალი) შენარჩუნებაში [28, 29], რომელიც უზრუნველყოფს კანის საფარველის დაცვას პათოგენური მიკროორგანიზმების კოლონიზაციისაგან. მაგალითად, რკინა-მარეგულირებელი ზედაპირული დეტერმინანტა A, რომელიც ჯანმრთელ კანზე საჭიროა *S. aureus*-ის კოლონიზაციისთვის, ითრგუნება მჟავე გარემოთი, რასაც უზრუნველყოფს ფილაგრინი. [30]. სწორედ ამიტომ ატოპიური დერმატიტით დაავადებულთა 90%-ზე მეტ პაციენტში შესაძლებელია კანიდან *S. aureus* იზოლირება [31]. *S. aureus* ასოცირდება სენსიბილიზაციის განვითარების მაღალ რისკთან, რაც განპირობებულია მიკროორგანიზმის მიერ სუპერანტიგენების ექსკრეციით, რომლებიც ახდენს ზეგავლენას იმუნურ პასუხზე ორგანიზმის მიერ [31]. გარდა ამისა, ფილაგრინის (FLG) პათოლოგიური გენის ვარიანტები იწვევს ისეთი დაავადების განვითარებას, როგორცაა ვულგარული იქთიოზი, რომელიც ხშირად თან ახლავს AD [32]. პათოლოგიების მსგავსი კომბინაციით, ტიპიური ატოპიური დერმატიტის და იქთიოზის ერთად მიმდინარეობის დროს აღინიშნება გენერალიზებული წვრილლამელარული დესკვამაცია, გამოხატული კანის ქსეროზი და ფოლიკულური კერატოზი, აგრეთვე FLG გენის მუტაციის დამახასიათებელი ნიშანი - ხელისგულების ჰიპერხაზოვანება [33].

დასკვნა

ლიტერატურული მონაცემების ჩვენი ანალიზი მიუთითებს ატოპიური დერმატიტის სიხშირის ზრდასა და გავრცელებაზე სხვადასხვა ქვეყანაში, პაციენტების ცხოვრების ხარისხის დაქვეითებაზე, რაც საჭიროებს:

- პრევენციული ღონისძიებების შემდგომი გაუმჯობესება;
- მკურნალობის გამოყენებული მეთოდების შეფასება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის თვალსაზრისით;

- მულტიდისციპლინური მიდგომა, თანმხლები დაავადების გათვალისწინებით.

მეორეს მხრივ, სასურველია გაგრძელება ეპიდემიოლოგიური კვლევები ავადობის სიტუაციის მონიტორინგის მიზნით ატოპიური დერმატიტი და შემდგომი მუშაობა დაავადების პრევენციის გაუმჯობესება განსაკუთრებით შეიარაღებულ ჯარებში.

ლიტერატურა

1. Broccardo CJ, Mahaffey S, Schwarz J, Wruck L, David G, Schlievert PM, Reisdorph NA, Leung DY. Comparative proteomic profiling of patients with atopic dermatitis based on history of eczema herpeticum infection and Staphylococcus aureus colonization. *Journal of allergy and clinical immunology*. 2011 Jan 1;127(1):186-93.
2. Кубанов АА, Намазова-Баранова ЛС, Хаитов РМ, Ильина НИ, Алексеева АА, Амбарчян ЭТ, Артемьева СИ, Аршинский МИ, Астафьева НГ, Атопический дерматит. *Российский Аллергологический Журнал*. 2021 Oct 6;18(3):44-92.
3. Chang YS, Chou YT, Lee JH, Lee PL, Dai YS, Sun C, Lin YT, Wang LC, Yu HH, Yang YH, Chen CA. Atopic dermatitis, melatonin, and sleep disturbance. *Pediatrics*. 2014 Aug 1;134(2):e397-405
4. Kowalska-Oleđzka E, Czarnecka M, Baran A. Epidemiology of atopic dermatitis in Europe. *Journal of drug assessment*. 2019 Jan 1;8(1):126-8.
5. Стукова ЕИ, Кениксфест ЮВ. Патогенетическое значение золотистого стафилококка при атопическом дерматите. *Фундаментальные исследования*. 2013;3(7).; URL: <https://fundamental-research.ru/ru/article/view?id>.
6. Palmer CN, Irvine AD, Terron-Kwiatkowski A et al. Common loss-of-function variants of the epidermal barrier protein filaggrin are a major predisposing factor for atopic dermatitis. *Nat Genet*. 2006;38:441-6.
7. Флуер ФС, Кудрявцева АВ, Максимущкин АЮ, Морозова ОА. Энтеротоксигенная активность разных видов стафилококков, выделенных при атопическом дерматите у детей (Часть 1). *Аллергология и иммунология в педиатрии*. 2012;(4 (31)):8-10.
8. Kobayashi T, Nagao K. Host–microbial dialogues in atopic dermatitis. *International immunology*. 2019 Jul;31(7):449-56.
9. Wollenberg A, Szepietowski J, Taieb A, Ring J. Corrigendum: Consensus-based European guidelines for treatment of atopic eczema (atopic dermatitis) in adults and children: part I. *Journal of the European Academy of Dermatology and Venereology*. 2019 Jul;33(7):1436-.

10. Шопабаета А, Остемиркызы Д, Кубджанова А. Эпидемиологический и фармакоэкономический анализ лекарственных препаратов, применяемых при атопическом дерматите в республике казахстан. Фармация Казахстана. 2021(4):64-71.
11. Pesce G, Marcon A, Carosso A, Antonicelli L, Cazzoletti L, Ferrari M, Fois AG, Marchetti P, Olivieri M, Pirina P, Pocetta G. Adult eczema in Italy: prevalence and associations with environmental factors. *Journal of the European Academy of Dermatology and Venereology*. 2015 Jun;29(6):1180-7.
12. Hwang CY, Chen YJ, Lin MW, Chen TJ, Chu SY, Chen CC, Lee DD, Chang YT, Wang WJ, Liu HN. Prevalence of atopic dermatitis, allergic rhinitis and asthma in Taiwan: a national study 2000 to 2007. *Acta dermato-venereologica*. 2010 Nov 1;90(6):589-94.
13. Nutten S. Atopic dermatitis: global epidemiology and risk factors. *Annals of nutrition and metabolism*. 2015;66(Suppl. 1):8-16.
14. Liebhart J, Dobek R, Małolepszy J, Wojtyniak B, Pisiewicz K, Płusa T, Gładysz U. The Prevalence of Allergic Diseases in Poland-the Results of the PMSEAD Study in Relation to Gender Differences. *Advances in clinical and experimental medicine: official organ Wrocław Medical University*. 2014 Sep 1;23(5):757-62.
15. Namazova-Baranova LS. Allergiya u detei: ot teorii k praktike [Allergy in Children: from Theory to Practice]. M: Soyuz pediatrov Rossii. 2010;2011:668.
16. Bae JM, Ha B, Lee H, Park CK, Kim HJ, Park YM. Prevalence of common skin diseases and their associated factors among military personnel in Korea: a cross-sectional study. *Journal of Korean medical science*. 2012 Oct 1;27(10):1248-54.
17. Şenel E, Şenel SD, Salmanođlu M. Prevalence of skin diseases in civilian and military population in a Turkish military hospital in the central Black Sea region. *BMJ Military Health*. 2015 Jun 1;161(2):112-5.
18. Тамразова ОБ, Молочков АВ. Ксероз кожи-основной патогенетический фактор развития атопического дерматита. *Consilium medicum*. 2014;4:48-54.
19. Matz H, Orion E, Matz E, Wolf R. Skin diseases in war. *Clinics in dermatology*. 2002 Jul 1;20(4):435-8.
20. Sybilski AJ, Raciborski F, Lipiec A, et al. Epidemiology of atopic dermatitis in Poland according to the Epidemiology of Allergic Disorders in Poland (ECAP) study. *J Dermatol*. 2014;42(2):140-147.
21. Leung PS, Shu SA, Chang C. The changing geoepidemiology of food allergies. *Clinical reviews in allergy & immunology*. 2014 Jun 1;46(3):169-79.
22. Liebhart J, Dobek R, Małolepszy J, Wojtyniak B, Pisiewicz K, Płusa T, Gładysz U. The Prevalence of Allergic Diseases in Poland-the Results of the PMSEAD Study in Relation to

- Gender Differences. *Advances in clinical and experimental medicine: official organ Wroclaw Medical University*. 2014 Sep 1;23(5):757-62.
23. Chen MH, Su TP, Chen YS, Hsu JW, Huang KL, Chang WH, Chen TJ, Pan TL, Bai YM. Is atopy in early childhood a risk factor for ADHD and ASD? A longitudinal study. *Journal of psychosomatic research*. 2014 Oct 1;77(4):316-21.
 24. Silverberg JI, Joks R, Durkin HG. Allergic disease is associated with epilepsy in childhood: a US population-based study. *Allergy*. 2014 Jan;69(1):95-103.
 25. Hwang CY, Hwang YY, Chen YJ, Chen CC, Lin MW, Chen TJ, Lee DD, Chang YT, Wang WJ, Liu HN. Atopic diathesis in patients with Kawasaki disease. *The Journal of pediatrics*. 2013 Sep 1;163(3):811-5
 26. Mathes EF, Oza V, Frieden IJ, Cordoro KM, Yagi S, Howard R, Kristal L, Ginocchio CC, Schaffer J, Maguiness S, Bayliss S. “Eczema coxsackium” and unusual cutaneous findings in an enterovirus outbreak. *Pediatrics*. 2013 Jul 1;132(1):e149-57.
 27. Schneider L, Hanifin J, Boguniewicz M, Eichenfield LF, Spergel JM, Dakovic R, Paller AS. Study of the atopic march: development of atopic comorbidities. *Pediatric dermatology*. 2016 Jul;33(4):388-98.
 28. Мурашкин НН, Иванов РА, Амбарчян ЭТ, Епишев РВ, Материкин АИ, Опрятин ЛА, Савелова АА. Филаггрин и атопический дерматит: клинико-патогенетические параллели и возможности терапевтической коррекции. *Вопросы современной педиатрии*. 2021 Nov 6;20(5):435-40.
 29. Sroka-Tomaszewska J, Trzeciak M. Molecular Mechanisms of Atopic Dermatitis Pathogenesis. *International Journal of Molecular Sciences*. 2021 Jan;22(8):4130.
 30. Miajlovic H, Fallon PG, Irvine AD, Foster TJ. Effect of filaggrin breakdown products on growth of and protein expression by *Staphylococcus aureus*. *Journal of Allergy and Clinical Immunology*. 2010 Dec 1;126(6):1184-90.
 31. Izadi N, Luu M, Ong PY, Tam JS. The role of skin barrier in the pathogenesis of food allergy. *Children*. 2015 Sep;2(3):382-402.
 32. Rabinowitz LG, Esterly NB. Atopic dermatitis and ichthyosis vulgaris. *Pediatrics in Review*. 1994 Jun 1;15(6):220-6.
 33. Sehgal VN, Khurana A, Mendiratta V, Saxena D, Srivastava G, Aggarwal AK, Chatterjee K. Atopic dermatitis: Clinical connotations, especially a focus on concomitant atopic undertones in immunocompromised/susceptible genetic and metabolic disorders. *Indian journal of dermatology*. 2016 May;61(3):241.

პოსტოპერაციული ტკივილის მართვა მულტიმოდალური გაუტკივარების
გამოყენებით

¹ქეთევან არაბიძე, დოქტორანტი

²ირაკლი გოგობია, დოქტორანტი

³ნოდარ ლებანიძე, პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ³თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.07>

აბსტრაქტი

პერი და პოსტოპერაციული ტკივილის მართვა დღემდე რჩება მწვავე პრობლემად. ტკივილის სიძლიერე დამოკიდებულია სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, პაციენტის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. მწვავე პოსტოპერაციული ტკივილის მიმდინარება და სიმძიმე განაპირობებს ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის აღმოცენების ალბათობას.

შემდეგ. მულტიმოდალური ანალგეზია არის - პერიფერიულ და/ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, განსხვავებული მოქმედების მექანიზმის მქონე მედიკამენტებითა და ტექნიკით ზემოქმედება(მათ შორის არაფარმაკოლოგიურ ტექნიკასთან ერთად), სინერგიული და ადიტიური ეფექტით, რომლითაც შესაძლებელი იქნება მეტად მაღალი ხარისხის ანალგეზიის მიღწევა, ვიდრე ამ მეთოდების ცალ-ცალკე გამოყენებით. მედიკამენტების დაბალი დოზებით გამოყენება, დოზადადამოკიდებული გვერდითი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად. ანალგეტიკების ფრაქციონირება პერიოპერაციული პერიოდის ყველა ეტაპზე.

პოსტოპერაციული ტკივილის პრევენცია უნდა დაიწყოს ოპერაციული მკურნალობის დაგეგმვისთანავე. ექიმთა მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა, პაციენტის მდგომარეობის და რისკ ფაქტორების შეფასების შემდეგ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე,

შეადგინოს ტკივილის დაყუჩების პერიოპერაციული გეგმა. დღეისათვის მსოფლიო ლიტერატურაში ცალსახად პრიორიტეტულად და ყველაზე ეფექტურად ითვლება მულტიმოდალური გაუტკივარება.

საკვანძო სიტყვები: მულტიმოდალური ანესთეზია, პოსტოპერაციული ტკივილი, რისკის ფაქტორები.

Postoperative pain management using multimodal analgesia

¹ Ketevan Arabidze, PhD student

² Irakli Gogokhia, PhD student

³ Nodar Lebanidze, Professor

¹ David Aghmashenebeli University of Georgia, ² Ivane Javakhishvili Tbilisi State

University, ³ Tbilisi State Medical University

Perry and postoperative pain management remain an acute problem to this day. The intensity of pain depends on various objective and subjective factors, on the individual characteristics of the patient. The course and severity of acute postoperative pain determine the likelihood of developing chronic postoperative pain.

Then. Multimodal analgesia is the effect on the peripheral and / or central nervous system, acting on drugs and techniques with different mechanisms of action (including non-pharmacological techniques), with synergistic and additive effects that can achieve higher quality analgesia than using these methods alone. Use low-dose medications to avoid dose-dependent side effects. Fractionation of analgesics at all stages of the perioperative period.

Postoperative pain prevention should begin as soon as surgical treatment is planned. The multidisciplinary team of physicians, based on the conclusion made after assessing the patient's condition and risk factors, develops a perioperative plan for pain relief. Multimodal analgesia is unequivocally a priority and most effective in the world literature today.

Keywords: Multimodal anesthesia, Postoperative pain, Risk factors.

თანამედროვე ანესთეზიოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ოპერაციის შედეგად აღმოცენებული ტკივილის მართვა ოპერაციულ და პოსტოპერაციულ პერიოდში.

ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა დაკავშირებულია სხვადასხვა ქსოვილის, მათ შორის ნერვული ბოჭკოების დაზიანებასთან. არანერვული წარმოშობის ქსოვილის დაზიანება იწვევს ნოციცეპტურ ტკივილს, ხოლო ნერვული ბოჭკოების კი - ნეიროპათიულს. ცხადია, რომ ნებისმიერი, უმცირესი მოცულობის ქირურგიული ჩარევაც კი მიზეზი ხდება, როგორც ნოციცეპტური ისე ნეიროპათიული მწვავე ტკივილის წარმოშობისა. ტკივილის ინტენსივობა ამ დროს წარმოქმნილი ნერვული იმპულსების ნაკადის პროპორციულია, მწვავე ტკივილის ქრონიზაცია კი მძიმე პოსტოპერაციულ გართულებად ითვლება.

მწვავე ტკივილი ოპერაციის შემდეგ აღენიშნება თითქმის ყველა პაციენტს. გამოხატული ტკივილი სხვადასხვა ავტორის მონაცემებით 37.7% - დან, 84% - მდეა, ხოლო ინტენსიური 9% - დან 36% - მდეა. (ტკივილი ყველა შემთხვევაში შეფასებულია ვიზუალურ ანალოგური სკალის - Visual Analog Scale for Pain, ციფრული 10 ბალიანი ვერსიით - Numeric Rating Scal for pain) [1,2]. ოთხ ბალიანი ტკივილი აღენიშნება აბდომინური ჩარევების შემდეგ 70%, საშუალო და მაღალი ინტენსივობის ტკივილი საკეისრო კვეთის შემდეგ - 87%; ოსტეოსინთეზის შემდეგ - 85%; ჰისტერექტომიის შემდეგ - 85%[3].

ასეთი ტკივილის მართვის სირთულეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იგი სათანადოდ კლასიფიცირებულიც არ არის. ICD-10 მიხედვით მას შეესაბამება რუბრიკა R52-ტკივილი, რომელიც კლასიფიცირებული არ არის სხვა რუბრიკებში და შედგება ოთხი ნაწილისაგან: R52.0 - მწვავე ტკივილი, R52.1 - მუდმივი არაკუპირებული ტკივილი, R52.2 - სხვა მუდმივი ტკივილი, R52.9 - ტკივილი დაუზუსტებელი. რაც შეეხება F62.8 - კოდს ქრონიკული პიროვნული ტკივილის სინდრომი. ეს უკანასკნელი კი შინაარსით სულ სხვა ტკივილს მიუთითებს. ასე, რომ პოსტოპერაციული მწვავე და ქრონიკული ტკივილი საერთოდ არ არის აღნიშნული. ამ დროს პოსტოპერაციული ქრონიკული ტკივილი, როგორც აღნიშნავს ავტორთა დიდი ჯგუფი, წარმოადგენს დამოუკიდებელ ავადმყოფობას. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მოთხოვნით

ქრონიკული ტკივილი ICD 11- ში შეტანილია, როგორც დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ერთეული [4]

ნებისმიერი ოპერაციის შემდეგ აუცილებლად წარმოიქმნება მწვავე პოსტოპერაციული ტკივილი, განსხვავებული ინტენსივობით. ტკივილის სიძლიერე დამოკიდებულია სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, პაციენტის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. მწვავე პოსტოპერაციული ტკივილის მიმდინარება და სიმძიმე განაპირობებს ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის აღმოცენების ალბათობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწვავე ტკივილის ხანგრძლივობას, ინტენსიურობას და ლოკალიზაციას[5].

ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილი, მაკრეს მიერ მისი აღწერის შემდეგ, მსოფლიო მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა [6]. მანვე პირველად შემოიტანა ასეთი ტკივილის დამახასიათებელი ნიშნები 2014 წელს [7]. Werner და Kongsgaard შეასწორეს იგი დიაგნოსტიკის გაუმჯობესების მიზნით[8]. ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის ძირითად სადიაგნოსტიკო ნიშნებად მათ მიიჩნიეს 1. ტკივილის განვითარება ან გაძლიერება ოპერაციული ჩარევის შემდეგ; 2. ტკივილი გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე და გრძელდება არანაკლები 3-6 თვე 3. ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილი გაგრძელდება მწვავე პოსტოპერაციული ტკივილის ან ვითარდება უსიმპტომო პერიოდის შემდეგ 4.ტკივილი ლოკალიზდება ნაოპერაციებ არეში, პროეცირდება ნაოპერაციებ არეში არსებული ნერვის ინერვაციის ზონაში ან განიცდის ირადიაციას 5. აუცილებლად უნდა გამოირიცხოს ტკივილის სხვა მიზეზები.

ყოველწლიურად ნაოპერაციებ პაციენტთა 1% უვითარდება ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის მძიმე ფორმა, ხოლო 10%-ში იგი მიმდინარეობს სხვადასხვა სიმძიმით. პაციენტების 35%-57%-ს გამოხატული აქვთ ნეიროპათიული შემადგენელი, რაც ამძიმებს ავადმყოფობის მიმდინარეობას და ართულებს მკურნალობის პროცესს, [9] ეს უკანასკნელი აძლიერებს ტკივილის ინტენსივობას და ზრდის სამედიცინო მომსახურების ხარჯებს.

ოპერაციული ჩარევების რაოდენობების ზრდასთან ერთად მოიმატებს ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის სინდრომიც და დარჩება თანამედროვე

ქირურგიის მნიშვნელოვან პრობლემად. მისი მიმდინარეობა დამოკიდებულია რეალიზებულ რისკ ფაქტორებზე და შესაბამისად ვარიანტობა იცვლება 5% დან 85%-მდე [10].

რისკ ფაქტორები შეიძლება დავეყოს პრეოპერაციულ, ინტრაოპერაციულ და პოსტოპერაციულად. პრეოპერაციული რისკ ფაქტორებია: ახალგაზრდა ასაკი; მდედრობითი სქესი; ნიკოტინდამოკიდებულება; დეპრესიული სიმპტომების არსებობა ანამნეზში; ძილის მოშლა; მაღალი BMI [11]. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნარკოდამოკიდებულება და ტოლერანტობა ოპიოიდებისადმი. ტოლერანტობა შეიძლება განვითარდეს იმ პაციენტებშიც კი, რომლებიც მოკლე დროის განმავლობაში იღებენ ოპიოიდებს [12]. ასეთ შემთხვევაში გაუტკივარების დროს საჭიროა დიდი რაოდენობით ოპიოიდების გამოყენება შესაბამისი რეცეპტორების დესენსიტიზაციის გამო, ხოლო დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებების მიღების შემდეგ, პოსტოპერაციულ პერიოდში საჭირო ხდება მათი ხანგრძლივი და დიდი რაოდენობით გაკეთება [13]. ოპიოიდების ოპერაციამდელი მოხმარება და ნარკოდამოკიდებულება არის მყარი პოსტოპერაციული ტკივილის რისკ ფაქტორი [14]. აუცილებელია პრეოპერაციულად იქნას შეფასებული ასეთი რისკი და მკაცრად გაკონტროლდეს პერიოპერაციული გაუტკივარების მედიკამენტური უზრუნველყოფა [15]. ნოციცეპტური ტკივილის აღმოცენების დროს, ყოველთვის არსებობს პირველადი და მეორადი ჰიპერალგეზიის კერები. პირველადი ჰიპერალგეზიის კერა არის ქსოვილების დაზიანების მიდამო. მისი განმაპირობებელი ფაქტორია დაზიანების არეში მგრძნობელობის გაზრდა - მექანიკური (ქსოვილების მექანიკური დაზიანება) და თერმული (მაღალი ტემპერატურის გამოყენება ოპერაციის დროს) იმპულსების ზემოქმედებით. ეს არის პერიფერიული სენსიტიზაცია, რომლის განვითარებაც ხდება ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილის ეფექტების გამომწვევი ნივთიერებების გამოყოფით [16]. ისინი გამოიყოფიან ქსოვილის დაზიანების შედეგად, შეიწოვებიან სისხლის პლაზმაში, მოქმედებენ არამიელინიზებულ ბოჭკოებზე და ააქტივებენ მათ. C ბოჭკოების გაღიზიანების შედეგად გამოყოფილი სუბსტანცია P და კინინები იწვევს ადგილობრივ ვაზოდილატაციას, სისხლძარღვთა კედლების განვლადობის გაზრდას, რის გამოც მკვეთრად ძლერდება ქსოვილების დაზიანების შედეგად გამოყოფილი

ნივთიერებების შეწოვა, ამ ნივთიერებების ზემოქმედება ტერმინალური ნოციცეპტორების რეცეპტორებზე და მათი აგზნებადობისა და მგრძნობელობის გაზრდას გარე გამაღიზიანებელზე [17]. პერიფერიული ნოციცეპტორების გამშვები არის ბრადიკინინი. იგი მოქმედებს პერიფერიულ ნოციცეპტორებზე უშუალოდ და არაპირდაპირ, სხვა მედიატორების საშუალებით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაზიანებული ქსოვილის ანთების შედეგად წარმოქმნილი ტკივილი, რომელიც შედარებით მოგვიანებით აღმოცენდება და ემატება დაზიანებით გამოწვეულ ტკივილს. ანთებითი ტკივილი გრძელდება რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე და როგორც წესი იგი შექცევადია. პოსტოსტოპერაციული ტკივილის ნეიროპათიული შემადგენელი წამოიქმნება ნერვული ბოჭკოების დაზიანების შედეგად, გამაღიზიანებელის მიმართ აქსონების მომატებული მგრძნობელობის გამო. იგი ბევრად უფრო რთულად სამკურნალოა და ეფექტურია მისი პრევენცია, ყველა დონეზე მისი გავრცელების ბლოკირებით [18]. როგორც ცნობილია, მულტიმოდალური გაუტკივარების შემადგენელი ნაწილია ლოკორეგიონული, ინფილტრაციული და TAB ბლოკი [19]. მათი საშუალებით მიიღწევა იმპულსების გატარების (კონდუქციის) ბლოკირება, რაც ამცირებს აფერენტული იმპულსების რაოდენობას და შესაბამისად მათ მიერ გამოწვეულ ტკივილს. შეუსაბამობა ტკივილის პერიფერიულ ფაქტორსა და მის შეგრძნებას შორის ყოველთვის ქმნის დიაგნოსტიკურ პრობლემებს კლინიკისტებისათვის [20]. ქსოვილების დაზიანების და ანთების ნიშნების არ არსებობის შემთხვევაში ტკივილის ძლიერი გამოხატულება აიხსნება ცენტრალური სენსიტიზაციით. [21] ქსოვილების დაზიანებით გამოწვეული პერიფერიული ნოციცეპტორების გაღიზიანება იწვევს ცენტრალური ნეირონების აგზნებას, ანუ ცენტრალურ სენსიტიზაციას. ცენტრალური სენსიტიზაცია არის აგზნების მომატება ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირონებში. იგი მწვავე ტკივილის ქრონიზაციის ერთ-ერთი მიზეზია [22]. კლინიკურად ცენტრალური სენსიტიზაცია გამოვლინდება ჰიპერალგეზიის გაძლიერებით. დაზიანების კერიდან მოშორებით წარმოიქმნება მეორადი ჰიპერალგეზიის ზონა. ტკივილის ზღურბლის დაქვეითების ზონის გაზრდა, ოპერაციული ჭრილობის მიდამოში გამოწვეულია ზურგის ტვინის უკანა რქებში განლაგებული ნეირონების რეცეპტორული ველის გაფართოებით. ეს პროცესი მიმდინარეობს 12 – 18 საათის განმავლობაში და

განსაკუთრებით აძლიერებს ტკივილის ინტენსივობას, პოსტოპერაციული პერიოდის მეორე დღეს (24 საათის შემდეგ). იგი გამოწვეულია A ბოჭკოების ჩაზრდით (sprouting) ზურგის ტვინის უკანა რქებში. დროში იმპულსების ზედდების შედეგად, ერთნაირი ინტენსივობის ნაკადის პირობებში, დაგვიანებული იმპულსები აღიქმება მეტი ინტენსივობით. ამ პროცესს საფუძვლად უდევს გლუტამატის რეცეპტორების აქტივაციის გაძლიერება [23]. პოსტსინაფსურ მემბრანაზე მგრძობელობითი ნეირონებში განლაგებულია სამი სხვადასხვა ტიპის გლუტამატ რეცეპტორი. მწვავე ტკივილს აღიქვამს AMPA (alpha amino-3-hydroxy-5-methyl-isoxazole-4-propionic-acid) რეცეპტორები. გლუტამატის და AMPA ურთიერთქმედებით დეპოლარიზდება ნეირონის მემბრანა და აღიძვრება მოქმედების პოტენციალი. თუ მწვავე ტკივილის იმპულსის მოდინება ხშირად მეორდება და ხანგრძლივდება, პრესინაფსურ სივრცეში გროვდება გლუტამატი. პოსტსინაფსურ მემბრანაზე მიმდინარეობს NMDA (N-methyl-D-aspartate) და გლუტამატის მეტაბოტროპული რეცეპტორების აქტივაცია, რაც იწვევს მაგნიუმის იონების გამოდევნას, რომელიც კეტავს კეტავს ნატრიუმისა და კალიუმის იონურ არხებს. აღნიშნული რეცეპტორების სტიმულაცია იწვევს კალციუმის იონების დიდი რაოდენობით შესვლას უჯრედის შიგნი და მის ხანგრძლივ დეპოლარიზაციას. აქტიურდება კალციუმ დამოკიდებული კინინები, კერძოდ პროტეინკინაზა C, COX 2 და NO - სინთეზაზა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ცენტრალურ სენსიტიზაციას [24]. ცენტრალური სენსიტიზაცია იყოფა ორ ფაზად. ადრეული ან ტრანზიტორული ან სწრაფი პასუხის ფაზა. იგი ხანმოკლეა და გარდამავალია. მეორე მოგვიანებითი, ხანგრძლივი ან ტრანსკრიპციული ფაზა. ამ დროს სინთეზირდება ენდოგენური ოპიოიდები და COX 2. ტკივილის ქრონიზაციის პრევენციისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია COX 2 ინჰიბიტორების გამოყენება. მულტიმოდალური ანალგეზიის სისტემის მედიკამენტურ ნაწილში პარაცეტამოლის, გაბაპენტინის და ცელაკოქსიბის კომბინაციით წარმოადგენს უსაფრთხო და ეფექტურ პერიოპერაციული გაუტკივარების მეთოდს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც პრევენციის, ისე მკურნალობისათვის [25]. ნოციციკლურთან ერთად, ადამიანის ორგანიზმში არსებობს ანტინოციციკლური სისტემა. იგი ამცირებს ტკივილის იმპულსებს მოდულაციის საშუალებით. ამ სისტემის ერთ-ერთი ნაწილია წყალსადენის ირგვლივ მდებარე რუხი ნივთიერება PAG (Peri Aqueductal Grey)

substant, ღეროს და შუამდებარე ტვინის ბირთვები. ისინი განაგებენ დადმავალ შეკავებას ზურგის ტვინის უკანა რქების დონეზე. ძირითადი მედიატორია სეროტონინი. ნორადრენერგიული ანტინოციცეპტური სისტემა იწყება ვაროლის ხიდი ცისფერი ლაქიდან და მოდულაციას ახდენს ასევე უკანა რქების საშუალებით.

ანტინოციცეპტური მექანიზმის მოშლა ხელს უწყობს ცენტრალურ სენსიტიზაციას, შემაკავებელი მექანიზმების დათრგუნვით. პირველადი აფერენტების ცენტრალური ტერმინალებიდან მუხრუჭდება SP (Substance Pain) სუბსტანციის გამომუშავება სეროტონინისა და ნორადრენალინის შემცირების გამო. NGF (Nerve Growth Factor) ხდება ცენტრალური და პერიფერიული მორჩების გათიშვა, იშლება შვანის უჯრედების დიფერენციაცია და ისინი მიეღობის ნაცვლად ასინთეზირებენ SP და CGRP (Calcitonin Gene Related Peptid) კალციტონინ გენის გამომყოფი პეპტიდი. რომელიც ნორმალურ პირობებში გვხვდება მხოლოდ C ბოჭკოებში. NGF ითვლება ქრონიკული ტკივილის სინდრომის ჰუმორულ ფაქტორად, რომელიც წარმოადგენს ტკივილის უნივერსალურ მედიატორს. იგი ნოციცეპტორების სენსიტიზაციას იწვევს. ნეიროგლიის ასეთი ცვლილების გამო, დაბალზღურბლიანი მექანორეცეპტორების გაღიზიანება იწვევს SP გამომუშავებას უკვე არსებული ჰიპერაგზნებადობის გამო, რაც ნორმალურად მიმდინარეობს მხოლოდ ნოციცეპტური სტიმულების პირობებში [26].

ოპერაციის შემდგომ მწვავე ტკივილს აქვს გამოხატული კლინიკა. იგი იწვევს ვეგეტატიური ნერვული სისტემის გააქტიურებას, რაც ყველა ორგანოში და სისტემაში იწვევს უარყოფით რეაქციებს. კერძოდ: ტაქიკარდიას, ჰიპერტენზიას, სისხლძარღვთა პერიფერიული წინააღმდეგობის გაზრდას და პერიფერიული სისხლმდინარობის შენელებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იშემია და თრომბოზი. პოსტოპერაციული ტკივილის დროს მცირდება სასუნთქი მოცულობა და ფილტვის ფუნქციურად ნარჩენი მოცულობა, რაც იწვევს ამოხველების გამწვანებას, ნახველის დაგროვებას, ატელექტაზს, ინფექციის ასოცირებას და ჰიპოქსემიას.

პოსტოპერაციული ტკივილი თრგუნავს კუჭნაწლავის ტრაქტის მოტორიკას - ზრდის ნაწლავის ფლორის ტრანსლოკაციის რისკს.

პოსტოპერაციული ტკივილის გამო ძნელდება შარდის გამოყოფა, რაც იწვევს სისხლის პლაზმაში კატაბოლური ჰორმონების გაზრდას და ანაბოლური ჰორმონების

სინთეზის დათრგუნვას. ჰორმონების ასეთი დისბალანსი განაპირობებს ჰიპერგლიკემიას და ჰიპოპროტეინემიას. აზოტის გამოყოფის გაძნელების გამო ნელდება რეპარაციული პროცესი და რთულდება პოსტოპერაციული რეაბილიტაცია. ცენტრალური და პერიფერიული სენსიტიზაციის შემდეგ, შეიძლება ჩამოყალიბდეს ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის სინდრომი [27].

ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორია ქირურგიული ოპერაციის ტიპი და ხანგრძლივობა. იგი განეკუთვნება ინტაოპერაციულ რისკ ფაქტორებს. თუ ოპერაცია დაკავშირებულია დიდ ტრავმატიზაციასთან, მაშინ იგი მწვავე ტკივილის მძიმე მიმდინარეობის განმაპირობებელია. რაც მეტია ქსოვილების დაზიანება, მით მეტია ტკივილის წარმომქმნელი ნივთიერებების გამოყოფა და იმპულსების გენერაცია. დამტკიცებულია, რომ დიდი მოცულობის ოპერაციების დროს ლაპარასკოპიული მიდგომა ტკივილის რისკს არ ამცირებს [28].

მწვავე პოსტოპერაციული ტკივილი ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში ნეიროპათიული შემადგენელის არსებობით საჭიროებს სწრაფ კუპირებას. როგორც ცნობილია, სტიმულდამოუკიდებელი სპონტანური ტაქტილური და ტემპერატურული გამოვლინება, აგრეთვე სტიმულდამოკიდებული ჰიპერპათია, ჰიპერალგეზია, ალოდინია; პაროქსიზმული შეტევები მუდმივად არსებული ყრუ ტკივილის ფონზე, ეპიზოდური, დენის დარტყმის მსგავსი პაროქსიზმები დამახასიათებელია ნეიროპათიული კომპონენტისათვის. იგი მკაცრად კონტროლირებული უნდა იყოს პოსტოპერაციულ პერიოდში და დროულად იქნას თავიდან აცილებული, რადგან მოგვიანებით მათი მკურნალობა გართულებულია და ხშირად განიცდის ქრონიზაციას [29].

პოსტოპერაციული ტკივილის რისკ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს სქესი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ავტორის მიერ სარწმუნო განსხვავება ვერ იქნა ნანახი, ავტორთა დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ ქალებში პოსტოპერაციული ტკივილის ცუდი კონტროლის შესაძლებლობა 30% - ით მეტია ვიდრე მამაკაცებში [30,31,32]. სქესობრივი განსხვავება დაკავშირებულია რთულ ფსიქოსოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორებთან. ასეთებია სუბიექტური განსხვავება ტკივილის აღქმასა და განცდაში. დადგეილია, რომ ქალებში პოსტოპერაციული ტკივილის

კუპირებისათვის, საჭიროა ტკივილდამაყუჩებლის დოზა 11% - ით მეტი მამაკაცებთან შედარებით [33].

პოსტოპერაციული ტკივილის მართვის რთული პრედიქტორია თამბაქოს მოხმარება. გარდა იმისა, რომ იგი ტოქსინდამოკიდებულების ერთ-ერთი რთული ფორმაა, მას ყოველთვის თან სდევს ფილტვის არადიაგნოსტირებული პათოლოგია, რომელიც მოულოდნელად იჩენს თავს პოსტოპერაციულ პერიოდში [34].

სიმსუქნე წარმოადგენს განსაკუთრებულ რისკს პოსტოპერაციული ტკივილისათვის, ამიტომ აუცილებელია ასეთი პაციენტების დამატებითი პრეოპერაციული გამოკვლევა და მონიტორინგი. ხშირია ამოუცნობი და უმკურნალებელი მეტაბოლური, ძილის ობსტრუქციული აპნოეს და ჰიპოვენტილაციური სინდრომების არსებობა, რაც ართულებს პოსტოპერაციული ტკივილის და ზოგადად პერიოპერაციული პერიოდის მართვას [35].

ძილის მოშლა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და ითვლება პოსტოპერაციული ტკივილის რისკ ფაქტორად. იგი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახით, როგორცაა - ჩამინების გაძნელება, ადრე გამოღვიძება, ღამის განმავლობაში პერიოდული გამოღვიძებები, ხანგრძლივი გამოღვიძება და საერთო ძილის შემცირებული დრო. ძილის მოშლა გავლენას ახდენს დღის განმავლობაში ადამიანის ზოგად ფუნქციონირებაზე და განსაკუთრებით კოგნიტიურ ფუნქციაზე. [36]. ძილის მოშლა ხშირად ვითარდება პოსტოპერაციულ პერიოდში. ამ დროს უფრო ხშირად გამოხატულია ძილის საერთო დროს შემცირება და რამდენიმეჯერ გაღვიძება. ზედაპირული ძილი და კომმარული მოჩვენებები აღინიშნება იშვიათად. ძილის პოსტოპერაციული მოშლა შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც ქირურგიულ ოპერაციასთან, ასევე გაუტკივარებასთან და გარეშე ფაქტორებთან. ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისას, ქსოვილების დაზიანების შედეგად გამოიყოფა ციტოკინები, რომლებიც მოქმედებენ ძილის ხარისხზე. სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი TNF α , IL - 1 და IL - 6 განსაზღვრავს ძილის ხანგრძლივობას. ძილი იყოფა ორ ნაწილად, შენელებული NREM (non rapid eye movement) და სწრაფი REM (rapid eye movement). შენელებული შედგება სამი ფაზისაგან და მოიცავს სრული ძილის 75%. შენელებული ძილის პირველი სტადია არის შუალედური პერიოდი ჩამინებასა და სიფხიზლეს შორის, ე.წ. „ზედაპირული ძილი“. მეორე სტადია არის უფრო ღრმა ვიდრე ვიდრე

წინამორბედი და მოიცავს სრული ძილის ნახევარს, ხოლო მესამე არის ღრმა შენელებული ძილი. ამ დროს ჰემოდინამიკური მაჩვენებლები მინიმალურია, სუნთქვა შენელებული, კუნთები მოდუნებული და სისხლის მოდინება გაძლიერებული. ამ დროს გამოიმუშავდება ზრდის, სასქესო ჰორმონები, მელატონინი და სხვა. REM ძილი მოიცავს სრული ძილის 20% - 25%. იგი იწყება ჩაძინებიდან საათნახევრის შემდეგ და მეორდება ყოველა საათნახევარში. მისი ხანგრძლივობა შემდგომ პერიოდებში თანდათან იმატებს. აღნიშნული სტადიების თანმიმდევრობა, ხანგრძლივობა და მათი თანაფარდობა იცვლება, ოპერაციის დროს გამოყოფილი სხვადასხვა ნივთიერების ზემოქმედებით [37]. ძილის მოშლის ხარისხი დამოკიდებულია ოპერაციული ტრავმის დროს დაზიანებული ქსოვილების მოცულობაზე და ამდროს გამოყოფილი ტრანსმიტერების და მედიატორების რაოდენობაზე.

ყველა სახის გაუტკივარება ასევე იწვევს ძილის მოშლას, სხვადასხვა ინტენსივობით. ბევრად უფრო ნაკლებად მოქმედებს ძილზე სპინური და რეგიონული გაუტკივარება ვიდრე ნარკოზი. ეს დაკავშირებულია ოპერაციული სტრესული რეაქციის სიმძლიერესთან. ოპიოიდები მკვეთრად აზიანებენ ძილის სტრუქტურას. ისინი აქვეითებენ ალგონების ზღურბლს და მცირე ინტენსივობის გამაღიზიანებელიც კი წარმოქმნის იმპულსების დიდ ნაკადს. არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების ჯგუფი NSAID (Nonsteroidal Anti Inflammatory Drug) ნაკლებად იწვევს ძილის დარღვევას. მათი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და ტკივილის დაყუჩების ეფექტი ინარჩუნებს ძილის რიტმს [38]. გაბაპენტინის (ATC კოდი - N03AX12 კრუნჩხვის საწინააღმდეგო საშუალება ტკივილდამაყუჩებელი ეფექტით. ბლოკავს კალციუმის არხებს და ამცირებს მის კონცენტრაციას, რითაც ხელს უშლის ნეიროპათიული ტკივილის აღმოცენებას. ამლიერებს GABA სინთეზს და განსაკუთრებით ბლოკავს ტკივილის ნეიროპათიულ კომპონენტს)[30] და კეტამინის (ATC კოდი – N01AX03 არაინჰალაციური სანარკოზე საშუალება. აქვს ანალგეზიური ეფექტი არასრულად დათრგუნული ცნობიერების და სპონტანური სუნთქვის პირობებში. იწვევს დისოციაციურ გაუტკივარებას, ფუნქციურ დისოციაციას თალამონეოკორტიკალურ და ლიმბურ სისტემას შორის. NMDA რეცეპტორების ანტაგონისტია. პერიოპერაციულად მისი გამოყენება ხელს უშლის სენსიტიზაციას და ამცირებს ოპერაციის შემდგომ ტკივილს) [39] გამოყენება პოსტოპერაციული ძილის

სტრუქტურაზე არ მოქმედებს [40]. კეტამინის ტკივილდამაყუჩებელი ეფექტი დროებითია და დამოკიდებული არ არის დოზაზე [41]. კეტამინის და პლაცებოს მოქმედება ძილის სტრუქტურაზე თითქმის არ განსხვავდება უძილობის დროს [42] ხანშიშესული პაციენტები მიდრეკილი არიან დელირიუმისაკენ ანალგეტიკებისა და ანესთეტიკების გამოყენების შემდეგ [43]. სხვადასხვა მონაცემებით იგი ვარირებს 10% დან 60% მდე [44].

ძილის მოშლაზე გავლენას ახდენს გარემო პირობები. შესწავლილი იყო ძილის ხანგრძლივობა და ეფექტურობა, პოლისომნოგრაფიით [45] და სხვადასხვა პარამეტრებით [46] გასხვავებულ პირობებში. აღმოჩნდა რომ ძილის მოშლა მეტად გამოხატული იყო სტაციონარულ პალატაში, ვიდრე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში [47].

ისეთი ფაქტორები, როგორცაა ფსიქოლოგიური განგაში და კარასტროფიზაცია, ტკივილის გაძლების შესაძლებლობის შემცირება, დეპრესია აძლიერებს ქრონიკული პოსტოპერაციული ტკივილის განვითარების რისკს. პოსტოპერაციული ტკივილის რისკ ფაქტორები ცალცალკე მოქმედების გარდა აძლიერებენ ერთმანეთს. რამდენიმე ფაქტორის ერთდროულად არსებობის პირობებში მკვეთრად იმატებს მყარი პოსტოპერაციული ტკივილის ალბათობა [48]. რადგან ასეთი ტკივილის მართვა სერიოზული პრობლემაა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ორგანიზებას, რაზეც არაერთი პუბლიკაციაა ლიტერატურაში. რისკ ფაქტორების შეფასების, გაანალიზების და პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების შემდეგ ხდება რისკის რეალიზების პროგნოზირება [49]. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მიღებული პროგნოზის ღირებულება მნიშვნელოვანია (მგრძნობელობა 58,9%; სპეციფიურობა 68,4%)[50] პაციენტთან დაკავშირებული სოციალურ ეკონომიური გამოხატული რისკ ფაქტორების გათვალისწინებით, მუშავდება მწვავე პოსტოპერაციული ტკივილის პროგნოზირების სკალა, რომელიც მიუთითებს არაკეთილსაიმედო გამოსავლის ალბათობაზე. აქ ჩამოთვლილი ყველა მონაცემის თავიდან აცილებისათვის საჭირო ქმედებები გაწერილი უნდა იქნას პერიოპერაციულ პერიოდზე [51].

პოსტოპერაციული ტკივილი ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ოპერაციული მკურნალობის გამოსავალს, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი ადეკვატური მართვა პერიოპერაციულ პერიოდში. თანამედროვე

ლიტერატურული მონაცემების თანახმად დღეისათვის ყველზე ეფექტურია მულტიმოდალური გაუტკივარების გამოყენება, როგორც ოპერაციამდე, ისე ოპერაციის დროს და ოპერაციის შემდეგ. მულტიმოდალური ანალგეზია არის - პერიფერიულ და/ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, განსხვავებული მოქმედების მექანიზმის მქონე მედიკამენტებითა და ტექნიკით ზემოქმედება(მათ შორის არაფარმაკოლოგიურ ტექნიკასთან ერთად), სინერგიული და ადიტიური ეფექტით, რომლითაც შესაძლებელი იქნება მეტად მაღალი ხარისხის ანალგეზიის მიღწევა, ვიდრე ამ მეთოდების ცალ-ცალკე გამოყენებით. მედიკამენტების დაბალი დოზებით გამოყენება, დოზადამოკიდებული გვერდითი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად. ანალგეტიკების ფრაქციონირება პერიოპერაციული პერიოდის ყველა ეტაპზე (პრეოპერაციულად, ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად)[52]. მწვავე პოსტოპერაციული ტკივილის მკურნალობის შესახებ არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები, რაც გამოწვეულია იმით, რომ პრობლემა მრავალწახნაგოვანია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მკურნალობა უნდა ეფუძნებოდეს ტკივილის აღმოცენების მექანიზმებს, მის გამოვლინებას და გავრცელებას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) და ტკივილის შესწავლის საერთაშორისო ასოციაციის (International Association for the Study of Pain - IASP) ერთობლივად გამოქვეყნებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ტკივილის მართვა არის ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებება და იგი უნდა გადაიქცეს გლობალურ რეალობად“[45]. პოსტოპერაციული ტკივილის მკურნალობის მიზანია ტკივილის შემცირება მოსვენების და მოძრაობის მდგომარეობაში, ოპიოიდების გამოყენებლობა ან მათი მკვეთრად შეზღუდვა, თანმხლები ეფექტების თავიდან ასაცილებლად. ასევე ადრეული მობილიზაციის მიღწევა, ოპერაციული შედეგების გაუმჯობესება და სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობის შემცირება [53]. პოსტოპერაციული ტკივილის მკურნალობაში ხშირად გამოვლენილი ხარვეზებიდან აღსანიშნავია: პერსონალის არასაკმარისი ინფორმირებულობა გაუტკივარების საკითხებში; პოსტოპერაციული ტკივილის არასწორი შეფასება; ტკივილის არაოპტიმალური მკურნალობა [54] გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ პაციენტების ერთ მესამედში ტკივილი არ იყო შეფასებული, ხოლო 44% შემთხვევებში ტკივილის

მაჩვენებელი შეტანილი არ იყო სამედიცინო დოკუმენტაციაში [55]. ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ წარმატებული მკურნალობისათვის აუცილებელია ხარისხის ინდიკატორების (Quality Indicators QI) შემოღება. აუცილებელია ტკივილი შეფასდეს კლინიკისათვის მისაღები სკალით, რომელიც კარგად იქნება ცნობილი ყველა თანამშრომლისათვის. (დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია 10 ბალიანი VAS-NRS სკალა). აღმოჩნდა, რომ ნულოვანი ტკივილი არაერთგვაროვნად იყო შეფასებული, რაც იწვევდა შემდგომ შეუსაბამობებს და საფუძველი ხდებოდა პაციენტთა უკმაყოფილებისა [56].

დასკვნა:

პოსტოპერაციული ტკივილის პრევენცია უნდა დაიწყოს ოპერაციული მკურნალობის დაგეგმვისთანავე. ექიმთა მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა, პაციენტის მდგომარეობის და რისკ ფაქტორების შეფასების შემდეგ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე, შეადგინოს ტკივილის დაყუჩების პერიოპერაციული გეგმა. დღეისათვის მსოფლიო ლიტერატურაში ცალსახად პრიორიტეტულად და ყველაზე ეფექტურად ითვლება მულტიმოდალური გაუტკივარება.

ლიტერატურა

1. Gregory J., McGowan L. An examination of the prevalence of acute pain for hospitalised adult patients: a systematic review. *J Clin Nurs.* 2016; 25 (5–6):
2. Rawal N. Current issues in postoperative pain management. *Eur. J. Anaesthesiol.* 2016; 33(3): 160–171.
3. Murray A., Wilhelm F. Relief acute postoperative pain in 1231 patients at a developing country referral hospital: incidence and risk factors. *South Afr J Anaesth Analg.* 2016; 22: 19
4. Schug SA, Lavand'homme P, Barke A, Korwisi B, Rief W, et al. The IASP classification of chronic pain for ICD-11: chronic postsurgical or posttraumatic pain. *Pain* 2019; 160: 45-52.
5. Lavand'homme P.M. Grosu I. France Chou R, Gordon DB, de Leon-Casasola OA, Rosenberg JM, Bickler S, Brennan T, Carter T, Cassidy CL, Chittenden EH, Degenhardt E, Griffith S. Management of Postoperative Pain: a clinical practice guideline from the American pain society, the American Society of Regional Anesthesia and Pain Medicine, and the American Society of Anesthesiologists' committee on regional anesthesia, executive committee, and administrative council. *The journal of pain.* 2016 Feb 1;17(2):131-57.M.-N. Thienpont E. Pain trajectories identify patients at risk of persistent pain after knee arthroplasty: an observational study. *Clin Orthop Relat Res.* 2014; 472: 1409-1415

6. Crombie IK, Davies HT, Macrae WA. Cut and thrust: antecedent surgery and trauma among patients attending a chronic pain clinic. *Pain*. 1998;76(1-2):167-71
7. Macrae WA, Davies HTO. Chronic postsurgical pain. In: Crombie IK. ed. *Epidemiology of pain*. Seattle: IASP Press; 1999:125–42
8. Werner MU, Kongsgaard UE: I. Defining persistent post-surgical pain: is an update required? *Br J Anaesth*. 2014;113(1):1–4. 10.1093
9. Schug SA Bruce J. Risk stratification for the development of chronic postsurgical pain. *Pain Rep*. 2017; 2
10. Haroutiunian S, Nikolajsen L, Finnerup NB, Jensen TS. The neuropathic component in persistent postsurgical pain: a systematic literature review. *Pain*. 2013 Jan;154(1):95-102.
11. Nishimura D, Kosugi S, Onishi Y, et al Psychological and endocrine factors and pain after mastectomy. *Eur J Pain*. 2017;21:1144–53.
12. Webster LR. Risk factors for opioid-use disorder and overdose. *Anesth Analg*. 2017;125:1741–1748.
13. Wibbenmeyer L, Eid A, Kluesner K, et al. An evaluation of factors related to postoperative pain control in burn patients. *J Burn Care Res*. 2015;36:580–586.
14. Pagé M.G. Kudrina I. Zomahoun H.T.V. et al. A systematic review of the relative frequency and risk factors for prolonged opioid prescription following surgery and trauma among adults. *Ann Surg*. 2020; 271: 845-854
15. de Zambotti, M.; Covassin, N.; Tona, G.; Sarlo, M.; Stegagno, L. Sleep onset and cardiovascular activity in primary insomnia. *J. Sleep Res*. 2011, 20, 318–325.
16. Wenzel JT, Schwenk ES, Baratta JL, et al. Managing opioid-tolerant patients in the perioperative surgical home. *Anesthesiol Clin*. 2016;34:287–301.
17. McMahon SB, Koltzenburg M, eds. *Wall and Melzack's Textbook of Pain*. 5th ed. Elsevier Churchill Livingstone; 2005.
18. Buskila D. Genetics of chronic pain states. *Best Pract Res Clin Rheumatol*. 2007;21:535-547.
19. Suner Z, Kalayci D, Sen O, Kaya M, Unver S, Oguz G. Postoperative analgesia after total abdominal hysterectomy: is the transversus abdominis plane block effective?. *Nigerian Journal of Clinical Practice*. 2019 Apr 1;22(4):478.
20. Bartholomew C . Lack S. Neal B. Altered pain processing and sensitisation is evident in adults with patellofemoral pain: a systematic review including meta-analysis and meta-regression. *Scand J Pain*. 2019; 20: 11-27

21. Leone CM, Celletti C, Gaudio G. Pain due to Ehlers-Danlos syndrome is associated with deficit of the endogenous pain inhibitory control. *Pain Med.* 2020; 21: 1929-1935
22. Toth C. Peripheral and Central sensitization. In: Toth C, Moulin DE, editors. *Neuropathic Pain: Causes, Management, and Understanding.* Cambridge University Press; 2013. P. 51-64.
23. Arendt-Nielsen L. Central sensitization in humans: assessment and pharmacology. *Handb Exp Pharmacol.* 2015;227:79-102.
24. Carron M, Safaee Fakhr B, Iepariello G, Foletto M. Perioperative care of the obese patient. *Br J Surg.* 2020 Jan;107(2):e39-e55
25. Lallukka, T.; Sivertsen, B.; Kronholm, E.; Bin, Y.S.; Overland, S.; Glozier, N. Association of sleep duration and sleep quality with the physical, social, and emotional functioning among Australian adults. *Sleep Health* 2018, 4, 194–200
26. Wesselius HM, Van Den Ende ES, Alsmas J, Ter Maaten JC, Schuit SC, Stassen PM, de Vries OJ, Kaasjager KH, Haak HR, Van Doormaal FF, Hoogerwerf JJ. Quality and quantity of sleep and factors associated with sleep disturbance in hospitalized patients. *JAMA internal medicine.* 2018;178(9):1201-8. of Sleep and Factors Associated With Sleep Disturbance in Hospitalized Patients. *JAMA Intern. Med.* 2018, 178, 1201–1208
27. Carley M.E. Chaparro L.E. Choinière M. Pharmacotherapy for the prevention of chronic pain after surgery in adults: an updated systematic review and meta-analysis. *Anesthesiology.* 2021; 135: 304-325
28. Verret, M.; Lauzier, F.; Zarychanski, R.; Perron, C.; Savard, X.; Pinard, A.M.; Leblanc, G.; Cossi, M.J.; Neveu, X.; Turgeon, A.F.; et al. Perioperative Use of Gabapentinoids for the Management of Postoperative Acute Pain: A Systematic Review and Meta-analysis. *Anesthesiology* 2020, 133, 265–279.
29. Brinck, E.C.V.; Maisniemi, K.; Kankare, J.; Tielinen, L.; Tarkkila, P.; Kontinen, V.K. Analgesic Effect of Intraoperative Intravenous S-Ketamine in Opioid-Naive Patients After Major Lumbar Fusion Surgery Is Temporary and Not Dose-Dependent: A Randomized, Double-Blind, Placebo-Controlled Clinical Trial. *Anesth. Analg.* 2021, 132, 69–79.
30. Brinck, E.C.; Tiippana, E.; Heesen, M.; Bell, R.F.; Straube, S.; Moore, R.A.; Kontinen, V. Perioperative intravenous ketamine for acute postoperative pain in adults. *Cochrane Database Syst. Rev.* 2018, 12, CD012033
31. Sexton, C.E.; Sykara, K.; Karageorgiou, E.; Zitser, J.; Rosa, T.; Yaffe, K.; Leng, Y. Connections Between Insomnia and Cognitive Aging. *Neurosci. Bull.* 2020, 36, 77–84.
32. Aldecoa, C.; Bettelli, G.; Bilotta, F.; Sanders, R.D.; Audisio, R.; Borozdina, A.; Cherubini, A.; Jones, C.; Kehlet, H.; MacLulich, A.; et al. European Society of Anaesthesiology evidence-

- based and consensus-based guideline on postoperative delirium. *Eur. J. Anaesthesiol.* 2017, 34, 192–214.
33. Chee, N.I.Y.N.; Ghorbani, S.; Golkashani, H.A.; Leong, R.L.F.; Ong, J.L.; Chee, M.W.L. Multi-Night Validation of a Sleep Tracking Ring in Adolescents Compared with a Research Actigraph and Polysomnography. *Nat. Sci. Sleep* 2021, 13, 177–190
 34. Asgari Mehrabadi, M.; Azimi, I.; Sarhaddi, F.; Axelin, A.; Niela-Vilen, H.; Myllyntausta, S.; Stenholm, S.; Dutt, N.; Liljeberg, P.; Rahmani, A.M. Sleep Tracking of a Commercially Available Smart Ring and Smartwatch Against Medical-Grade Actigraphy in Everyday Settings: Instrument Validation Study. *JMIR Mhealth Uhealth* 2020, 8, e2046
 35. Allen RW, Burney CP, Davis A, Henkin J, Kelly J, Judd BG, Ivatury SJ. Deep sleep and beeps: sleep quality improvement project in general surgery patients. *Journal of the American College of Surgeons.* 2021 Jun 1;232(6):882-8.
 36. Woolf CJ. Central sensitization: implications for the diagnosis and treatment of pain. *Pain.* 2011 Mar;152(3 Suppl):S2-15.
 37. Rajpal S. Hobbs SL Nelson EL et al. The impact of preventative multimodal analgesia on postoperative opioid requirement and pain control in patients undergoing lumbar fusions. *Clin Spine Surg.* 2020; 33: E135-E140
 38. Steyaert A. Lavand’homme P. Prevention and treatment of chronic postsurgical pain: a narrative review. *Drugs.* 2018; 78: 339-354
 39. Lavand’homme P. Transition from acute to chronic pain after surgery. *Pain.* 2017; 158: S50-S54
 40. Sanchis MN. Lluch E. Nijs J. Struyf F. Kangasperko M The role of central sensitization in shoulder pain: a systematic literature review. *Semin Arthritis Rheum.* 2015; 44: 710-716
 41. Yunus BM. Editorial review (thematic issue: An update on central sensitivity syndromes and the issues of nosology and psychobiology). *Current rheumatology reviews.* 2015 Aug 1;11(2):70-85.
 42. Wu C., Raja S. Treatment of acute postoperative pain. *Lancet.* 2011; 377(9784): 2215–2225.
 43. Brennan F, Carr DB, Cousins M. Pain management: a fundamental human right. *Anesth Analg* 2007;105:205-21
 44. Højer Karlsen AP, Geisler A, Petersen PL, et al. Postoperative pain treatment after total hip arthroplasty: a systematic review. *Pain* 2015;156:8-30
 45. Pogatzki-Zahn E, Kutschar P, Nestler N, Osterbrink J. A prospective multicentre study to improve postoperative pain: identification of potentialities and problems. *PLoS One* 2015;10:e0143508

46. Idvall E, Hamrin E, Sjöström B, Unosson M. Patient and nurse assessment of quality of care in postoperative pain management. *Qual Saf Health Care* 2022;11:327-34.
47. Schwenkglens M, Gerbershagen HJ, Taylor RS, et al. Correlates of satisfaction with pain treatment in the acute postoperative period: results from the international PAIN OUT registry. *Pain* 2014;155:1401-11
48. Rakel BA, Blodgett NP, Bridget Zimmerman M, et al. Predictors of postoperative movement and resting pain following total knee replacement. *Pain* 2012;153:2192–203.
49. Radinovic K, Milan Z, Markovic-Denic L, et al. Predictors of severe pain in the immediate postoperative period in elderly patients following hip fracture surgery. *Injury* 2014;45:1246–50.
50. Robleda G, Sillero-Sillero A, Puig T, et al. Influence of preoperative emotional state on postoperative pain following orthopedic and trauma surgery. *Rev Lat Am Enfermagem* 2014;22:785-91.
51. Ip HY, Abrishami A, Peng PW, et al. Predictors of postoperative pain and analgesic consumption: a qualitative systematic review. *Anesthesiology* 2009;111:657–77.
52. 51. Chiang HL, Chia YY, Lin HS, et al. The Implications of Tobacco Smoking on Acute Postoperative Pain: A Prospective Observational Study. *Pain Res Manag* 2016;2016:1–7.
53. Giusti E.M. Lacerenza M. Manzoni G.M. Castelnovo G. Psychological and psychosocial predictors of chronic postsurgical pain: a systematic review and meta-analysis. *Pain*. 2021; 162: 10-30.
54. Chou R, Gordon DB, de Leon-Casasola OA, Rosenberg JM, Bickler S, Brennan T, Carter T, Cassidy CL, Chittenden EH, Degenhardt E, Griffith S. Management of Postoperative Pain: a clinical practice guideline from the American pain society, the American Society of Regional Anesthesia and Pain Medicine, and the American Society of Anesthesiologists' committee on regional anesthesia, executive committee, and administrative council. *The journal of pain*. 2016 Feb 1;17(2):131-57.
55. Papadomanolakis-Pakis N. Uhrbrand P. Haroutounian S. Nikolajsen L. Prognostic risk prediction models for chronic postsurgical pain in adults. *Pain*. 2021; 162: 2644-2657.
56. Montes A. Roca G. Cantillo J. Sabate S. Presurgical risk model for chronic postsurgical pain based on 6 clinical predictors: a prospective external validation. *Pain*. 2020; 161: 2611-2618
Schnabel A. Yahiaoui-Doktor M. Meissner W. Zahn P.K. Pogatzki-Zahn E.M. Predicting poor postoperative acute pain outcome in adults: an international, multicentre database analysis of risk factors in 50,005 patients. *Pain Rep*. 2020; 5: e831

საზარდულის თიაქარი და თიაქარპლასტიკა, როგორც რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევის მიზეზი მამაკაცებში (ლიტერატურის მიმოხილვა)

¹ელგუჯა არდია, დოქტორანტი,

¹თამაზ გვენეტაძე, პროფესორი,

²თეიმურაზ გორგოძე, ასოც. პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²თბილისის

ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.08>

აბსტრაქტი

საზარდულის თიაქარი ფართოდ გავრცელებულია ადამიანის პოპულაციაში და გვხვდება მამაკაცებში 27-43%-ში და ქალებში 3-6%-ში და ყველა სახის მუცლის წინა კედლის თიაქრის 80 %-ს წარმოადგენს. ჰერნიოპლასტიკა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ოპერაციაა ქირურგიაში. დღეს აქტიურად გამოიყენება დაუჭიმავე პროტეზირებადი ჰერნიოპლასტიკა ე.წ. „tension-free“. დღესდღეობით მთელ მსოფლიოში ყველაზე ხშირად საზარდულის თიაქრის მკურნალობაში გამოიყენება ლიხტენშტეინის მეთოდი. პროთეზირებადმა თიაქარპლასტიკამ წარმოშვა ახალი პრობლემები, როგორც არის თესლის გამომტანი მილის ობსტრუქცია, ობსტრუქციული აზოოსპერმია, ოლიგოსპერმია და მამაკაცებში უშვილობის განვითარება. ამიტომ საზარდულის თიაქრის მკურნალობაში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ეგრეთწოდებული იზოლაციური მეთოდები, რაც გულისხმობს ბაგირაკის ბადისაგან სრულ იზოლაციას. აღნიშნული ოპერაციული მეთოდი ერთდროულად არის მამაკაცებში როგორც უშვილობის, ასევე თიაქრის რეციდივის პრევენცია, ვინაიდან აღნიშნული მეთოდით იქმნება საზარდულის არხის სამშრიანი უკანა კედელი.

საკვანძო სიტყვები: საზარდულის თიაქარი, ჰერნიოპლასტიკა, მამაკაცის უნაყოფობა.

Inguinal hernia and hernioplasty as a cause of male reproductive system dysfunction (review of literature)

¹Elguja Ardia, PhD student

¹Tamaz Gvenetadze, Professor

²Teimuraz Gorgodze, Associate professor

¹David Aghmashenebeli University of Georgia, ²Tbilisi Humanitarian University

Abstract

Inguinal hernias are highly prevalent in human population with 27-43% of males and 3-6% of females being affected. It accounts for 80% of all abdominal hernias. Hernioplasty is one of the most commonly performed surgical procedures. Nowadays, tension-free hernioplasty is actively being used. Lichtenstein method of inguinal hernia treatment is the most commonly addressed technique worldwide. Prosthetic mesh hernioplasty has brought on adverse events like obstruction of vas deferens, obstructive azoospermia, oligospermia and development of infertility in male population. Lately, because of this reason, isolation methods of inguinal hernia treatment are becoming the preferred approach. It considers the total isolation of spermatic cord from the prosthetic mesh. The result is a decreased risk of male reproductive system complications as well as prevention of the relapse of the hernia itself, as the abovementioned technique provides the formation of three-layered posterior wall of the inguinal canal.

Keywords: inguinal hernia, hernioplasty, males infertility

საზარდულის თიაქრების მკურნალობის პრობლემა დღესდღეობით კვლავ რჩება აქტუალური [1].

თიაქარი უარყოფითად მოქმედებს ესთეტიკურ მდგომარეობაზე, აქვეითებს ცხოვრების ხარისხს, ზღუდავს პაციენტების შესაძლებლობებს. აღნიშნული პათოლოგიის ფართო გავრცელება შრომისუნარიანი ასაკისა და

მამრობითი სქესის პაციენტებში განსაზღვრავს მათ მაღალ სოციალურ-ეკონომიურ და რეპროდუქციულ მნიშვნელობას [2].

საზარდულის თიაქრები წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ დაავადებას, რომელიც მოიცავს მოსახლეობის 5-10% [3]. ადამიანის პოპულაციაში საზარდულის თიაქარი გვხვდება მამაკაცების 27-43%-ში და ქალების 3-6%-ში და ყველა სახის მუცლის წინა კედლის თიაქრის 80 %-ს წარმოადგენს [4]. ჰერნიოპლასტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ოპერაციას ქირურგიაში. ყოველწლიურად მსოფლიოში 20 მლნ-ზე მეტი საზარდულის თიაქარპლასტიკა ტარდება: აშშ-ში 700 ათასზე მეტი, ევროპაში - 1მლნ-მდე, რუსეთში - 200 ათასზე მეტი [1], საქართველოში 4000-მდე [5].

საზარდულის თიაქრის ქირურგიამ გადალახა ორი რევოლუცია: გასული საუკუნის 60-იან წლებში სინთეზური საპროთეზო მასალის დანერგვა და მე-20 საუკუნის ბოლოს მკურნალობის ენდოსკოპიური ტექნიკის გამოჩენა. თუმცა დღესდღეობით ცალსახა პასუხი კითხვაზე - ჰერნიოპლასტიკის რომელი მეთოდია უკეთესი, არ არსებობს.

საზარდულის თიაქრების მკურნალობაში პლასტიკის მეთოდების შერჩევის პრობლემა ამ დრომდე რჩება ღია და დღემდე გრძელდება ოპერაციული მკურნალობის ოპტიმალური მეთოდების ძიება. საზარდულის თიაქრების მკურნალობის მეთოდების ევოლუციის ფონზე გამოჩნდა, რომ ბადისებრი ალოტრანსპლანტანტების გამოყენებას აქვს უპირატესობა მკურნალობის მაღალი ეფექტურობის მისაღწევად და რეციდივების შესამცირებლად. საზარდულის თიაქრების დაუჭიმავი მეთოდებით პლასტიკას საკუთარი ქსოვილებით პლასტიკასთან შედარებით (დაჭიმვით პლასტიკა) აქვს უპირატესობები: სტაციონარში დაყოვნების პერიოდის შემცირება, უფრო დაბალი რეციდივების არსებობა, პოსტოპერაციული ტკივილის შემცირება. თანამედროვე ავტორების მონაცემებით, თიაქრების დაუჭიმავი მეთოდით პლასტიკისას რეციდივების სიხშირე შემცირებულია 0,5-5%-მდე [6,7].

საზარდულის თიაქარპლასტიკის დროს სინთეზური საპროტეზო მასალის გამოყენების უპირატესობები დადასტურებულია მრავალი კვლევით

Cochrane - ის მიმოხილვაში, რომელიც მოიცავს 25 კარგი ხარისხის რანდომიზებულ კლინიკურ კვლევას [8].

სინთეზური საპროთეზო მასალის გამოყენება საზარდულის თიაქარპლასტიკის დროს არის უალტერნატივო და დისკუსიის საკითხს უფრო მეტად წარმოადგენს ოპერაციის მეთოდის (ღია თუ ლაპაროსკოპიული) და პროთეზის ფიქსაციის მეთოდების შერჩევა [4].

ღია ჰერნიოპლასტიკის კლასიკურ მეთოდს წარმოადგენს ჰერნიოპლასტიკა ლიხტენშტეინის მიხედვით, პოლიპროპილენის ბადის გამოყენებით [9]. 1989 წელს, ამ მეთოდის დანერგვიდან შემუშავებულ იქნა საპროთეზო მასალით საზარდულის თიაქარპლასტიკის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ აჩვენა მნიშვნელოვანი უპირატესობები ამ მეთოდთან მიმართებაში, ამიტომ დღესდღეობით საზარდულის თიაქარპლასტიკის „ოქროს სტანდარტად“ არის მიჩნეული თიაქარპლასტიკა ლიხტენშტეინის მეთოდით [10].

ერთმხრივ ქირურგიული გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, დაუჭიმავე მეთოდების გამოყენებისას თიაქარპლასტიკის დროს, ექიმებმა შეამჩნიეს, რომ საპროთეზო მასალის გამოყენებისას ზოგჯერ შეინიშნებოდა ისეთი სახის გართულებები, როგორცაა: ფისტულები, ინფიცირება, ტკივილის შეგრძნება და პარესთეზიები სკროტუმის მიმდებარედ [6].

მონაცემები საზარდულის თიაქრის მკურნალობის ეფექტის შესახებ მამაკაცის ნაყოფიერებაზე მწირია. სპეციალისტებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საერთო აზრი საზარდულის თიაქრის სპერმატოგენეზზე ზემოქმედების შესახებ [11]. გარდა ამისა, თესლგამომტანი სადინრის ობსტრუქცია, როგორც ერთ-ერთი გართულება თიაქრპლასტიკის შემდეგ, შეიძლება იყოს უსიმპტომო და მოკლევადიანი ან გამოვლინდეს გვიან პოსტოპერაციულ პერიოდში, როდესაც პაციენტი უკვე აღარაა ქირურგის მეთვალყურეობის ქვეშ.

საზარდულის თიაქრების დროს თიაქრის პარკი და მისი შიგთავსი ახდენს ზეწოლას სათესლე ბაგირაკზე, რაც უარყოფითად მოქმედებს მის

ანატომიურ სტრუქტურებზე. ამავდროულად მაშინვე ვითარდება რამდენიმე პათოგენეტიკური მექანიზმი [12].

ერთის მხრივ, არტერიაზე ზეწოლას, რომელიც სათესლე ჯირკვალს ამარაგებს სისხლით, მიყვავართ სათესლე ჯირკვლის ქრონიკულ იშემიამდე, შემდგომში მისი ატროფიითა და ფუნქციის დარღვევით [13]. განვითარებულ იშემიას მიყვავართ გერმინანტული ეპითელიუმის დაზიანებამდე ჰორმონოპროდუქციის დაქვეითებით, სისხლძარღვოვანი შეღწევადობის დაქვეითებამდე და სპერმატოგენული უჯრედების დესტრუქციამდე [14,15].

მეორეს მხრივ, ვენოზური გადინების დაქვეითება იწვევს ვენოზურ სტაზს, რომელიც ფაქტობრივად ხდება უფრო სერიოზული პათოლოგიის მიზეზი, როგორცაა მამაკაცის უშვილობა [16]. გარდა ამისა, ჯირკვალში ვენურის სტაზი იწვევს მასში თერმორეგულაციის დარღვევას. ცნობილია, რომ სათესლე ჯირკვალში ტემპერატურის მომატება დამლუპველად მოქმედებს გერმინანტულ ფუნქციაზე: ვითარდება ჯანმრთელი უჯრედების დეგენერაცია და სპერმატოგენეზის დარღვევა.

ნაწილი ავტორებისა თვლის, რომ ჰერნიოპლასტიკის დროს არის სათესლე ჯირკვლის დაზიანების რისკი (0,5%), რომელსაც მიყვავართ მის ატროფიამდე [17]. ეს რისკი 5%-მდე იზრდება, რეკონსტრუქციული ოპერაციის დროს რეციდიული თიაქრის შემთხვევაში. იშემიური ორქიტი და ტესტიკულური ატროფია ვითარდება შედარებით ხშირად, როცა ადგილი აქვს საზარდულის არხის ფართე გახსნას, სათესლე ბაგირაკისა და სათესლე ჯირკვლის მობილიზაციას, რომელიც ვითარდება დიდი ზომის თიაქრების ოპერაციის დროს [18]. ასევე, არსებობს მონაცემები, რომ პაციენტებს, რომლებმაც გადაიტანეს საზარდულის თიაქარპლასტიკა, შეიძლება აღენიშნებოდეთ თესლგამომტანი მილის ობსტრუქცია (0,3%). თესლგამომტანი მილის ცალმხრივი ობსტრუქცია საზარდულის თიაქარპლასტიკის შემდეგ დაფიქსირდა უნაყოფო პაციენტების 6,65-26,7%-ში [18]. არსებობს მოსაზრება სპერმატოგენეზზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, როგორც თიაქარმტარებლებში, ასევე თიაქრის გამო ქირუგიული ჩარევების შედეგად [19]. როგორც ცნობილია, საზარდულის თიაქრის ხანგრძლივ არსებობას

რეპროდუქციული ასაკის მამაკაცებში მიყვავართ სპერამტოგენეზის დარღვევამდე [12].

X. Chen et al. ახორციელებენ ობსტრუქციული უნაყოფობის მკურნალობას მამაკაცებში. 5 წლის მუშაობის პერიოდში მათ მიმართა 62-მა პაციენტმა ობსტრუქციული აზოოსპერმიით, რომლის მიზეზი იყო საზარდულის თიაქარპლასტიკა ბავშვობის ასაკში [20]. მამაკაცების დაახლოებით 7,2% -ს ობსტრუქციული აზოოსპერმიით, აქვთ ანამნეზში თესლგამომტანი მილის იატროგენული დაზიანება. ამავე დროს მამაკაცების 88%-ის მიზეზი არის საზარდულის თიაქრების ქირურგიული მკურნალობა. T. Mastuda et al. მონაცემების მიხედვით, მამაკაცებში გერმინატული ფუნქციის დარღვევითა და თიაქარკვეთით ბავშვთა ასაკში, თესლგამომტანი სადინრის ობსტრუქცია 26,7% შემთხვევაში გვხვდება [21].

O. Bouchot et al. მონაცემების მიხედვით, თესლგამომტანი სადინრის ობსტრუქცია დაჭიმვის გარეშე ჰერნიოპლასტიკის შემდეგ გვხვდება შემთხვევათა 0,3-7,2%-ში [22]. იაკონელმა მეცნიერებმა აღწერეს ობსტრუქციული აზოოსპერმიის კლინიკური შემთხვევა, რომელიც განვითარდა 30 წლის პაციენტის ორმხრივი საზარდულის თიაქარპლასტიკიდან 5 წლის შემდეგ [23].

შვედეთში ჩატარებული (n=34267) ათწლიანი ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მამაკაცების მხოლოდ 0.7%-ს უვითარდება მამაკაცის უნაყოფობა ცალმხრივი საზარდულის თიაქრის შემდეგ [24]. თუმცა, ავტორები აღიარებენ, რომ პაციენტებს ორმხრივი საზარდულის თიაქრით, ეზრდება უნაყოფობის განვითარების რისკი თითქმის 5-ჯერ [24].

M. Khodari et al. მონაცემების მიხედვით, საზარდულის თიაქარპლასტიკა საპროთეზო მასალის გამოყენებით არის ობსტრუქციული აზოოსპერმიის მიზეზი შემთხვევების 7.8%-ში [25]. L. Maciel აზრით, საზარდულის თიაქარი არის ოპერაცია, რომელიც წარმოადგენს თესლგამომტანი სადინრის იატროგენული დაზიანებების პოტენციურ რისკს, განსაკუთრებით მორეციდივე თიაქრის დროს [26].

მამაკაცებში 18 დან 37 წლამდე, საზარდულის თიაქარპლასტიკის შემდგომი შორეული შედეგების შესწავლისას, რომლების იმყოფებოდნენ ორი და

მეტი წელი უშვილო ქორწინებაში, 76,8%-ში გამოვლენილი იქნა ცვლილებები სპერმოგრამის მაჩვენებლებში. ამასთანავე მცირდებოდა სპერმატოზოიდების რაოდენობა და მათი მოძრაობა. პაციენტების 13%-ს ანამნეზში ქონდა ორმხრივი თიაქარი, დანარჩენ შემთხვევებში - ცალმხრივი. მამაკაცების 70%-ს ქონდა ჩატარებული ოპერაცია 9 წლამდე ასაკში, მათგან 12%-ში ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში გამოვლინდა სკროტუმისა და სათესლე ჯირკვლის შეშუპება, 33,7%-ში ეაკულაციის დარღვევა [26].

ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე არსებობს საკმარისი ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევები, რომლებიც აღწერენ სპერმატოგენეზის გაუარესებას საზარდულის მიდამოში ოპერაციების შემდეგ.

C.Peiper et al. შეასრულეს ტრანსინგინალური ტრანსპერიტონეალური ინპლანტაცია პოლიპროპილენის ბადის 15 მოზრდილ მამრ ღორსა და კურდღელში. თავდაპირველად ავტორები აფასებდნენ სათესლე ჯირკვალის ზომას, მის ტემპერატურას, ბაგირაკში პერფუზიას. შემდგომში ტარდებოდა სპერმატოგენეზის ჰისტოლოგიური შეფასება ჯონსონის ათბალიანი სისტემის მიხედვით. 3 თვის შემდეგ მკვლევარები აკვირდებოდნენ უცხო სხეულის ტიპიურ რეაქციას ბადესა და მის ირგვლივ მდებარე ქსოვილებს შორის, სათესლე ჯირკვლის ტემპერატურის შემცირებას, არტერიული პერფუზიის ცვლილებებს და სპერმატოგენეზის გაუარესებას: ლიხტენშტეინის ტიპის ოპერაციის დროს - 48,1%-ით, შოულდაისის მეთოდით პლასტიკის დროს - 63,8%-ით. თავიანთი გამოკვლევების საფუძველზე ავტორებმა გააკეთეს დასკვნები, რომ საზარდულის მიდამოში პოლიპროპილენის ბადის ინპლანტაცია იწვევს სათესლე ბაგირაკის სტრუქტურების საპასუხო რეაქციას და ეს პროცესები აუარესებენ სპერმატოგენეზს [27].

მკვლევარებმა შეაფასეს ცვლილებები თესლგამომტან სადინარში, სათესლე ჯირკვლის დანამატსა და სათესლე ჯირკვალში, სათესლე ბაგირაკზე პოლიპროპილენის ბადის ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ ვირთხებში. ამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მცირე პერიოდით, მაგალითად ქირურგიული პინცეტით რამდენიმე წამით სათესლე ბაგირაკის ფიქსაცია საკმარისია ანთებითი რეაქციის გამოსაწვევად სათესლე ბაგირაკში, რომელიც იწვევს მისი სანათურის შევიწროებას.

საზარდულის არხის უკანა კედლის პოლიპროპილენის ბადით გამაგრების შემდეგ, თესლგამომტანი სადინრის სისქე მცირდება 0.177 მმ-მდე 90 დღის შემდეგ და 0.099 მმ-მდე 120 დღის შემდეგ. საკონტროლო ჯგუფში ductus deferens -ის დიამეტრმა შეადგინა 0.298 მმ ($p < 0.05$) [18]. ამ კვლევის განსაკუთრებულობას განსაზღვრავდა რეპროდუქციული ორგანოს შეფასება ოპერაციიდან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.

Н.Г.Кульченко-ს მიერ შესწავლილ იქნა მორფოლოგიური ცვლილებები სათესლე ჯირკვალში ექსპერიმენტში მოდელირებული საზარდულის თიაქარპლასტიკის შემდეგ. კვლევაში ჩართული იყო 20 მამრი კურდღელი ასაკით 120 დღის, წონით $3,8 \pm 0,9$ კგ. სპერმატოგენეზის მორფოლოგიური შეფასება ჩატარდა 40 დღის შემდეგ. კვლევამ აჩვენა, რომ მოდელირებადი საზარდულის თიაქარპლასტიკიდან 1,5 თვის შემდეგ კლაკნილი მილაკების დიამეტრი 12,3%-ით უფრო ნაკლები იყო საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ($p < 0.05$). ხოლო კლაკნილი სათესლე მილაკების სპერმატოგენული ეპითელიუმის სისქე 28,1%-ით უფრო ნაკლები საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ($p < 0.05$) [28].

K. Junge et al. შეადარეს ერთმანეთს მოქმედების ეფექტი მსუბუქ ნახევრადგაწოვად პოლიპროპილენის ბადესა (UltraPro) და შედარებით მძიმე პოლიპროპილენის ბადეს (Prolene) შორის. მოდელირებადი ჰერნიოპლასტიკიდან 6 თვის შემდეგ იქნა შეფასებული თესლგამომტანი სადინრის სანათურის შევიწროების სიხშირე, რომელმაც შეადგინა 75%-ზე მეტი, ქსოვილების ბადესთან შეხებაში მყოფ ადგილებში. კვლევამ აჩვენა, რომ კურდღლებში ობსტრუქცია ვითარდებოდა 2 ჯერ უფრო ხშირად Prolene -ის ბადის გამოყენების შემთხვევაში UltraPro-სთან შედარებით (50% და 22,2% შესაბამისად). გარდა ამისა UltraPro-ს ბადე უფრო ნაკლები ანთებითი გრანულომების წარმოქმნას იწვევდა [29].

უნდა აღინიშნოს, რომ კლინიკურ კვლევებში, მეტა-ანალიზზე დაყრდნობით, რომელიც ჩაატარეს M. S. Sajid-მა და C. Zhong-მა, მსუბუქი და მძიმე ბადეების გამოყენების შემდეგ ოპერაციის შემდგომი სათესლე ჯირკვლის ატროფიის გავრცელება არ განსხვავდება [8,10].

ლიხტენშტეინის მეთოდმა, საზარდულის თიაქრების მკურნალობაში რევოლუციური გადატრიალება მოახდინა. მაგრამ ამ მეთოდს თან ახლავს

სერიოზული გართულებები, ამაზე ბოლო წლების პუბლიკაციები მეტყველებს. ასეთ გართულებებს მიეკუთვნება ბაგირაკში ფიბროზული ცვლილებების განვითარება, დეზეაკულაცია, ობსტრუქციული აზოოსპერმია, ოლიგოსპერმია. აღნიშნული გართულებები დამტკიცებულია ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევებით, განპირობებულია ბაგირაკის მჭიდრო კონტაქტით ბადესთან და წარმოადგენს მამაკაცებში უშვილობის ხელშემწყობ პირობებს [27,30]. ამიტომ საზარდულის თიაქრის მკურნალობაში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ეგრეთწოდებული იზოლაციური მეთოდები, რაც ბაგირაკის ბადისაგან სრულ იზოლაციას გულისხმობს. ეს მამაკაცებში უშვილობის პრევენციის გზაა [31].

გვენეტაძის მიერ მოწოდებული *tenzion – free* იზოლაციური ჰერნიოპლასტიკა არის მარტივი, წარმოადგენს მამაკაცებში უშვილობის პრევენციას, ნაჩვენებია ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით რეპროდუქციულ ასაკში და ორმხრივი საზარდულის თიაქრების დროს. აღნიშნული ოპერაციული მეთოდი ერთდროულად არის როგორც მამაკაცებში უშვილობის, ასევე თიაქრის რეციდივის პრევენცია [32,33].

ჩატარდა კვლევა, რომლის ობიექტი იყო 215 პაციენტი, რომელთაც აღნიშნებოდათ საზარდულის ორმხრივი თიაქარი და იყვნენ რეპროდუქციულ ასაკში. პაციენტები გაიყო ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი: 66 პაციენტი (30,6%), რომელთაც თიაქარპლასტიკა გაუკეთდათ ლიხტენშტეინის მეთოდით. მეორე ჯგუფი 149 პაციენტი (69,4%), რომელთაც გაუკეთდა ჰერნიოპლასტიკა ბაგირაკის სრული იზოლაციით თ.გვენეტაძის მეთოდით .ორივე ჯგუფში ჩატარდა სპერმოციტოლოგიური კვლევა ოპერაციამდე 2 დღით ადრე და ოპერაციიდან 30 დღის და 6 თვის შემდეგ. სპერმომორფოლოგიური ცვლილებები, ოლიგოსპერმია ოპერაციის შემდეგ აღინიშნა მხოლოდ პირველ ჯგუფში ($p<0.01$), მეორე ჯგუფში ცვლილებები არ დაფიქსირდა და 58 პაციენტს ოპერაციის შემდეგ ეყოლათ შვილები [12].

თ.გვენეტაძის კვლევის თანახმად, ლიხტენშტეინის მეთოდით პლასტიკის შემდეგ გამოვლინდა სპერმატოზოიდების რაოდენობის შემცირება 30-35%-ით [12].

ზოგიერთი ქირურგი ვარაუდობს, რომ პოლიპროპილენის ბადე, რომელიც გამოიყენება საზარდულის არხის უკანა კედლის პლასტიკისთვის, ამაგრებს მუცლის წინა კედელს და აყალიბებს ახალ საზარდულის შიდა რგოლს [27]. თუმცა, პოლიპროპილენის ბადე იწვევს უცხო სხეულის რეაქციას, მაკროფაგების გააქტიურებას, რასაც მოჰყვება მკვრივი ნაწიბუროვანი ქსოვილის წარმოქმნა საზარდულის არხის უკანა კედელში. ეს, რა თქმა უნდა, ამცირებს თიაქრის რეციდივის რისკს, მაგრამ ფიბროზის განვითარება გავლენას ახდენს მიმდებარე რბილ ქსოვილებზე, მათ შორის თესლგამომტან სადინარზე, ობსტრუქციული უნაყოფობის შემდგომი განვითარებით. პოლიპროპილენის ბადის მდებარეობა თესლგამომტან სადინართან ახლოს იწვევს მასში ანთებით პროცესს და ფიბროზის განვითარებას [28,18].

იტალიელი მეცნიერების აზრით, საზარდულის ლაპაროსკოპიული თიაქარპლასტიკების მეთოდების ფართო გავრცელებამ გაზარდა სათესლე ბაგირაკის სტრუქტურების დაზიანების რისკი და უნაყოფობის განვითარება ახალგაზრდა ასაკის პაციენტებში [34].

შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა თიაქარპლასტიკის გავლენას მამაკაცის რეპროდუქტიულ ფუნქციაზე, 18-40 წლის ასაკში, საზარდულის თიაქრით, გამოავლინა, რომ 4 დან 12 თვის შემდეგ, პაციენტებში ღია დაჭიმვადი ჰერნიოპლასტიკის შემდეგ ვლინდება სპერმატოზოიდების რიცხვის შემცირება და მათი მოძრაობის დაქვეითება ($p<0.05$). საზარდულის თიაქრის ქირურგიული მკურნალობის დაუჭიმავი მეთოდის გამოყენებაც - ლიხტენშტეინის მეთოდი, აუარესებს ეაკულანტის მაჩვენებელს 15%-ით, ამავდროულად პათოსპერმია ნარჩუნდებოდა მთელი დაკვირვების განმავლობაში ($p<0.05$). ლაპაროსკოპიული მეთოდების გამოყენება პრაქტიკულად არ აუარესებს სპერმატოგენეზის მაჩვენებელს [35].

დაჭიმვის გარეშე თიაქარპლასტიკის მეთოდების უმრავლესობის შემთხვევაში ადგილი აქვს საპროთეზო მასალის მჭიდრო კონტაქტს სათესლე ბაგირაკთან და მის ელემენტებთან. Chen X. F.-ის და თანაავტორების მიხედვით თესლგამომტანი სადინრის ობსტრუქციამ შეიძლება მიაღწიოს 26,7%-ს უნაყოფო

მამაკაცებში, რომლებსაც ბავშვობაში ჩაუტარდათ საზარდულის თიაქარპლასტიკა [20].

D. Shin et al. აღწერეს 14 აზოოსპერმიის შემთხვევა პაციენტებში, რომლებსაც ჩაუტარდა საზარდულის არხის თიაქარპლასტიკა ლიხტენშტეინის მეთოდით და მივიდნენ დასკვნამდე, რომ უნაყოფობა იყო გამოწვეული პოლიპროპილენის ბადის გამოყენების შედეგად, რომელთაც აქვს თესლგამომტანი სადინრის ობსტრუქციის უნარი [36]. მოგვიანებით L.Wang - მა დააფიქსირა, რომ 11 აზოოსპერმიის შემთხვევიდან, 7 პაციენტში მისი განვითარების მიზეზი იყო ორმხრივი საზარდულის თიაქარპლასტიკა [37].

ამრიგად, თანამედროვე ლიტერატურული მონაცემების ანალიზი ავლენს განსხვავებულ მოსაზრებებს საპროთეზო მასალით საზარდულის ჰერნიოპლასტიკის ზეგავლენას მამაკაცის ჯანმრთელობაზე, მის ზეგავლენას ფერტილობაზე. ნაწილი ავტორებისა ნათლად მიუთითებს საპროთეზო მასალით საზარდულის თიაქარპლასტიკის კავშირს მამაკაცის უნაყოფობასთან, ნაწილი ამ ჰიპოთეზას არ ეთანხმება.

ბოლო წლებში თანამედროვე ქირურგიაში მიმდინარეობს აქტიური დისკუსია თანამედროვე ჰერნიოლოგიის მიღწევების გათვალისწინებით, თემაზე - რომელი მეთოდით ვაწარმოთ ოპერაცია რეპროდუქციული ასაკის მამაკაცებში, რომელიც გავლენას არ მოახდენს მამაკაცების სქესობრივ ფუნქციაზე, სპერმატოგენეზზე და იქნება უშვილობის პრევენციის ოპტიმალური გზა. საზარდულის თიაქარის მკურნალობაში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ეგრეთწოდებული იზოლაციური მეთოდები, რაც გულისხმობს ბაგირაკის ბადისაგან სრულ იზოლაციას. აღნიშნული ოპერაციული მეთოდი ერთდროულად არის როგორც მამაკაცებში უშვილობის, ასევე თიაქარის რეციდივის პრევენცია. მიუხედავად უამრავი თიაქარპლასტიკის მეთოდებისა, ფერტილობის პროფილაქტიკის პრობლემა ჯერ კიდევ რჩება საკამათო და მოსაგვარებელი, რაც განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

ლიტერატურა

1. Магомедов ММ, Иманалиев МР, Исмаилов ГМ, Абдулаев УМ, Магомедбеков РЭ. Оценка результатов различных способов протезирующей герниопластики и критерии прогнозирования развития ранних послеоперационных осложнений. Вестник новых медицинских технологий. 2016;23(4).
2. Gorgodze T, Gvenetadze T, Ugrehelidze A, Taboridze I. Evaluation of quality of life after inguinal hernia repair. Black Sea Scientific Journal of Academic Research. 2019;44(1):57-60
3. Celik AS, Memmi N, Celebi F, Guzey D, Celik A, Kaplan R, Oncu M. Impact of slit and nonslit mesh technique on testicular perfusion and volume in the early and late postoperative period of the totally extraperitoneal preperitoneal technique in patients with inguinal hernia. The American journal of surgery. 2009 Aug 1;198(2):287-91.
4. Ramshorst GH, HS Group. International guidelines for groin hernia management [J]. Hernia. 2018;22(1):1-65.
5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. 2021წ. 17 ნომბ. #06/4914
6. Крайнюков ПЕ, Скоробогатов ВМ, Черных ВГ, Кулюшина ЕА, Бондарева НВ. Способ комбинированной аллопластики при косой паховой грыже. Вестник Национального медико-хирургического центра им. НИ Пирогова. 2017;12(4-2).
7. Lorenz R, Arlt G, Conze J, Fortelny R, Gorjanc J, Koch A, Morrison J, Oprea V, Campanelli G. Shouldice standard 2020: review of the current literature and results of an international consensus meeting. Hernia. 2021 Jan 27:1-9
8. Lockhart K, Dunn D, Teo S, Ng JY, Dhillon M, Teo E, van Driel ML. Mesh versus non-mesh for inguinal and femoral hernia repair. Cochrane Database of Systematic Reviews. 2018(9)
9. ჩართოლანი თ. ღია და ლაპაროსკოპიული პროთეზირებადი თიაქარპლასტიკა. 2009წ ნომბ. გვ. 35-36.

10. Reinpold W, Chen D. Evidence-based Lichtenstein technique. *Der Chirurg; Zeitschrift für Alle Gebiete der Operativen Medizin*. 2017 Apr 1;88(4):296-302
11. Протасов АВ, Кульченко НГ, Виноградов ИВ. Ассоциация ненатяжной паховой герниопластики и патоспермии у мужчин репродуктивного возраста. *Хирургия. Журнал им. НИ Пирогова*. 2020(10):44-8.
12. Гвенетадзе ТК, Гиоргобиани ГТ, Арчвадзе ВШ, Гулбани ЛО. Профилактика развития мужского бесплодия после различных способов паховой герниопластики с использованием сетчатого эксплантата. *Новости хирургии*. 2014;22(3).
13. Десяткин ВБ, Павленко ВВ, Старченков СБ, Ооржак ОВ, Подтяжкина ТА. Результаты лечения больных с паховыми грыжами различными способами пластики. *Медицина в Кузбассе*. 2010(3).
14. Акрамов НР, Омаров ТИ, Гимадеева ЛР, Галлямова АИ. Репродуктивный статус мужчин после классической герниопластики, выполненной в детском возрасте при паховой грыже. *Казанский медицинский журнал*. 2014;95(1).
15. Valenti G, Baldassarre E. Vasal obstruction after hernioplasty: the importance of surgical strategy in preventing azoospermia. *Annals of surgery*. 2006 Jul;244(1):160
16. Štula I, Družijanić N, Sapunar A, Perko Z, Bošnjak N, Kraljević D. Antisperm antibodies and testicular blood flow after inguinal hernia mesh repair. *Surgical endoscopy*. 2014 Dec;28(12):3413-20
17. Zollinger RM. Testicular atrophy—fate or technique. *Hernia*. 2009;1(13):24
18. Maciel LC, Glina S, Palma PC, Costa NF, Netto Jr NR. Histopathological alterations of the vas deferens in rats exposed to polypropylene mesh. *BJU international*. 2007 Jul;100(1):187-90
19. Собенников ИС, Жиборев БН, Котанс СЯ, Черенков АА. Диагностика и лечение мужского бесплодия у больных распространённой патологией гениталий и паховой области. *Российский медико-биологический вестник имени академика ИП Павлова*. 2017;25(3)

20. Chen XF, Wang HX, Liu YD, Sun K, Zhou LX, Huang YR, Li Z, Ping P. Clinical features and therapeutic strategies of obstructive azoospermia in patients treated by bilateral inguinal hernia repair in childhood. *Asian journal of andrology*. 2014 Sep;16(5):745.
21. Matsuda T. Diagnosis and treatment of post-herniorrhaphy vas deferens obstruction. *International Journal of Urology*. 2000 May;7:35-8
22. Bouchot O, Branchereau J, Perrouin-Verbe MA. Influence of inguinal hernia repair on male fertility. *Journal of visceral surgery*. 2018 Jun 1;155:S37-40
23. Yamaguchi K, Ishikawa T, Nakano Y, Kondo Y, Shiotani M, Fujisawa M. Rapidly progressing, late-onset obstructive azoospermia linked to herniorrhaphy with mesh. *Fertility and sterility*. 2008 Nov 1;90(5):2018-e5
24. Hallén M, Westerdahl J, Nordin P, Gunnarsson U, Sandblom G. Mesh hernia repair and male infertility: a retrospective register study. *Surgery*. 2012 Jan 1;151(1):94-8.
25. Ramadan SU, Gokharman D, Tuncbilek I, Ozer H, Kosar P, Kacar M, Temel S, Kosar U. Does the presence of a mesh have an effect on the testicular blood flow after surgical repair of indirect inguinal hernia?. *Journal of Clinical Ultrasound*. 2009 Feb;37(2):78-81.
26. Лельчук СА, Антоненко ФФ. Причины мужского бесплодия. *Андрология и генитальная хирургия*. 2009;10(2):95-1
27. Peiper C, Junge K, Klinge U, Strehlau E, Öttinger A, Schumpelick V. Is there a risk of infertility after inguinal mesh repair? Experimental studies in the pig and the rabbit. *Hernia*. 2006 Mar;10(1):7-12
28. Кульченко НГ. Морфологические изменения в яичке после моделирования пластики паховой грыжи в эксперименте. *Research'n Practical Medicine Journal*. 2021;8(3):62-9
29. Junge K, Binnebösel M, Rosch R, Öttinger A, Stumpf M, Mühlenbruch G, Schumpelick V, Klinge U. Influence of mesh materials on the integrity of the vas deferens following Lichtenstein hernioplasty: an experimental model. *Hernia*. 2008 Dec;12(6):621-6
30. Skawran S, Schmits B, Weghe D. Obstructive azoospermia after bilateral endoscopic total extraperitoneal inguinal hernia repair-the role of surgeon. *Hernia*. 2009;1(13):25

31. Gventadze T., Giorgobiani G., Gagnidze T., Kingsnorth A, Spermatic cord Isolation from a mesh avoids male infertility., 3rd International Hernia Congress., Boston. USA, June 7-11, 2006, p224
32. გვენეტაძე თ., ჩხაიძე ზ., თუზბაია ზ., არჩვაძე ვ., ცხვედაძე ა. დაუჭიმავი იზოლაციური მეთოდი საზარდულის თიაქრის მკურნალობაში. თანამედროვე მედიცინა. N 16 მაისი-ივნისი 2010
33. Gvenetadze T, Method of spermatic cord protection; The World Journal of Hernia and Abdominal Wall Surgery, 35 th international congress of the European hernia society, Gdansk, Poland, May 12-15, 2013; Springer; Hernia (2013) 17 (Suppl 2):S32
34. Gulino G, Antonucci M, Palermo G, Sasso F, Tienforti D, D'Addressi A, Bassi PF. Urological complications following inguinal hernioplasty. Archivio italiano di urologia, andrologia: organo ufficiale [di] Societa italiana di ecografia urologica e nefrologica. 2012 Sep 1;84(3):105-10
35. Melwani R, Malik SJ, Arija D, Sial I, Bajaj AK, Anwar A, Hashmi AA. Body Mass Index and Inguinal Hernia: An Observational Study Focusing on the Association of Inguinal Hernia With Body Mass Index. Cureus. 2020 Nov;12(11)
36. Shin D, Lipshultz LI, Goldstein M, Barmé GA, Fuchs EF, Nagler HM, McCallum SW, Niederberger CS, Schoor RA, Brugh III VM, Honig SC. Herniorrhaphy with polypropylene mesh causing inguinal vasal obstruction: a preventable cause of obstructive azoospermia. Annals of surgery. 2005 Apr;241(4):553
37. Wang L, Liu ZY, Piao SG, Xu CL, Hou JG, Gao X, Sun YH. Surgical treatment of azoospermia caused by iatrogenic injury to bilateral vas deferens. Zhonghua nan ke xue= National Journal of Andrology. 2016 Jul 1;22(7):626-9

ეპიდემიოლოგიური და დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორც რისკ-ფაქტორები
საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის ეტიო-პათოგენეზში.

¹მინდია იობაშვილი, დოქტორანტი

³ირმა ჯიქია, ასოცირებული პროფესორი

²თამარ გოგია, ასოცირებული პროფესორი

¹ლალი ბექაური, ასოცირებული პროფესორი

³მაკა ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი

⁵მარინა ფაილოძე, პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²თბილისის
სამედიცინო აკადემია, ³ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ⁴კ.ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრი

DOI:<https://doi.org/10.52340/spectri.2022.23>

აბსტრაქტი

საშვილოსნოს ტანის ლეიომიომა ქალის გენიტალური სისტემის
დაავადებათა შორის ყველაზე ხშირი კეთილთვისებიანი სიმსივნეა. მრავალი რისკ-
ფაქტორი ასოცირდება ლეიომიომის განვითარებასთან: ბიოლოგიური,
დემოგრაფიული, რეპროდუქციული, ცხოვრების წესი და ა.შ. სადღეისოდ
გამოვლენილია რისკ-ფაქტორების 30 –ზე მეტი კატეგორია.

ეპიდემიოლოგიური და დემოგრაფიული რისკ-ფაქტორების
მრავალფეროვნებიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმსივნის ჭეშმარიტი
სიხშირე და გავრცელება, მისი გლობალური გავლენა ქალის ჯანმრთელობაზე და
სავარაუდო რისკ-ფაქტორების როლი ამჟამად აქტუალურია და განხილვის საგანია.
ლეიომიომის სიხშირისა და გავრცელების აღსაწერად მნიშვნელოვანია ყოვლის
მომცველი გამოკვლევა და ეპიდემიოლოგიური ტენდენციების შესწავლა.

საკვანძო სიტყვები: ლეიომიომა, სიხშირე, რისკ-ფაქტორები

Retrospective analysis of patients' operative material during reproductive period with leiomyoma.

1 Mindia Iobashvili, PhD student

3 Irma Jikia, Associate Professor

2 Tamar Gogia, Associate Professor

1 Lali Bekauri, Associate Professor

3 Maka Jorbenadze, Associate Professor

5 Marina Phailodze, Professor

¹ David Aghmashenebeli University of Georgia, ² Tbilisi Medical Academy, ³Ivane Javakhishvili Tbilisi State University, ⁴National Surgery Center K. Eristavi.

Abstract

Leiomyoma is known to be a benign tumor of unknown etiology of the uterus. It is most common in women of reproductive age with a cumulative frequency of 5.4% to 77.0%, and 80.0% of them suffer from this problem throughout their lives. However, some authors question the binding role of estrogen-progesterone in the growth of leiomyoma. However, due to the ineffectiveness of conservative treatment of leiomyoma, surgical intervention is still an effective method of curing the patient. There are no means of complete regression and prevention of this pathology.

The aim of our study was retrospective analysis of operative material of patients of reproductive period with leukemia of the uterine body. Patients in both groups were divided into 40-year-olds and 41-50-year-olds according to age. The obtained results were processed using SPSS-21 software package of mathematical statistics. Pearson x² criterion was used to test the reliability.

Comparison of retrospective analysis of archival material revealed: 1. A sharp increase in the incidence of intramural leiomyoma of the uterine body, due to many factors: social, ecological, stressful conditions, the introduction of modern diagnostic methods in practice.

2. Proliferative, recurrent and latent leiomyomas are characterized by histostructural features.

3. The process of growth of leiomyoma nodes is determined by the active products of the extracellular matrix, which leads to an increase in their size and does not depend on the histostructure, localization, number and size of the nodes

4. Extracellular matrix products are important not only in terms of leiomyoma growth, but it is also likely to be among the factors that limit the free uncontrolled spread of tumor proliferation in the uterine body muscle and inhibit the assimilation process. This is confirmed by the absence of malignancy.

5. Retrospective analysis of the material provides the basis for the search for molecular mechanisms of leiomyoma development. The results obtained will be important for the selection of drug treatment in terms of inhibition of myocyte proliferative processes, expression of growth factors and activation of apoptosis.

Keywords: leiomyoma, frequency, risk factors

საშვილოსნოს ტანის ლეიომიომა ქალის გენიტალური სისტემის დაავადებათა შორის ყველაზე ხშირი კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს გენერაციულ ფუნქციაზე და მუდმივი სისხლდენების გამო განვითარებული ჰიპოქსიის, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ეპიზოდებით, საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობას და მის შრომისუნარიანობას. მიომეტრიუმის ამგვარი დაზიანება ვითარდება სპეციფიკური ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პირობების ფონზე ლეიომიოციტების ტრანსფორმაციის შედეგად [1].

მრავალი რისკ-ფაქტორი ასოცირდება ლეიომიომის განვითარებასთან: ბიოლოგიური, დემოგრაფიული, რეპროდუქციული, ცხოვრების წესი და ა.შ. სადღეისოდ გამოვლენილია მათი 30 –ზე მეტი კატეგორია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულია მრავალმხრივი გამოკვლევები, მისი გავრცელების შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავებულია. გასულ საუკუნეში ლეიომიომების სიხშირე ფასდებოდა მხოლოდ ჩატარებული ჰისტერექტომიების რაოდენობისა და ჰისტომორფოლოგიური დიაგნოზების მიხედვით, რაც წარმოადგენდა ქალთა მხოლოდ 10-30%-ს. მას შემდეგ, რაც დაინერგა კვლევის ულტრასონოგრაფიული მეთოდი, მკვეთრად გაფართოვდა ეპიდემიოლოგიური მონაცემები ლეიომიომის შესახებ. ავტორთა მიერ შესწავლილია ლეიომიომების განვითარების რისკ-ფაქტორების სიხშირე და გავრცელება. ზოგადად, მონაცემებში დიდი იყო ვარიაცია ლეიომიომის პრევალენტობის შესახებ, დაწყებული 4,5% –დან 68,6% –მდე, რეპროდუქციული პერიოდის ქალებში კი - კუმულაციური სიხშირით 5,4%-დან 77.0%-მდე და მათგან 80.0%-ს, როგორც ცნობილია, მთელი სიცოცხლის მანძილზე აწუხებს ეს პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მახასიათებლები, როგორცაა ქვეყანაში/რეგიონში და ჯანმრთელობის მდგომარეობა არ ახდენს გავლენას დაფიქსირებულ პრევალენტულ მონაცემებზე და არც კლინიკური მონაცემები (მაგ. სამედიცინო ჩანაწერების მიმოხილვა, სკრინინგი) და გამოყენებული დიაგნოსტიკური მეთოდები აშკარა პრევალენტობაზე (მაგ. ულტრაბგერითი ან ჰისტოლოგია) გავლენას არ ახდენს [2].

ყოველწლიურად 100000 ქალზე საშუალოდ ვლინდებოდა ლეიომიომის 845–3745 შემთხვევა, აღნიშნული კვლევა ეფუძნებოდა ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზს ულტრაბგერითი გამოკვლევის ან ჰისტერექტომიის შემდეგ [3]. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ქალის მენჯის გამოკვლევა, როგორც დიაგნოსტიკური მეთოდის დამატება [4].

შესწავლილი იყო სიმპტომური და ასიმპტომური ლეიომიომების სიხშირე. ერთ კვლევაში აღწერილი იყო მხოლოდ ასიმპტომური, ხოლო მეორეში სიმპტომური და ასიმპტომური ლეიომიომით დაავადებული ქალების შერეული პოპულაციები [5]. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საშვილოსნოს ტანის ლეიომიომა ხშირად მიმდინარეობს უსიმპტომოდ, რაც აბრკოლებს მის დროულ გამოვლინებას. ლეიომიომის უსიმპტომო ფორმების სიხშირის გამო მეცნიერთა ჯგუფმა ჩაატარა

რეპროდუქციული პერიოდის ქალების სკრინინგი: კლინიკური კვლევების საფუძველზე მხოლოდ 33%-ს დაუდგინდა საშვილოსნოს ტანის ლეიომიომა, ულტრაბგერითი სკრინინგით 50%-ს, ხოლო ჰისტერექტომიის შემდგომი პათომორფოლოგიური კვლევით 77%-ს.

ხშირად ლეიომიომას ახასიათებს მძიმე სიმპტომური და ქრონიკული სპექტრი [5]. ყველაზე გავრცელებული კლინიკური სიმპტომი არის გაძლიერებული მენსტრუაციული სისხლდენა, მათ შორის მენორაგია, როგორც ყველაზე გავრცელებული კლინიკური გამოვლინება აღინიშნება 49,36%-ში (გართულებული ანემიით, შრომისუუნარობით, დადლილობით, საერთო სისუსტით), მტკივნეულობის სინდრომი (ავტორთა კვლევებით 49,36%-ში), უშვილობა, ორსულობის გართულებები, არასასურველი სამეანო შედეგები, მენჯის ორგანოთა ანთებითი დაავადებები და პროლაფსი [6], ლეიომიომის დეგენერაციული ცვლილებები [7], ამასთან მეორადი ცვლილების ტიპი დამოკიდებულია სისხლძარღვთა უკმარისობის ხარისხზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის განვითარებაში წარმოადგენს ადრეული მენარქე. 10 წლამდე ასაკში მენარქე ლეიომიომის რისკფაქტორია, ხოლო 16 წელზე უფროს ასაკში მენარქე, როგორც ჩანს ამცირებს ამავე რისკს, ლეიომიომის სიხშირის დაქვეითებას უკავშირებენ აგრეთვე პარიტეტის გაზრდას. ფაქტორი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ლეიომიომის რისკზე, არის ასაკი. ავტორთა უმრავლესობა [8] აღნიშნავს ლეიომიომის შემთხვევების სწრაფ ზრდას 30 წლის შემდეგ. რისკი შეიძლება 10-ჯერ გაზრდოს მეხუთე ან მეექვსე ათწლეულის ქალებში, ვიდრე მესამე დეკადაში. ისრაელში ულტრაბგერითი ჩანაწერების რეტროსპექტიული კვლევისას გამოვლინდა რომ 41–50 ან 51–60 წლის ასაკში 10-ჯერ მეტი ალბათობა აქვთ ლეიომიომის განვითარების, ვიდრე 21–30 წლის ასაკში. დიდ ბრიტანეთში რეტროსპექტიული გამოკვლევით დადგინდა, რომ 40 წელზე უფროსი ასაკის ქალებს ოთხჯერ მეტი ალბათობა აქვთ ლეიომიომის განვითარების, ვიდრე 40 წლამდე ასაკში, ამასთან, რეპროდუქციული სტატუსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლეიომიომის განვითარებაში, პოსტმენოპაუზურ ასაკობრივ ჯგუფში, ანუ 60 წელზე მეტი ასაკის ქალებში, ლეიომიომის რისკი მცირდება, რაც წარმოადგენს პოსტმენოპაუზის სტატუსის დამცავ ეფექტს [9,10].

საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის განვითარებაში მნიშვნელოვანია აგრეთვე ოჯახური მიდრეკილება. დაავადებული ქალების პირველი თაობის ნათესავებს აქვთ 2,5-ჯერ გაზრდილი ლეიომიომის განვითარების რისკი, ვიდრე ასეთი ისტორიის გარეშე [11]. ეს ეფექტი შეიძლება ნაწილობრივ განპირობებული იყოს ლეიომიომით დაავადებული ქალების ნათესავებში უფრო ხშირი სკრინინგით, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში. ასევე შეიძლება მიეკუთვნოს გენეტიკური ფაქტორების როლი ლეიომიომების განვითარებაში.

ლეიომიომის განვითარებაში მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია ჰიპერტენზია. იაპონელი მეცნიერების კვლევებით დადგინდა, რომ ლეიომიომით დაავადებულ ქალებს რომლებსაც აქვთ ჰიპერტენზია, ან იყენებენ ანტიჰიპერტენზიულ მედიკამენტებს ლეიომიომის რისკი თითქმის 5-ჯერ აქვთ გაზრდილი, ვიდრე ნორმალური არტერიული წნევის მქონე ქალებს [12].

ჩინეთში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საშვილოსნოს ლეიომიომების შემთხვევების მომატება დაკავშირებულია საკვებში დანამატების გამოყენებასთან. კერძოდ, კერძოდ სიმსივნის განვითარების რისკი 3-ჯერ არის მომატებული. ამასთანავე, ქალებში რომლებიც მოიხმარდნენ სოიოს რძეს, ლეიომიომის განვითარების რისკი 2,5-ჯერ იყო გაზრდილი.

ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი როლი ლეიომიომის განვითარებაში ენიჭება რასობრივ და ეთნიკურ ფაქტორებს. აღმოჩნდა, რომ ფერადკანიან ქალებში უფრო მეტი იყო ლეიომიომის შემთხვევები, ვიდრე თეთრკანიან ქალებში [4]. ფერადკანიან ქალებში ლეიომიომის ასეთი სიხშირე არ ასოცირდებოდა სავარაუდო რისკ-ფაქტორების გავრცელების სხვაობებთან, რაც მიანიშნებს, რომ მას შეიძლება ჰქონდეს გენეტიკური საფუძველი [13]. ფერადკანიანი პოპულაცია იყო ერთადერთი ფაქტორი, და მუდმივად ასოცირდება ლეიომიომების რისკის გაზრდასთან, რისკი 2-3-ჯერ მეტი, ვიდრე თეთრკანიან ქალებთან შედარებით [14].

მნიშვნელოვანია აგრეთვე მუტაციების როლი ლეიომიომის განვითარებაში, ვინაიდან მუტაგენური ფაქტორები იწვევენ მიოციტების ზრდის სარეგულაციო მექანიზმების მოშლას; ამასთან, ავტორთა მოსაზრებით, ანატომიური მდგომარეობის

მიხედვით, თუ სად ვითარდება მუტაციების შედეგად პათოლოგიური პროცესი, ლეიომიომის კვანძები კლასიფიცირდება სუბსეროზულ, ინტრამურულ და სუბმუკოზური ლეიომიომებად [15].

აგრეთვე არსებობს გარკვეული მოსაზრება დიეტის ჩვევების და რთული ფიზიკური ვარჯიშების სპეციფიკური ეფექტების შესახებ საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის განვითარებაზე; დადგენილია, რომ ლეიომიომის განვითარების რისკი 21%-ით იზრდება სხეულის წონის ყოველი 10კგ-ით და სხეულის მასის ინდექსის მომატებასთან ერთად, აგრეთვე სხეულის ცხიმოვანობის 30%-ით მომატების პირობებში; მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ლეიომიომის პათოგენეზი შეიძლება იყოს საპასუხო რეაქცია დაზიანებაზე

არსებობს მოსაზრება, რომ მენსტრუალური ციკლის დროს ვაზოკონსტრუქციული ნივთიერებების განთავისუფლება შეიძლება იწვევდეს საშვილოსნოს კედლის იშემიურ დაზიანებას, უჯრედებს კი აქვთ უნარი რეაგირება მოახდინონ დაზიანებაზე უჯრედული ბოჭკოვანი მატრიქსის სინთეზით [16]. აღსანიშნავია, რომ სისხლძარღვთა დაზიანების შემდეგ, ლეიომიომაში გამოხატულია ფიბრობლასტის ზრდის ძირითადი ფაქტორები.

არსებობს მთელი რიგი შრომები საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის განვითარების დამაბრკოლებელი, დამცავი მექანიზმების შესახებ. უდიდესი დამცავი ეფექტის მქონე ფაქტორი ლეიომიომის განვითარებაში არის პარიტეტი: მშობიარობა ასოცირდება ლეიომიომის რისკის 5-ჯერ შემცირებასთან, იმ შემთხვევებში, რომელიც საჭიროებს ქირურგიულ მკურნალობას, ვიდრე ნული პარიტობა. კვლევებით დადგინდა, რომ [11] პარიტეტის გავლენა ლეიომიომის გავრცელებაზე შეიძლება გამოიწვიოს ორსულობის გამო ჰორმონის ზემოქმედების ცვლილებამ და მენსტრუალური ციკლის შემცირებამ, ან მიომეტრიუმის იშემიამ და ინვოლუციამ მშობიარობის დროს და მის შემდეგ. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით კი - პარიტეტის როლი ლეიომიომის განვითარების რისკში რთული შესაფასებელია დამაბრკოლებელი ეფექტების გამო, როგორცაა ლეიომიომის უარყოფითი გავლენა ნაყოფიერებაზე [17]. დადგენილია, რომ როგორც ფერადკანიან ისე თეთრ პოპულაციაში, გაზრდილია ლეიომიომის განვითარების რისკი დახლოებით 2-3-ჯერ

იმ ქალებში, რომლებმაც ბოლოს იმშობიარეს 5 ან მეტი წლის წინ, იმ ქალებთან შედარებით, რომლებმაც უფრო ადრე იმშობიარეს [18].

არსებობს აზრთა სხვაობა თამბაქოს მოხმარების, როგორც საშვილოსნოს ტანის ლეიომიომის რისკფაქტორის შესახებ. ავტორთა ნაწილის აზრით [19,20], თამბაქოს წვევა ამცირებს ლეიომიომების რისკს, მაგრამ მხოლოდ ქალებში სხეულის მასის დაბალი ინდექსით, აღნიშნული განპირობებული იყოს თამბაქოს სავარაუდო ანტი-ესტროგენული მოქმედებით. ზოგიერთ ქალს, სხეულის დაბალი მასის ინდექსით, შეიძლება ჰქონდეს ჰიპოთალამური დისფუნქცია და მასთან დაკავშირებული ქრონიკული ჰიპოესტროგენიზმი [19].

ზოგიერთი ავტორის აზრით კი [11], თამბაქოს მოხმარება, განსაკუთრებით სხეულის მასის დაბალი ინდექსის მქონე ქალებში, ნეგატიურად არის დაკავშირებული ლეიომიომის რისკთან. მათი აზრით მნიშვნელოვანი განსხვავება არ იყო ლეიომიომის განვითარების რისკში, ყველა დაბალი მასის ინდექსის ქალებში, ვინც ოდესმე ეწეოდა და მათში, ვინც არასდროს ეწეოდნენ. თუმცა აღმოჩნდა, რომ მოწევას აქვს უფრო მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამცავი ეფექტი იმ ქალებში, ვინც ამჟამად ეწევა ან ოდესმე ეწეოდა, ხოლო რაც შეეხება ფერადკანიან ქალთა პოპულაციას, მოწვევის სტატუსს მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს ლეიომიომის შემთხვევებზე [11].

ასევე მნიშვნელოვანია პერორალური და ინექციური კონტრაცეპტივების გამოყენება ლეიომიომების განვითარების რისკის შესამცირებლად. კვლევებით დადგინდა, რომ ლეიომიომის რისკი 70% –ით ნაკლები იყო იმ ქალებში, რომლებიც ამჟამად იყენებენ პერორალურ კონტრაცეპტივებს, ვიდრე მათში, ვისაც ისინი არასდროს გამოუყენებია. ასევე ეფექტური აღმოჩნდა ინექციური კონტრაცეპტივების გამოყენება ლეიომიომისგან დასაცავად. ამ ეფექტზე პასუხისმგებელი სტეროიდული კონტრაცეპტივების მოქმედების მექანიზმი არ არის ნათელი. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეგზოგენური გესტაგენების მიერ, მიომეტრიუმზე ესტროგენული აქტივობის ზემოქმედების შემცირებამ, შეიძლება შეამციროს ესტროგენული შუამავლობით ლეიომიომების სტიმულაცია.

ეპიდემიოლოგიური და დემოგრაფიული რისკ-ფაქტორების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმსივნის ჭეშმარიტი სიხშირე და გავრცელება, მისი გლობალური გავლენა ქალის ჯანმრთელობაზე და სავარაუდო რისკ-ფაქტორების როლი ამჟამად აქტუალურია და განხილვის საგანია. საშვილოსნოს ლეიომიომის სიხშირისა და გავრცელების აღსაწერად მნიშვნელოვანია მათი ყოვლისმომცველი გამოკვლევა და ეპიდემიოლოგიის ტენდენციების შესწავლა.

მიუხედავად დღემდე ჩატარებული მულტიფაქტორული კვლევებისა, ლეიომიომა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას: იგი განიცდის გაახალგაზრდავებას; უცნობია ლეიომიომის განვითარების ზუსტი მექანიზმები; არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია ლეიომიომის წინამორბედი უჯრედების წარმოქმნის შესახებ; ამოუცნობია ლეიომიომის ზრდის პროცესის დინამიკა და მოლეკულური მექანიზმები, თუ რა მიზეზით ხდება მისი ზრდა -განვითარების დროებითი შეფერხება, ზოგჯერ წლების განმავლობაშიც კი და რა უდევს საფუძვლად გარკვეული პერიოდის შემდეგ იგივე კვანძში ზრდის პროცესის ახალი ტალღის წარმოქმნას; არ არსებობს პროფილაქტიკური საშუალებები; შეუძლებელია ლეიომიომის ზრდის საბოლოო შეჩერება და რეგრესი; კონსერვატიული მკურნალობის არაეფექტურობიდან გამომდინარე დღემდე მკურნალობის ეფექტურ მეთოდად რჩება რადიკალური ჰისტერექტომია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით კვლევის ჩატარება.

ლიტერატურა

1. Zimmermann A, Bernuit D, Gerlinger C, Schaeffers M, Geppert K. Prevalence, symptoms and management of uterine fibroids: an international internet-based survey of 21,746 women. BMC Womens Health. 2012 Mar 26;12:6.
2. Arjeh S, Darsareh F, Asl ZA, Azizi Kutenaie M. Effect of oral consumption of vitamin D on uterine fibroids: A randomized clinical trial. Complement Ther Clin Pract. 2020 May;39:101159.

3. Shaukat I, Yassin S, Paudel A, Höti N, Mustafa S. Unusual presentation of parasitic leiomyoma; a tale of twists and turns. *J Community Hosp Intern Med Perspect*. 2019 Apr 12;9(2):168-170.
4. Carol Ann Dixon (2020) Four women, for women: Caribbean diaspora artists reimag(in)ing the fine art canon, *African and Black Diaspora: An International Journal*, 13:2, 161-176.
4. Khunte R, Li M, Behr B, Zhao Q, Baker VL. Blastocyst formation rate for Asians versus Caucasians and within body mass index categories. *J Assist Reprod Genet*. 2020 Apr;37(4):933-943.
5. Marnach ML, Laughlin-Tommaso SK. Evaluation and Management of Abnormal Uterine Bleeding. *Mayo Clin Proc*. 2019 Feb;94(2):326-335
6. Qin H, Lin Z, Vásquez E, Luan X, Guo F, Xu L. High soy isoflavone or soy-based food intake during infancy and in adulthood is associated with an increased risk of uterine fibroids in premenopausal women: a meta-analysis. *Nutr Res*. 2019 Nov;71:30-42.
7. Łoziński T, Filipowska J, Gurynowicz G, Zgliczyńska M, Kluz T, Jędra R, Skowrya A, Ciebiera M. The effect of high-intensity focused ultrasound guided by magnetic resonance therapy on obstetrical outcomes in patients with uterine fibroids - experiences from the main Polish center and a review of current data. *Int J Hyperthermia*. 2019;36(1):582-590.
8. Gross KL, Morton CC. Genetics and the development of fibroids. *Clin Obstet Gynecol*. 2001 Jun;44(2):335-49.
9. Rubisz P, Ciebiera M, Hirnle L, Zgliczyńska M, Łoziński T, Dziegiel P, Kobierzycki C. The Usefulness of Immunohistochemistry in the Differential Diagnosis of Lesions Originating from the Myometrium. *Int J Mol Sci*. 2019 Mar 6;20(5):1136.
10. Łoziński T, Filipowska J, Ludwin A, Ciebiera M. The outcome of magnetic resonance-guided high-intensity ultrasound for clinically symptomatic submucosal uterine fibroid performed accidentally in very early pregnancy: a case report. *Int J Hyperthermia*
11. Corachán A, Ferrero H, Escrig J, Monleon J, Faus A, Cervelló I, Pellicer A. Long-term vitamin D treatment decreases human uterine leiomyoma size in a xenograft animal model. *Fertil Steril*. 2020 Jan;113(1):205-216.e4.

12. Samy A, Raslan AN, Talaat B, El Lithy A, El Sharkawy M, Sharaf MF, Hussein AH, Amin AH, Ibrahim AM, Elsherbiny WS, Soliman HH, Metwally AA. Perioperative nonhormonal pharmacological interventions for bleeding reduction during open and minimally invasive myomectomy: a systematic review and network meta-analysis. *Fertil Steril.* 2020 Jan;113(1):224-233.e6.
13. Irahara M, Maejima Y, Shinbo N, Yamauchi Y, Mizunuma H. Ulipristal acetate for Japanese women with symptomatic uterine fibroids: A double-blind, randomized, phase II dose-finding study. *Reprod Med Biol.* 2019 Oct 30;19(1):65-74.
14. Kurachi O, Matsuo H, Samoto T, Maruo T. Tumor necrosis factor-alpha expression in human uterine leiomyoma and its down-regulation by progesterone. *J Clin Endocrinol Metab.* 2001 May;86(5):2275-80.
15. de Guzman GS, Manalo EM. Myomatous erythrocytosis syndrome: A case series. *Case Rep Womens Health.* 2019 Aug 21;24:e00139.
16. Alexander AL, Strohl AE, Rieder S, Holl J, Barber EL. Examining Disparities in Route of Surgery and Postoperative Complications in Black Race and Hysterectomy. *Obstet Gynecol.* 2019 Jan;133(1):6-12.

სამართალი - Law

სამოქალაქო სამართალურთიერთობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი
გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი)

^{1,2}ია ხარაზი, ასოცირებული პროფესორი ORCID ID: **0000-0002-8510-1091**

ქანი დამენია, ORCID ID **0000-0001-7214-3738**

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ჭყუთაისის აკ.
წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: **DOI:** <https://doi.org/10.52340/spectri.2022.09>

აბსტრაქტი

სტატიაში განიხილება სამოქალაქო სამართალურთობის გაგება გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, მისი ელემენტები და ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებანი; ნაჩვენებია სამართლებრივი მოთხოვნის კატეგორიების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალურთობაში გერმანული სამართლის მიხედვით. კერძოდ, მსგავსად გერმანული სამართლის მეცნიერებისა, ქართულ იურისპრუდენციაში ადგილი აქვს აბსოლუტურ (საერთო მოქმედებები) და შედარებით სამართალურთიერთობებს. როგორც გერმანიაში, ასევე, საქართველოშიც უპირველეს ყოვლისა აბსოლუტურ სამართალურთიერთობებს მიაკუთვნებენ სანივთოსამართლებრივ ურთიერთობებს. კერძოდ, პიროვნების საყოველთაო უფლებების სფერო (Personlichkeitsrechte), პირადი ოჯახური უფლებების სფერო (personlichfamilienrechte), არამატერიალური სიკეთეები (Immaterialguterrechte), უპატრონო ნივთის დაუფლების უფლება (aneignungsrecht), ქონებრივი უფლებების სამართალი (Rechte an dinglichen Rechte) და ა.შ. ფარდობით მიაკუთვნებენ მოთხოვნის უფლებებს (Forderungsrechte), კონსტიტუციურ უფლებებს

(Gestaltungsrechte) და სამართალმოთხოვნების წინააღმდეგ „შეკამათებას“ (einredengegenansprüche). „მოლოდინის უფლებები“ (Anwartschaftsrechte) და „უფლებაზე უფლება“ წარმოადგენენ შეფარდებით უფლებებს, რომლებიც მიმართულნი არიან შემენისაკენ. სხვა შემთხვევაში, აღნიშნული უფლებები წარმოქმნიან აბსოლუტურ სამართალურთიერთობებს. აბსოლუტური და შეფარდებითი სამართალურთიერთობების გამიჯვნა მნიშვნელოვანია სამართლებრივი სქემის სათანადო უფლებების დაცვის ამორჩევისათვის და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სამართალურთიერთობის გაგება, სამოქალაქო სამართალურთიერთობა, გერმანული სამოქალაქო სამართალი.

Some Legal Aspects of Civil Law According to German Civil Law (Comparative Analysis)

^{1,2}Ia Kharazi, professor

¹Ani Damenia

David Aghmashenebeli University of Georgia,

²Akaki Tsereteli State University

Abstract

This article reviews the understanding of civil law relations according to German civil law, its elements and the opinions of individual scientists. The significance of the categories of legal requirements in Civil law relations are specified in accordance with the German law. In particular, like the science of German law, there are **absolute (common actions) and relative legal relations** in Georgian jurisprudence. Both in Germany and in Georgia, first of all, material legal relations are attributed to absolute legal relations. In particular, the field of universal rights of the person (Personlichkeitsrechte), the field of personal family rights (personlichfamilienrechte), the immaterial properties (Immaterialguterrechte), the right of possession of ownerless thing (aneigungsrech), the law of property rights (Rechte an dinglichen Rechte) and so on. Claim rights (Forderungsrechte), constitutional rights

(Gestaltungsrechte) and "Dispute" against legal relations (einredengegenansprüche) are attributed to Relative. The "**rights of expectation**" (Anwartschaftsrechte) and the "**right to a right**" are relative rights that are directed towards acquisition. In other cases, these rights give rise to absolute legal relations. Separation of absolute and relative legal relations is important for choosing the proper protection of the legal scheme, etc.

Keywords: Understanding of legal relations, German civil law, civil law relations.

დღეისათვის გერმანულ სამოქალაქო სამართალზე დაფუძნებულმა საქართველოს სამოქალაქო სამართალმა გარკვეულ რეფორმირების გზა გაიარა, რომლის საწყისი ეტაპი მოდის ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან, როცა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს ჩაეყარა საფუძველი და დღეს უკვე სახეზე გვაქვს კონტიტენტური ევროპის, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამოწვევებს მორგებული, გერმანული სამოქალაქო კოდექსიდან რეცეფცირებული სამოქალაქო კოდექსი.

„ძირითადად იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობა განხილულია, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, რომლის მონაწილეები სამართლის ნორმის საფუძველზე გამოდიან უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად.“¹ სამართლებრივი ურთიერთობა არის ყოველი ცხოვრებისეული კავშირი, თუკი ის სამართლის ნორმით არის განსაზღვრული“, წერს პროფ. ი. სურგულაძე, თუმცა იგი მას სამართლებრივი ურთიერთობების გარეგან აღწერილობად მიიჩნევს, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტიურ შინაარსს სამართლებრივ ფორმაში ხედავს² და ასკვნის, რომ სამართლებრივი ურთიერთობის „საგნის იურიდიული ღირებულება წმინდა იურიდიული კატეგორია არის, რომლის დასაბუთება საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითად პრინციპებს ეყრდნობა.“³ ამით ი. სურგულაძემ სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა იურიდიული ელემენტების უფლებებისა და მოვალეობების

¹ ლობჯანიძე გ; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2003, 448

² სურგულაძე ი; „ხელისუფლება და სამართალი“, 2002, 29

³ სურგულაძე ი; დასახ. ნაშრ. 196

გვერდით შემოიტანა და დაახასიათა კიდევ ორი ელემენტი - სამართლის სუბიექტი და სამართლებრივი ურთიერთობის საგანი.⁴

სამართალურთიერთობის თეორია განვითარებული იყო მე-19 საუკუნის გერმანულ იურისპრუდენციაში. აქვე საჭიროა აღინიშნოს ფრიდრიხ კარლ ფონ სავინისა და რუდოლფ ფონ იერინგის ნაშრომები.

მე-19 საუკუნეში არსებობდა განსაკუთრებული კავშირი საქართველოს სამართალსა და ევროპულ სამართალს შორის. ეს კავშირი გარკვეულწილად განპირობებული იყო გერმანული და ქართული სამართლის საერთო-რომაულ-სამართლებრივი ტრადიციებით, მიკუთვნებული ერთიან კონტინენტალურ ევროპულ სამართლებრივ ოჯახს.

თანამედროვე საქართველოს საკანონმდებლო ტრადიციების გათვალისწინებით საქართველო დაუბრუნდა თავის ისტორიულ სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს მეცნიერების სამართალში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „სამართალურთიერთობა“ მიიჩნევა როგორც სამოქალაქო სამართლის ცენტრალური გაგება. სწორედ სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი ეხება სამოქალაქო სამართალურთიერთობებს, რეგულირებულს სამოქალაქო კანონმდებლობით. ჯერ კიდევ იოფე თავის ცნობილ ნაშრომში, რომელიც სამართალურთიერთობებს ეძღვნებოდა, აღნიშნავდა, რომ სამართალურთიერთობების პრობლემა ერთ-ერთი საკმაოდ რთული და ამავე დროს ნაკლებად დამუშავებული პრობლემაა სამართლის მეცნიერებაში.⁵

კარლ ლარენცი თვლის, რომ თუ კერძო სამართლის პირველ ფუძემდებლურ ტერმინს წარმოადგენს პირის გაგება როგორც „სუბიექტის სამართალი“ (Rechtssubjekt), მუფლების მფლობელს (Rechte) და მოვალეობების ადრესატს (Pflichten),- მაშინ მეორე

⁴ სურგულაძე ი; დასახ. ნაშრ; 2; წყარო: ხარაზი ი; სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა); თბილისი, 2015, 125. სამართლის სუბიექტისა და სამართლებრივი ურთიერთობის საგნის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ

⁵ ო. ს. იოფე, სამართალურთიერთობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით//რჩეული ნაშრომები სამოქალაქო სამართალში: ცივილისტური აზროვნების ისტორიიდან. სამოქალაქო სამართალურთიერთობა. „სამეურნეო სამართლის“ თეორიის კრიტიკა. მ; 2000, 508

ძირითად ტერმინად უნდა ჩაითვალოს სამართალურთიერთობის გაგება (Rechtsverhältnis).⁶

1949 წელს იოზეფ თავისი ცნობილი ნაშრომი, მიძღვნილი საბჭოთა სამართლის ურთიერთობებისადმი მიუძღვნა აბსოლუტური და ფარდობითი სამართალურთიერთობების გამიჯვნის პრობლემას. მისი აზრით, სამოქალაქო სამართალში სამართალურთიერთობების პრობლემა ერთ-ერთი საკმაოდ რთული და ამავე დროს ნაკლებად დამუშავებული პრობლემაა სამართლის მეცნიერებაში.⁷ მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, დღემდე „იურიდიულ მეცნიერებაში „სამართალურთიერთობის“ ტერმინს ერთი მნიშვნელობა არ გააჩნია, რაც სამწუხაროდ დრო და დრო მეცნიერებას მოკლებულ დისკუსიას იწვევს.⁸

როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს, „აბსოლუტური უფლების მატარებლის წინაშე ყველა პირი, როგორც ვალდებული პირი, მაშინ როცა შეფარდებითი უფლების მატარებელს უპირისპირდება განსაზღვრული პირი, როგორც კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი (მაგ. ქირავნობის შემთხვევაში).⁹ სხვანაირად ადგილი აქვს სანივთო უფლებათა სასარჩელო დაცვის აბსოლუტურობას, ე.ი. სანივთო უფლება, რომელიც ყველას მიერ უნდა იყოს ცნობილი, ხელყოფის შემთხვევაში დაცულია სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელებით.¹⁰

თამარ შოთაძე ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ევროპული ქვეყნების კერძო სამართალში მოქმედ აბსოლუტურობის პრინციპს არც ქართულ სანივთო სამართალში განუცდია შინაარსობრივი ცვლილება, რომელიც გულისხმობს მესამე პირების მხრიდან საკუთრების უფლების მიმართ პატივისცემისა და ხელშეშლის დაუშვებლობას. პირს, რომელიც ქონებაზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს, შეუძლია ნებისმიერ პირს მოსთხოვოს მისი ქონების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება და კანონით დაშვებული ფორმით აუკრძალოს

⁶ Larenz, K. Allgemeiner Teides DeutschenBurgerlichen Rechts. 7; neubearbeitete Auflage. – Munchen, 1989, 194; Fuller, Jens Thomas. Eigenstandiges Sachenrecht?, 34

⁷ იოზეფ ო.ს. სამართალურთიერთობები საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით, 605 (რუს. ენაზე).

⁸ რიბალოვი ა.ო. სამოქალაქო სამართალურთიერთობების კლასიფიკაციის პრობლემები, პეტერბურგი, 2007, 508 (რუს. ენაზე).

⁹ ზოიძე ბ; ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 4; ასევე იხ. ზოიძე ბ; სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, ესეები, თბილისი, 2013

¹⁰ იქვე

ქონებაზე უარყოფითი დამოკიდებულება...¹¹ აბსოლუტურობა განიხილება, როგორც საკუთრების უფლების საყოველთაო დაცვა.¹² სწორედ სანივთო უფლება, რომელიც აბსოლუტური ხასიათის მატარებელია, დოქტრინაში ცნობილია, როგორც აბსოლუტურობის პრინციპის სახელწოდებით.

კარლ ლორენცი თვლის, რომ თუკი კერძო სამართლის პირველ ფუძემდებლურ ტერმინს წარმოადგენს პირის გაგება, როგორც „სამართლის სუბიექტი“ (Rechtssubjekt), მაშინ მეორე ძირითად ტერმინად უნდა ჩაითვალოს სამართალურთიერთობის გაგება (Rechtsverhältnis)¹³ იან შაპი სამართალურთიერთობას განსაზღვრავს, როგორც ყოველდღიურ ურთიერთობას (Lebensverhältnis) ორ ან რამდენიმე პირს შორის, აღიარებული როგორც სამართლებრივი წესრიგი, და აღჭურვილი გარკვეული ზემოქმედებით მონაწილეებზე.¹⁴ ასევე, იან შაპი ათანაფარდებს სამართალურთიერთობის გაგებას სამართალმობოვნის გაგებასთან. „სამართალურთიერთობები... წარმოშობენ სამართალმობოვნებს“. იენსა ტომას ფიულერის პოზიციის თანახმად, სამართალურთიერთობა არის „ნორმაშემქმნელი (rechttsnormgestaltende) ურთიერთობა ორ ან მეტ სუბიექტს შორის“.¹⁵

კერძოსამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს თვისობრივად იურიდიულ ფაქტზე დაფუძნებული უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას, რომლებიც პირებს შორის წარმოიშობა. იურიდიულ ურთიერთობად ყოველი საყოფაცხოვრებო ურთიერთობა შეიძლება იქნეს მიჩნეული, როდის და რამდენად, - იგი განისაზღვრება იურიდიული ნორმებით. გერმანული მეცნიერების სამართალში ადგილი აქვს ყველა სამართალურთიერთობის გამიჯვნას იმასთან მიმართებით, რომლებიც არსებობენ მრავალ განსაზღვრულ პირებს შორის („ვალდებულებითი ურთიერთობის ტიპის სამართალურთიერთობები“), ასევე ისეთი, რომლებიც

¹¹ შოთაძე თ; სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, http://ewmi-prolog.org/images/files/6335Property_Law_Textbook.pdf, 31

¹² შოთაძე თ; დასახ, ნაშრ. 38

¹³ Larenz, K. Allgemeiner Teildes Deutschen Burgerli-chen Rechts. 7; neubearbeitete Auflage. – Munchen, 1989. – 194; Fuller, Jens Thomas. Eigenstandiges Sachenrecht? - 34

¹⁴ Schapp, Jan. Methodenlehre und System des Rechts. Aufsätze 1992-2007. – Tubingen, 2009. - 21

¹⁵ Fuller, Jens Thomas. Eigenstandiges Sachenrecht/ 34

აკაშირებენ განსაზღვრულ პირს და სხვა დანარჩენთ“ („საკუთრების სამართლის“ ტიპის სამართალურთიერთობები).¹⁶

მსგავსად გერმანული სამართლის მეცნიერებისა, ქართულ ქართულ იურისპრუდენციაში ადგილი აქვს აბსოლუტურ (საერთო მოქმედებები) და შედარებით სამართალურთიერთობებს. როგორც გერმანიაში, საქართველოშიც აბსოლუტურ სამართალურთიერთობებს მიაკუთვნებენ უპ. ყოვლისა სანივთოსამართლებრივ ურთიერთობებს. ასევე: პიროვნების საყოველთაო უფლებების სფერო (Personlichkeitsrechte), პირადი ოჯახური უფლებების სფერო (personlichfamilienrechte), არამატერიალური სიკეთეები (Immaterialgüterrechte), უპატრონო ნივთის დაუფლების უფლება (aneignungsrecht), ქონებრივი უფლებების სამართალი Rechte an dinglichen Rechte) და ა. შ. ფარდობითს მიაკუთვნებენ მოთხოვნის უფლებებს (Forderungsrechte), კონსტიტუციურ უფლებებს (Gestaltungsrechte) და სამართალმოთხოვნების წინააღმდეგ „შეკამათებას“ (einredengegenansprüche). „მოლოდინების უფლებები“ (Anwartschaftsrechte) და „უფლებაზე უფლება“ წარმოადგენენ შეფარდებით უფლებებს, რომლის შეძენაზეა ისინი მიმართული, სხვა შემთხვევაში, ისინი წარმოქმნიან აბსოლუტურ სამართალურთიერთობებს. აბსოლუტური და შეფარდებითი სამართალურთიერთობების გამიჯვნას მნიშვნელობა გააჩნია სამართლებრივი სქემის სათანადო უფლებების დაცვის ამორჩევაში.

ასეთი სამართალურთიერთობების „ბირთვს“ წარმოადგენს დასაშვებობის (Dürfen) ან/და მიდენვების (მიყოლის) სფერო, წარდგენილს მართლწესრიგით განსაზღვრული პირისადმი და გამორიცხულს ყველა სხვა დანარჩენი პირებისა. ყველა დანარჩენ პირებს გააჩნიათ ვალდებულება დაიცვან სხვათა უფლებები. ეს ვალდებულება ჯერჯერობით მხოლოდ საერთო შინაარსისაა. უფლებების რეალური დარღვევის შემთხვევაშიც უფლებამოსილ პირს წარედგინება „სამართალმოთხოვნები“, მაგ; დარღვევის აღმოსაფხვრელად, შემდგომი დარღვევების არდაშვებაში, ზიანის ანაზღაურებაში.

¹⁶ Larenz K; allgemeiner Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. 207

გერმანული მეცნიერების სამართალში არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც საკუთრების სამართალი განაპირობებს სამართალურთიერთობების არსებობას პიროვნებასა და ნივთებს შორის.¹⁷ ამასთანავე არ შეიძლება ასეთი შეხედულება გაბატონებულად იქნეს მიჩნეული.

სამართალურთიერთობებს აქვთ დასაწყისი და დასასრული დროში განსაზღვრულ ურთიერთობებში.¹⁸ ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთრების სამართალს და მის მიერ წარმოშობილ სამართალურთიერთობებს. თუ მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში უნდა განვასხვავოთ ხელშეკრულება, როგორც სამართლებრივი კავშირი გამყიდველსა და მყიდველს შორის დავალდებული პირის მოვალეობების ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში მოცემული ხელშეკრულებით „სამართალმოთხოვნის“ სახით (ეს შესრულება შეიძლება მოხდეს ამ მომენტში ან/და მოგვიანებით), მაშინ ქონებრივი სამართალურთიერთობა (როგორც სამართალურთიერთობა პიროვნების საყოველთაო სამართალთან დაკავშირებით, მაგ; ქორწინებასთან...), თავდაპირველად განიხილება როგორც განგრძობადი. სავსებით დასაშვებია, რომ უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაცია ასეთ განგრძობად ურთიერთობებში არც კი იქნება წარმოებული. აქ უმთავრესია არსებობა - სამართლებრივი კავშირის არსებობის თვით ფაქტი.

გერმანულ იურისპრუდენციაში ყიდვა-გაყიდვის და საკუთრების სამართლის ხელშეკრულებას შორის გამოყოფენ ე. წ. „განგრძობად ვალდებულებით ურთიერთობებს“ (Dauerschuldverhältnisse), მაგალითად, ქირავნობის სამართალურთიერთობები, იჯარის, შრომითი ურთიერთობები. აქ, სამართალურთიერთობაში მონაწილე პირები ვალდებული არიან განახორციელონ არა ერთი შესრულება, არამედ შესრულების რამდენიმე მოქმედება, რომლებიც გაკუთვნილი დროის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს ან განმეორდეს.¹⁹ ვინაიდან ამდაგვარი ურთიერთობები არსებობენ, შესასრულებელი ვალდებულებები ყოველ ჯერზე წარმოიშობიან განახლებულად, ისინი მუდმივად სრულდებიან და ასევე მუდმივად ჩნდებიან. მაგ; სანამ არსებობს ქირავნობის ხელშეკრულებიდან

¹⁷ Tugr, Andreas von. Der Allgemeine Teill des Deutschen Burgerlicht. Leipzig, 1910, \$511

¹⁸ Larenz, K. Allgemeiner Teill des Deutschen Burgerlichen Rechts. 197

¹⁹ Larenz, K. allgemeiner Teilldes Deutschen Burderlichen Recht, 198

გამომდინარე ურთიერთობები, შენაჩუნებულია დამქირავებლის უფლება საანადო ქონების გამოყენებისა, ასევე იკვეთება მისი ვალდებულება გადაიხადოს ქირის საფასური. მაგრამ ცხადია ასეთ გაგრძელებად სავალდებულო მოვალეობებსაც აქვს თავისი დასასრული.

ლიტერატურა

1. ლობჯანიძე გ; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2003
2. ზოიძე ბ; ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003
3. ზოიძე ბ; სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, ესეები, თბილისი, 2013
4. შოთაძე თ; სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, http://ewmi-prolog.org/images/files/6335Property_Law_Textbook.pdf
5. სურგულაძე ი; „ხელისუფლება და სამართალი“, 2002
6. ო. ს. იოფე; სამართალურთიერთობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით//რჩეული ნაშრომები სამოქალაქო სამართალში: ცივილისტური აზროვნების ისტორიიდან. სამოქალაქო სამართალურთიერთობა. „სამეურნეო სამართლის“ თეორიის კრიტიკა. მ; 2000
7. Larenz, K. Allgemeiner Teildes Deutschen Burgerli-chen Rechts. 7; neubearbeitete Auflage. – Munchen, 1989. – 194; Fuller, Jens Thomas. Eigenstandiges Sachenrecht? - 34
8. Schapp, Jan. Methodenlehre und System des Rechts. Aufsätze 1992-2007. – Tubingen, 2009
9. Fuller, Jens Thomas. Eigenstandiges Sachenrecht/ 34
10. Tugr, Andreas von. Der Allgemeine Teill des Deutschen Burgerlicht. Leipzig, 1910

განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის
სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

იოსებ ხუციშვილი, პროფესორი ORCID: 0000-0003-2878-2983

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.10>

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აკრძალული არ არის სრულწლოვანი პირის მიმართ განრიდების განმეორებით გამოყენება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს. დაუშვებელია სრულწლოვან ბრალდებულს ჰქონდეს მეტი უპირატესობა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას, ვიდრე არასრულწლოვან ბრალდებულს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განრიდების აუცილებელ პირობად ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბრალდებული არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა. სტატიაში განხილულია ზემოაღნიშნული საკითხები და შემოთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ ხელს შეუწყობს კანონმდებლობის სრულყოფასა და ლიბერალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: განმეორებითი განრიდება, საკანონმდებლო ხარვეზი.

The legal mechanism for the re-use of diversion in criminal procedure legislation

Ioseb Khutsishvili, Professor

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

The Criminal Procedure Code of Georgia does not prohibit repeated use of diversion against an adult. We consider that the mentioned issue presents legislative gap. It is inadmissible for

an adult defendant to have more advantage in using an alternative measure of punishment than a juvenile defendant. According to the Juvenile Justice Code, if a person has been diverted in the past, it is not possible to divert him or her again. The article discusses the above issues and proposes a package of legislative changes which we believe will contribute to the improvement and liberalization of legislation in this regard.

Keywords: Repeated diversion, legislative gap.

საქართველოს კანონმდებლობით განრიდების გამოყენება როგორც არასრულწლოვნის²⁰, ისე სრულწლოვანის მიმართ არის შესაძლებელი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, განრიდების განმეორებით გამოყენება შეუძლებელია არასრულწლოვნის მიმართ.²¹ აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვანთა ინტერესების და მითუმეტეს მათი საუკეთესო ინტერესების გაუმართლებელ შეზღუდვას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ კრძალავს (ე.ი. უშვებს) განმეორებით განრიდების მექანიზმის არსებობას სრულწლოვანის შემთხვევაში. აღნიშნული მიდგომა უსამართლოა იმის ფონზეც, რომ პროკურორს ნასამართლევი პირის მიმართაც კი აქვს განრიდების გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო თუ არასრულწლოვანი პირი უკვე განრიდებულია - პროკურორი ამ ინსტიტუტს განმეორებით ვეღარ გამოიყენებს. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი წარმოადგენს გაუმართლებელ უთანასწორობას არასრულწლოვანისა სრულწლოვანთან მიმართებით და საჭიროებს გამოსწორებას.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, სრულწლოვანისა და არასრულწლოვნის განრიდებასთან დაკავშირებული არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს ხარვეზები, სადავო საკითხები და შემუშავდეს წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფისა და ლიბერალიზაციისთვის.

²⁰ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 38-ე-48-ე მუხლებით (გარდა 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლისა) დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე 18 წლიდან 21 წლამდე პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული ან მძიმე დანაშაული;

²¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლის „გ“ პუნქტი;

დღეისათვის სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულება აქტუალური თემაა, რამდენადაც მსოფლიო თანხმდება, რომ ბრალდებულისათვის თავისუფლების აღკვეთა, განსაკუთრებით, თუ იგი არასრულწლოვანია, უნდა ჩანაცვლდეს ალტერნატიული ზომით, რომელიც ბრალდებულის (საუკეთესო) ინტერესების გათვალისწინებით მაქსიმალურად ეფექტურად მოახდენს მის რესოციალიზაციას. დანაშაულთა სწრაფი ტემპით მატებას სახელმწიფოთა მხრიდან „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის განხორციელება მოყვება ხოლმე, რომლის შედეგები ხშირად სულაც არ არის ისეთი ეფექტური, როგორსაც მისგან მოელიან. თუმცა, ამ პოლიტიკის გატარების შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ლიბერალიზმის ეტაპზე გადასვლა.²² სისხლის სამართლის სფეროში ნულოვანი ტოლერანტობა ყველაზე ხშირად ასოცირდება საპოლიციო მიდგომასთან, რომელიც აგრესიულ რეჟიმში უპირისპირდება სამეზობლო-სათემო კანონდარღვევებს, როგორცაა ქუჩაში შემწეობის თხოვნა, სიმთვრალე (საჯარო ინტოქსიკაცია), ვანდალიზმი, გრაფიტი და პროსტიტუცია. ამ პროაქტიული, თავდაჯერებული და მტკიცე პოლიციური სტრატეგიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ უმნიშვნელო კანონდარღვევების უპასუხოდ დატოვების შემთხვევაში, შესაძლოა შეიქმნას იმგვარი გარემო პირობები, რომლებიც წაახალისებს უფრო მძიმე დანაშაულებებს.²³

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა გატარდა საქართველოშიც. „ვარდების რევოლუციას“ მოჰყვა რადიკალური რეფორმები. სახელმწიფომ პრიორიტეტულ მიზნად დაისახა დამნაშავეობასთან ბრძოლა. გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი იყო: 0.7% - 2003 წელს, 0.4% - 2004 წელს, 0.8% - 2005 წელს, 0.2 % - 2006 წელს, 0.1%-2007 წლიდან 2012 წლამდე.²⁴

2011 წელს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის მიერ გაკრიტიკებულ იქნა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და სახელმწიფოს უფრო ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების რეკომენდაცია მიეცა, რომელიც გამოსწორებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულების პრინციპებს დაეყრდნობოდა, ნაცვლად

²² Sullivan, A., & Sheffrin, S. M. Economics: Principles in Action. 2002 New Jersey. P 12;

²³ ისმაილი ქ.; „ნულოვანი ტოლერანტობის კულტურული და სიმბოლური რეზონანსი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში“;

<<https://socialjustice.org.ge/ka/products/nulovani-tolerantobis-kulturuli-da-simboluri-rezonansi-tanamedrove-siskhlis-samartlis-sistemashi>>

²⁴ იხ. უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები; <<http://www.supremecourt.ge/statistics/>>

დასჯაზე ორიენტირებულია.²⁵ საქართველომ შეცვალა პოლიტიკა, რაც სტატისტიკურ მონაცემებზეც აისახა. 2012 წელთან შედარებით, 2018 წელს განაჩენით გამოტანილ საქმეებში გამამართლებელი განაჩენების წილი 2.8-ჯერ, ხოლო, ექვს წლიანი პერიოდის საშუალო მაჩვენებელი კი ხუთჯერ გაიზარდა.²⁶ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშებში აღდგენითი მართლმსაჯულებისა და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გაძლიერება ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახული, რომლის შესრულების სტატუსი დოკუმენტების მიხედვით სრულად ან მეტწილად შესრულებულია.²⁷

მისასაღმებელია კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და ცვლილებები, რაც ამ მიმართულებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს. თუმცა, აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ასეთ დროს ცვლილებები ისე უნდა განხორციელდეს, რომ თავიდან ავიცილოთ საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომის გაჩენის, დანაშაულის წაქეზების/პროვოცირების და კრიმინალური საზოგადოების სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თანამედროვე ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა რადიკალურ ცვლილებებს განიცდის და ვითარდება ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში დრომოჭმულ მკაცრ პოლიტიკას "აღდგენითი მართლმსაჯულება" ანაცვლებს. დღეს სასჯელის მიზნების მიღწევას სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებით ცდილობენ და საკმაოდ წარმატებულად ახერხებენ კიდევ. რადგან თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ორიენტირებულია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე, საქართველოშიც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. ქართულ სისხლის სამართლის სისტემაში დაინერგა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა, როგორც დავის გადაწყვეტის ახალი ფორმა.

²⁵ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, 2011 წ. გვ.7

²⁶ იხ. უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები: <<http://www.supremecourt.ge/statistics/>>

²⁷ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2017 - 2019 წლის წლიური ანგარიშები.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა როგორც არასრულწლოვნისათვის, ისე სრულწლოვანთათვის არის ერთი შანსი, გარკვეული პირობის შესრულების სანაცვლოდ გააგრძელოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ.²⁸ ეს არის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს პროკურორს, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში და ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი რეაგირების გარეშე.²⁹

განრიდების ინსტიტუტის გამოყენებით პროკურორს შესაძლებლობა ეძლევა განარიდოს პირი სისხლის სამართლის სისტემასა და ნასამართლობას, ამასთან, ხელი შეუწყოს რეციდივის თავიდან აცილებას, პირის გამოსწორებასა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. თუმცა, დევნაზე უარი არ გულისხმობს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების „პატიებას“ პირისთვის და მის გათავისუფლებას ყოველგვარი ვალდებულებისაგან. მაგალითად განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა და უფლებამოვალეობები განისაზღვრება სპეციალური ხელშეკრულებით.³⁰ ხოლო, სრულწლოვანი პირი ვალდებულია შეასრულოს გარკვეული პირობა (პირობები) რათა მის მიმართ განრიდების პროცესი წარმატებით დასრულდეს.

განრიდების მიზანია დანაშაულის პრევენცია და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა. განრიდების შედეგად პირს არ აქვს ნასამართლობა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირის ცხოვრების ნორმალურად გაგრძელებისათვის, რადგან გამორიცხული იქნება მისი სტიგმატიზაციის შესაძლებლობა ნასამართლობის ქონის გამო. ასევე, ამ ინსტიტუტის

²⁸ http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geo

²⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216, 2010 წლის 12 ნოემბერი;

³⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N 216-ე ბრძანებით „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“, ზოგადი დებულებები; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540?publication=0>

გამოყენებით ხელი უნდა შეეწყოს სამართალდამრღვევი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა 2010 წლის 24 სექტემბერს, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტში აისახა დათქმა არასრულწლოვანთა მიმართ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო მათ მიმართ განრიდებისა და მედიაციის გამოყენების შესახებ. 2011 წლის 21 ივნისს კი ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹ -ე, 168² -ე მუხლები, რომლის მიხედვითაც ამოქმედდა სრულწლოვან პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ინსტიტუტი. 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 3632 (21 წელს მიუღწეველი) პირი.³¹ 2015-2019 წლებში განრიდება ძირითადად გამოყენებული იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელ, არაძალადობრივ დანაშაულთა ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. 2015-2019 წლებში სულ განრიდებული იქნა 8 276 სრულწლოვანი (21 წლის ზევით) პირი.³²

პროკურორის საქმიანობა განრიდების და მედიაციის პროგრამაში ძირითადად რეგულირდებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის 216-ე ბრძანებით „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“. ამჟამად რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანებისა და ამავე მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181-ე ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების

³¹ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, განრიდების პროგრამების (განრიდება/განრიდებისა და მედიაციის) 2018 წლის ანგარიში, განრიდებისა და მედიაციის სამმართველო. ასევე, 2014-2019 წლის ანგარიშები იხ. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე; <<http://prevention.gov.ge/page/28/geo>>

³² საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში (15.05.2020); <<https://pog.gov.ge/uploads/f67fa1c7-angarishi-15-05-2020.pdf>>

ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების ზოგად დებულებებში განსაზღვრულია, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამას საფუძვლად უდევს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი, რომლის გამოყენებითაც პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის N235-ე ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ დადასტურებულია, რომ ამ ტიპის ალტერნატივები, რიგ შემთხვევაში, უფრო ამცირებს რეციდივის რისკს, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, სახელმწიფოს პრიორიტეტია საპატიმრო ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და ამავდროულად დანაშაულის კლების ტენდენციისა და ქვეყანაში არსებული უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. ამ მიზნით უკვე შეიქმნა და დაინერგა არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამები. დამკვიდრდა ახალი მიდგომა, რომლის შესაბამისად, არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკიდურესი ზომა.³³

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანების შესაბამისად, პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ზომებს ენიჭება. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ სახელმწიფოს მიდგომას, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია უფრო ფართოდ ვიფიქროთ ასეთი ალტერნატივების შექმნასა და გამოყენებაზე. ჩვენს მიერ წინამდებარე სტატიაში შემოთავაზებული განმეორებითი განრიდების მოდელი სწორედ ის ალტერნატივაა, რომელიც სათანადო

³³ „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის 235-ე ბრძანებულების პირველი ნაწილი, სტრატეგიის ძირითადი პრინციპები, არასრულწლოვანთა ჭეშმარიტ ინტერესზე დაფუძნებული მიდგომა;

საკანონმდებლო რეგულირებისა და სწორად გამოყენების შედეგად, სასიკეთო მიზნების მიღწევაში დაგვეხმარება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებაში ჩასაღებ განრიდების ერთ-ერთ ღონისძიებად ითვალისწინებს არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილებას.³⁴ არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება ნიშნავს მისთვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება დანაშაულის განმეორებით ჩადენას.³⁵ საინტერესოა ინგლისის გამოცდილება ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით ინგლისში მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების ერთ-ერთი ინსტიტუტი "ოფიციალური გაფრთხილება".³⁶ ინგლისში მოქმედი გაფრთხილების ინსტიტუტი სამი ფორმით დაინერგა. გაფრთხილების ინსტიტუტის პირველი ფორმა არის „არაფორმალური გაფრთხილება“ (informal warning), რომელიც არ მოიცავს არანაირ პროცესუალურ შედეგს. აღნიშნულ შემთხვევაში პოლიცია აღმოაჩენს ჩადენილ ფაქტს, რომელიც უმნიშვნელო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მხოლოდ სიტყვიერად აფრთხილებს არასრულწლოვანს, აღარ ჩაიდინოს შემდგომში დანაშაული. გაფრთხილების ინსტიტუტის მეორე ვარიანტის შემთხვევაში დება ფორმალური ოქმი გაფრთხილების შესახებ; აღნიშნული მხოლოდ მცირედით განსხვავდება პირველი ვარიანტისაგან, რადგან გაფრთხილების ოქმი პროცესუალურ აქტად არ გვევლინება. გაფრთხილების ინსტიტუტის მესამე ნაირსახეობა არის ე.წ. „ოფიციალური გაფრთხილება“ (official caution), რომელიც საფუძვლად დაედო განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტს. მოცემულ შემთხვევაში პოლიცია ოფიციალურად აფრთხილებს არასრულწლოვანს ხელწერილის ჩამორთმევით, რომელსაც ხელს აწერენ მისი მშობლებიც.³⁷ საინტერესოა, რომ შესაძლებელია დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეიცვალოს „ოფიციალური გაფრთხილებით“.³⁸

³⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი;

³⁵ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 43-ე მუხლი;

³⁶ Winterdyk J.A. "Juvenile Justice: International Perspectives, Models and Trends", 2015, P. 344-345;

³⁷ Hungerford-Welch P. „Criminal litigation and sentencing“. London – Sidney (Fifth edition), Cavendish publishing limited, 2000. P. 29-30;

³⁸ Evans R. „Comparing gang adult juvenile cautioning in the metropolitan police district“. P. 573;

საქართველოში კი ოფიციალური გაფრთხილება, რომელიც კანონში მოხსენიებულია, როგორც „არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება“, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტში გათვალისწინებულია განრიდების ერთ-ერთ ღონისძიებად.

ზემოაღნიშნული ინგლისის პრაქტიკა სრულიად შესაძლებელია საქართველოშიც დავნერგოთ და განვავითაროთ ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა სრულწლოვანი პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს: ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ³⁹ ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე; ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, განრიდება არ შეეხება იმ სრულწლოვან პირებს, რომლებსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ შემდეგი დანაშაულებისთვის: ადამიანით ვაჭრობა, არასრულწლოვნით ვაჭრობა, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ⁴⁰ ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრული სხვა დანაშაულები. თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების

³⁹ უკანონოდ მოპოვებულ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი;

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹, 143², 143³, 144-ე, 144¹, 144² და 144³ მუხლები;

პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

განრიდების გამოყენების წესი მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168² მუხლში, რომლის თანახმად, პირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით. მასში მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება. პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). განრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. განრიდება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას. განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით.

სრულწლოვან დამნაშავეებთან გარიგება არ ფორმდება ხელშეკრულების სახით, არამედ პროკურორი განრიდების სუბიექტს სთავაზობს გარიგებას წერილობითი ფორმით. სრულწლოვანი დამნაშავე, არასრულწლოვანი დამნაშავისაგან განსხვავებით განრიდების დროს ნებას არ გამოხატავს დოკუმენტზე ხელმოწერით, არამედ ნებას გამოხატავს გარიგების პირობების შესრულებით. იმ შემთხვევაში თუკი პირი გარიგებაში მითითებულ პირობებს შეასრულებს ნებაყოფლობით, პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, თუკი ვერ შეასრულებს გარიგების პირობებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის თანახმა განრიდებაზე და ასეთ შემთხვევებში პროკურორი განაახლებს შეწყვეტილ სისხლის სამართლებრივ დევნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სრულწლოვან პირთა განრიდების მარეგულირებელი სხვა კანონი ან კანონქვემდებარე აქტი არ არსებობს, განსხვავებით არასრულწლოვნისაგან, სრულწლოვან პირს უფლება აქვს ისარგებლოს განრიდების პროგრამაში მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის ადრე განრიდების სუბიექტი. სწორედ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ჩვენი სტატიის საკვანძო ნაწილს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით არც ის არის გათვალისწინებული, თუ რამდენჯერ შეუძლია პროკურორს განარიდოს სრულწლოვანი პირი. ე.ი კანონმდებელი არ ზღუდავს პროკურორს პირი განარიდოს რამდენჯერმე და აღნიშნულმა შესაძლოა შექმნას სერიოზული პრობლემა პრაქტიკული თვალსაზრისით. მართალია, დღეს განრიდების მეორადად გამოყენებასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ერთი და იგივე პირი რამდენჯერმე იქნას განრიდებული სხვადასხვა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის.

თუ კანონმდებელი სრულწლოვანი პირის მიმართ ტოვებს განრიდების ხელმეორედ გამოყენების სამართლებრივ შესაძლებლობას, მაშინ გაუგებარია რატომ უზღუდავს არასრულწლოვნებს ამ უფლებას. დაუშვებელია, რომ კანონმდებლობით სრულწლოვანი იმყოფებოდეს უპირატეს მდგომარეობაში არასრულწლოვანთან შედარებით. მიგვაჩნია, რომ განრიდების ხელმეორედ გამოყენების შესაძლებლობა, კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს როგორც სრულწლოვანების, ისე არასრულწლოვნების შემთხვევაში. შესაბამისად აღნიშნული საკანონდებლო ხარვეზი ისე უნდა გამოსწორდეს, რომ ცვლილებით ორივე შემთხვევაში არსებობდეს პირის განმეორებით განრიდების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ნასამართლობასაც კი აქვს ხანდაზმულობის ვადა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის პირი ითვლება ნასამართლობის არ მქონედ. მაშინ, როდესაც განრიდებულ არასრულწლოვანს კანონმდებელი არ უტოვებს შანსს, რომ კიდევ ერთხელ იქნას მის მიმართ გამოყენებული შეღავათი, თუნდაც ჩადენილი იყოს ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი მძიმე დანაშაული.

განრიდების გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირის მხარეს არსებობს გარემოებათა ერთობლიობა, რომელიც მიუთითებს, რომ ბრალდებული და მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს ისეთ საფრთხეს საზოგადოებისათვის, რომ მოხდეს მისი იზოლირება და გარდაუვალი ნეგატიური შედეგების დადგომა. ხოლო, ნასამართლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი გარემოებები არ არსებობდა ბრალდებულის მიმართ. ე.ი იმ ბრალდებულს რომლის პიროვნება ან ჩადენილი ქმედება ნაკლებად საშიში იყო, ჩავაყენებთ უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში ნასამართლობა გაქარწყლებულ მსჯავრდებულთან შედარებით, რომელიც კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯა, თუ განრიდებული პირის მიმართ განმეორებით განრიდების გამოყენების შესაძლებლობა კანონმდებლობით აკრძალული იქნება.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების, აგრეთვე ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ, რომლის შესახებაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა. პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, თუ არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მისი რესოციალიზაცი-რეაბილიტაციისთვის აუცილებელი არ არის სისხლისსამართლებრივი დევნა. ასევე, თუ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, აღემატება იმ სხვა საზოგადოებრივ ინტერესებს, რომლებიც არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად იქნებოდა დაცული. ამ ინტერესებს შორის ბალანსის დადგენისას, პროკურორი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებსაც და ცდილობს ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც მაქსიმალურად მეტი დადებითი შედეგის მომტანი იქნება. მიგვაჩნია, რომ პროკურატურა კარგად ახერხებს ამ რთული ამოცანის შესრულებას, იმ სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, რაც განრიდებულ

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობას ასახავს.⁴¹

ნასამართლობა არის პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გრძელდება მისი გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ნებისმიერი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირს შეიძლება მოეხსნას ან გაუქარწყლდეს ნასამართლობა. ნასამართლობის სამართლებრივი შედეგები არსებითად ზღუდავს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებას სასჯელის მოხდის შემდეგაც. ამიტომაც კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა ნასამართლობის გაქარწყლებისა და მოხსნის პირობები. ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა იწვევს ნასამართლობის შეწყვეტის კანონით განსაზღვრული შედეგების ლიკვიდაციას. ნასამართლობის გაქარწყლება ავტომატურად ხდება და სავალდებულო ხასიათისაა. ორივე მათგანი საბოლოო და უპირობოა. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.⁴² ერთადერთი სიტუაცია, როდესაც გასული ნასამართლობის მხედველობაში მიღება ხდება, არის სასჯელის (ასევე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას) შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ ბრალდებულის პიროვნებისა და მისი წარსულის გათვალისწინება, როდესაც მოსამართლის შინაგან რწმენაზე გავლენას ახდენს თუნდაც გაქარწყლებული ნასამართლობა. პროკურატურის მხრიდან ასევე ხდება მოხსნილ ან გაქარწყლებულ ნასამართლობაზე ყურადღების გამახვილება, როგორც ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებელზე.

თუ კანონმდებელი ნასამართლევი პირს აძლევს შანსს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მისი წარსული სისხლის სამართლის მიზნებისათვის იყოს სუფთა და მის მიმართ ისევე მოხდეს კანონის გამოყენება, როგორც ნასამართლობის არ

⁴¹ იუსტიციის სამინისტროს სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრი"-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, 2021 წლის 10 აპრილის მონაცემებით, განრიდებული 4430 ბრალდებულიდან გამეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 9 პირმა; <<http://ganrideba.ge/index.php?lang=geo>>

⁴² ნაჭყებია გ. [რედ.], ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007 წ.; გვ.: 425-427;

მქონე პირის მიმართ, გაუგებარია რატომ უზღუდავს ამ შესაძლებლობას განრიდებულ პირს და შეუძლებელს ხდის განრიდების ინსტიტუტის განმეორებით გამოყენებას. რატომ მიიჩნევა განრიდებული პირი უფრო მეტად საშიშად საზოგადოებისათვის, ვიდრე პირი, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის გაუქარწყლდა ნასამართლობა. მიგვაჩნია, რომ ეს შეზღუდვა გაუმართლებელია და განმეორებითი განრიდების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი პირების (ბრალდებულების) მიმართ.

მიგვაჩნია, რომ განრიდების განმეორებით გამოყენების შესაძლებლობა უნდა უკავშირდებოდეს განრიდების გაქარწყლების ვადას, რომელიც განსხვავებულად უნდა იყოს მოწესრიგებული სრულწლოვანისა და არასრულწლოვანის შემთხვევაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, არასრულწლოვანის განრიდების გაქარწყლება უნდა უკავშირდებოდეს განრიდების პროცესის დასრულებას.

არასრულწლოვანთა განრიდების გაქარწყლების განსხვავებული ვადების დადგენა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებით მეტად სამართლიანად მიგვაჩნია. შესაბამისად, თუ არასრულწლოვანი განრიდებული იქნება გაუფრთხილებლობით ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის გამო, მას განრიდება გაქარწყლებულად უნდა ჩაეთვალოს განრიდების პროცესის დასრულებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ხოლო, თუ მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო იქნება არასრულწლოვანი განრიდებული, მას განრიდება გაქარწყლებულად ჩაეთლება გგანრიდების პროცესის დასრულებიდან 1 წლის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლში და ამოღებული იქნას „გ“ პუნქტი, რომელიც გამორიცხავს განრიდებული პირის განმეორებით განრიდების შესაძლებლობას. აღნიშნულ მუხლს უნდა დაემატოს „გ¹“ პუნქტი, რომელიც გაქარწყლებულ განრიდებას სხვა გარემოებათა ერთობლიობაში განიხილავს განრიდების გამოყენების შესაძლებლობად.

სრულწლოვანი პირის (ბრალდებულის) მიერ განრიდების პირობების შესრულებიდან, დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად, უნდა მოხდეს განრიდების ვადის გაქარწყლება, ისე როგორც ნასამართლობის შემთხვევაში.

განრიდების გაქარწყლება უნდა უკავშირდებოდეს განრიდების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და არა პროკურორის მიერ დევნის არდაწყების ან დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღეს, რადგან პროკურორმა შესაძლოა დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება არ გამოიტანოს განრიდების პირობების შესრულებიდან გარკვეული პერიოდის მანძილზე და აღნიშნული მომავალში შექმნის პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს.

განრიდების განმეორებით გამოყენების შემთხვევაში გაქარწყლებული განრიდება მხედველობაში არ უნდა მიიღებოდეს და იმავე წესების დაცვით უნდა მოხდეს პირის განრიდება, როგორც პირველად განრიდებისას. პრაქტიკაში, როგორც წესი გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, როგორც მოსამართლის, ისე პროკურორის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა საკითხთან მიმართებით (საპროცესო შეთანხმების გაფორმება და სხვა შეღავათის ან დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება და სხვ.), რაც განრიდების განმეორებით გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროსაც იქნება სახეზე. თუმცა, თუ პროკურორი ჩათვლის, რომ პიროვნება იმსახურებს მეორე შანსს, მაშინ მას უნდა ჰქონდეს აღნიშნული შესაძლებლობა.

არც სრულწლოვანის და არც არასრულწლოვნის განმეორებით განრიდების შემთხვევაში ჩვენ შეგნებულად არ ვითვალისწინებთ განრიდების მოხსნის შესაძლებლობას, რადგან არასრულწლოვანთათვის განრიდების ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა 1 წელია და მიგვაჩნია, რომ ეს დრო შესაძლებელია სრულიად იყოს საჭირო ბრალდებულთათვის, რათა გაიაზრონ პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის. სრულწლოვანების შემთხვევაში განრიდების პირობების დღეს არსებული ჩამონათვალი, რომელიც არ არის კუმულაციური, მიგვაჩნია, რომ სავალდებულოდ შესასრულებელი უნდა იყოს სრულწლოვანი პირისთვის, რათა განრიდების მიზნები იქნას მიღწეული და თავიდან ავიცილოთ დანაშაულის

წახალისების, დაუსჯელობის სინდრომის და სხვა ნეგატიური შედეგების დადგომის შესაძლებლობა.

ასევე, მიგვაჩნია, რომ განრიდების გაქარწყლების ვადის შემცირების ან მოხსნის შესაძლებლობა არ უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, რადგან აღნიშნული განმეორებით განრიდების შესაძლებლობა თავისთავად წარმოადგენს ლიბერალურ ნაბიჯს კანონმდებლობაში და ბრალდებულის ინტერესების გათვალისწინების ისეთ შესაძლებლობას, რომელიც დამატებით უფლებას გასაჩივრებაზე არ საჭიროებს. რაც შეეხება სრულწლოვანის მიმართ განრიდების განმეორებით გამოყენების შესაძლებლობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკრძალული არ არის. მისი სრულყოფილად რეგულირება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

სისხლის სამართლის კოდექსით პირობით მსჯავრდებულს ნასამართლობა უქარწყლდება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულის - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს გაუქარწყლდება ნასამართლობა სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.⁴³ ე.ი კანონმდებელი ყველაზე მაღალი საფრთხის შემცველი დანაშაულის ჩამდენ პირსაც კი აძლევს შესაძლებლობას, რომ მის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის კოდექსის სტანდარტული დებულებები. თუ პირი, რომელმაც ჩაიდინა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული, რის გამოც მის მიმართ განრიდება იქნა გამოყენებული უმწიკვლოდ იქცეოდა, ხოლო ორი წლის გასვლის შემდეგ კვლავ ჩაიდინა, მაგალითად გაუფრთხილებლობითი, ნაკლებად მძიმე ან მძიმე, გაუფრთხილებლობითი დანაშაული (მაგალითად: ავტოსატრანსპორტო დანაშაული), მიგვაჩნია, რომ

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

პროკურორს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი შესაძლებლობა კვლავ აამოქმედოს პირის მიმართ განრიდების ინსტიტუტი.

განრიდების გაქარწყლების ვადებს გაუფრთხილებლობით ჩადენილ, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებით ცალ-ცალკე ვადგენთ და მიგვაჩნია, რომ ეს გაცილებით სამართლიან მიდგომას წარმოადგენს, ვიდრე ერთი საერთო ვადის დადგენა ყველა განრიდებული პირისათვის. თუ პირი განრიდებული იქნება გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებისათვის, მას განრიდება გაქარწყლებულად უნდა ჩაეთვალოს განრიდების პირობების შესრულებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. თუ პირი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო იქნება განრიდებული, მას განრიდება განრიდების პირობების შესრულებიდან 1 წლის გასვლის შემდგომ ჩაეთვლება გაქარწყლებულად. ხოლო, თუ სრულწლოვანი პირი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის განრიდება, მას განრიდება გაუქარწყლდება განრიდების პირობების შესრულებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ.

შემოთავაზებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესატანი ცვლილებები უკავშირდება განრიდების განმეორებით გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ქვემოთ მოყვანილია სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვით, მიზანშეწონილია:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს დაემატოს 48¹ მუხლი, რომლის შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 48¹. განრიდების გაქარწყლება

1. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის გამო განრიდებულ არასრულწლოვანს განრიდება გაქარწყლებულად ეთვლება განრიდების პროცესის დასრულებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

2. მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის გამო განრიდებულ არასრულწლოვანს განრიდება გაქარწყლებულად ეთვლება განრიდების პროცესის დასრულებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

3. განრიდება შეიძლება გაქარწყლდეს მხოლოდ ერთხელ.

4. გაქარწყლებული განრიდება მხედველობაში არ მიიღება არასრულწლოვნის განრიდების საკითხის გადაწყვეტისას.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლიდან⁴⁴ ამოღებულ იქნეს „გ“ პუნქტი;

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლს დაემატოს „გ¹“ პუნქტი, რომლის შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გ¹) განრიდება გაქარწყლებულია“;

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 168³ მუხლი:

მუხლი 168³. განრიდების გაქარწყლება

1. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო განრიდების შემთხვევაში, პირს განრიდება გაუქარწყლდება განრიდების პირობების შესრულებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

2. ნაკლებად მძიმე ჩადენილი დანაშაულის გამო განრიდების შემთხვევაში, პირს განრიდება გაუქარწყლდება განრიდების პირობების შესრულებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

3. მძიმე ჩადენილი დანაშაულის გამო განრიდების შემთხვევაში, პირს განრიდება გაუქარწყლდება განრიდების პირობების შესრულებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ.

4. განრიდება შეიძლება გაქარწყლდეს მხოლოდ ერთხელ.

5. გაქარწყლებული განრიდება მხედველობაში არ მიიღება განრიდების საკითხის გადაწყვეტისას.

⁴⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლი „განრიდების გამოყენების წინაპირობები“;

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით დაზარალებულის უფლებებსა და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს და მოცემული სტატიის ფარგლებში ვერ იქნება განხილული. განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი შესაძლებლობის არსებობას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია, მათ შორის:

1. არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა;
2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმების გაუმჯობესება;
3. კანონმდებლობის ლიბერალიზაციისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი;
4. ბრალდებულის სტიგმატიზაციის თავიდან არიდება;
5. დაზარალებულის მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება;
6. ბრალდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია;
7. მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის დროის რესურსის დაზოგვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაუშვებელია სრულწლოვან ბრალდებულს ჰქონდეს მეტი უპირატესობა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას, ვიდრე არასრულწლოვან ბრალდებულს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების პაკეტის პრაქტიკული განხორციელება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისა და ლიბერალიზაციისათვის.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ მიღების თარიღი: 09/10/2009; (2021 წლის 12 აპრილის მდგომარეობით);
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, მიღების თარიღი: 22/07/1999; (2021 წლის 10 აპრილის მდგომარეობით);
3. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, (3708-III), მიღების თარიღი: 12/06/2015 (2021 წლის 12 აპრილის მდგომარეობით);

4. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, (N 235), მიღების თარიღი: 22/03/2012,
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1617344?publication=0>>
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“, (N 216), მიღების თარიღი: 12/11/2010;
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540?publication=0>>
6. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ (N 181); მიღების თარიღი: 08/10/2010;
<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1040547?publication=0>>
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“, (N 120), მიღების თარიღი: 01/02/2016;
8. საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში (15.05.2020)
<<https://pog.gov.ge/uploads/f67fa1c7-angarishi-15-05-2020.pdf>>
9. უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები;
<<http://www.supremecourt.ge/statistics/>>
10. ნაჭყებია გ. [რედ.], ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო“; გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007 წ.;
11. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, 2011წ. <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8987288_38635_607369_Hammarbergreport-getm.pdf>
12. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2017 - 2019 წლის წლიური ანგარიშები; <<http://prevention.gov.ge/page/28/geo>>
13. სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, განრიდების პროგრამების 2014-2019 წლის ანგარიშები; <<http://prevention.gov.ge/page/28/geo>>

14. ისმაილი ქ., „ნულოვანი ტოლერანტობის კულტურული და სიმბოლური რეზონანსი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში“; <<https://socialjustice.org.ge/ka/products/nulovani-tolerantobis-kulturuli-da-simboluri-rezonansi-tanamedrove-siskhlis-samartlis-sistemashi>>
15. Sullivan, A., & Sheffrin, S. M. „Economics: Principles in Action“. 2002 New Jersey;
16. Hungerford-Welch P. „Criminal litigation and sentencing“. London – Sidney (Fifth edition), Cavendish publishing limited, 2000;
17. Winterdyk J.A. “Juvenile Justice: International Perspectives, Models and Trends”, 2015;
18. Evans R. „Comparing gang adult juvenile cautioning in the metropolitan police district“.

ევროპული პატენტის ვალიდაციის ასპექტები საქართველოს საპატენტო სისტემაში

მირანდა გურგენიძე, სამართლის დოქტორი, [ORCID.ORG/0000-0001-9247-2272](https://orcid.org/0000-0001-9247-2272)

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.11>

აბსტრაქტი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქპატენტი განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების გლობალურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც ასევე იქცა საქპატენტის მთავარ პრიორიტეტად. დღეისათვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებას და არის მრავალი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე.

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან. შესავალში მოცემულია სამართლებრივი საკითხის დახასიათება, ძირითად ნაწილში განსაზღვრულია ევროპული პატენტის ვალიდაციის აქტუალური საკითხები, რომელთა იმპლემენტაცია უნდა მოხდეს საქართველოს „საპატენტო კანონში“ ვალიდაციის შეთანხმების შესაბამისად, განმცხადებლებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ თავიანთი ევროპული საპატენტო განაცხადებისა და ევროპის საპატენტო უწყების მიერ გაცემული პატენტების ვალიდაცია საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროპის საპატენტო კონვენციის მონაწილე ქვეყანა. საქართველოში ვალიდირებულ ევროპულ განაცხადებსა და პატენტებს იგივე სამართლებრივი ძალა ექნებათ, რაც გააჩნია ქართულ განაცხადებსა და პატენტებს, ამასთან სამართლებრივი ქმედებები ვალიდირებულ ევროპულ პატენტთან დაკავშირებით დარეგულირდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ევროპის საპატენტო ორგანიზაცია (EPO) წარმოადგენს ევროპის მასშტაბით მეორე უმსხვილეს საჯარო სერვისების განმახორციელებელ ორგანიზაციას. EPO ახდენს გამოგონებებზე საპატენტო განაცხადების ექსპერტიზას და გასცემს ევროპულ პატენტებს, მისი საქმიანობა მიმართულია ევროპის მასშტაბით ინოვაციის, კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისაკენ, რასაც იგი უზრუნველყოფს ევროპის საპატენტო კონვენციის შესაბამისად მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებით. დღეისათვის, ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში (EPO) გაწევრიანებულია 38 წევრი ქვეყანა, რაც მოიცავს ევროკავშირის ყველა, 28 წევრ სახელმწიფოს და ასევე, ევროკავშირის ზოგიერთ არაწევრ ქვეყნებს.

საკვანძო სიტყვები: გამოგონება, საპატენტო სამართალი, ევროპის საპატენტო სისტემა, ევროპული პატენტის ვალიდაცია

Aspects of European patent validation in the Georgian patent system

Gurgenidze Miranda

David Aghmashenebeli University of Georgia,

Abstract

The National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti is a governmental agency – a legal entity of public law. In accordance with the Georgian legislation, Sakpatenti determines the policy in the field of intellectual property.

A major tool for protection of intellectual property rights outside Georgia is the full integration of the country into the global IP systems, which became a priority policy direction for Sakpatenti. At present Georgia is a member of all main conventions and agreements on intellectual property protection and is a party to a number of bilateral international treaties.

The scientific article consists of an introduction, a main part and a conclusion. The introduction presents the urgency of the legal problem.

The main part discusses the issues of European patent validation, which should be implemented in the Patent Law of Georgia. Under the Validation Agreement, applicants will be able to validate their European patent applications and patents granted by the European Patent Office in Georgia, even though Georgia is not a contracting state to the European Patent Convention. European applications and patents validated in Georgia will have the same legal effect here as Georgian applications and patents. Along with this, legal actions will be regulated by the Georgian legislation.

The European Patent Organisation (EPO) is a second largest organization in Europe rendering public services. EPO carries out examination of applications to obtain patents for inventions and grants European patents, its activities are directed to facilitate development of innovations, competitiveness and economic growth in Europe, which is ensured by means of offering high level services according to the European Patent Convention. At present the European Patent Organisation (EPO) unites 38 countries, including all the 28 member states of the European Union and, in addition, some countries that are not the EU member states.

Keywords: Invention, Patent Law, European patent system, European patent validation.

შესავალი

ქართულმა ინტელექტუალური საკუთრების სამართალმა განვითარების მეტად საინტერესო გზა განვლო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. საქართველომ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის შექმნა, რაც აისახა კიდევ ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომელმაც 1992 წელს ჩამოაყალიბა ეროვნული საპატენტო უწყება - საქპატენტი.

პატენტი წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთ-ერთი უძველეს ფორმას და მისი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ინტელექტუალური შემოქმედების დაფასებით. ამასთან, ინტელექტუალური საკუთრება, ახალი ტექნოლოგიები, კომერციული ნოუ-ჰაუ დღეს განიხილება,

როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი.

სახელმწიფოები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით ქმნიან ეროვნულ კანონმდებლობას და უერთდებიან ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ რეგიონულ ან/და საერთაშორისო შეთანხმებებს შემდეგი მიზეზების გამო:

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაცვით ხელი შეუწყონ ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის სხვადასხვა ფორმის განვითარებას;
- შემოქმედებით ადამიანებს მიანიჭონ ოფიციალური აღიარება;
- შექმნან საჭირო საინფორმაციო ბაზები.⁴⁵

საქართველოში გამოგონების შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის 20-ე მუხლი, აგრეთვე „საქართველოს საპატენტო კანონი,“ ამჟამად, საქართველოში გამოგონებაზე პატენტის მიღება შესაძლებელია ორი გზით: განაცხადის პირდაპირ საქპატენტში წარდგენით და საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად შეტანილი საერთაშორისო განაცხადის ეროვნულ ფაზაში საქართველოში წარდგენის საშუალებით. აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს „საპატენტო კანონის“ XII -ე თავით (საერთაშორისო განაცხადი)

როგორც ცნობილია, ეროვნული საპატენტო სისტემა მოიაზრებს საპატენტო განაცხადის შეტანას ყველა იმ ქვეყნის საპატენტო უწყებაში, სადაც მოითხოვება დაცვა. 1970 წელს მიღებულ იქნა ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (PCT). აღნიშნული ხელშეკრულება გამომგონებლისთვის ან განმცხადებლისთვის ადგენს რამდენიმე ქვეყანაში საპატენტო განაცხადის შეტანისა და პატენტის მოპოვების გამარტივებულ პროცედურას. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების ძირითადი მიზანია, საპატენტო განაცხადების რამდენიმე ქვეყანაში წარდგენის მანამდე არსებული ანუ ტრადიციული მეთოდი გამარტივდეს, გახდეს უფრო

⁴⁵ ინტელექტუალური სამართლის ზოგადი კურსი. WIPO/SAKPATENTI, მოდული #1. 2020

ეფექტური და ეკონომიური საპატენტო სისტემის მომხმარებელთათვის და საპატენტო უწყებებისათვის.⁴⁶ ხელშეკრულების კიდევ ერთი მიზანია, ხელი შეუწყოს პატენტში არსებული ინფორმაციის გაცვლას ქვეყნებსა და სამეცნიერო ჯგუფებს შორის, ესენია მოცემულ დარგში მოღვაწე გამომგონებლები და სამრეწველო კომპანიები.

2019 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას⁴⁷ შორის ხელმოწერილ იქნა ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმება, რომლის ძალაში შესვლისათვის აუცილებელია საქართველოს საპატენტო კანონის ევროპის საპატენტო კონვენციასთან და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ეროვნულ კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებების განხორციელებას.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად საქართველოს „საპატენტო კანონს“ დაემატება ახალი XII¹ თავი: „ევროპული პატენტის ვალიდაცია“, რომელშიც აისახება ვალიდაციის შეთანხმების დანართში მოცემული დებულებები და განისაზღვრება ევროპული პატენტების საქართველოში ვალიდაციის პირობები და პროცედურები. კერძოდ, კანონპროექტის მიღების შედეგად, ევროპულ საპატენტო განაცხადს და საქართველოში ვალიდირებულ ევროპულ პატენტს მიენიჭება იგივე იურიდიული ძალა და დაექვემდებარება იმავე პირობებს, რაც ვრცელდება ეროვნულ საპატენტო განაცხადზე და ეროვნულ პატენტზე საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით. ევროპის საპატენტო კონვენციის (EPC) შესაბამისად, ევროპული საპატენტო განაცხადი

⁴⁶ ინტელექტუალური სამართლის ზოგადი კურსი. WIPO/SAKPATENTI, მოდული #8. 2020

⁴⁷ (შენიშვნა) ევროპის საპატენტო უწყება დაარსდა ევროპის საპატენტო კონვენციის საფუძველზე. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე გაცემულ პატენტს ეწოდება ევროპული პატენტი. 2(2) მუხლის თანახმად კი, ევროპული პატენტი თითოეულ ხელმოწერ ქვეყანაში სარგებლობს იმავე აღიარებით, და ექვემდებარება იმავე მოთხოვნებს, რომლითაც სარგებლობს და რომელსაც ექვემდებარება ამ ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ გაცემული პატენტი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ევროპის საპატენტო ორგანიზაცია (EPO) წარმოადგენს ევროპის მასშტაბით მეორე უმსხვილეს საჯარო სერვისების განმახორციელებელ ორგანიზაციას. EPO ახდენს საპატენტო განაცხადების ექსპერტიზას და გასცემს ევროპულ პატენტებს. მისი საქმიანობა მიმართულია ევროპის მასშტაბით ინოვაციის, კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისაკენ, რასაც უზრუნველყოფს ევროპის საპატენტო კონვენციის შესაბამისად მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებით. დღეისათვის ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 38 ქვეყანა, რაც მოიცავს ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებსაც.

წარმოადგენს განაცხადს ევროპული პატენტისათვის, ასევე, საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად შეტანილ საერთაშორისო განაცხადს, რომელთან დაკავშირებით ევროპის საპატენტო უწყება (EPO) არის აღნიშნული ან არჩეული უწყება, და რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის საერთაშორისო თარიღი და რომელშიც აღნიშნულია საქართველო.

ვალიდირებული ევროპული პატენტი გულისხმობს EPO-ს მიერ გაცემულ ევროპულ პატენტს ევროპულ საპატენტო განაცხადზე, რომლის საფუძველზე მოთხოვნილ იქნება საქართველოში ვალიდაცია; ეროვნული საპატენტო განაცხადი არის საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ შეტანილი განაცხადი, ხოლო ეროვნული პატენტი ნიშნავს პატენტს, რომელიც გაცემულია საქპატენტის მიერ ეროვნული საპატენტო განაცხადის საფუძველზე საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად.

ვალიდაციის პროცედურის მიმოხილვა

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ევროპულ საპატენტო განაცხადსა და საქართველოში ვალიდირებულ ევროპულ პატენტს, აქვს იგივე იურიდიული ძალა და მასზე ვრცელდება იგივე სამართლებრივი პირობები, რაც საქპატენტში წარდგენილ ეროვნულ საპატენტო განაცხადსა და საქპატენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაცემულ ეროვნულ პატენტზე. ევროპული საპატენტო განაცხადი, რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის თარიღი, უთანაბრდება საქპატენტში წარდგენილ ეროვნულ საპატენტო განაცხადს, შესაბამის შემთხვევებში, ევროპული საპატენტო განაცხადისათვის მოთხოვნილი პრიორიტეტით, ევროპული საპატენტო განაცხადის ექსპერტიზის შედეგის მიუხედავად.

აღსანიშნავია, რომ საქპატენტის მიერ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართულ ენაზე თარგმანის გამოქვეყნების თარიღიდან, გამოქვეყნებული ევროპული საპატენტო განაცხადით წარმოიშობა იგივე პირობითი უფლებები, რაც გამოქვეყნებული ეროვნული საპატენტო განაცხადის შემთხვევაში. ვალიდირებული ევროპული პატენტით, EPO-ს მიერ მისი გაცემის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღიდან, წარმოიშობა იგივე

განსაკუთრებული უფლებები⁴⁸, რაც „საპატენტო კანონის“ შესაბამისად საქპატენტის მიერ გაცემული ეროვნული პატენტით.

ევროპული საპატენტო განაცხადი, რომლისთვისაც გადახდილია ვალიდაციის საფასური და ვალიდირებული ევროპული პატენტი, ეროვნული საპატენტო განაცხადისა და ეროვნული პატენტის მიმართ მიეკუთვნება იმავე ტექნიკის დონეს, რომელსაც მიეკუთვნება ეროვნული საპატენტო განაცხადი და ეროვნული პატენტი.⁴⁹

როგორც აღინიშნა, ევროპის საპატენტო განაცხადი და ასეთ განაცხადზე გაცემული ევროპული პატენტი შეიძლება იქნეს ვალიდირებული საქართველოში განმცხადებლის მოთხოვნით. ვალიდაციის მოთხოვნა უნდა ჩაითვალოს წარდგენილად განმცხადებლის მიერ ნებისმიერი ევროპული საპატენტო განაცხადისთვის, რომელიც შეტანილია იმ თარიღში ან მას შემდეგ, როდესაც ძალაში შევა საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის დადებული ვალიდაციის შეთანხმება.

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, საქპატენტმა უნდა გამოაქვეყნოს ვალიდაციის ყველა მოთხოვნა შესაძლოდ მოკლე ვადაში მას შემდეგ, რაც EPO შეატყობინებს მას, რომ გადახდილია ვალიდაციის შესაბამისი საფასური, მაგრამ არა შეტანის თარიღიდან 18 თვის გასვლამდე ან, თუ მოითხოვება პრიორიტეტი, პრიორიტეტის ყველაზე ადრინდელი თარიღიდან 18 თვის გასვლამდე. ამასთან, ვალიდაციის მოთხოვნის გამოხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს. ვალიდაციის მოთხოვნა უნდა ჩაითვალოს გამოხმობილად, თუ ვალიდაციის შესაბამისი საფასური დროულად არ იქნა გადახდილი ან, თუ ევროპულ საპატენტო განაცხადზე მიღებულ

⁴⁸ საქართველოს „საპატენტო კანონის“ 48-ე მუხლის შესაბამისად, პატენტი მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, აუკრძალოს სხვა პირებს თავისი ნებართვის გარეშე: ა) პატენტით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა; ბ) პატენტით დაცული ხერხის გამოყენება ან გასაყიდად შეთავაზება; გ) პატენტით დაცული ხერხით უშუალოდ მიღებული პროდუქტის გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა.

⁴⁹ ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც პრიორიტეტის თარიღამდე საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით. სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, მიეკუთვნება აგრეთვე საქპატენტში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტის მისაღებად შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი იმ განაცხადთან შედარებით, რომლის სიახლაც დგინდება, და ისინი გამოაქვეყნდა განაცხადის პრიორიტეტის თარიღის შემდეგ. საგამომგონებლო დონის დადგენისას ტექნიკის დონეს არ მიეკუთვნება საქპატენტში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის მისაღებად შეტანილ განაცხადებში მითითებული მონაცემები, რომლებიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

იქნა საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება, ან ის გამოხმობილ იქნა, ან ჩაითვალა გამოხმობილად. საქპატენტმა უნდა გამოაქვეყნოს გამოხმობის შესახებ ინფორმაცია უმოკლეს ვადაში.

ვალიდაციის საფასური

ვალიდაციის საფასური გადახდილ უნდა იქნეს EPO-სთვის ექვსი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც ევროპულ საპატენტო ბიულეტენში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ევროპული ძიების ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ ან, შესაბამის შემთხვევაში, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც გათვალისწინებულია მოთხოვნილი ქმედებების შესასრულებლად იმ საერთაშორისო განაცხადის ევროპულ ფაზაში შესასვლელად, რომლისთვისაც EPO არის აღნიშნული ან არჩეული უწყება, რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის საერთაშორისო თარიღი და რომელშიც აღნიშნულია საქართველო. ვალიდაციის საფასურების გადახდისას ვრცელდება EPO-ს საფასურებთან დაკავშირებული წესები. ამ კანონით დადგენილი წესით გადახდილი ვალიდაციის საფასურების დაბრუნება არ ხდება. ვალიდაციის საფასური შესაძლებელია გადახდილ იქნეს დამატებითი ორთვიანი პერიოდის განმავლობაში ექვსთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგაც იმ პირობით, რომ დამატებითი პერიოდის განმავლობაში საფასურზე გადაიხდება 50% დანამატი.

გამოგონების აღწერილობა, ფორმულა, ნახაზები და რეფერატი⁵⁰

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ევროპული პატენტის გაცემის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, პატენტის მფლობელმა უნდა წარადგინოს საქპატენტში პატენტის აღწერილობის (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) ქართული თარგმანი და გადაიხადოს გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური.

თუ EPO-ში წარდგენილი მესამე პირის საჩივრის ან შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად, ევროპული პატენტი ძალაში დარჩება შეცვლილი სახით, იმ თარიღიდან, როდესაც გამოქვეყნდა ინფორმაცია ევროპული პატენტის შეცვლილი სახით ძალაში

⁵⁰ საპატენტო განაცხადი უნდა შეიცავდეს: ა) განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე; ბ) გამოგონების აღწერილობას; გ) გამოგონების ფორმულას; დ) ნახაზებსა და სხვა დოკუმენტებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების არსის ასახსნელად; ე) გამოგონების რეფერატს, რომელიც მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა.

დატოვების ან მისი შეზღუდვის გადაწყვეტილების შესახებ, პატენტის მფლობელმა სამი თვის განმავლობაში უნდა წარადგინოს საქპატენტში ევროპული პატენტის შეცვლილი ან შეზღუდული სახით პატენტის აღწერილობის (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) ქართული თარგმანი და გადაიხადოს გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური. თუ გამოგონების ფორმულის ტექსტი შეიცავს მინიშნებებს ნახაზებზე, ასეთი ნახაზები უნდა დაერთოს მითითებულ თარგმანს.

თუ კანონით დადგენილ ვადაში არ არის წარდგენილი თარგმანი ან არ არის გადახდილი გამოქვეყნების საფასური, ევროპული პატენტი ჩაითვლება ბათილად ab initio. თარგმანი შეიძლება წარდგენილ იქნეს კანონის მოთხოვნათა დაცვით დამატებითი სამთვიანი პერიოდის განმავლობაში იმ პირობით, რომ დამატებითი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნების საფასურზე გადაიხდება 100% დანამატი.

ევროპული საპატენტო განაცხადის ან ევროპული პატენტის ავთენტური ტექსტი

თარგმანთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნათა დაცვით, ევროპული საპატენტო განაცხადის ან ევროპული პატენტის ტექსტი EPO-ს სამართალწარმოების ენაზე უნდა იყოს ავთენტური ტექსტი საქართველოში ნებისმიერი სამართალწარმოებისთვის. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსაკუთრებული მოთხოვნები, შესაძლებელია საქართველოს სასამართლოებში სამართალწარმოების დროს, მათ შორის, პატენტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, მოთხოვნილ იქნეს დამოწმებული ქართული თარგმანის გამოყენება. მიუხედავად ამ მოთხოვნისა, პატენტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების გარდა, თარგმანი უნდა ჩაითვალოს ავთენტურად, თუ ნათარგმნ ენაზე განაცხადით ან პატენტით ხდება ისეთი დაცვის მინიჭება, რომელიც უფრო ვიწროა, ვიდრე EPO-ს სამართალწარმოების ენაზე მინიჭებული დაცვა. ევროპული პატენტის მიღების მსურველ განმცხადებელს ან ვალიდირებული ევროპული პატენტის მფლობელს, ნებისმიერ დროს შეუძლია წარმოადგინოს შესწორებული თარგმანი. გამოქვეყნებული ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის შესწორებულ თარგმანს, ისევე როგორც

ვალიდირებული ევროპული პატენტის შესწორებულ თარგმანს არა აქვს იურიდიული ძალა, ვიდრე ის არ გამოქვეყნდება საქპატენტის მიერ, ინსტრუქციით დადგენილი წესით და არ იქნება გადახდილი გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური.

დასკვნა

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში განხილული საკანონმდებლო ცვლილებების მიღება და ევროპის საპატენტო ორგანიზაციასთან ვალიდაციის შეთანხმების ძალაში შესვლა, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საქართველოში საპატენტო სისტემის შემდგომი განვითარებისთვის, რაც გააძლიერებს სამრეწველო საკუთრების დაცვას ქვეყანაში და, ასევე, ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიზნების მიღწევას და ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს ეკონომიკის თანდათანობით ინტეგრაციას. ამ თვალსაზრისით, უდავად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ზემოაღნიშნული ნორმების იმპლემენტაცია ქართულ საპატენტო სამართალურთიერთობაში, თუმცა მიგვაჩნია, რომ გარდა საპატენტო კანონში გასატარებელი ცვლილებებისა, რაზედაც ვრცლად ვისაუბრეთ, მიზანშეწონილია ცვლილებები შევიდეს, აგრეთვე საქპატენტის თავმჯდომარის #4 ბრძანებით დამტკიცებულ „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმებისა, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციაშიც.

ვფიქრობთ, „საპატენტო კანონში“ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და ვალიდაციის შეთანხმების ძალაში შესვლა, ასევე, გაამარტივებს მოლაპარაკებებს საქართველოს ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაც შემდგომში კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ქვეყანას.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის საფუძველზე, საქართველოს საპატენტო კანონის რიგი დებულებები შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ევროპის საპატენტო კონვენციასთან და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. საქართველოს საპატენტო კანონი.
<https://matsne.gov.ge/document/view/11470?publication=7>
3. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია
<https://www.matsne.gov.ge/document/view/2446385?publication=0>
4. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება
5. <https://www.matsne.gov.ge/document/view/2507796?publication=0>
6. ინსტრუქცია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ
<https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/39>
7. The European Patent Convention
<https://www.epo.org/law-practice/legal-texts/epc.html>
8. გაბუნია დ. „სამრეწველო საკუთრების დაცვა“ თბ. 2020 <https://www.inovdev.ge>
9. გაბუნია დ. (რედაქტ.) „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი. თბ. 2001
10. კეკელაშვილი ო. „საპატენტო სამართლის ეკონომიკური საფუძვლები“ თბ. 2002.
11. ძამუკაშვილი დ. „სამრეწველო საკუთრება“ თბ. 1997.
12. ს. ჯორბენაძე „ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი“ თბ. 1998
13. „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი“. WIPO/SAKPATENTI, 2020
14. <https://www.epo.org/index.html>
15. <https://www.wipo.int/wipolex/en/index.html>
16. <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/>

სისხლის სამართლის საქმეზე ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადებთან და ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

ხვიჩა ბეგიაშვილი, დოქტორანტი, ORCID: 0000-0003-1754-4963

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.12>

აბსტრაქტი

2010 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში მოქმედებს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად უზრუნველყო გამოძიების გამარტივება და დაჩქარება, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დარჩა პრობლემური საკითხები, რომლებიც მკვეთრად არ არის განსაზღვრული კანონით და რომელთა არსებობაც ხელს უშლის გამოძიების გამარტივებას და უსაფუძვლო ხელოვნური საკანონმდებლო ბარიერების თუ მანკიერი პრაქტიკის დაწესებით, რიგ შემთხვევაში გვევლინება აგრეთვე გამოძიების გაჭიანურების ფაქტორად.

სტატიაში განხილულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადებთან და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შეტყობინებასთან დაკავშირებული ის პრობლემური საკითხები, რაც თავს იჩენს პრაქტიკაში, აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი საპროცესო ნორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მათი გადაჭრის გზები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების როლი სამართალწარმოების დაჩქარების და გამარტივების მხრივ.

სტატიის შინაარსში გადმოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და საქართველოში წარსულში მოქმედი საპროცესო წესები განსახილველი საკითხების ირგვლივ და საერთაშორისო რეკომენდაციები.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში განხილულ პრობლემას, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, თითქმის ყოველდღიურად აწყდება საქართველოს ყველა პროკურორი და გამომძიებელი, შესაბამისად საკითხის მეცნიერული ანალიზი და წამოჭრილი პრობლემების სწორად გადაწყვეტა, ვიმედოვნებთ, რომ საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებსაც გამოიწვევს, რაც დახმარებას გაუწევს სისხლის სამართლის საქმეებზე დროული, ყოველმხრივი და შედეგიანი გამოძიების მოთხოვნების შესრულებას.

საკვანძო სიტყვები: *ფარული საგამომძიებო მოქმედება, ვადები, სავალდებულო შეტობინება*

Problems related to the time limits of covert investigative action in a criminal case and notification of covert investigative action according to the Criminal Procedure Code of Georgia

Khvicha Begiashvili, PhD student, ORCID: 0000-0003-1754-4963

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

For the scientific article: Problematics related to the terms of undercover investigative activities and notification on undercover investigative activities of a criminal case, according to the Criminal Procedure Code of Georgia

From October 1, 2010, Georgia has a new Criminal Procedure Code, which as per recommendations of the Committee of Ministers of the Council of Europe, ensured simplification and acceleration of an investigation. Regardless of the mentioned, the Criminal Procedure Code still contains the problematic issues, which are not unequivocally defined by the law and hinder the simplification of an investigation and procrastinate an investigation in some cases due to establishment of the unfounded artificial legislative barriers or faulty practice.

The article examines the problematic issues arising in practice related to the terms of undercover investigative activities and notification on conducting undercover investigative

activities; the advantages and disadvantages of the regulatory procedural norms of the mentioned issue and their settlement; the role of undercover investigative activities in acceleration and simplification of judicial procedure.

The content of the article reveals the experience of foreign countries and former procedural rules of Georgia on the issues to be discussed and international recommendations.

The mentioned article will hopefully arouse the interest of both practitioners working on criminal cases and scientists of the criminal field.

In conclusion, it is worth mentioning that all procurators and investigators of Georgia almost every day face the problem discussed in the article in their daily activities. Consequently, scientific analysis of the issue and sound settlement of the raised problems will hopefully lead to the necessary legislative changes, which will assist the satisfaction of requirements of a timely, thorough and successful investigation of criminal cases.

Key words: covert investigative action, deadlines, mandatory notification

შესავალი: ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მომართულია სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების პროცესის გამარტივებისკენ, ამასთან საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული იქნა რიგი ცვლილებები, რომლებიც ართულებს და დაბრკოლებებს უქმნის საქმეზე დროული და ობიექტური გამოძიების ჩატარების საპროცესო პრინციპებს. საქართველომ მხარი დაუჭირა მართლმსაჯულების გამარტივების და დაჩქარების პროცესს, რომელსაც ინგლისურ-ამერიკულმა სამართლის სისტემის მოდელმა დაუდო სათავე, მიუხედავად აღნიშნულისა, 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ვფიქრობთ საგრძნობლად შეაფერხა ამ მხრივ საპროცესო კანონმდებლობის განვითარების დადებითი ტენდენციები.

ევროსაბჭოს მინისტრიალის გადაწყვეტილებით, გაიცა რეკომენდაცია სისხლის სამართლის პროცესის დაჩქარებისა და გამარტივების თაობაზე[1], დამატებითი რეკომენდაცია, წევრ სახელმწიფოებს ურჩევს სამართალწარმოების გამარტივებული ფორმის დანერგვას[2], ამასთან დანაშაულზე სათანადო რეაგირება უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიული სახელმწიფოების მთავარ პრინციპებს,

კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებების პატივისცემას[3]. სწრაფი და მარტივი სამართალწარმოება, ეს არის საქართველოს მოქალაქეების დაკვეთა, რასაც ხელს უნდა უწყობდეს ნებისმიერი საკანონმდებლო ნოვაცია და მინიმუმ ხელს არ უნდა უშლიდეს სამართალწარმოების პროცესს, სამწუხაროდ მოქმედ კანონმდებლობაში, კვლავ გვხვდება ისეთი ნორმები, რომელიც ართულებს და ხელოვნურ ბარიერებს უქმნის გამოძიების პროცესს.

აღნიშნული სტატიის კვლევის საგანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, 2014 წლის 1 აგვისტოს, განხორციელებული ცვლილებების ფონზე, ჩვენი აზრით გამოძიებისათვის უსარგებლო და ხელოვნური ბარიერების შექმნის კუთხით წარმოქმნილი პრობლემები იქნება. მხედველობაში გვაქვს ფარული საგამოძიებო მოქმედების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გადმოტანაზე და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგლამენტაციებზე, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გამოძიების თავის ტკივილად იქცა, კერძოდ შევხებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადებს და ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებას, განვიხილავთ მის დადებით და უარყოფით მხარეებს, პრაქტიკაში წარმოქმნილ პრობლემებს, აგრეთვე საკითხისადმი საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მიდგომებს. ფაქტია, რომ აღნიშნული სტატიის კვლევის ობიექტის ირგვლივ არსებობს კითხვები, როგორც პრაქტიკოსი, აგრეთვე თეორეტიკოსი იურისტების მიერ, რაც დიდ პრობლემებს უქმნის გამოძიების პროცესს და საჭიროებს აუცილებელ საკანონმდებლო ჩარევას. შევეცდებით მოცემულ სტატიაში პასუხი გავცეთ ისეთ მტკივნეულ კითხვებს, როგორც არის განხორციელებული ცვლილებების ფონზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადების შემცირების მიზანშეწონილობის და ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების სავალდებულობის საკითხები.

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავით განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედებები მოქმედებები და მათი ჩატარების წესი. სადაც რეგლამენტირებულია მათი ჩატარების ვადები[4] და ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების წესი[5], რაც ერთგვარი

ნოვაცია იყო ქართულ კანონმდებლობაში. საკვლევი პრობლემატიკის უკეთ წარმოჩენისათვის, უნდა აღინიშნოს მისი ნაჩქარევად მიღების და დაუსაბუთებლობის საკითხი. 2014 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განახორციელა ცვლილებები, რომლის მიხედვით გარდა ჩვენი კვლევის უმთავრესი საგნის ახლებურად რეგლამენტირებისა, ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისათვის აგრეთვე დაწესებული იქნა მკაცრი სტანდარტები. საკანონმდებლო ინიციატივის სულისკვეთება იყო საქართველოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა[6], რაც თავისებურად შეავსო საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ[7] და ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებას დაუწესდა საკმაოდ მკაცრი ცენზი[8] და მისი ჩატარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას[9].

რაც შეეხება ჩვენი კვლევის საგანს, კერძოდ ფარული საგამომიებო მოქმედებების ვადებს და ფარული საგამომიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებას, რომელიც მიღებული იქნა სათანადო დასაბუთების და მყარი არგუმენტების გარეშე და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, ფარული საგამომიებო მოქმედებების საკმაოდ შემცირებული ვადის განსაზღვრა და პროკურორის დავალდებულება, წარმოუდგენლად მცირე დროის გასვლის შემდეგ (*აღნიშნულ საკითხზე დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებთ*), ფარული საგამომიებო მოქმედების შეტყობინების განხორციელებაზე, არცთუ მთლად საფუძვლიანად დაწესდა, ადვილი მისახვედრი გახდება, რომ ამ მიმართულებით გამოძიებას დაუწესდა ისეთი სავალდებულო საკანონმდებლო რეგლამენტაციები, რაც პრაქტიკაში ქმნის სერიოზულ პრობლემებს და რამაც შესაძლებელია დააზიანოს არა მხოლოდ გამოძიების ინტერესები, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოების და საზოგადოების დაცულობის ინტერესები.

იმისათვის, რომ განსახილველი პრობლემატიკა უკეთ წარმოვაჩინოთ, განვიხილოთ, თუ როგორი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 1 აგვისტოს, განხორციელებულ ცვლილებებამდე ფარული საგამომიებო მოქმედების ვადები და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის წესი. ხსენებულ ცვლილებამდე, ფარული საგამომიებო მოქმედებები, რეგლამენტირებული იყო

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში[10] და მათი ჩატარება სისხლის სამართლის საქმეზე საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა 9 თვის, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში 12 თვის ვადით[11]. რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ შეტყობინების საკითხს, აღნიშნულს კანონი არ ითვალისწინებდა[12].

2014 წლის 18 აგვისტოს, ცვლილებების ძალაში შესვლის შესვლის შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ცნება, კერძოდ ახლად დამატებულ თავში გაერთიანდა 7 სახის ფარული საგამოძიებო მოქმედება[13]. დამეთანხმებით აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობა შესაძლებელია საჭირო გახდეს ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების ფაქტზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს აქვს გარკვეული ფორმალური შეზღუდვები[14], რაც თავისთავად პრობლემატური საკითხია, მაგრამ ვინაიდან არ ეხება ჩვენი კვლევის საგანს ამ თემას მოცემულ სტატიაში არ ჩავუღრმავდებით.

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ობიექტები არიან: დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი, ან პირი, რომელიც იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს[15]. 2014 წლის 1 აგვისტოს ცვლილებების მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა არის 3 თვე [1+1+1] და ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია[4].

2014 წლის 1 აგვისტოს ცვლილებების მიხედვით დაუსაბუთებლად და უაპელაციოდ იქნა შემცირებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა, რეგულაციების ამოქმედებამდე საგამოძიებო ორგანოებს უფლება ქონდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები ეწარმოებინა 9 თვის მანძილზე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში 12 თვემდე ვადითაც კი, მოქმედი კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადა შემცირდა 2 თვემდე, ხოლო განსაკუთრებულ

შემთხვევებში 3 თვემდე. აღნიშნულმა ნოვაციამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა გამოძიების პროცესს, განსაკუთრებით დენადი და განგრძობადი დანაშაულების გამოძიების შემთხვევებში. აღნიშნულ პრობლემას კი თავის მხრივ ამძაფრებს ის გარემოება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადის შემცირება, თუ რა მიზნით მოხდა, არ ყოფილა განმარტებული ცვლილებების განხორციელების დროს, აქვე გამოვეხმაურებით მაკა ხოდელის მოსაზრებას, რომ კანონის ჩანაწერის მიხედვით, შესაძლოა გაგებული იყოს ისე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადა ფართო გაგებით შეიძლება შეადგენდეს 6 თვეს[16], აღნიშნულ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით და ჩვენი მოსაზრება დადასტურებულია, როგორც სასამართლო პრაქტიკით, აგრეთვე საპროცესო კოდექსის მითითებით, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვით. რაც შეეხება მაკა ხოდელის მიერ განხილულ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩარევის კონსტიტუციური გარანტიის მნიშვნელობას, ვფიქრობთ არასწორ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე[16], ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია ფარული საგამოძიებო მოქმედების ხანგრძლივი ვადის აკვარგინობაზე (*საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილება მიღებულია 2012 წელს, ამიტომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში ვგულისხმობთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას*), არამედ შეეხო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ფარულ ბუნებას და ამ ფონზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის ცდუნების რისკს, რა თქმა უნდა მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად უნდა იქნეს შემცირებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, არამართლზომიერი ჩარევის რისკი, რაც თავისთავად ცალკე დანაშაულს წარმოადგენს და რაზეც უმკაცრესი რეაგირება უნდა ქონდეს სახელმწიფოს, ამასთან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც აღვნიშნეთ ეხება განსახილველ ცვლილებამდე პერიოდს[17] და ამჟამად ფარული საგამოძიებო მოქმედებები რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, თავად აღნიშნული საკითხიც სადაო პრობლემად არის ქცეული ქართულ სამეცნიერო წრეებში, მაგრამ ნაწილობრივ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბესიკ მეურმიშვილის მოსაზრებას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების

საპროცესო კანონში გადმოტანას გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა[18], მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საკანონმდებლო მცვლილებების შემდეგ გამოძიების პროცესს შეექმნა პრობლემები, რაც საჭიროებს საკანონმდებლო ჩარევას და რაზეც სტატიის დასკვნით ნაწილში, კერძოდ პრობლემის გადაჭრის გზებში ვისაუბრებთ.

საკითხში უკეთ გარკვევის და შედარების მიზნით გავეცნოთ საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო წესებს, რომელიც დაკავშირებული არის ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადებთან, მაგალითად გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ნებადართულია 3 თვის ვადით და მისი გაგრძელება შესაძლებელია ერთჯერადად კიდევ სამი თვის ვადით, შესაბამისად გერმანელ სამართალდამცავებს ქართველ სამართალდამცავებთან შედარებით დანაშაულ პირთა მხილებისათვის ფარული საგამოძიებო მოქმედებების ორჯერ მეტი ვადა აქვთ[19].

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების პირველადი ვადა არის 4 თვე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მხოლოდ ერთხელ გაგრძელდეს იმავე ვადით, მის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 1 წელი, ხოლო ზოგიერთი დანაშაულის გამოძიების დროს კი მისი ვადა შეადგენს 2 წელს, ამ შემთხვევაშიც ფრანგი სამართალდამცავებს ქართველ სამართალდამცავებთან შედარებით, უფრო მეტი მტკიცებულებების მოპოვების პერსპექტივა აქვთ[20].

აშშ-ს ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო წესების მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადად განსაზღვრულია 45 დღე, რომლის გაგრძელება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას დასაშვებია კიდევ 45 დღით[21], მიუხედავად იმისა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადები საერთო ჯამში ტოლია ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული 3 თვიანი ვადისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც ქართველი სამართალდამცავები არ იმყოფებიან ამერიკელ სამართალდამცავებთან თანაბარ პირობებში, ვინაიდან ქართული კანონმდებლობის მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადად განსაზღვრულია 1 თვე, რომლის გაგრძელება, პრაქტიკულად

მაშინ არის შესაძლებელი თუ აღნიშნულ 30 დღიან ვადაში მოპოვებული იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში სულ მცირე 1 მტკიცებულება მაინც, დამეთანხმებით ასეთი მტკიცებულების მოპოვება უფრო მეტად არის შესაძლებელი 45 დღიან ვადაში, ვიდრე 30 დღიან ვადაში, ამასთან მესამე თვით ფარული საგამოძიებო მოქმედების გაგრძელება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორის ექსკლუზიურ უფლებას, რაც აგრეთვე შესაძლებელია გამოძიების დროულად ჩატარების პრინციპებს უქმნიდეს გარკვეულ ტექნიკურ დაბრკოლებებს.

რაც შეეხება ჩვენი სტატიის საკვლევ მეორე საგანს, კერძოდ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებას, პროკურორს შეუძლია აღნიშნული ვადის მაქსიმუმ 24 თვემდე ვადით გადავადება[22]. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ აცნობოს პირს და გააცნოს საქმის მასალები, რაც გამოძიების პროცესში ქმნის ბევრ ობიექტურ პრობლემას, ეს კი საერთო ჯამში აზარალებს არამარტო გამოძიების ინტერესებს, რომლის დროულობაზე, ეფექტიანობაზე და ყოველმხრივობაზე საზოგადოების პრეტენზიები მუდმივად აქტუალურია, არამედ შესაძლებელია დააზიანოს აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოების კანონიერი ინტერესები, მათ შორის ცალკეულ პირთა ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი.

შედარებისთვის მოვიყვანთ საზღვარგარეთის პრაქტიკას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად აშშ-ს ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო წესები ითვალისწინებს შეტყობინების გადავადების შესაძლებლობას, რაც მოსამართლის გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს[23]. კანადის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ პირს ეცნობება 90 დღის ვადაში, ვადის გახანგრძლივება დასაშვებია მოსამართლის თანხმობით და ეს დამოკიდებულია გამოძიების ინტერესებზე, მის ყოველმხრივი გამოძიების საკითხებზე, ამ შემთხვევაში შეტყობინების გადავადების დრომ არ უნდა გადააჭარბოს 3 წელს. იაპონიაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტს მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება უკეთდება თვალთვალის დამთავრებიდან 30 დღეში, მაგრამ თუ ეს ქმედება ეწინააღმდეგება გამოძიების კანონიერ ინტერესებს, მოსამართლეს უფლება აქვს

გაახანგრძლივოს ეს ვადა. ჰონკონგის კანონმდებლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტისათვის შეტყობინებას ითვალისწინებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცედურები კანონის დარღვევით განხორციელდა[24]. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ფარული საგამოძიებო მოქმედების შეტყობინების სავალდებულო ხასიათი არსებობს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში და ასეთი შეტყობინების განხორციელების დროს, კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ობიექტების კანონიერი ინტერესები, აგრეთვე დარღვეული უფლებათა ხარისხი, რაც გულისხმობს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალების შინაარსის მნიშვნელობის შეფასებას, აგრეთვე გათვალისწინებული არის გამოძიების ინტერესები და რაც მთავარია არსებობს შეტყობინების გადავადების სამართლებრივი ბერკეტები, ხოლო გადავადების ხანგრძლივობას განსაზღვრავს მოსამართლე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით[25].

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეტყობინების საკითხი პირდაპირ კავშირშია საქმის გამოძიების, პროცესის მონაწილეების, სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერ ინტერესებთან და მაქსიმალურად მიმართულია, რათა არ დაზიანდეს ეს ფუნდამენტური პრინციპები, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით საქართველოში აღნიშნული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებზე, რომლის მიხედვით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილახება არათუ გამოძიების კანონიერი ინტერესები, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოების და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები მოხდეს სისხლის სამართლის საქმეებზე სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ჩატარება, აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროპის საბჭოს მითითებაც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ უნდა ეცნობოს პირს, იმ შემთხვევაში და მაშინ, როდესაც აღნიშნული ქმედება ხელს არ შეუშლის გამოძიების კანონიერ ინტერესებს[26].

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დღეს მოქმედი რეგულაციები, რომელიც ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადებს, არ შეესაბამება გამოძიების ინტერესებს, ვინაიდან ნაკლებად სავარაუდოა მოპოვებული იქნეს საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, განსაკუთრებით განგრძობადი ან დენადი დანაშაულის შემთხვევაში, აღნიშნულს ადასტურებს საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი და იმის შიშით, რომ ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების დროს, პროცესის მწარმოებელი განახორციელებს სხვის პირად ცხოვრებაში არამართლზომიერ ჩარევას, არ უნდა იქნეს დაზიანებული გამომიების პროცესი, რაც თავის მხრივ დააზიანებს სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაზიანებას. გარდა აღნიშნულისა, მოქმედ კანონმდებლობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ფარული საგამომიებო მოქმედებების სავალდებულო შეტობინების საკითხი, რა დროსაც არ ხდება საქმის სპეციფიკის გათვალისწინება, დანაშაულის ხასიათის და საზოგადოებრივი საშიშროების გაანალიზება, მაგალითად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ტერორიზმი, ჯაშუშობა და სხვა განსაკუთრებით მძიმე, მათ შორის ტრანსნაციონალური დანაშაულების მომზადება და ჩადენა შესაძლებელია გაგრძელდეს წლების მანძილზე, ერთი მხრივ ფარული საგამომიებო მოქმედებების შემჭიდროვებული ვადები, ხოლო მეორე მხრივ ასეთ დანაშაულებზე გამომიების მასალების სავალდებულო გაცნობა იმ პირებისთვის, ვინც ამზადებს ან/და გეგმავს დანაშაულს, დამანგრეველი ეფექტის მომტანი იქნება გამომიების პროცესისათვის, გარდა იმისა, რომ გამოუსადეგარი გახდება წლების მანძილზე გამომიებით მოგრვილი მტკიცებულებები, დანაშაულის ჩამდენ პირებს მისცემს შესაძლებლობას შეცვალონ თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ტაქტიკა (მაგალითად შეცვალონ ტერორისტული აქტის სამიზნე ან ნარკოტრაფიკის არსებული მარშუტი და სხვა) და სამომავლოდ გამოიჩინონ უფრო მეტი სიფრთხილე (მაგალითად, შეცვალონ ჯაშუშური ქსელი, კომუნიკაციის საშუალებები და სხვა). მტკიცებულებების სავალდებულო გაცნობის საკითხად რჩება გამომიებასთან მოთანამშრომლე პირების დაცულობის საკითხიც, იმ პირობებში, როდესაც მათი მონაწილეობით ჩატარებული ფარული საგამომიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა საქმის სავარაუდო ბრალდებულებს, რომელთა მიმართ ვერ იქნა შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებები სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, რისკის ქვეშ დგება ის კანონმორჩილი მოქმალაქე, რომელმაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდით, მონაწილეობა მიიღო გამომიების პროცესში და ფარულ საგამომიებო მოქმედებებში, შეტყობინების დროს იშიფრება

აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების ის თანამშრომელი, რომელიც კანონის შესაბამისად ჩანერგილი იყო დანაშაულებრივ ჯგუფში თუ ორგანიზაციაში, შესაბამისად კანონი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მოხდეს ისეთი სიკეთეების დაცვა, როგორც არის ქვეყნის უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

იმედი მაქვს სტატიაში წამოჭრილი პრობლემა, რომელიც თან ახლავს ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების ვადებს და ფარული საგამომიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების საკითხს, გამოიწვევს მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკების დაინტერესებას და გამოხმაურებას. მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული უნდა იქნეს ცვლილებები და გონივრულობის ფარგლებში გაიზარდოს ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების ვადები, ამასთან ფარული საგამომიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება უნდა განისაზღვროს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებად, თუნდაც სასამართლოს კონტროლის ქვეშ. ფაქტია, რომ დღეს მოქმედი რეგულაციები, ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, არამედ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს გამოძიების გამარტივებისა და დაჩქარების საკითხში.

ლიტერატურა

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია. 14 მარტი 1981. #R(81)74;
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია. 17 სექტემბერი 1987 . #R(87)18;
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია. 5 სექტემბერი 1996. #R(96)8.
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 143³, პუნქტ. 12.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 143³.
6. საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის ვებ. გვერდი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/131820>;

7. საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის ვებ.გვერდი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/133178;>
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 143².
9. ბეგიაშვილი ხ. სისხლის სამართლის საქმეზე დოკუმენტის ან ინფორმაციის ნებაყოფლობით წარმოდგენის პრობლემატიკა. მართლმსაჯულება და კანონი. 2020; 2(66)20: 147.
10. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 18 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია, მუხ. 7., „ი“ ქვეპუნქტი.
11. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 18 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია, მუხ. 8.
12. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 18 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია, მუხ.5.
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 143¹.
14. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 18 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია, 143³., ნაწ. 2. „ა“ ქვეპუნქტი.
15. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2014 წლის 18 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია, მუხ. 143²., ნაწ.2. „ბ“ ქვეპუნქტი.
16. ხოდელი მ., სადოქტორო დისერტაცია თემაზე: სატელეფონო საუბრის მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ. 2019: 233.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/2/519, 2012 წლის 24 ოქტომბერი, ქ. ბათუმი, II თავი, პუნქტ.21: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1766900?publication=0>: 17.04.2022წ.
18. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, რედ. ფაფიაშვილი ლ., თბ. 2017 წ., მეურმიშვილი ბ., ფარული საგამომიებო მოქმედებები, გვ. 517.
19. Strafprozessordnung, § 100e, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 100ე: <https://www.gesetze-im-internet.de/stpo> 16.04.2022.
20. Code de procédure pénale, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100-2,:

https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006071154/LEGISCTA000006182887/#LEGISCTA000032655289, 16.04.2022.

21. Federal Rules of Criminal Procedure, Rule 41. Search and Seizure, ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო წესები, მუხ. 41.: https://www.law.cornell.edu/rules/frcrmp/rule_41, 17.04.2022წ.
22. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 143⁹.
23. Federal Rules of Criminal Procedure, Rule 41(f)(3)., ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო წესები, მუხ. 41 (ფ) (3): https://www.law.cornell.edu/rules/frcrmp/rule_41, 17.04.2022წ.
24. ხმაღაძე მ., ელექტრონული საშუალებებით თვალთვალის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ. 2013., გვ. 5-6.
25. Strafprozeßordnung, § 100-101: /, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, <https://www.gesetze-im-internet.de/stpo>, 16.04.2022წ.
26. ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის No. R (87) 15, პოლიციის სექტორში პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულირებასთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, 1987 წლის 17 სექტემბერს, მინისტრის მოადგილეების დონეზე გამართულ 410-ე შეხვედრაზე. მეექვსე პრინციპი.

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესის შემოწმება
წინასასამართლო სხდომაზე

თამარ სადრაძე, პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.13>

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ) 83-ე მუხლით რეგულირდება მხარეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა გაცვლის საკითხი. სტატიაში განხილულია სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაცია და საუბარია მასთან დაკავშირებული შინაარსის სამართლებრივად არასწორ გაგებაზე. შემოთავაზებულია ცვლილება სსსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსის სამართლებრივად სწორ ფორმად ჩამოყალიბებაზე, მიმოხილულია პრაქტიკა წინასასამართლო სხდომამდე დადგენილი წესით შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესთან დაკავშირებით. შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით ვეხები არასწორად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, კერძოდ, მხარის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მოწმეთა თავის მტკიცებულებათა ნუსხაში შეყვანის საკითხს. ასევე, განხილულია მტკიცებულებათა გადაცემის მოთხოვნის ფორმა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულებათა გაცვლა, წინასასამართლო სხდომა.

Checking the rule of information exchange on possible evidence at the pre-trial hearing

Tamar Sadradze, Professor

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

Article 83 of the Criminal Procedure Code of Georgia regulates the exchange of evidence obtained by the parties. The article discusses the legislative regulation relating to the first part

of Article 83 of the Criminal Code of the Russian Federation, and talks about the legally misunderstood content associated with it. Changes are proposed to legally correctly formulate the content of Article 83 1 1 of the Code of Criminal Procedure, revising the practice of exchanging information about possible evidence in accordance with the rules established before the pre-trial hearing.

With regard to the exchange of information on possible evidence, I mean the wrong practice, in particular, the issue of including the testimony of witnesses of the opposing party in its list of evidence. The form of the request for the transfer of evidence and its practical implications are also discussed.

Keywords: exchange of evidence, pre-trial hearing.

სსსკ-ის 83-ე მუხლი აწესრიგებს შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესს. ეს მუხლი „შესაძლებლობას აძლევს მხარეებს მოემზადონ სასამართლო განხილვისათვის, ხელს უწყობს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას და ქმნის სამართლიანი სასამართლო განხილვის მნიშვნელოვან წინაპირობას.“⁵¹

ამ მუხლის მიხედვით შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის სამი შემთხვევა არსებობს, პირველი გაცვლა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე ხდება. მეორე გაცვლა სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის მიხედვით შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირველ რიგში სახეზე გვექნება დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის მიმართ იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს. მესამე, სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული წესით, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ე.ი. ამ მუხლის მიხედვით შესაძლო

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ფაფიაშვილი ლალი, თუმანიშვილი გიორგი, კვაჭანტირაძე დავით, ლიპარტელიანი ლარისა, დადეშქელიანი გერმანე, გუნცაძე შორენა, მეზვრიშვილი ნათია, თოლორაია ლონდა, თბილისი, 2015; გვ: 299.

მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის სამი შემთხვევა არსებობს, რომლებიც ექვემდებარება საპროცესო კანონმდებლობის შემდეგ დანაწესს:

პირველი - სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 ნაწილიდან გამომდინარე ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე;

მეორე - სსსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნისას.

მესამე - სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული წესით წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები“.

კოდექსის მითითებული ნორმა (83-ე მუხლი) ადგენს მხარეთა შორის მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის გაცვლის და მტკიცებულებათა გაცნობის წესებს, რაც წარმოადგენს მხარეთა მიერ განსახორციელებელ ქმედებებს და არა მათ მიერ განხორციელებულ საგამომიებო მოქმედებათა შედეგს.⁵²

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, კანონმდებლობა არ არეგულირებს იმ მტკიცებულების გაცვლის საკითხს, რომელიც ერთდროულად გამამართლებელი და გამამტყუნებელიცაა.⁵³ არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ კანონმდებლობით არაა დარეგულირებული იმ მტკიცებულების გაცვლის საკითხი, რომელიც ერთდროულად შეიცავს გამამართლებელ და გამამტყუნებელ შინაარსს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი ბრალდების მხარეს ავალდებულებს დაცვის მხარეს სრულად გადასცეს მის ხელთ არსებული

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14/12/2018 წლის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/4/809, პ. 17

⁵³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ფაფიაშვილი ლალი, თუმანიშვილი გიორგი, კვაჭანტირაძე დავით, ლიპარტელიანი ლარისა, დადეშქელიანი გერმანე, გუნცაძე შორენა, მეზვრიშვილი ნათია, თოლორაია ლონდა, თბილისი, 2015, გვ: 301

მტკიცებულებები, მათ შორის ის მტკიცებულებები, რომელთა წარდგენას ბრალდების მხარე სასამართლოში აპირებს და დაცვის მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ის მტკიცებულებები, რომლებიც არის გამამართლებელი. კანონმდებელმა აღნიშნული ჩანაწერი კოდექსში სწორედ იმ მიზნით გააკეთა, რომ ბრალდების მხარემ საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად მოკვლევის ვალდებულების დარღვევით არ მოახდინოს საქმის მოძიება და დაცვის მხარის უფლებების უხეში ხელყოფა. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი მისი სწორი წაკითხვის პირობებში არ იძლევა იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს დაუმალოს ნაწილობრივ გამამართლებელი ხასიათის მტკიცებულებები. აღნიშნული დასკვნა, ასევე, გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ მტკიცებულება გამამართლებელია თუ გამამტყუნებელი, აღნიშნული საკითხი საბოლოოდ წყდება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, შესაბამისად, ბრალდების მხარეს არ უნდა ჰქონდეს დისკრეცია იმის, რომ თავად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რომელი მტკიცებულება უნდა გადასცეს დაცვის მხარეს და რომელი არა. არ შეიძლება კანონმდებელი ბრალდების მხარეს ხელს უწყობდეს დაცვის მხარის უფლებების უხეში ხელყოფაში.

სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა „ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში“ იძლევა შთაბეჭდილებას, რომ დაცვის მხარემ ზოგადად მტკიცებულებითი ინფორმაციის მისთვის გადაცემის მოთხოვნასთან ერთად, იმავე განცხადებაში ასევე უნდა მოითხოვოს ბრალდების მხარის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები, თუ არადა ბრალდების მხარეს ეძლევა უფლება, არ გადასცეს დაცვის მხარეს მსგავსი მტკიცებულებები. სიტყვები - „ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში“ მუხლის ნაწილში სრულიად ზედმეტია, რადგან ხსენებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, რაც წინააღმდეგობაში მოდის როგორც ბრალდების მხარის ფუნქციასთან, ისე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზანთან, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების მიზანთან. თუკი გავითვალისწინებთ საკანონმდებლო დანაწესს, რომ ბრალდების მხარე, განსხვავებით დაცვის მხარისგან, არ შეიძლება ემსახურებოდეს ვიწრო ინტერესს, მათ შორის დაზარალებულის ინტერესს და ვალდებულია საქმის

გამომძიებისა და სასამართლოს წინაშე განხილვის ეტაპზე განახორციელოს თავისი უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მივალთ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება ბრალდების მხარის არჩევანზე იყოს დამოკიდებული, მოიპოვოს თუ არა ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები და გადასცეს თუ არა იგი დაცვის მხარეს. ეს მისი კანონისმიერი ვალდებულებაა, თანახმად სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილისა, რომელიც განმარტავს, რომ ბრალდების მხარეს წარმოადგენს გამომძიებელი და პროკურორი. თანახმად სსსკ-ის 32-ე მუხლისა, რომელიც ადგენს, რომ პროკურორი სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, ასევე, თანახმად სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, რომ გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14/12/2018 წლის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/4/809 მისი სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, ნამდვილად, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგანაც არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებით მნიშვნელოვნად გამყარდა დაცვის მხარის უფლებები გამოძიების პროცესში. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი შეეხება მხოლოდ ისეთ ინფორმაციას, რომლის წარდგენასაც ბრალდების მხარე მტკიცებულებად აპირებს სასამართლოში.⁵⁴ მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული აღნიშნული განმარტება აბსოლუტურ შეუსაბამობაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ მოცემულობასთან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი ბრალდების მხარეს არ ავალდებულებს დაცვის მხარეს გადასცეს მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის წარდგენასაც ბრალდების მხარე მტკიცებულებად აპირებს სასამართლოში, აღნიშნული მუხლი ბრალდების მხარეს, ასევე, ავალდებულებს დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14/12/2018 წლის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/4/809, პ. 23

გამამართლებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ნორმათა განმარტებას, რათა ისედაც დაცვის მხარის შეზღუდული უფლებები მეტად შეზღუდული არ გახადოს.

პრაქტიკასა და დოქტრინაში მყარად უნდა იქნას ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ ბრალდების მხარე არის რა ვალდებული სრულყოფილად აწარმოოს გამოძიება, ამავე ვალდებულების ნაწილია მათ შორის გამამართლებელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში მათი სისხლის სამართლის საქმეში ჩადება და დაცვის მხარისთვის გაცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ გამოძიება არ არის ვალდებული, ემსახუროს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზანს, ხოლო პროკურორი უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმის მასალებს არ დაურთოს გამოძიების პროცესში მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულებები. მსგავსი მიდგომა შეუძლებელს გახდის, ბრალდებულმა ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით და ამავე დროს ექვეყნე დააყენებს დემოკრატიული სახელმწიფოს მისწრაფებას სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაზე.

სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველ ნაწილში მოხსენიებული სიტყვები „ინფორმაციის გაცნობა“ იძლევა შთაბეჭდილებას, რომ საუბარია სწორედაც გაცნობაზე და არა ინფორმაციის გადაცემაზე, ე.ი. მუხლის ნაწილის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით მივდივართ დასკვნამდე, რომ მოთხოვნის საფუძველზე დაცვის მხარეს მხოლოდ გააცნობენ (წააკითხებენ, მოასმენინებენ, აყურებინებენ, დაათვალიერებინებენ) სასამართლოში წარსადგენ ინფორმაციას. რადგან კანონის ტექსტი უნდა იყოს მარტივი და ნათლად მიზნობრივი, ბუნებრივია, სიტყვა „გაცნობა“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „გადაცემა“, რაც სწორად ასახავს 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სამართლებრივ ჩანაფიქრს, დაცვის მხარემ ნებისმიერ სტადიაზე მიიღოს ინფორმაცია ბრალდების მხარისგან ამ ინფორმაციის მისთვის გადაცემის ფორმით. აღნიშნულს მეტად პრაქტიკული დატვირთვა აქვს იმ საქმეებთან მიმართებაში, სადაც ბრალდების მხარე დაცვის მხარისგან მოითხოვს, არ გაამჟღავნოს სისხლის სამართლის საქმეში დაცული მასალები და ინფორმაცია. მართალია, გაუთქმელობის ვალდებულებით შებოჭილი რჩება დაცვის მხარე, თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ხშირად ადგილი აქვს დაცვის მხარისთვის მტკიცებულების გადაუცემლობასაც. ამგვარი კატეგორიის საქმეებს განეკუთვნება

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა). მოცემული კატეგორიის საქმეებში ბრალდების მხარე დაცვის მხარეს აჩვენებს მტკიცებულებას, მაგრამ არ გადასცემს მას და ამ ქმედებას იმით ხსნის, რომ მტკიცებულება შეიცვას სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას, საგამომიებო ორგანოში დაცვის მხარისთვის მისი გაცნობა განხორციელდა, ჩანაწერი წარმოადგენს დანაშაულის საგანს და მისი დაცვის მხარისთვის გადაცემა შექმნის მისი კვლავ გავრცელების საფრთხეს. პროცესი უფრო შორსაც მიდის, აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შუამდგომლობაზე ბრალდების მხარეს თვით სასამართლოსაც არ წარუდგენს საქმის მთავარ მტკიცებულებას და როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სასამართლო საქმეს იხილავს მთავარი მტკიცებულების საქმის მასალებში არსებობის გარეშე, რომლითაც უნდა შეფასდეს, სახეზე არის თუ არა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, რა დროსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მთავარი მტკიცებულების სასამართლოს მხრიდან უშუალოდ გაცნობას და განჩინებებს იღებს მტკიცებულების გაცნობის არარსებობის პირობებში. ფაქტია, სასამართლო დაბრკოლებად არ მიიჩნევა საქმეში უმთავრეს მტკიცებულებაზე წვდომის არარსებობას, იმ მტკიცებულებაზე, ურომლისოდაც სისხლის სამართლის კოდექსის 157¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არსებობს. შესაძლოა მსგავსი მიდგომა სასამართლომ დაზარალებულის ინტერესების დაცვით ახსნას, თუმცა, მოცემული არ გახლავთ წონადი არგუმენტი. აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად, აფასებს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ძნელია სამართლიანი განსჯის შედეგი დავარქვათ სასამართლოს მიერ შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებას, როცა იგი საქმის მთავარ მტკიცებულებას გაცნობილი არ არის. როცა საკითხი პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ეხება, ბრალდებულის დაცვა აშკარად დაუსაბუთებელი ბრალდებისგან სასამართლოს ვალდებულებაა, აქვს რა წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემაზე მსჯელობის სავალდებულო სტადია. მოცემულ სტადიაზე სასამართლო ვერ იქნება ობიექტური და სამართლიანი, თუკი მას არ ეცოდინება მთავარი მტკიცებულების შინაარსი.

სასურველია დროულად განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ინტერპრეტაცია და დაცული იყოს დაცვის მხარის უფლება, მატერიალურად მიიღოს საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულად, შესაბამისად, უმჯობესია სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გადაცემის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს, მათ შორის, ბრალდების მხარე ვალდებულია, დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები“.

წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა, როდესაც ამ ვადის დადგომამდე არ ხდება დაცვის მხარის მხრიდან ბრალდების მხარისთვის მტკიცებულებების გადაცემის მოთხოვნა, დადგენილი წესით შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლისას (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი), ისეთ შემთხვევასაც შევხვდებით, როდესაც ბრალდების მხარე საკუთარი ინიციატივით დაცვის მხარეს უცვლის მტკიცებულებებს, რათა წარადგინოს ისინი სასამართლოში და ამავე შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმით დაცვის მხარისგანაც ითხოვს მტკიცებულებების გადაცემას. სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის დროს, შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმში ამ მოთხოვნის დაფიქსირება სრულიად ზედმეტია, რადგან სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი ისედაც ავალდებულებს მხარეებს მტკიცებულებების გადაცემას, როგორც ერთმანეთისთვის, ასევე სასამართლოსთვისაც. ამავე დროს მსგავსი ჩანაწერის არსებობა არ წარმოშობს დაცვის მხარის ვალდებულებას, ბრალდების მხარეს გადასცეს მტკიცებულებები, ვინაიდან მოცემული მოთხოვნა არ გამომდინარეობს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, რა დროსაც, ჯერ დაცვის მხარე ითხოვს ბრალდების მხარისგან შესაძლო მტკიცებულებების გადაცემას, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს ბრალდების მხარის უფლებას, თავადაც მოსთხოვოს მტკიცებულებები ბრალდების მხარეს.

რაც შეეხება სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმში ბრალდების მხარის მხრიდან დაცვის მხარისთვის მტკიცებულების გადმოცემის მოთხოვნის დაფიქსირებას, მიმაჩნია, რომ დაცვის მხარისათვის ასეთი ფორმით ინფორმაციის მოთხოვნა არასწორია, ვინაიდან ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის თაობაზე არის ცალკე დოკუმენტი, რომელიც თავის თავში არ უნდა მოიცავდეს სხვა დათქმას. თუკი ოქმში სხვა შინაარსობრივი დატვირთვის ტექსტის შეტანის დაშვება მოხდება, სამომავლოდ იმავე ოქმმა შესაძლოა ჩაანაცვლოს სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხაც და ცალკე დოკუმენტის სახე აღარ მიეცემა ამ უკანასკნელს. ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ უნდა ამოიწურებოდეს სწორედ შესაძლო მტკიცებულებათა ჩამონათვალით, ხოლო ყველა სხვა მოთხოვნა სხვა დოკუმენტით უნდა მოწესრიგდეს. მსგავსი მიდგომა სწორია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რათა თავიდან იქნას აცილებული დაბნეულობა ან დოკუმენტის ტექსტებს შორის მტკიცებულების მოთხოვნის შეპარება, როგორც ხერხი, რომელიც ხშირად ამართლებს. ამრიგად, ბრალდების მხარის მხრიდან შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის დროს, შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმში იმ მოთხოვნის დაფიქსირება, რომ დაცვის მხარემაც გადასცეს ბრალდების მხარეს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, სრულიად ზედმეტია და ეს მოთხოვნა მხარემ ცალკე დოკუმენტში უნდა ასახოს.

სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის დროს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბრალდების მხარის მიერ შედგენილ ოქმში შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, ასახულია მოთხოვნა, დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები. სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევას, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რადგან დარღვეულად ჩათვალა სსსკ-ის 83-ე მუხლი და განმარტა, რომ ბრალდების მხარეს მოთხოვნილი ჰქონდა დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების გადაცემა, თუმცა დაცვის მხარემ არ გადასცა. აღნიშნული

გადაწყვეტილება დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა და განმარტა, რომ ბრალდების მხარეს შენიღბულად ჰქონდა შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმში მტკიცებულებათა გადაცემის თაობაზე მოთხოვნა და ვერ შეამჩნია, რამაც მისი მხრიდან მტკიცებულებათა გაუცვლელობა განაპირობა. მხარის ეს პოზიცია სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ არ გაიზიარა და განმარტა, რომ პროცედურული თვალსაზრისით მიზანშეწონილია გაცვლის ოქმი და მოთხოვნა ცალ-ცალკე დოკუმენტზე იყოს დაფიქსირებული, თუმცა კანონმდებელი ბრალდების მხარეს არ უზღუდავს, რომ მოთხოვნა შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე გაცვლის ოქმში დაეფიქსირებინა.⁵⁵ ამგვარი პრაქტიკის მიერ შექმნილი უხერხულობისა და ბუნდოვანების თავიდან არიდების მიზნით, უმჯობესია მოცემული საკითხი დარეგულირდეს ზემოთ ნახსენები მსჯელობის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს რისკებსა და ბუნდოვანებებს.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს და სწორედაც ამ საკითხის განხილვისას ამოწმებს მხარეებმა დაიცვეს თუ არა სსსკ-ის 83-ე მუხლით დადგენილი წესები მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლისას. ხშირად, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლობის შუამდგომლობის განხილვისას, მოსამართლეები განმარტავენ, რომ მათ არ აქვთ უფლება დაუშვებლად ცნონ ის ინფორმაცია, რომელსაც მტკიცებულების ძალა არ აქვს და პრაქტიკის სახით მოჰყავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება №1გ/1614-16.⁵⁶ ამ განჩინებაში საუბარია, რომ საპროცესო გადაწყვეტილებისა და საპროცესო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის დასაშვებად ცნობის შემოწმების უფლება არ აქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს და სისხლის სამართლის საქმეში საპროცესო გადაწყვეტილებისა და საპროცესო მოქმედების შედეგად მიღებული ყველა ინფორმაცია დასაშვები მტკიცებულებათაა. ამ მიდგომას და მოსაზრებას ნამდვილად ვერ გავიზიარებთ, შემდეგ

⁵⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის №1გ/273-17 განჩინება.

⁵⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება №1გ/1614-16.

გარემოებათა გამო. ჯერ ერთი, სსსკ არ იცნობს საპროცესო გადაწყვეტილებას და საპროცესო მოქმედებას. სსსკ იცნობს: საგამომიებო მოქმედებებს (თავი XV), კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებებს (თავი XVI) და ფარულს საგამომიებო მოქმედებებს (თავი XVI¹) და სხვა საპროცესო მოქმედებებს (თავი XVII). გარდა ამისა, სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი. შესაბამისად, ნებისმიერი მიმართვის წერილი, პასუხი, მომართვა და ა.შ. არის ინფორმაცია, რომლის მოპოვების კანონიერება მოწმდება წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებობის ეტაპისას და ამ ეტაპის გავლის შემდეგ ეს ინფორმაცია იძენს მტკიცებულების სტატუსი. ამიტომ, აუცილებელია ნებისმიერი ინფორმაციის მატარებელი წერილი, დოკუმენტი, საგანი და ა.შ. შემოწმდეს დასაშვებობის კუთხით, რათა დასაშვებობის ეტაპის გადალახვის შემდეგ მტკიცებულების სტატუსი შეიძინოს. სსსკ-ის 83-ე მუხლში ნახსენები ტერმინი „სრულ ინფორმაცია“-ში იგულისხმება ყველა ის დოკუმენტი, რომელიც რაიმე ინფორმაციის მატარებელია.⁵⁷

სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთი შემთხვევას, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ შეამოწმა შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესის დაცულობა, რა დროსაც დარღვეულად მიიჩნია სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილი და დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მტკიცებულებები. საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ ბრალდებულს ერთდროულად იცავდა ორი ადვოკატი. ერთ-ერთმა ადვოკატმა მოითხოვა შესაძლო მტკიცებულებების გადაცემა, ამის შემდეგ ბრალდების მხარემაც მოსთხოვა დაცვის მხარეს შესაძლო მტკიცებულების გადმოცემა, თუმცა მტკიცებულებათა გადაცემის დროს ბრალდების მხარეს არ გადაეცა მეორე ადვოკატის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რის საფუძველზეც დაცვის მხარის მტკიცებულებები დაუშვებლად იქნა ცნობილი. სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის მხარეში მოიაზრებოდა ბრალდებული და მათი ადვოკატები და ორივე ადვოკატს უნდა გადაეცა ბრალდების მხარის მოთხოვნის

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №526აპ-14 განაჩენი.

შემდეგ ის ინფორმაცია, რის წარდგენასაც სასამართლოში აპირებდნენ მტკიცებულების სახით.⁵⁸

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაზიარებელია, თუმცა სულ სხვა მოცემულობა გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში ორი ბრალდებულია და სხვადასხვა ადვოკატები იცავენ. ამ შემთხვევაში, თუ ერთი ბრალდებულის ადვოკატი მოითხოვს ინფორმაციის გადაცემას, ბრალდების მხარეს მოთხოვნის უფლება წარმოეშება იმ ბრალდებულის ადვოკატთან, რომელიც ითხოვს ბრალდების მხარისგან ინფორმაციის გადმოცემას და არა იმასთან, რომელსაც ბრალდების მხარისათვის გადმოცემის მოთხოვნა არ დაუფიქსირებია.

შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით ასევე უნდა შევხვით არასწორად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, კერძოდ, როდესაც მხარესაც სურს მეორე მხარის მოწმეების სასამართლოში დაკითხვა, მხარე საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს ფორმალურად იცავს, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარისაგან მტკიცებულებების გადაცემის შემდეგ, სსსკ-ის 83 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესით თავადაც ადგენს ოქმს შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, რომელშიც მოწმეებთან დაკავშირებით აკეთებს მხოლოდ ჩამონათვალს, შეჰყავს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეები თავის დასაკითხ პირთა სიაში, თუმცა, არც მხარეს და არც სასამართლოს მტკიცებულების სახით არ გადასცემს მოცემულ მოწმეთა გამოკითხვის ოქმებს. გაცვლილ ოქმს და იმავე შინაარსის სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას წარადგენს სასამართლოში და მხოლოდ ამ ფორმით მომზადებული დოკუმენტებით ითხოვს წინასასამართლო სხდომაზე მისი მოწმეთა ნუსხის დამტკიცებას. წინასასამართლო სხდომის მოსამართლეც საკმაოდ ხშირად აკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას და დასაშვებად ცნობს ამგვარ დასაკითხ პირთა სიას როგორც მტკიცებულებას, რაც სსსკ-ის ნორმების არასწორი განმარტებაა.

სსსკ-ის 75-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ

⁵⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 22 ივნისის №1გ/860-17 განჩინება.

კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. ამიტომ, აუცილებელია თუ მხარეს სურს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების სასამართლოში დაკითხვა როგორც თავისი მოწმეების, კანონით დადგენილი წესით მან მხარეს და სასამართლოს უნდა გადასცეს ამ მოწმეთა გამოკითხვის ოქმები. მართალია, მხარემ შეიძლება მიუთითოს, რომ გაცვლის ოქმში მითითებული მტკიცებულებები და დასაკითხ პირთა სიაში შეყვანილი პირები არიან ის პირები ვინც მეორე მხარემ თავის დასაკითხ პირთა სიაში მიუთითა და მათი გამოკითხვის ოქმებიც წარმოადგინა, მაგრამ ეს არგუმენტი ვერ ჩაითვლება საკმარისად იმისათვის, რომ სასამართლომ ავტომატურად ერთი მხარის მტკიცებულებათა ნუსხაში მითითებულ მოწმეებს მიანიჭოს მეორე მხარის მოწმის სტატუსი, რადგან რეალურად დაინტერესებულ მხარეს არ წარუდგენია რაიმე სახის ინფორმაცია (გამოკითხვის ოქმები), რომლის საფუძველზეც უნდა დაიკითხოს მოწმე და დაადასტუროს დოკუმენტების ავთენტურობა და სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობა. სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის უმჯობესია სასამართლომ დაადგინოს წესი, რომლის თანახმადაც, თუკი დაინტერესებულ მხარეს სურს მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვა, მან ამ მოწმეთა გამოკითხვის ოქმები უნდა დაურთოს თავის მტკიცებულებებს, მოწმის სახით შეიყვანოს ამ ოქმების საფუძველზე გამოკითხული პირები და მტკიცებულებები კანონით დადგენილი წესით გადასცეს როგორც მოწინააღმდეგე მხარეს, ისე სასამართლოს.

საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დასაცავად და ამ მუხლის დარღვევით ან არასწორი განმარტებით გამოწვეული შედეგი ყოველთვის აისახება ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე, საბოლოოდ კი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია ნორმის სტრუქტურის სამართლიანი ფორმულირება, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს არასწორი განმარტების შესაძლებლობა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ფაფიაშვილი ლალი, თუმანიშვილი გიორგი, კვაჭანტირაძე დავით,

ლიპარტელიანი ლარისა, დადეშქელიანი გერმანე, გუნცაძე შორენა, მეზვრიშვილი ნათია, თოლორაია ლონდა, თბილისი, 2015;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება №1გ/1614-16;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 22 ივნისის №1გ/860-17 განჩინება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №526აპ-14 განაჩენი;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის №1გ/273-17 განჩინება;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 09 აგვისტოს №1გ/1339-16 განჩინება;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14/12/2018 წლის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/4/809.

ბიზნესი და სოციალური მეცნიერებები-Business and Social Sciences

მდგრადი განვითარების მიზნები და საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი

მიმართულება საქართველოში

¹დავით კბილაძე, პროფესორი

¹თამარ ჩირაძე,

²თამარ კბილაძე, ასოცირებული პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.14>

აბსტრაქტი

გაეროს მიზანმიმართული ქმედებებით და მისი წევრი ქვეყნების მთავრობათა მონაწილეობით საქართველოში გარკვეული საქმიანობა მიმდინარეობს ეგრეთწოდებული მდგრადი განვითარების 17 ამოცანის შესასრულებლად. მოცემული ამოცანების შესრულებაში ჩართულია სამთავრობო უწყებები, ბიზნესის წარმომადგენლები, მეცნიერები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული მეტად ამბიციური ამოცანების შესრულება გულისხმობს 2030 წლისათვის მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრას, სოციალური უთანასწორობის საკითხების მოგვარებას და ეკოლოგიური კატასტროფის აღკვეთას.

გაეროს გენერალურმა მდივანმა მსოფლიოს სახელმწიფოების მეთაურთა თხოვნით ჩამოაყალიბა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან წარმოდგენილი 15 სხვადასხვა სპეციალობის მქონე მეცნიერისა და სამთავრობო უწყებებისგან შედგენილი კომისია, რომელმაც შეიმუშავა მოხსენება რომელიც ეძღვნება გარდაქმნების მიმდინარეობას მდგრადი განვითარების მიზნებისათვის. რა არ მოსწონთ მეცნიერებს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლამდე პერიოდში შესრულების სფეროში? ის რომ

დღემდე არცერთი ქვეყანა მზად არ არის უზრუნველყოს ადამიანთა კეთილდღეობას და ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოს შორის სასურველი ბალანსი.

წინამდებარე სტატიის ავტორები შეეცადნენ წარმოედგინათ თავიანთი ხედვები თუ როგორი წვლილის შეტანა შეუძლია მეცნიერებას და კერძოდ საუნივერსიტეტო განათლებას საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა,

ეკოლოგიური კატასტროფა, ბიომრავალფეროვნება, განათლება, სამეცნიერო კვლევები.

Sustainable Development Goals and some directions of university education in Georgia

¹Davit Kbiladze, professor

¹Tamar Chiradze,

²Tamar Kbiladze Associate professor

¹David Aghmashenebeli University of Georgia,²Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

With the purposeful actions of the UN and the participation of the governments of its member states, certain activities are underway in Georgia to fulfill the so-called 17 Sustainable Development Tasks. Government agencies, business representatives, scientists and representatives of various fields are involved in the performance of these tasks. Achieving the above ambitious goals means eradicating world poverty by 2030, tackling social inequality, and preventing environmental catastrophe.

At the request of the heads of state, the UN Secretary-General set up a commission of 15 scientists and government agencies from around the world to develop a report on the ongoing transformation for sustainable development. What do scientists dislike about achieving the

Sustainable Development Goals by 2030 That to date no country is ready to ensure the desired balance between human well-being and a healthy ecological environment.

The authors of the present article tried to present their visions of how science, and in particular university education, can contribute to the achievement of sustainable development goals in Georgia.

Keywords: Sustainable development, poverty eradication, social inequality, ecological catastrophe, biodiversity, learning.

„მდგრადი განვითარება - ეს ერთადერთი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ჩვენ შეგვიძლია აღვკვეთოთ ეკოლოგიური და სოციალური კატასტროფა“.

გრუ ჰარლემ ბრუნტლანი, ნორვეგიის
ყოფილი პრემიერ მინისტრი,
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის
ყოფილი გენერალური დირექტორი

გაეროს გენერალური ასამბლეის 1987 წლის სესიაზე პირველად გაისმა მოწოდება კაცობრიობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის შესახებ, რომელსაც აქტუალობა არ დაუკარგავს დღესაც და მის ძირითად დედააზრად მოიაზრება მოწოდება იმის თაობაზე, რომ დავუტოვებთ კი ჩვენს მომავალ თაობებს რესურსების იმ რაოდენობას, რამდენასაც ამჟამად ჩვენ მოვიხმართ? აღნიშნული მოცემულობის რეალიზებაში დიდი როლის შესრულება ენიჭება სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას. როგორც ცნობილია, მდგრადი განვითარების კონცეფციაში მოიაზრება სამი ძირითადი მიმართულება, ესენია: ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური [1].

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციაზე მიიღეს „დეკლარაცია განვითარებისა და გარემოს შესახებ“ და ასევე „გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვალებადობაზე“. კონვენციის მიმღებმა

სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს 2000 წლისათვის სასათბურე გაზის გამოფრქვევა დაეყვანათ 1990 წლის დონემდე.

1997 წელს კიოტოში, გაეროს მესამე კონფერენციაზე კლიმატის ცვალებადობასთან დაკავშირებით მოხდა ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაფართოება და 2000 წლიდან მოყოლებული 2015 წლის ჩათვლით სხვადასხვა ქვეყნებში ყოველწლიურად იმართებოდა მოცემულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული შეხვედრები.

გაეროს შემდგომი აქტივობები ეძღვნებოდა ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორცაა:

- „გაეროს კონცეფცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე“;
- „XXI –ე საუკუნის დღის წესრიგი (პროგრამა 21)“; აქ შემოთავაზებულია მდგრადი განვითარების მიღწევისათვის საჭირო საშუალებები, როგორ უნდა დაბალანსდეს სამყარო მოსახლეობასთან და მოხმარებასთან მიმართებაში;
- მოხსენება „ადამიანური განვითარების“ შესახებ;
- მოხსენება „მწვანე ეკონომიკაზე“.

როგორია შემდგომი სიახლეები მსოფლიოში მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით? 2014 წლის ივლისში გაეროს გენერალური ასამბლეის სამუშაო ჯგუფმა მოიწონა მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც ეძღვნებოდა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სფეროების ეგრეთ წოდებული 17 ამოცანის მიღწევის მიზნებს. მოცემული დოკუმენტით ნაგარაუდებია მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრა, უთანაბრობის საკითხების მოგვარება და პლანეტის დაცვა მავნე გამონახოლქვების ზემოქმედებისაგან. უფრო დეტალურად მდგრადი განვითარების მიზნების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ:

1. არა სიღარიბეს;
2. არა შიმშილს;
3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
4. ხარისხიანი განათლება;
5. გენდერული თანასწორობა;

6. სუფთა წყალი და სანიტარია;
7. ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია;
8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
10. შემცირებული უთანასწორობა;
11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება;
12. გონივრული მოხმარება და წარმოება;
13. კლიმატის მდგრადობის მიღწევა;
14. წყალქვეშა რესურსები;
15. დედამიწის ეკოსისტემები;
16. მშვიდობა და სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები;
17. თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის [2].

მოცემული მიმართულებებით ვარაუდობენ აგრეთვე ათასწლეულის მიზნებით გათვალისწინებული პროგრამის სახეცვლილებას.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, მდგრადი განვითარების მიზნების ჩვენი ქვეყნის რეალიზებთან ადაპტირება, სოციალურ - ეკონომიკური განვითარების დონით, საქართველოს დაუახლოვებს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, მშპ-ს და რიგი სხვა პარამეტრების მიხედვით? პასუხი დასმულ კითხვაზე ასეთია: რა თქმა უნდა არა, თუმცა განამტკიცებს და უფრო პროდუქტიულს გახდის ქვეყნის ინსტიტუტებს და ინსტიტუციებს. სამწუხაროდ, საქართველოს არ გააჩნია ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების მრავალწლიანი სტრატეგია, არც გარკვეული ორიენტირები 2030 წლამდე პერიოდისათვის, რაც ერთობ მნიშვნელოვანი თემაა საერთოსახელმწიფოებრივი დისკუსიისათვის სახელმწიფოს, მეცნიერების, პოლიტიკოსების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბიზნესის წარმომადგენლების და მოსახლეობის სხვა ფენებისათვის. მდგრადი განვითარების გაეროს მიერ შემოთავაზებული 17 მიზნის დამატებით ჩვენს ქვეყანას მთელი რიგი სპეციფიური პრობლემები აწუხებს, რაც გაეროს შემოთავაზებული მდგრადი განვითარების მიზნების პარალელურად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ცნობილი მეცნიერები დაბეჯითებით მოითხოვენ მიღებულ იქნას მიზანმიმართული ღონისძიებები რათა არ დაიკარგოს განვითარების სფეროში უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეული შედეგები. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის მოწყობის საკითხები, რადგან კლიმატის ცვლილება და ბიო მრავალფეროვნების დანაკარგები ემუქრება პროგრესს.

გაეროს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა თხოვნით, გაეროს გენერალური მდივნის მიერ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შედგენილი კომისიის თაოსნობით შეიქმნა მოხსენება გაეროს 17 მიზნის შესრულების მიმდინარეობაზე. მოცემული მოხსენების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ 2030 წლამდე დარჩა სულ რაღაც 10 წელი, დღემდე არცერთ ქვეყანას არ გააჩნია დაბალანსებული მიღწევები ადამიანთა კეთილდღეობასა და ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოს შორის.

მოხსენებაში გარდაქმნები მდგრადი განვითარების მიზნებისათვის შერჩეულია ისეთი პრობლემატიკა, როგორცაა:

- ადამიანთა კეთილდღეობა და მისი პოტენციალი;
- მდგრადი და სამართლიანი ეკონომიკური ურთიერთობები;
- სასურსათო სისტემები და კვების სტრუქტურა;
- ნაკლებ ნახშირჟანგიანი ტექნოლოგიები ენერგეტიკის სექტორში და საყოველთაო დაშვების უზრუნველყოფა;
- ქალაქების და მიმდინარე ტერიტორიების განვითარება;
- საერთო - საყოველთაო ეკოლოგიური სიკეთე;

მოხსენებაში განსაზღვრულია ის ძირითადი ბერკეტები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ზემოაღნიშნული გარდაქმნები, ესენია:

- ✓ სახელმწიფო მმართველობა;
- ✓ ეკონომიკა და ფინანსები;
- ✓ ინდივიდუალური და კოლექტიური ქმედებები;
- ✓ მეცნიერება და ტექნიკა.

მეცნიერები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწყის ეტაპზე გამოყოფენ 4 პრობლემას, ესენია:

- უთანაბრობის ზრდა;
- კლიმატის ცვლილება;
- ბიო მრავალფეროვნების დანაკარგები;
- ადამიანთა საქმიანობით გამოწვეული ნარჩენების მოცულობის ზრდა; [3]

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი პრობლემიდან განვიხილოთ პირველი პრობლემა.

2017 წელს მოსახლეობის ყველაზე მდიდარი ფენის წილად (მსოფლიოს მოსახლეობის 1 %) მოდიოდა მსოფლიოს მთელი სიმდიდრის 33%, ეს მაშინ როდესაც ერთობლივი სიმდიდრის წილი, რომელიც მოდის მთელი მოსახლეობის ყველაზე დაბალ 75%-ზე, დარჩა უცვლელი მხოლოდ 10%-ის ფარგლებში. 1980 წელს მსოფლიოს მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 1%-ის წილად მოდიოდა მთელი მსოფლიოს სიმდიდრის 28%.

ჩვენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ვფიქრობთ, წინამდებარე სტატიაში მეტი ადგილი დავუთმოთ უნივერსიტეტებში მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზებისათვის საჭირო აქტივობებსა და რეკომენდაციებს.

რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტებში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად?

1. შევაფასოთ რაც უკვე გაკეთებულია;
2. განვსაზღვროთ და ჩამოვაცალიბოთ კომპეტენციები;
3. უნივერსიტეტის სკოლებისათვის შევქმნათ საერთო საუნივერსიტეტო კონცეფცია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად;
4. შევეცადოთ მდგრადი განვითარების 17 მიზანი დავაჯგუფოთ საუნივერსიტეტო სკოლების კომპეტენციების მიხედვით;
5. სასწავლო პროგრამებში და სამეცნიერო კვლევით პრობლემატიკაში გამოვკვეთოთ საერთო- საუნივერსიტეტო თემატიკა და თემატიკა სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით;

6. პერიოდული მონიტორინგი ჩავატაროთ მდგრადი განვითარების მიზნების მიმდინარეობის საკითხებზე და კოორდინაცია გავუკეთოთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობას.

სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამების სახეობების და სირთულეების მიხედვით უნდა იცოდნენ ისეთი საკითხები, როგორცაა:

მდგრადი განვითარების მიზნების შინაარსი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სასწავლო პროგრამებში მოცემული საკითხების შეტანით სტუდენტები დაეუფლებიან შესაბამის სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობას.

მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესაბამისი ინდიკატორების ცოდნა და მათი გაანგარიშების უნარ-ჩვევების დაუფლება.

კარგი იქნება თუ უნივერსიტეტები მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, სტუდენტთა განათლების ხელშეწყობისათვის საგანმანათლებლო პროგრამების თითოეულ საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამებში მოახდენს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას და განათლების დამატებითი სპეციალური კურსების ორგანიზებას.

მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზებისათვის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის კარგია თუ მოეწყობა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები პარტნიორი უნივერსიტეტების ფარგლებში.

უნივერსიტეტების წინაშე მდგარი ამოცანებიდან მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად საჭიროა ყურადღება დაეთმოს ორი მიმართულების მიხედვით საქმიანობის გააქტიურებას. ესენია, პირველი - სწავლა და ცოდნის გადაცემა და მეორე - სამეცნიერო კვლევები.

პირველ მიმართულებაზე მსჯელობისას საჭიროა გავიხსენოთ, რომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მეოთხე ამოცანა მთლიანად ეთმობა გენდერული ნიშნის მიხედვით ხარისხიანი პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი, მათ შორის საუნივერსიტეტო განათლებაზე წვდომას. ამ მიზნის მიღწევა კი ნიშნავს

მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნას, ხარისხიანი განათლების მიღებას, გენდერული უთანასწორობის შემცირებას, სტიქიურ უბედურებებთან უკეთ ბრძოლას და ა.შ.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში განათლებისადმი ხელშეწყობა შეიძლება განვიხილოთ როგორც უნივერსიტეტების მიხედვით ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სასწავლო პროგრამების და საგნების გადახედვა, სრულყოფა და გათანამედროვეება.

პირველი მიმართულების შემდეგ საკითხად შეიძლება განვიხილოთ სასწავლო პროგრამებში რეალური ქეისებისა და მათთან ადაპტირებული მსგავსი საკითხების ამოხსნის დაუფლების ჩვევების ათვისება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სტუდენტების მხარდაჭერას, რომლებიც მიისწრაფვიან გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ და გლობალურ პროგრამებში მონაწილეობისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში უნივერსიტეტში განხორციელებული მეორე მნიშვნელოვანი აქტივობა ესაა - ზემოაღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევებისადმი მხარდაჭერა, მათი წახალისება და სტიმულირება. ვფიქრობთ, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თითოეული ამოცანის მიხედვით საჭიროა გაიმიჯნოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შესაძლო თემატიკა და მიმართულებები, საერთო საუნივერსიტეტო და მისი ცალკეული სკოლების სპეციფიკის გათვალისწინებით. ასე მაგალითად, ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევად შეიძლება განვიხილოთ ისეთი საუნივერსიტეტო პროექტი, როგორცაა: „ციფრული თანამშრომლობა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის“ . მის რეალიზებაში აქტიური მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და სამედიცინო სკოლების პროფესორ მასწავლებლებს და სტუდენტებს.

მთლიანობაში საუნივერსიტეტო კვლევითი პოტენციალის გამოყენებისას კარგი იქნება თუ პროფესორ - მასწავლებლების და სტუდენტი - ახალგაზრდობის

კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტები დაუკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თემატიკას როგორც გლობალურ, ისე ნაციონალურ და საუნივერსიტეტო დონეებზე.

მდგრადი განვითარების მიზნების უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და საერთოდ კვლევითი და სასწავლო საქმიანობით უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლების და სტუდენტი - ახალგაზრდობის უკეთ დაინტერესების მიზნით კარგი იქნება თუ უნივერსიტეტში შეიქმნება და იფუნქციონირებს ინოვაციური ცენტრები, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს საუნივერსიტეტო ტელევიზიებთან და სამეცნიერო ჟურნალებთან. ამრიგად, მდგრადი განვითარების მიზნების უზრუნველყოფაში დიდი როლის შესრულება შეუძლია მეცნიერებას და მათ შორის საუნივერსიტეტო განათლებას.

ლიტერატურა:

1. (www.stiglitz-fitoussi.fr) დავით კბილაძე „ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2012;
2. Sustainable Development Solutions Network (SDSN) 2015, Getting started with the SDGs: A guide for stakeholders, SDSN, New York, sdg.guide;
3. United Nations (UN) General Assembly 2015, Transforming our world: The 2030 Agenda for Sustainable Development, A/RES/70/1 (21 October), viewed 3 August 2017, www.refworld.org/docid/57b6e3e44.html;
4. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) 2014, Sustainable development begins with education, UNESCO, Paris, unesdoc.unesco.org/images/0023/002305/230508e.pdf.
5. UNESCO 2016, 'Education for people and planet: Creating sustainable futures for all', New Global Education Monitoring Report Series, UNESCO, Paris, en.unesco.

მარკეტინგული გადაწყვეტილებების ხელშემწყობი საინფორმაციო-ანალიტიკური
სისტემა

¹ქეთევან ნანობაშვილი, პროფესორი ORCID ID: 0000-0003-3902-0941

¹ნიკა ქვლივიძე, ასოცირებული პროფესორი

²გიორგი კაკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ²დავით
აღმაშენებლის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.15>

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მარკეტინგული გადაწყვეტილებების ხელშემწყობი საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა, რომელსაც მარკეტინგის მართვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი წარმოადგენს მარკეტინგის მართვის სხვადასხვა პროცესში ძირითად ხელშემწყობ საშუალებას. შემოთავაზებულია მსს-ის ძირითადი კომპონენტები: პირველადი ინფორმაციის შეკრების და გადამუშავების საინფორმაციო სისტემა; მარკეტინგული გადაწყვეტილების ან რეკომენდაციის მიმღები წესების ინტელექტუალური სისტემა, რომელიც შედგება ექსცენტრიული კომპონენტებისაგან, მათემატიკური კრიტერიუმებისგან, ხარისხისა და პრიორიტეტულობის კრიტერიუმებისაგან; მოთხოვნათა შემყვან/გამომყვანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მსს-იდან მიღებული მონაცემების წარმოდგენას იმ სახეში, რაც ესაჭიროება გადაწყვეტილების მიმღებ პირს (გმპ). გმპ-ს, გარდა იმ რთული მარკეტინგული ამოცანისა, რაც მდგომარეობს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობაში, კიდევ ემატება ის დატვირთვაც, რომ იგი თავის თავზე იღებს იმ შედეგების შეფასებასაც, რაც შეიძლება მოჰყვეს გადაწყვეტილების მიღებას.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო სისტემები, ციფრული მარკეტინგი, მარკეტინგული გადაწყვეტილებები.

Information-analytical System Supporting Marketing Decisions

¹Ketevan Nanobashvili, Professor

¹Nika Kvlividze, Associate professor

²Giorgi Kakashvili, Associate professor

¹David Aghmashenebeli University of Georgia, ²David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgian

Abstract

The article discusses the information-analytical system supporting marketing decisions, which has paramount importance in marketing management. It represents a key facilitator in various marketing management processes. The paper proposes the main components of a marketing information system (MIS): an intelligent system of marketing decision or recommendation rules consisting of eccentric components, mathematical criteria, quality and priority criteria; request input/output system, which ensures that data received from the MIS is presented in the form required by the decision-maker (DM). The decision-maker, in addition to the complex marketing task of being responsible for making an effective economic decision, also adds to the burden of being able to evaluate the consequences that may result from the decision.

Keywords: Information systems, digital Marketing, marketing solutions.

თანამედროვე საზოგადოების ინფორმატიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ უკვე ძნელად წარმოსადგენია ადამიანის საქმიანობის რომელიმე სფერო, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიები არ გამოიყენება. ბიზნესის სექტორში სულ უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით ციფრული ტექნოლოგიებს. ისინი საშუალებას გვაძლევენ მარტივად მივიქციოთ მიზნობრივი აუდიტორიის ყურადღება და მივიტანოთ სარეკლამო შეტყობინება მომხმარებლებისთვის მაქსიმალურად კომფორტულ სივრცეში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ელექტრონული ბიზნესი და დასახა ახალი ამოცანები. ინფოკომუნიკაციურმა და მულტიმედიურმა


ტექნოლოგიებმა მოახდინა მარკეტინგის ტრანსფორმირება, რომელმაც მოიტანა ახალი თავისებურებები, მახასიათებლები და უპირატესობები [1].

მიმდინარე მსოფლიო წესრიგის დროს საინფორმაციო ტექნოლოგია გახდა ძირითადი სფერო მარკეტინგული ცოდნის გამოყენებისათვის, რომლის განვითარებასთან ერთად ვითარდება ციფრული მარკეტინგის მეცნიერებაც. სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ციფრული მარკეტინგის შემთხვევაში მარკეტოლოგი ეყრდნობა და იყენებს იმ შესაძლებლობებს, რომელსაც იძლევა ინტერნეტი. ციფრული მარკეტინგი წარმოადგენს ბიზნესისთვის მარკეტინგულ სტრატეგიას. მულტიმედიური ტექნოლოგიის საშუალებით შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის ეფექტური მიტანა მომხმარებელამდე, მისი რეალიზაციის სხვადასხვა ფორმებით და საშუალებების გამოყენებით:

- ✓ გრაფიკა,
- ✓ ანიმაცია,
- ✓ ვიდეორგოლები,
- ✓ 3D მოდელირება,
- ✓ აუდიო-თანხლება და სხვ. [2]

ბიზნესში ელექტრონულ ტექნოლოგიების გამოყენებას აქვს უდიდესი პოტენციალი, რომელიც საჭიროებს გონივრულ მართვას. მარკეტინგის მართვაში დიდი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო სისტემას, რომელიც წარმოადგენს მარკეტინგის მართვის სხვადასხვა პროცესში ძირითად ხელშემწყობ საშუალებას. მარკეტინგის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემა შეიძლება სქემატურად შემდეგნაირად გამოისახოს. ნახ. 1. [3]

მარკეტინგული გადაწყვეტილების მიღებისათვის შექმნილი საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის ძირითადი რგოლებია: საქონელზე და კლიენტის მომსახურებაზე ფასების დადგენა, პროგრამული უზრუნველყოფა, მოგების ანალიზი, გაყიდვის ანალიზი, ახალი წარმოების, მომსახურების და ბაზრის დაგეგმვა.



ნახ. 1. მარკეტინგის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემა

საქონელზე და კლიენტის მომსახურებაზე ფასების დადგენა. საქონლის გაყიდვის მოცულობა უმრავლეს შემთხვევაში დამოკიდებულია ფასზე. ფასი კი მოგების ფორმირების გადამწყვეტი ფაქტორია. ფასდადგენა წარმოადგენს რთულ და ძნელად გადასაწყვეტ ამოცანას, ამიტომ, ფასის ცვლილების აუცილებლობა შეიძლება ხშირად წარმოიქმნას. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუ როგორ რეგულირდება ფასი და მყარდება წონასწორობა კონკურენტის მიერ საქონელზე ფასის აწევის ან დაწევის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ არსებობს ტექნოლოგიები, მაგ. OLAP, რომელიც

გამოიყენება ფირმების მიერ, რაც ხელს უწყობს მარკეტინგული გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ფასზე, ასევე სხვა პროცესებზე.


მარკეტინგული მუშაობის პროდუქტიულობის პროგრამული უზრუნველყოფა. საქონლის გაყიდვის ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა განსაკუთრებით სასარგებლოა მცირე ბიზნესისათვის. ამ დროს იქმნება ხელსაყრელი ვითარება, როგორც საქონლის მოცულობის ასევე მისი გაყიდვების სწრაფი ზრდისათვის. ასეთი სახის პროგრამული უზრუნველყოფა ავტომატურად ახდენს განრიგის შედგენას და მზა კონტრაქტების მართვას, ეხმარება ტექსტების დამუშავებაში, საგადასახადო გაანგარიშებაში, ელექტრონულ კომუნიკაციებში და ა.შ.

მოგების ანალიზი. პროდუქციის რეკლამირების ან სხვა მარკეტინგული ოპერაციების მიმართ გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯერებისათვის აუცილებელია იცოდეს პროდუქტის ან საქონლის მომგებიანობა, მომსახურების სახეობა და პოტენციური მსყიდველი. ცხადია, საქონლიდან შემოსავლის ანუ მოგების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ საბუღალტრო ანგარიშებიდან, რომელიც მიმართულია დანახარჯებზე. იმ მომხმარებლის იდენტიფიცირება, რომელთაც ხშირი კონტაქტები აქვთ ფირმის საქონელთან ან მომსახურების სფეროსთან, შეიძლება მიღებულ იქნეს სპეციალური პროგრამის საშუალებით. ასეთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პროგრამა, რომელიც გამოიყენება ავიაკომპანიებში იმ მგზავრთა ვინაობის დასაფიქსირებლად, ვისაც ხშირად უხდება ფრენა. როგორც ოპერაცია, ასევე ამ პროგრამების ანალიზი, მთლიანად კომპიუტერიზებულია. შემოსავლის გეგმის ანალიზის შემსრულებელი პროგრამული უზრუნველყოფა დამუშავებულია მენეჯერის დასახმარებლად, რათა მან ამ პროგრამის დახმარებით მოახერხოს მოგების გაზრდა, პროდუქციის გასაღების არხების მოძიება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, ისეთი ოპერაციების მართვა, რაც საწარმოს ან მისი ბიზნესის მართვისათვის წარმოადგენს კრიტიკულს.

გაყიდვების ანალიზი. მოთხოვნათა დამუშავების მარკეტინგული სისტემა აგროვებს მონაცემებს საქონლის გაყიდვების შესახებ. ეს მონაცემები საინფორმაციო სისტემის მიერ იყოფა რამდენიმე ჯგუფად, რომელთაგან თითოეული ემსახურება კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას. მაგალითად, შექმნილი პრობლემის წინასწარ

აღმოჩენას და ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობებისა და ტენდენციების მიებას.

ახალი წარმოების, მომსახურებების და ბაზრის დაგეგმვა. ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის ან მომსახურების შექმნა შეიძლება იყოს ძვირიც და რისკებთან დაკავშირებულიც. კითხვა, რომელიც შეიძლება დაუკავშიროთ ახალ საქონელს, ასეთია: „გაიყიდება, თუ არა იგი?“ ცხადია, პასუხისათვის საჭიროა ზედმიწევნითი ანალიზის ჩატარება, დაგეგმვა, პროგნოზირება, ეს მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით შეიძლება მოვახერხოთ, ვინაიდან, გაყიდვის პროცესებში აქტიურად მონაწილეობს განსაკუთრებული ფაქტორები, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი და გაურკვეველიც კი. სწორედ ამ გაურკვეველი და გაუთვალისწინებელი ფაქტორების გარკვევაში დიდ დახმარებას გვიწევს საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიების გამოყენება.



ნახ. 2. მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა

მარკეტინგული გამოკვლევები შეიძლება ვაწარმოოთ ინტერნეტის გამოყენებით. ეს იმით არის განპირობებული, რომ მარკეტინგული მართვისათვის რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად განსაკუთრებულად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა (მსს). ნახ 2. [3]

მსს-ის ძირითადი კომპონენტებია:

- ✓ პირველადი ინფორმაციის შეკრების და გადამუშავების საინფორმაციო სისტემა.
- ✓ მარკეტინგული გადაწყვეტილების ან რეკომენდაციის მიმღები წესების ინტელექტუალური სისტემა, რომელიც შედგება ექსცენტრიული კომპონენტებისაგან, მათემატიკური კრიტერიუმებისგან, ხარისხისა და პრიორიტეტულობის კრიტერიუმებისაგან.
- ✓ მოთხოვნათა შემყვან/გამომყვანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მსს-იდან მიღებული მონაცემების წარმოდგენას იმ სახეში, რაც ესაჭიროება გადაწყვეტილების მიმღებ პირს (გმპ).

გმპ-ს, გარდა იმ რთული მარკეტინგული ამოცანისა, რაც მდგომარეობს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობაში, კიდევ ემატება ის დატვირთვაც, რომ იგი თავის თავზე იღებს იმ შედეგების შეფასებასაც, რაც შეიძლება მოჰყვეს გადაწყვეტილების მიღებას.

მსს-ის ძირითადი ამოცანაა: მარკეტინგის გარშემო მიმდინარე პროცესების და მის გარემოში არსებული ინფორმაციის გარდაქმნა გმპ-სათვის სასურველ ფორმაში, რაც საშუალებას მისცემს გმპ-ს, შეაფასოს მარკეტინგის ობიექტის მდგომარეობა, სიტუაციის მიმდინარეობაც და განვითარებაც, მისი ცვლილებაც. ასე რომ, მსს-ში ინფორმაციაზე ხორციელდება შემდეგი ოპერაციები:

1. ინფორმაციის შეკრება, პირველადი გადამუშავება და იმ ფორმაში გადაყვანა, რაც გამოსადეგი იქნება გრძელვადიანი მანქანური შენახვისათვის.
2. პირველადი ინფორმაციის გარდაქმნა იმ მიზნით, რომ მოხდეს მარკეტინგის ობიექტის და მიმდინარე პროცესების მდგომარეობის შეფასება.
3. ობიექტის მდგომარეობის შეფასების გარდაქმნა (გადაყვანა) რეალურ ანუ შეფასების შკალაში.

4. მიზნობრივი ფუნქციის საფუძველზე და არსებული რესურსებით: ადამიანური, მატერიალური და სხვ., ეფექტური მარკეტინგული გადაწყვეტილების გამოტანა.
5. შერჩეული გადაწყვეტილების ბუნებრივ ენაზე, ანუ გმპ-სთვის გასაგებ ენაზე: გრაფიკი, სქემა, ტექსტი, სპეციალური აღდგენა და სხვ., გადაყვანა.
6. გმპ-ს მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებათა სიმრავლის კორექტირება.
ინფორმაციის გარდაქმნის პროცედურის ძირითადი ინსტრუმენტია სპეციალური წესები ანუ მარკეტინგული გადაწყვეტილების მღების მოდელები, რომელიც შეიძლება დავყოთ:

1. დინამიური ინტერპრეტაციის მოდელებად, რომლებიც საწყისი პირობებიდან გამომდინარე, იცვლიან თავის კონფიგურაციას. ასეთ მოდელებს შეიძლება მივაკუთვნოთ ის მოდელები, რომლებსაც შეუძლიათ სინქრონული და ასინქრონული დინამიკური პროცესების მოდელირება. ამ კლასის მოდელების ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა სხვადასხვა პროცესის მოდელირებისა და აგრეთვე მოახდინოს ადრე განსაზღვრული სიიდან საუკეთესო გადაწყვეტილების ამორჩევა.
2. ანალიტიკური ტიპის მოდელებს მიეკუთვნებიან ის მოდელები, რომლებიც ანალიტიკური და ევრისტიკული მეთოდების საფუძველზე ახდენენ მრავარკრიტერიუმთან სივრცეში მარკეტინგული ობიექტის შეფასებას, ამ შეფასების ინტერპრეტირებას შეფასებათა დადგენილ შკალაში. ამ მოდელების ღირსებაა მათი მოქნილობა, რომელიც იძლევა საშუალებას შეცვალოს შეფასებათა კრიტერიუმების სიმრავლე, გაითვალისწინოს გადაწყვეტილებათა მიღების პრიორიტეტების ცვალებადობა. კრიტერიუმებად, კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას შეიძლება გამოვიყენოთ: ბაზრის წილი, იმიჯი, ბაზრის მიმზიდველობა და სხვ.

ლიტერატურა

1. Nabieva NM. Digital marketing: current trends in development. Theoretical & Applied Science. 2021(2):333-40..
2. Jones, AT. Malczyk A. Beneke J.: Internet marketing. 2013. GetSmarter, Cape Town: 2013
3. გოგიჩაიშვილი გ, ჩაჩანიძე გ, ნანობაშვილი ქ. ბიზნესის მართვის ოპტიმალური მეთოდები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი: 2013

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება, განვითარება და
დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა ქვეყნის აღმშენებლობაში
სოფო ჩქოფოია, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.16>

აბსტრაქტი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, სათავეს ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს, ხოლო შემდეგ კი იდეა ახლებურად გააზრებულ და გადამუშავებულ იქნა ჯონ ლოკისა და შარლ ლუი მონტესკიეს მიერ, რამაც ხელი შეუწყო აღნიშნული იდეის პოპულარიზაციას. ლოკმა თავისი შეხედულებები ხელისუფლების დანაწილების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ მოგვცა ნაშრომში: „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“ (1690), რაც შეეხება მონტესკიეს, აღნიშნული საკითხები მას გააზრებული აქვს შემდეგ შრომებში „სპარსული წერილები“, „კანონების სული“, „რომის აღზევების და დაცემის მიზეზების გააზრება“.

ხელისუფლების დანაწილება დემოკრატიულ სახელმწიფოებში ძირითადად ორი პრინციპით ხდება, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად. ვერტიკალური გულისხმობს, ცენტრალურ, რეგიონალურ, მუნიციპალურ და რაიონულ ხელისუფლებას, ხოლო ჰორიზონტალური საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

სწორი და ეფექტური სახელმწიფო მმართველობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც ასევე ხელს უწყობს მოსახლეობის ნდობის ამაღლებას მმართველი სისტემისადმი და ზრდის მთავრობის ლეგიტიმურობის ხარისხს (საჯარო პირებთან ურთიერთობის პრობლემა არ ექმნებათ მოქალაქეებს). ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია გაუმჯობესდეს დეცენტრალიზაციის პროცესი და მიღწეულ იქნას უკეთესი მმართველობა ადგილობრივ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: დეცენტრალიზაცია; სახელმწიფო მმართველობა; ადგილობრივი თვითმმართველობა; დემოკრატიული პრინციპები

The importance of the formation, development and decentralization of local self-government in the reconstruction of the country

Sopo Chkopoia, Associate professor

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

The principle of separation of powers still dates back to the Roman Empire, and then the idea was re-conceived and revised by John Locke and Charles Louis Montesquieu, which helped popularize the idea. Locke gave us his views on the necessity and importance of separation of powers in *The Second Treatise on Civil Government* (1690), which Montesquieu considered in the following works: *The Persian Letters*, *The Spirit of Law*, and *the Causes of the Rise and Fall of Rome*. “.

The distribution of power in democracies is mainly based on two principles, vertically and horizontally. Vertical refers to central, regional, municipal, and district governments, while horizontal refers to legislative, executive, and judicial branches of government.

Proper and effective governance is possible only in a democratic society, which also helps to increase public confidence in the system of government and increases the legitimacy of the government (citizens do not have problems with public relations). It should also be noted that the decentralization of the country itself contributed to the redistribution of power, which meant a reduction of influence and legitimate power by individual political forces. The goal of local self-government is to improve the decentralization process and achieve better governance at the local level.

Keywords: decentralization; State governance; Local self-government; Democratic principles

ადგილობრივი თვითმმართველობა პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლი და შემადგენელი ნაწილია. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება მეტად სპეციფიურია, რასაც განაპირობებს ქვეყნის, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა მრავალი ფაქტორი, აქედან

გამომდინარე შეუძლებელია მოიძებნოს ორი იდენტური ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა მსოფლიოში.

თვითმმართველობების ჩანასახი არსებობდა ჯერ კიდევ სახალხო კრების სახით ძველ შუმერებსა და შუამდინარეთის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებში, რომელშიც ერთიანდებოდა ყველა ადგილობრივი, ზრდასრული მამაკაცი. მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღება კრების დახმარებით ხდებოდა.

თანამედროვე თვითმმართველობებისა და დემოკრატიის ჩანასახები გვხვდება ძველ ბერძნულ პოლისებში. მაგალითად, ათენის მართვაში ჩართული იყო ყველა ადგილობრივი, თავისუფალი ადამიანი (ეს პერიოდი პირდაპირი დემოკრატიის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს). თანამედროვე მსოფლიო სახელმწიფოთა მოწყობის სისტემას საფუძვლად, სწორედ ათენელთა მიერ შექმნილი დემოკრატიული მმართველობა უდევს, რომლის მთავარი ელემენტიც თვითმმართველობაა.

თვითმმართველობების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების პროცესი იწყება შუა საუკუნეებში და საბოლოოდ XIX საუკუნეში დასრულდა, თუმცა ურთიერთობები ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს შორის განსხვავებული სახით გვევლინება, აღნიშნულ მრავალფეროვნებას განაპირობებდა პოლიტიკური, ეკონომიკური კულტურული და სხვა ფაქტორები, რაც ასევე გახდა მიზეზი სახელმწიფოთა ნაწილის მაქსიმალური დეცენტრალიზაციის (მაგალითად, ანგლოსაქსური ქვეყნები: აშშ, კანადა და ა.შ. და შვეიცარია) და ნაკლებად დეცენტრალიზაციის (მაგალითად, საფრანგეთი).

საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობები 1921 წლის კონსტიტუციით იქნა აღიარებული. თვითმმართველობის ორგანოების არჩევა ხდებოდა ფარული კენჭისყრით საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი უფლების საფუძველზე. კონსტიტუციაში მსგავსი პრინციპების დაფიქსირება თავისთავად გამოხატავდა სახელმწიფოს მხრიდან დემოკრატიული პრინციპებისათვის ღიაობასა და აღიარებას. თუმცა პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული ადგილობრივი მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა, არ იყო დასრულებული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი. თუმცა კონსტიტუციის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ჰქონდათ საბიუჯეტო უფლებები, ხოლო მათ მიერ

მიღებული გადაწყვეტილებებისა და აქტების გაუქმება მხოლოდ სასამართლო გზით იყო შესაძლებელი, რაც ერთის მხრივ ხელს უწყობდა ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან მათთვის მინიჭებული უფლებების გადაჭარბების თავიდან აცილებისა და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

საბჭოთა პერიოდში, ქვეყანაში განხორციელებული ძირეული საფუძვლების ფონზე, ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირება განსხვავებული იყო, დემოკრატიულ პრინციპებზე საუბარი კი სრულიად ზედმეტი.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ პრეფექტი და პრეფექტურა ახორციელებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს. ქვეყანაში იყო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, რამაც განაპირობა ადგილობრივი და საბიუჯეტო პოლიტიკის არარსებობა, რამაც საბოლოოდ დაასრულა ადგილობრივი მმართველობის არსებობა.⁵⁹

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი რეფორმა განხორციელდა, რათა შეიქმნას განსხვავებული მოდელები და მუნიციპალური სისტემა, ქართული რეალობა მაინც შორსაა სრულყოფილებისაგან და დღესაც საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, ვინაიდან ჩვენთან ჯერ კიდევ არ განხორციელებულა დეცენტრალიზაციის ისეთი პროცესი, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, თუმცა ეს ერთის მხრივ განპირობებულია საზოგადოების მიერ გააზრებული ერთიანი ხედვის არ არსებობით, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ძალაუფლება.

ქართულ სინამდვილეში, დეცენტრალიზაციის შეფერხების ფაქტორად ძირითადად მიიჩნევა ის დილემები, რაც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წინაშე დგას, როგორცაა, ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური კოლაფსი და სხვა სახის პრობლემები. ქართულ საზოგადოებაში მიზანმიმართულად, თუ ინფორმაციის ნაკლებობით მუდმივად ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ რეგიონული პრინციპის

⁵⁹ გურგენიძე ვ., „საჯარო - პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა“ (პოლიტიკურ-სამართლებრივი პარადიგმები), გამომცემლობა კალმოსანი., თბ., 2014

შემოღებით ქვეყანა დაიშლებოდა, ამ აზრს ამყარებდა ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში არსებული პრობლემები, ურთიერთობები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან, ასევე ის პრობლემები, რომელიც არსებობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, თუმცა აქ არ გვქონია ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების მაგალითები (რელიგიური ნიშნით დაპირისპირებას თუ არ ჩავთვლით).

1997 წელს საქართველოში მიღებულ იქნა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, 1998 წელს ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები, ეს იყო ერთგვარი სტარტი ქვეყნის დეცენტრალიზაციის კუთხით. თუმცა საკმაოდ დიდი იყო ცენტრალური მართვის ორგანოების გავლენა, ვინაიდან რაიონების აღმასრულებელი შტოების ხელმძღვანელობის დანიშვნა ხდებოდა ცენტრიდან. კანონით ადგილობრივ თვითმმართველობას საკმაო უფლებამოსილება გააჩნდა, თუმცა ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, არ იყო შესაბამისი ფინანსური რესურსი, რაც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენდა მათი ფორმალურობის ხასიათს.

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 2 განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ცნებას.

1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

2. თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსავლები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.⁶⁰

⁶⁰ საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი., 19/02/2014

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ აქტიურად დაიწყო საუბარი ქვეყნის დეცენტრალიზაციის საკითხზე.⁶¹ საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წელს რატიფიცირებულ იქნა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია. საქართველოსთან მიმართებაში ევროპული ქარტია ძალაში შევიდა 2005 წლის 1 აპრილიდან, ამით საფუძველი დაედო ქვეყნის დეცენტრალიზაციის შემდგომ განვითარებას.

2006 წელს თვითმმართველობის ქვედა დონე გაუქმებულ იქნა იმ მოტივით, რომ რაიონს ექნებოდა მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზების შესაძლებლობა, ადგილობრივი მმართველობა ჩანაცვლდა ადგილობრივი თვითმმართველობით.

2008 წელს ქვეყანა იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში რუსეთთან, რამაც ეკონომიკურ კრიზისთან ერთად გამოიწვია პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც რათქმუნდა უარყოფითად აისახა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზეც.

2010 წელს ქვეყნის კონსტიტუციას დაემატა ახალი თავი „ადგილობრივი თვითმმართველობა“, რომელიც ნიშნავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპების აღიარებას. კონსტიტუციის საფუძველზე თვითმმართველ ერთეულებს მიეცათ უფლება გაესაჩივრებინათ სასამართლოში ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არღვევდნენ კონსტიტუციით გარანტირებული თვითმმართველი ერთეულის უფლებებს.

2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ეს უფლებები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. შეიქმნა დამატებითი კონსტიტუციური გარანტიები ადგილობრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები, რომელიც დაეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფინანსური სახსრების შესაბამისობა თვითმმართველი ერთეულის ორგანული კანონით დადგენილ უფლებამოსილებებთან. თვითმმართველ ერთეულებს მიეცათ

⁶¹ „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014“, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი., თბ., 2015

უფლება, კანონმდებლობის დაცვით, თავიანთი ინიციატივის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც არც კანონით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც კანონით არ გამოირიცხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან.⁶²

2013 წელს N223 განკარგულების საფუძველზე, დამტკიცდა „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობას იღებდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. დოკუმენტში მოცემულია განსახორციელებელი რეფორმების თანმიმდევრულობა დეტალურად. 2014 წელს მიღებულ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც პასუხობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მოთხოვნებს (ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ექსპერტიზის ცენტრის შეფასებით).

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშვა „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის, დეცენტრალიზაციისა და რეგიონული განვითარების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ პროექტი მატრიცის ფორმით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №1215 დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017 წლებისთვის“, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობდა ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.⁶³

საქართველოს მთავრობამ 2018 წლის ზაფხულში დაიწყო მუშაობა შემდეგი სახის დოკუმენტზე „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025“, რომელიც დამტკიცდა 2019 წლის ბოლოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმასთან ერთად.

საქართველოში 71 თვითმმართველი ერთეულია, აქედან 12-ს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი აქვს მინიჭებული, კანონმდებლობის თანახმად. ორი ავტონომიური რესპუბლიკაა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის

⁶² დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025

⁶³ „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია სამთავრობო გეგმებისა და ინიციატივების სამსახური., 25 მაისი., 2015

ავტონომიური ოლქის ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ). აღნიშნული ტერიტორიების სტატუსი განსაზღვრულია „საქართველოს კანონით ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც 2008 წლის 20 დეკემბერს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში 9 სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორია დანიშნული, რომელთა დანიშვნაზე საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი. ადგილობრივი თვითმმართველობების განხორციელება ხდება მუნიციპალიტეტში (თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი).⁶⁴

დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობებს ჰქონდეთ გამართული სისტემა. საქართველოში, როგორც ვნახეთ აღნიშნული რგოლი ყველაზე მეტად საჭიროებს რეფორმებს. ევროპულ ქარტიასთან მიერთება საქართველოსთვის ისევე, როგორც თითოეული ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის არის ერთგვარი გარანტი თვითმმართველობის სტაბილურობისა და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა დაცვის კუთხით.

ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც შეძლებდნენ ეხელმძღვანელათ ისე, რომ შეენარჩუნებინათ დემოკრატიული ღირებულებები. ასეთი სახელმწიფოებისათვის ევროპული ქარტია წარმოადგენს მუნიციპალური სამართლის უმთავრეს წყაროს, რომელიც შემუშავდა და მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ინიციატივით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების სისტემა საკმაოდ მრავალფეროვანია, დასავლეთის ქვეყნების მმართველობითი სტრუქტურის განვითარებაში საკმაოდ დიდი წვლილი აქვს ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომლებიც მზარდი ძალაუფლებით გამოირჩევიან. თვითმმართველობების საქმიანობაში სახელმწიფო უშუალო ჩარევას არ ახორციელებს, თუმცა ზედამხედველობის უფლებას ინარჩუნებს, იმ მიზეზით, რომ არ მოხდეს გადაცდომა კანონმდებლობიდან. ამის დასტურს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტი „ევროპული

⁶⁴ „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია სამთავრობო გეგმებისა და ინიციატივების სამსახური., 25 მაისი., 2015

ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“, რომელსაც სტრასბურგში 1985 წელს მოეწერა ხელი, სადაც ჩამოყალიბებულია თვითმმართველობის საქმიანობის გარანტიები, დოკუმენტში მოცემული ყველა პრინციპის გაზიარება სავალდებულოა ევროპის ქვეყნებისთვის. მისი წევრი 47 ევროპული სახელმწიფოა და ის საერთაშორისო ხელშეკრულებაა.

ქარტია პრეამბულისა და სამი ნაწილისაგან შედგება, რომელშიც მოცემულია 18 მუხლი. ქარტიის მიზანი წევრ სახელმწიფოებს შორის მყარი ერთობის ჩამოყალიბებაა და ამ ერთობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობების როლი მეტად მნიშვნელოვნად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

„ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“, პრეამბულაში ზუსტადაა მოცემული თვითმმართველობების მნიშვნელობა და ამავდროულად ჩამოყალიბებულია საბჭოში შემავალი ქვეყნებისათვის რამდენიმე კონცეპტუალური დებულება:

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მმართველობის სფეროში ხელშეკრულებების დადება;

ითვალისწინებენ რა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს;

ითვალისწინებენ რა, რომ მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის;

ითვალისწინებენ რა, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა;

აცნობიერებენ რა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის;

ამტკიცებენ რა, რომ ეს გულისხმობს ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე, დემოკრატიული გზით შექმნილი ორგანოების მიერ, და რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის, ამ კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ.⁶⁵

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ იმ ძირითად პრინციპებს ადგენს, რომელიც აუცილებელია ინსტიტუციურად გამართული თვითმმართველობის ფუნქციონირებისათვის და ლოკალური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

ქვეყნის დეცენტრალიზაციის საკითხი, ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილების ჩარჩოებში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუქცევადი პროცესია. დეცენტრალიზაციის მიზანია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ცალკეული უფლებამოსილებების გადაცემა, საზოგადოების უშაუალო ჩართულობა მმართველობით პროცესებში, მეტი ღიაობა, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

დეცენტრალიზაციის ოთხი ძირითადი მიმართულება არსებობს თანამედროვე ეტაპზე: პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ფისკალური და ეკონომიკური.

პოლიტიკური დეცენტრალიზაციის მიზანია მისცეს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის უფლება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს და მიანიჭოს მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლება, კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებში.

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია გულისხმობს იმ უფლებამოსილებების გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რაც საჭიროა სახელმწიფო მართვასა და საჯარო მომსახურების სფეროში.

⁶⁵ „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“, სტრასბურგი., 15.X.1985

ფისკალური დეცენტრალიზაციის მიზანია შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა საკანონმდებლო სივრცეში, რომლის საშუალებითაც ცენტრალური ბიუჯეტის პარალელურად მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შევსებაც. აღნიშნულის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს ეძლევა უფლება, გააუქმოს ან შეცვალოს გადასახადები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ეკონომიკური დეცენტრალიზაციის მიზანია შექმნას ელემენტარული ქონებრივი პირობები ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობისთვის. მისი არსებობის პირობებში თვითმმართველ ერთეულებს ეძლევათ შესაძლებლობა შეიმუშაონ საკუთარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური პოლიტიკა. ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ინიციატივებს და ამ მიზნით გადასცენ ქონება პრივატიზების უფლებით.

ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და უფლებამოსილების გასამიჯნად მოცემულია სუბსიდიარობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია იმ ფუნქციების დაკისრება მაღალი საფეხურის ხელისუფლებისათვის, რომლის განხორციელებაც არ შეუძლია დაბალი საფეხურის ხელისუფლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედებს ქარტიის რიგი მუხლები, ქვეყანამ შეასრულა მე-12 მუხლით განსაზღვრული რატიფიკაციის ვალდებულებები.

საქართველომ რატიფიკაციის პროცესში მოიხსნა პასუხისმგებლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებათა მდგომარეობაზე, ვინაიდან აქ არ ვრცელდება ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია. ასევე რატიფიცირებით საქართველომ აღიარა ყველა ის მოთხოვნა, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და სრულფასოვანი განხორციელებისათვის.

2010 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე საქართველოში შეიქმნა კონსტიტუციური გარანტიები, რომელიც ქარტიის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა და შესაბამისობაში მოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობა, რომლითაც განისაზღვრა მისი განხორციელების კონცეფცია საქართველოში, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა

სტრუქტურა და კომპეტენციის სფერო, სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტი გაიმიჯნა ადგილობრივი ბიუჯეტისგან და დაადგინა მისი შევსების დამოუკიდებელი წყარო. საქართველომ უარი თქვა ევროპული კონვენციის ერთ საბაზისო და ოთხ არა-საბაზისო მუხლის რატიფიკაციაზე, რომელთა შორისაც იყო ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციული საზღვრების დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები, ქარტიის ეს ნაწილი იცავს თვითმმართველობის განხორციელების ტერიტორიულ ჩარჩოებს. შემდეგი საკითხი ეხება ქარტიის მე-4 მუხლის მეექვსე პუნქტს და მოიცავს საკითხებს, რომელიც თვითმმართველი ერთეულის ინტერესებს იცავს, მოახდინოს გავლენა ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მისაღებია ქვეყნისთვის და რომელთა შედეგებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს თვითმმართველობის განხორციელებას.

შემდეგი არარატიფიცირებული ნაწილი მიმართულია დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებისკენ, რის გამოც ცენტრალურ ხელისუფლებას შესაძლებლობის ფარგლებში აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, როგორცაა: შეუწყოს ხელი ადგილობრივი თვითმმართველობების ადმინისტრაციულ ფუნქციონირებას, რათა რეალური საფრთხეების გათვალისწინებით საქართველომ უარი თქვა შემდეგი საკითხის რატიფიცირებაზეც, რომელიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს დაამყარონ დამოუკიდებლად, როგორც შიდა ეროვნული, ასევე საერთაშორისო ურთიერთობები.⁶⁶

ქარტიის მიღების შემდეგ პერიოდში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობა რამდენჯერმე შეიცვალა, ყველაზე მასშტაბური პროცესი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება, რომლის მიზეზადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიასთან დაახლოება სახელდება. თუმცა ეს არ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, საქართველო დღესაც ამ კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის დეცენტრალიზაცია თავისთავად ხელს უწყობდა

⁶⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა - გამოსავლის ძიება რუხი ზონიდან“ (სტატიების კრებული), გერმანიის თანამშრომლობა, GIZ., თბ., 2020

ძალაუფლების გადანაწილებას, რაც ცალკეული პოლიტიკური ძალების მხრიდან გავლენისა და ლეგიტიმური ძალაუფლების შემცირებას ნიშნავს.

ლიტერატურა

1. გურგენიძე ვ., „საჯარო - პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა“ (პოლიტიკურ-სამართლებრივი პარადიგმები), გამომცემლობა კალმოსანი., თბ., 2014
2. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი., 19/02/2014
3. „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014“., სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი., თბ., 2015
4. დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025
5. „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“., საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია სამთავრობო გეგმებისა და ინიციატივების სამსახური., 25 მაისი., 2015
6. „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა - გამოსავლის ძიება რუხი ზონიდან“ (სტატიების კრებული)., გერმანიის თანამშრომლობა, GIZ., თბ., 2020
7. „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“., სტრასბურგი., 15.X.1985

სამოქალაქო ავიაციის სუბიექტების საქმიანობის ანალიზი 2020-2021 წლების კრიზისში

თინათინ დოლიაშვილი, პროფესორი

ხვიჩა გოგია,

მონიკა ლატარია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.17>

აბსტრაქტი

მსოფლიოს სამოქალაქო ავიაციამ განუზომელი ზიანი მიიღო კოვიდ-19 პანდემიის შედეგად. დასაწყისში, იმისათვის, რომ შეზღუდულიყო ინფექციის გავრცელება, გაუქმდა უამრავი რეისი მსოფლიოს მასშტაბით, რამაც, რა თქმა უნდა, გაართულა მგზავრების გადაადგილების შესაძლებლობა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იმ მომენტიდან დაწყებული 2020 წლის ბოლომდე, ზუსტად ავიაციის მეშვეობით ხდებოდა ეპიდემიის მართვის ეფექტური სქემის განხორციელება. პანდემიის პერიოდში მსოფლიოს მასშტაბით საჰაერო ტრანსპორტზე 60%-ით მგზავრთნაკადის სიდიდის შემცირება იწინასწარმეტყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ICAO-მ. მსგავსი პროგნოზი გააქურა ორგანიზაცია EUROCONTROL-მაც, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოებას ევროპაში. მისი ყველაზე ოპტიმისტური სცენარით, ევროპის რეგიონი 2019 წლის საჰაერო მოძრაობის მაჩვენებლებს მხოლოდ 2023 წელს მიუახლოვდება, ხოლო 2024 წელს გადაუსწრებს. აღნიშნული იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ვაქცინის გლობალურად მიმოქცევაში ჩაშვება დროულად, ანუ 2021 წელს განხორციელდებოდა. ამავე სცენარის პირობებში, საქართველო 2019 წლის მაჩვენებლებს 2022 წელს დაუბრუნდება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლების გაუმჯობესებას მხოლოდ 2023 წლისათვის მოახერხებს. მაგრამ, ვაქცინა თუ არაეფექტური აღმოჩნდა, როგორც საქართველო, ისე ევროპის რეგიონი 2019 წლის ნიშნულს 2024 წელსაც ვერ დაუბრუნდება.

საკვანძო სიტყვები: აეროპორტი, საავიაციო ბაზარი, პანდემია, გადაყვანილი მგზავრი, გადატანილი ტვირთი, რეისების რაოდენობა, ერთეული გადაფრენა.

Performance Analysis of the Civil Aviation Entities 2020-2021**Tinatini Doliashvili, Professor****Khvicha Gogia,****Monika Lataria****David Aghmashenebeli University of Georgia****Abstract**

The COVID-19 pandemic has caused the unprecedented damage to the aviation industry. In order to prevent the spread of the disease, the issue of air traffic restrictions was put on the agenda, which led to the sudden cancellation of tens of thousands of flights around the world and made travelling difficult for passengers. At the same time, aviation turned out to be an area that played a crucial role in the effective management of the epidemic and from the very beginning it was actively involved in the preventive measures against the spread of the disease. According to the International Civil Aviation Organization (ICAO), during this period, the passenger air transportation worldwide was decreased with about 60%. The unfavorable forecasts were also foreseen regarding the process of restoring air traffic. According to the most optimistic scenario of the European Organization for the Safety of Air Navigation (EUROCONTROL), the European region will approach the air traffic figures of 2019 only by 2023, and will surpass in 2024. The mentioned was possible if the vaccine would be released into the world on time - by 2021. Under the same scenario, Georgia will return to the indicators of 2019 in 2022, and will be able to improve the indicators of 2019 by 2023. However, if the vaccine turns out to be ineffective, both Georgia and the European region will not be able to return to the air traffic figures of 2019 in 2024.

Keywords: Airport, aviation market, pandemic, transported passenger, transported cargo, number of flights, unit flight.

მსოფლიოს სამოქალაქო ავიაციამ განუზომელი ზიანი მიიღო კოვიდ-19 პანდემიის შედეგად. დასაწყისში, იმისათვის, რომ შეზღუდულიყო ინფექციის გავრცელება, გაუქმდა უამრავი რეისი მსოფლიოს მასშტაბით, რამაც, რა თქმა უნდა,

გაართულა მგზავრების გადაადგილების შესაძლებლობა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იმ მომენტიდან დაწყებული 2020 წლის ბოლომდე, ზუსტად ავიაციის მეშვეობით მოხდა ეპიდემიის მართვის ეფექტური სქემის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, საავიაციო სექტორის წინაშე რამოდენიმე ამოცანა დადგა, რომელთა გადაწყვეტაც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უნდა განეხორციელებინა. კერძოდ:

- მაღალი რისკის ქვეყნებთან უნდა შეზღუდულიყო რეგულარული საჰაერო მიმოსვლა;
- პრევენციული ღონისძიებების დაცვით უნდა უზრუნველყოფილიყო მგზავრებისა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობა;
- საქართველოში მოქალაქეების უვნებლად დაბრუნების მიზნით უნდა შესრულებულიყო სპეცრეისები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან;
- დროულად უნდა განხორციელებილიყო სამედიცინო ტვირთის ტრანსპორტირება;
- მგზავრებისთვის უნდა აღმოჩენილიყო საჭირო ინფორმაციული მხარდაჭერა სრულიად არაპროგნოზირებად პირობებში.

2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის საწინააღმდეგო პრევენციულმა ღონისძიებებმა მთელს მსოფლიოში საგრძნობლად შეამცირა გადაყვანილი მგზავრების ჯამური რაოდენობა. ამ პერიოდში საქართველოს აეროპორტებში მომსახურება მიიღო მხოლოდ 833846 მგზავრმა. აქედან, რეგულარული რეისებით გადაყვანილ იყო 743037 მგზავრი, დანარჩენი კი ჩარტერით. შესაბამისად, მგზავრთნაკადი 84%-ით, ანუ 4375620 მგზავრით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ 2010-2019 წლებში, ანუ პანდემიამდე, მგზავრთნაკადი ყოველწლიურად თითქმის 24%-ით მატულობდა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა 590123 მგზავრი გაატარა, რაც 84%-ით, ანუ 3102013 მგზავრით ნაკლებია 2019 წლის თორმეტი თვის მონაცემებთან შედარებით.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტმა მომსახურება გაუწია 183873 მგზავრს. ეს სიდიდე 689743 კაცით, ანუ 79%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა გადაიყვანა 51412 მგზავრი, რაც 572739 კაცით, ანუ 92%-ით ნაკლებია ვიდრე 2019 წლის მაჩვენებელი.

მესტიის ადგილობრივმა აეროპორტმა ჯამში 3165 მგზავრს მოემსახურა, რაც 63%-ით, ანუ 5460 კაცით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიური პერიოდის მახასიათებელთან მიმართებაში. ხოლო, ასევე ადგილობრივმა, ამბროლაურის აეროპორტმა იგივე საანგარიშგებო დროის მონაკვეთში 1214 მგზავრს მოემსახურა, რაც 38%-ით, ანუ 752 კაცით ნაკლებია 2019 წლის მონაცემებთან შედარებით.

2020 წლის განმავლობაში საქართველოს აეროპორტებში სულ 7133 რეისი შესრულდა. აქედან, რეგულარული იყო 3495, ჩარტერული კი 3638. ეს მაჩვენებელი 71%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით (17253 რეისი).

რაც შეეხება სატვირთო გადაზიდვებს, მათი ოდენობა უფრო ნაკლებად შემცირდა. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პანდემიის დროს სატვირთო საჰაერო მიმოსვლა, მასზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, თითქმის არ შეჩერებულა. 2020 წელს ტვირთების მოცულობამ 20052,94 ტონა შეადგინა, რაც მხოლოდ 19%-ით ნაკლები იყო 2019 წლის სიდიდესთან შედარებით (24800,741 ტონა). ამიტომ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულმა სატვირთო ავიაკომპანიამ „Geo Sky“-იმ ამ პერიოდში დაიწყო რეგულარული სატვირთო რეისების განხორციელება ორი ახალი მიმართულებით (ფრანკფურტი და ჩენჩოუ).

2020 წელს სანახევროდ, უფრო ზუსტად კი 53%-ით, შეზღუდვების გამო, შემცირდა ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყენება. შესაბამისად, დროის ამ მონაკვეთში მოხდა მხოლოდ 66782 გადაფრენის განხორციელება, ანუ 74190 გადაფრენით ნაკლები, ვიდრე 2019 წელს (140972 გადაფრენა).

2020 წლის განმავლობაში სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა 2704 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა. გარდა ამისა, 13 თანხმობა ქვეყნის შიგნით ფრენებისათვის, რომლებიც უცხოურმა ავიაკომპანიებმა განახორციელა.

2020 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე ინტენსიურ სამგზავრო ფრენებს ახორციელებდნენ Wizz Air, Turkish Airlines, Georgian Airways, Lufthansa, Air France, Qatar Airways, Pegasus, Lot Polish Airlines, Aircompany Armenia, SkyUp Airlines, Belavia, Israil, Aegean Airlines, SCAT, Fly Dubai და Air Arabia. დროის ამ მონაკვეთში,

შეზღუდვების გამო, სამგზავრო რეისები ახალი მიმართულებით არ განხორციელებულა.

არსებული მონაცემებით რეგულარული რეისებით გადაყვანილი მგზავრების პროცენტული წილი საქართველოს საავიაციო ბაზარზე პანდემიის პირველ წელს შემდეგი პირველი ათეულით იყო წარმოდგენილი [1]:

ცხრილი 1. საავიაციო ბაზრის %-ლი წილი 2020 წელს

№	ავიაკომპანიები	გადაყვანილი მგზავრები	%-ლი წილი
1	Wizz Air	172012	23
2	Turkish Airlines	86562	12
3	Georgian Airways	43106	6
4	Belavia	39858	5
5	Pegasus	36050	5
6	SkyUp Airlines	34383	5
7	Fly Dubai	32232	4
8	Lufthansa	26197	4
9	Air Arabia	26073	4
10	Qatar Airways	21922	3

დანარჩენი ექვსი ოპერატორი ბაზრის წილის მხოლოდ 1-2-3%-ს ფლობდა. საერთო ჯამში 7%-ი მოდიოდა ქართულ ავიაკომპანიებზე (50777 მგზავრი), ხოლო, 93%- უცხოურებზე (692260 მგზავრი).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, პირველ ადგილზე უნგრული დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია Wizz Air იყო ბაზრის 23%-იანი წილით, მეორეზე თურქული ავიაკომპანია Turkish Airlines - 12%-იანი წილით და მესამეზე ქართული ავიაკომპანია Georgian Airways - 6%-იანი წილით.

მომდევნო, 2021 წელს, როდესაც საქართველოში მოხდა რეგულარული საჰაერო მიმოსვლის აღდგენა, მგზავრთნაკადის მაჩვენებელი მხოლოდ 48%-ით მიუახლოვდა პანდემიამდელ ნიშნულს. ამ პერიოდში საქართველოს აეროპორტები სულ 2496448 მგზავრს მოემსახურა, რაც 199%-ით მეტი იყო 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით

(1662602 მგზავრი) და 52%-ით შემცირებული 2019 წელთან მიმართებაში (2713018 მგზავრი).

მგზავრთნაკადის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც განხორციელდა 516017 მგზავრის მომსახურება. შესაბამისად, 2021 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა გაიზარდა 903%-ით. ხოლო, მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელმა შეადგინა 83% 2019 წელთან შედარებით.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ჯამში 1683696 მგზავრს მოემსახურა. ეს სიდიდე 185%-ით მეტი იყო 2020 წლის შედეგთან შედარებით (1093573 მგზავრი) და 54%-ით ნაკლები 2019 წლის მონაცემებთან მიმართებაში (2008440 მგზავრი).

რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელება განახლებული ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან, შედარებით გვიან, 2021 წლის აპრილიდან დაიწყო. მგზავრთნაკადის აღდგენის ჯამურმა მაჩვენებელმა 32% შეადგინა. აეროპორტის მეშვეობით 2021 წელს განხორციელდა 282514 მგზავრის მომსახურება, რაც 54%-ით მეტი იყო 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (98941 მგზავრი) და 68%-ით ნაკლები 2019 წლის ნიშნულზე (873616 მგზავრი).

ადგილობრივი დანიშნულების მესტიის აეროპორტი 2021 წელს სულ 5141 მგზავრს მოემსახურა, რაც 62%-ით მეტია 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით (1976 მგზავრი) და 40%-ით ნაკლები 2019 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში (3484 მგზავრი). ხოლო, ამბროლაურის აეროპორტი იგივე პერიოდში 2000 მგზავრს მოემსახურა, რაც 65%-ით მეტია 2020 წლის სიდიდესთან შედარებით (786 მგზავრი) და მხოლოდ 2%-ით მეტი 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში (34 მგზავრი).

გასული წლის განმავლობაში საქართველოს აეროპორტებში სულ 17984 რეისი შესრულდა. აქედან, რეგულარული იყო 10831, ჩარტერული კი 4153. ეს მაჩვენებელი 110%-ით მეტია 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით (7851 რეისი) და 61%-ით ნაკლები 2019 წლის ნიშნულზე (24386 რეისი).

გადაზიდული ტვირთის მოცულობა 2021 წელს 18376,172 ტონა იყო, რაც 8%-ით ნაკლები იყო 2020 წლის სიდიდესთან შედარებით (20052,94 ტონა) და, საგრძნობლად, 25,9%-ით შემცირებული 2019 წელთან მიმართებაში (24800,741 ტონა).

როგორც ვიცით, 2021 წელს გააქტიურდა საჰაერო მიმოსვლა, როგორც საქართველოში, ისე სხვა სახელმწიფოებშიც. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში დაფიქსირდა 87314 გადაფრენა, რაც 31%-ით მეტი იყო 2020 წლის მონაცემებთან შედარებით (66782 გადაფრენა) და 38%-ით ნაკლები 2019 წლის სიდიდესთან მიმართებაში (140972 გადაფრენა).

არსებული მონაცემებით რეგულარული რეისებით გადაყვანილი მგზავრების პროცენტული წილი საქართველოს საავიაციო ბაზრზე პანდემიის დაწყებიდან მეორე წელს შემდეგი ათეულით იყო წარმოდგენილი [2]:

ცხრილი 2 . საავიაციო ბაზრის %-ლი წილი 2021 წელს

№	ავიაკომპანიები	გადაყვანილი მგზავრები	%-ლი წილი
1	Turkish Airlines	274404	11
2	Wizz Air	202286	8
3	SkyUp Airlines	192921	8
4	Pegasus	191784	8
5	Belavia	188438	8
6	Fly Dubai	135059	6
7	Flynas	124717	5
8	Israir	98098	4
9	Georgian Airways	72923	3
10	Air Arabia	72344	3

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2021 წელს პირველ ადგილზე ავიაკომპანია Turkish Airlines იყო ბაზრის 11%-იანი წილით, მეორეზე და მესამეზე კი ავიაკომპანიები Wizz Air და SkyUp Airlines - ორივე 8%-იანი წილით. ქართული ავიაკომპანია Georgian Airways - 3%-იანი წილით, სამწუხაროდ, მხოლოდ მეცხრე პოზიციას იკავებდა.

2021 წლის ზაფხულში საქართველოს საავიაციო ბაზარზე ოპერირებდა 40 ავიაკომპანია, რაც 1 ავიაკომპანიით ნაკლები იყო 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით. იმავე წლის დეკემბრის მდგომარეობით კი 34 ავიაგადაამზიდავი

დაფრინავდა, რაც, შესაბამისად 3 ერთეულით ნაკლები იყო 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში.

გასული წლის 1 აგვისტოს მონაცემებით ფრენები ხორციელდებოდა 73 მიმართულებით, რაც 7 მიმართულებით ნაკლები უყო 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ე.ი. მიმართულებების აღდგენა მოხდა 96%-ით. ხოლო, ზოგადათ, ზაფხულის მთლიან სეზონზე აღდგა ავიარების 88%. იმავე წლის დეკემბერში კი რეისები კვირაში 250-260 სიხშირით სრულდებოდა, რაც გულისხმობდა ფრენების აღდგენას 85%-იანი ნიშნულით 2019 წლის ანალოგიურ სიდიდესთან მიმართებაში (კვირაში 295-305 სიხშირე).

2021 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე შემდეგი ავიაკომპანიები შემოვიდნენ: Eurowings, Bees Airline, Fly Arystan, Air Arabia Abu Dhabi, Middle East Airlines, Air Manas და Wizz Air Abu Dhabi. აქედან გამომდინარე, საჰაერო მიმოსვლა 17 ახალი მიმართულებით დაიწყო.

ცხრილი 3. მიმართულებები და რეისების განმახორციელებელი ავიაკომპანიები

№	საჰაერო მიმართულებები	ავიაკომპანიები
1	ალმათი - ბათუმი - ალმათი	Air Astana
2	ატირაუ - ქუთაისი - ატირაუ	Fly Arystan
3	აქტაუ - ქუთაისი - აქტაუ	Fly Arystan
4	შიკენტი - ქუთაისი - შიკენტი	Fly Arystan
5	ნურსულთანი - ქუთაისი - ნურსულთანი	Fly Arystan
6	გიუმრი - თბილისი - გიუმრი	Aircompany Armenia
7	თბილისი - ხერსონი - თბილისი	Bees Airline
8	დიუსელდორფი - თბილისი - დიუსელდორფი	Eurowings
9	ბიშკეკი - ბათუმი - ბიშკეკი	Air Manas
10	აბუ დაბი - თბილისი - აბუ დაბი	Air Arabia Abu Dhabi
11	მინსკი - ქუთაისი - მინსკი	Belavia
12	აქტობე - თბილისი - აქტობე	Scat
13	თბილისი - მიკოლაევი - თბილისი	Bees Airlines

14	გასიმი - თბილისი - გასიმი	Flynas
15	ფრანკფურტი - თბილისი - ბაქო	Lufthansa
16	ვარშავა - ბათუმი - ვარშავა	Lot Polish Airlines
17	აბუ დაბი - ქუთაისი - აბუ დაბი	Wizz Air Abu Dhabi

2021 წლის განმავლობაში სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა დაახლოებით 3040 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა. გარდა ამისა, 41 თანხმობა ქვეყნის შიგნით ფრენებისათვის, რომლებიც უცხოურმა ავიაკომპანიებმა განახორციელა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2021 წელს სატვირთო გადაზიდვების კუთხით საქართველოს საავიაციო ბაზარზე განხორციელდა საკმაოდ ბევრი სიახლე. შესაბამისად, გააქტიურდა ამ მიმართულებით ქართული ავიაკომპანიების ოპერირება. პირველად, ქართულმა ავიაგადამზიდავმა, კერძო ავიაკომპანია „Geo Sky“-იმ დაიწყო ჩინეთსა და ევროპაში რეგულარული სატვირთო გადაზიდვები. დღესდღეობით ამ შინაარსის ფრენები მიმდინარეობს ფრანკფურტის, ამსტერდამის, ჩჟენჩჟოუსა და გუანდჟოუს მიმართულებით. ასევე, ქართული სატვირთო ავიაკომპანია „Easy Charter“, რომელიც არის ე.წ. TCO-ს, ანუ ევროკავშირის ავტორიზაციის მფლობელი, ახორციელებს სატვირთო გადაზიდვებს ევროპის ქვეყნებში. გარდა ამისა, სატვირთო გადაზიდვების სეგმენტში დროის ამ მონაკვეთში შევიდნენ ავიაკომპანიები „Georgian Airways“ და „Myway Airlines“. მათ საჰაერო ფლოტს შეემატა თითო სატვირთო საჰაერო ლაინერი, რომლებმაც დაიწყეს ჩარტერული რეისების შესრულება მეზობელ ქვეყნებში, აზიასა და ევროპაში. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ავიაკომპანია „Silk Way West Airlines“-ის მიერ შესრულდა, კომერციული დატვირთვის კუთხით, ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი რეისი „ჩიკაგო - თბილისი - ბაქო“-ს მიმართულებით. ეს განხორციელდა საქართველოსა და აზერბაიჯანის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გამართული მოლაპარაკებების ფონზე. ფრენები ავიაკომპანიის ინფორმაციით კვლავაც დაიგეგმება.

გაანალიზებული ინფორმაცია განვაზოგადოთ მე-4 ცხრილში:

ცხრილი 4. ავიასაწარმოთა ანალიტიკური მახასიათებლები 2020-2021 წლებში

№	მაჩვენებლები	2019	2020	2021	დინამიკა %	
					2020 2019 შედარებით	2021 2020 შედარებით
1	საქართველოს აეროპორტები, მგზ.	5209466	833846	2496448	-84,0	+199,0
2	თბილისის საერთ. აეროპორტი, მგზ.	3102013	590123	1683696	-84,0	+185,0
3	ქუთაისის საერთ. აეროპორტი, მგზ.	873616	183873	282514	-79,0	+54,0
4	ბათუმის საერთ. აეროპორტი, მგზ.	62415	51412	516017	-92,0	+903,0
5	მესტიის ადგილ. აეროპორტი, მგზ.	8625	3165	5141	-63,0	+62,0
6	ამბროლაურის ადგილ. აეროპორტი	1966	1214	2000	-38,0	+65,0
7	რეისების ჯამური რაოდენობა	24386	7133	14984	-71,0	+110,0
8	სულ გადატანილი ტვირთი, ტონა	24800,741	20052,94	18376,72	-19,0	-8,0
9	გადაფრენა. ერთეული	140972	66782	87314	-53,0	+31,0

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2020-2021 წლების ანგარიშები;

2020 წლის სტატისტიკური წელიწდეული.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2020 წლის მონაცემები 2019 წელთან შედარებით ყველა პარამეტრის მიხედვით საგრძნობლად იყო გაუარესებული. 2021 წელს კი 2020 წელთან შედარებით მახასიათებლები დადებითი დინამიკით

დაფიქსირდა, თუმცა 2019 წლის მონაცემებს ვერ დაეწია. რაც შეეხება გადატანილ ტვირთს, ორივე საანალიზო პერიოდში მკვეთრ ვარდნას აქვს ადგილი.

პანდემიის პერიოდში მსოფლიოს მასშტაბით საჰაერო ტრანსპორტზე 60%-ით მგზავრთნაკადის სიდიდის შემცირება იწინასწარმეტყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ICAO-მ. მსგავსი პროგნოზი გააჟღერა ორგანიზაცია EUROCONTROL-მაც, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოებას ევროპაში. მისი ყველაზე ოპტიმისტური სცენარით, ევროპის რეგიონი 2019 წლის საჰაერო მოძრაობის მაჩვენებლებს მხოლოდ 2023 წელს მიუახლოვდება, ხოლო 2024 წელს გადაუსწრებს. აღნიშნული იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ვაქცინის გლობალურად მიმოქცევაში ჩაშვება დროულად, ანუ 2021 წელს განხორციელდებოდა. ამავე სცენარის პირობებში, საქართველო 2019 წლის მაჩვენებლებს 2022 წელს დაუბრუნდება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლების გაუმჯობესებას მხოლოდ 2023 წლისათვის მოახერხებს. მაგრამ, ვაქცინა თუ არაეფექტური აღმოჩნდა, როგორც საქართველო, ისე ევროპის რეგიონი 2019 წლის ნიშნულს 2024 წელსაც ვერ დაუბრუნდება.

ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2020 წლის ანგარიში
<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/GCAA-საქმიანობის ანგარიში-2020.pdf>;
2. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2021 წლის ანგარიში
<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2022/03/GCAA-საქმიანობის ანგარიში-2021.pdf>
3. 2020 წლის სტატისტიკური წელიწდეული (ტრანსპორტი).

შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში
ვახტანგ ნადირაძე, ასისტენტი
ინგა ბეჟანიანი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.18>

აბსტრაქტი

სტატიაში საუბარია საჯარო სექტორში საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი ხარჯვისათვის შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის რეფორმაზე. მასში განხილულია საჯარო სექტორში შიდა აუდიტის საერთაშორისო ნორმატიული აქტები, მარეგულირებელი ნორმები და ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკა შიდა კონტროლის სისტემის დანერგვის თვალსაზრისით. გაანალიზებულია საქართველოში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, ფინანსური კონტროლი.

Introduction of Internal Financial Control System in the Public Sector

Vakhtang Nadiradze, Assistant

Inga Bejhaniani

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

The article discusses the reform of the internal financial control system for the efficient and targeted expenditure of budget funds in the public sector. There are reviewed the international normative acts and regulatory norms of internal audit in the public sector, and practices of EU countries in terms of introduction of internal control system. There are analyzed the shortcomings of the introduction of the internal financial control system in

Georgia and proposed the measures of problem elimination that ensure quality-oriented decision-making.

Keywords: Internal audit, financial control.

შიდა კონტროლი არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომლის მთავარი მიზანია მიღწეულ იქნეს დაწესებულების მიზნები. მისი სწორად განხორციელება ქვეყანაში ხელს შეუწყობს შიდა ფინანსური კონტროლის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად დაწესებულებების გამართულ, მენეჯერულ ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ ფუნქციონირებას და ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, ეფექტიანი, ეკონომიური და პროდუქტიული გამოყენება.

საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის აუცილებლობა განპირობებულია 2007 წელს ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების - „საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებით. აღნიშნული შეთანხმების შესრულების მიზნით 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი „სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის შესახებ“ (2009-2013 წლები), რომლის მიხედვით, დაიგეგმა შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება საჯარო სექტორში[1]. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავდა ქვეყანაში შიდა კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების 5 წლიან გეგმასა და ღონისძიებებს, რომელიც ეფუძნებოდა ევროკავშირის მიერ შემუშავებულ კონცეფციას სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმძღვანელოებსა და სტანდარტებს საჯარო სექტორისათვის. გარდა ამისა, 2014 წელს დაიდო ასოცირების შეთანხმება „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“,

სადაც V კარის მე-2 თავში გაწერილია საჯარო ფინანსების მართვისა და შიდა კონტროლის სფეროში მისაღწევი ამოცანები[4].

მიუხედავად იმისა, რომ რეალურად რეფორმა საქართველოში 2010 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი “სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ”, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა და რეფორმის ფარგლებში შემუშავდა ზემოაღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები, რომლის მიხედვით დაიგეგმა შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. მიუხედავად ამისა საჯარო სექტორში, შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის მიმდინარეობის სისუსტეები კვლავაც რჩება საბიუჯეტო სახსრების მართვის სრულყოფისა და ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბების ხელშემშლელ ფაქტორად.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა, ევროკავშირის მიერ აპრობირებული მოდელის მიხედვით, შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან, ესენია[3]:

1. ფინანსური მართვა და კონტროლი (FMC)
2. ფუნქციურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტი (IA)
3. ჰარმონიზაციის ცენტრი (CHU)

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის კომპონენტი - შიდა აუდიტი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციის საქმიანობაში. როდესაც ეს ერთეული ეფექტიანადაა დანერგილი, ის ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას. ორგანიზაცია, რომელიც ეფექტიანად იყენებს შიდა აუდიტს, უკეთესად ახდენს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების, პროცესების და არაეფექტიანი ღონისძიებების იდენტიფიცირებას. ყოველივე ამის შედეგად კი, შეიმუშავებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს, რაც ეხმარება ორგანიზაციას მუდმივად წინსვლაში და განვითარებაში. ორგანიზაციაში, ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდა აუდიტის სანდოობის მაღალი ხარისხი, თუმცა ამასთანავე მუდმივად უნდა ხდებოდეს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის მონიტორინგი.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის მიზანია უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებების გამართული, მენეჯერულ ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული ფუნქციონირება და საბიუჯეტო სახსრების უფრო მიზნობრივად,

ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. რეფორმის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს მოქნილი შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც არ იქნება ბიუროკრატია და ორიენტირებული იქნება მხოლოდ ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. ეს რეფორმა ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებენ საჯარო ორგანიზაციები.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების ისტორია მოიცავს (Public internal financial control reform in Georgia): 1) 2007-2009 წელი - მოსამზადებელი; 2) 2010-2011 წლები - საკანონმდებლო ბაზის შემუშავება; 3) 2012-2014 წლები - სამინისტროებში შიდა აუდიტის ერთეულების ჩამოყალიბება; 4) 2015 წელი - საკანონმდებლო ბაზის განახლება; „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის“ შემუშავება და დამტკიცება; ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის პილოტური დანერგვა სამინისტროებში; 5) 2016 წელი - შიდა აუდიტის საქმიანობასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების განახლება/შემუშავება (სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება; შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის განახლება); 6) 2017 წელი - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება; 7) 2020-2021 წელი - საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისათვის ტერმინთა განმარტების სახელმძღვანელოს შემუშავება[2].

სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის - „ჰარმონიზაციის ცენტრის“ საქმიანობები ევროპის ყველა ქვეყანაში ერთ მიზანს ემსახურება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და სამუშაო სტანდარტების შემუშავებაზე; კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მომზადებაზე; შესაბამისი ტრენინგების მოწყობასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. შიდა აუდიტორთა გამოცდებისთვის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამების მომზადებაზე, მათ ორგანიზებაზე და ჩატარებაზე; შიდა აუდიტორებისთვის პროფესიული განვითარების გეგმის უზრუნველყოფაზე; შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის ჩამოყალიბებისა და განვითარების კოორდინირებაზე; ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის სფეროში მოღვაწე პროფესიულ ორგანოებთან და უწყებებთან თანამშრომლობაზე[3].

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა რიგ შემთხვევებში ნაკლოვანებებით ინერგება, კერძოდ:

- არ სრულდება შიდა აუდიტის რეკომენდაციები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზაციის ეფექტურად ფუნქციონირებას და გამართული შიდა კონტროლის სისტემის დანერგვას; ასევე, ორგანიზაციის ზედა რგოლის მენეჯმენტის დაბალი ცნობიერება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შესახებ, შესაბამისად არ არის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა სისტემის დანერგვის ფარგლებში, რაც თავისთავად რეფორმის განხორციელების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია.

- მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა მეათე წელია ინერგება, დღემდე პრობლემად რჩება შიდა ფინანსური კონტროლის კომპონენტის - შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის ხარისხის დონე და შიდა აუდიტორთა კვალიფიკაცია.

- შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ფუნქციების გამიჯვნის საკითხი როგორც სტრუქტურულად, ასევე ფუნქციურად. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტებში ინსპექტირება და შიდა აუდიტი ერთი ერთეულია ორგანიზაციაში, რაც რა თქმა უნდა ლახავს შიდა აუდიტის რეპუტაციას როგორც ხელმძღვანელების, ასევე შიდა აუდიტის ობიექტების წინაშე. შესაბამისად, მათი დამოკიდებულება შიდა აუდიტის საქმიანობაზე არის არაჯანსაღი, არ ენდობიან და აღიქვამენ როგორც სადამსჯელო ერთეულს, რაც თავისთავად ამახინჯებს შიდა აუდიტის არსებობის მიზანს ორგანიზაციაში.

- მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტის ერთეულების დებულებები ჯერ კიდევ არ არის თავსებადი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონთან და შიდა აუდიტორთა საერთაშორისო სტანდარტებთან.

- ასევე, პრობლემაა ის, რომ შიდა აუდიტის ერთეულთა (რომლებიც ხუთ წელზე მეტია ფუნქციონირებენ) უმრავლესობის საქმიანობა, შიდა აუდიტორთა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, არ არის შეფასებული გარე კვალიფიციური ექსპერტის მიერ, რაც თავისთავად ხელს შეუწყობდა რეფორმის, ამ კომპონენტის ნაწილში, ეფექტიანად დანერგვას ორგანიზაციებში.

რეფორმის თითოეული კომპონენტის წარმატებით დანერგვისთვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ცნობიერება შიდა აუდიტის ღირებულებისა და როლის შესახებ; ასევე, შეიქმნას დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომელიც მხარს დაუჭერს შიდა აუდიტის საქმიანობას; საჯარო ორგანიზაციებში დაინერგოს რისკის მართვის ფორმალიზებული პროცესები და მენეჯერული ანგარიშვალ-დებულების სისტემა; გაიზარდოს შიდა აუდიტორთა რაოდენობა და მოხდეს მათი საერთაშორისო სერტიფიცირება.

ლიტერატურა

1. კობა ბასილაია, ზურაბ ლიპარტია. ფინანსური კონტროლი თბ., 2018;
2. საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ;<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91618?publication=11>
3. ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი - ჰარმონიზაციის ცენტრი;<https://www.mof.ge/4178>
4. ასოცირების შესახებ შეთანხმება „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“.<https://mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx>

ჟურნალისტიკა, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები -

JOURNALISM, ARTS AND HUMANITIES

აუდიოვიზუალური კულტურის ფორმირება და მისი ტექნოლოგიური მიღწევები

თეა ჭანტურია, დოქტორანტი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,

სადოქტორო პროგრამა: აუდიო-ვიზუალური რეჟისურა „ტელერეჟისურა“,

ხელმძღვანელი – პროფ. ალექსანდრე ვახტანგოვი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.19>

აბსტრაქტი

სტატია ეხება აუდიოვიზუალური კულტურის განვითარებას და მის ტექნოლოგიურ მიღწევებს. იმისთვის, რომ გაანალიზებული იყოს აუდიოვიზუალური შემოქმედება, მისი სპეციფიკა, ტიპები, ჟანრები, ეკრანული სახეები, შესაძლებლობები, მისია, ფუნქციები, საზოგადოებასთან ურთიერთქმედება, ძალაუფლების მასშტაბი, ტრანსფორმაცია, აუცილებელია, აუდიოვიზუალური კულტურის გენეზისის და მისი ტექნოლოგიური განვითარების კანონების განხილვა.

განხილვის შედეგად ირკვევა, რომ ეკრანი არის სამყაროს სახე, რომელიც აყალიბებს საკუთარ კულტურას, ქმნის ახალ იდეებს ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ, თავისი ინტერპრეტაციით და კორექტირებით ადგილის და დროის მიხედვით, როგორც ერთგვარი პროდუქტიული ფენომენი. თანამედროვე გარემოში ადამიანის არსებობა დამოკიდებული ხდება ეკრანზე. რაც შეეხება აუდიოვიზუალურ ტექნოლოგიას, არ არსებობს ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრების სფერო, რომელშიც ის არ თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სამყაროში აუდიოვიზუალური ტექნოლოგია ადამიანის პროდუქტიული ძალების და კულტურული განვითარების ნაწილს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: აუდიოვიზუალური კულტურა, ტექნოლოგიური გარდაქმნები, ონლაინ პლატფორმები, ვირტუალური რეალობა.

The formation of audiovisual culture and its technological advances

Tea Chanturia, PhD student

Supervisor - prof. Alexander Vakhtangov

The Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Abstract

The topic of our discussion today is the development of audiovisual culture and its technological advances in order to analyze audiovisual creativity, its specifics, types, genres, screen types, capabilities, mission, functions, Interaction with the public, scale of power, transformation. It is necessary to consider the genesis of audiovisual culture and the laws of its technological development.

From our research we can conclude that the screen is the face of the universe, shaping its own culture, creating new ideas about life events, interpreting and correcting them according to place and time, as a kind of productive phenomenon. It is a kind of medium between reality and virtual reality, which can travel us from the real world to the virtual and at the same time, always control the pulse of current social processes. Human existence in the modern environment depends on the screen. A wide range of applications defined the vector of the formation of new social reality, the virtualization of social life and the creation of preconditions for human global issues.

As for technology, there is no area of individual and social life in which technology does not play a significant role: in the workplace, at home, in cultural life, in learning, in games and sports, in tourism, in healthcare, in scientific research, and so on. Man lives in a specially structured technical environment that creates a relatively independent "Third World" next to the interpersonal world and the natural environment. Audiovisual technology ultimately represents the development of human productive forces and is part of human cultural development.

Keywords: Audiovisual culture, technological transformations, online platforms, virtual reality.

პროგრესის ცნება ხშირად ასოცირდება ინოვაციებთან, რომლებიც ეფუძნება მათემატიკურ მოდელებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისტორიულ პროცესს აქვს ტექნიკური და ეკონომიკური ლოგიკა, რაც ტექნოლოგიების განვითარებას პროგნოზირებადს და დაგეგმილს ხდის. თუმცა, ასეთი შეხედულება ნიღბავს მცდარ წარმოდგენებს, მცდარ გამოსავალს და პროგნოზებს. ეს კი ეწინააღმდეგება განვითარების ლოგიკის მკაფიოდ განსაზღვრულ დამშვებებს და ტექნოლოგიების ისტორიას წარმოაჩენს, როგორც სასწავლო პროცესს.⁶⁷

ჩვენი განხილვის თემა არის აუდიოვიზუალური კულტურის განვითარება და მისი ტექნოლოგიური მიღწევები. იმისთვის, რომ გავანალიზოთ აუდიოვიზუალური შემოქმედება, მისი სპეციფიკა, ტიპები, ჟანრები, ეკრანული სახეები, შესაძლებლობები, მისია, ფუნქციები, საზოგადოებასთან ურთიერთქმედება, ძალაუფლების მასშტაბი, ტრანსფორმაცია, აუცილებელია, განვიხილოთ აუდიოვიზუალური კულტურის გენეზისი და მისი ტექნოლოგიური განვითარების კანონები.

ეკრანული ხელოვნება XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და XX საუკუნის განმავლობაში იქცა ნორმების, ჩვეულებების, ტრადიციების, ღირებულებების ფორმირების და ტრანსლირების ძირითად მექანიზმად, რაც საფუძვლად უდევს ინდივიდუალურ კულტურულ თემებს და მასობრივ კულტურას. დროთა განმავლობაში მან უდიდესი პროგრესი განიცადა და თანამედროვე ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. შესაბამისად, დიდი გავლენა მოახდინა როგორც ადამიანზე, ასევე მთლიანად კულტურაზე.

მეოცე საუკუნის კინემატოგრაფიამ, ტელევიზიამ, ვიდეომ აჩვენა აუდიოვიზუალური ინფორმაციის მხატვრული ფორმით გავრცელების წარმოუდგენელი მასშტაბისა და სიჩქარის ძალიან ნათელი მაგალითი. ეკრანული კულტურა არსებითად წარმოადგენს ხელოვნების ყველა მიმართულების სინთეზს, რომელმაც განსაზღვრა ახალი ტიპის აღქმა, შექმნა ფართო მაყურებელთა წრე, გაიარა ტექნოლოგიური გარდაქმნების რამდენიმე რევოლუციური ეტაპი; მისმა კავშირებმა ხელოვნების სხვა მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან (მხატვრობა, ლიტერატურა, მუსიკა) წარმოუდგენელი გავლენა და სრულიად ორიგინალური ეფექტი მოგვცა.⁶⁸

⁶⁷ Hellige H. Technikprognosen Und Technikentwicklung In Der Kommunikations. 2003. 20p

⁶⁸ Razlogov. K. Screen art. From Cinematography to the Internet. 2010. 304p

აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე, კინოს ტრადიციული ესთეტიკა ეფუძნებოდა რეალობის ეფექტს. დაუმუშავებელმა რეალობამ, რომელიც უკვე არსებობდა, კინოთეატრების პირველ მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამდვილობის ეფექტი, კიდევ უფრო გაამლიერა ტელევიზიის დაბადებამ, რომელიც გახდა რეალობის განუყოფელი ჰოლისტიკური ნაწილი; იგი არ საჭიროებდა რაიმე სპეციფიკურ მანიპულაციას, მოქმედების ადგილიდან სატელევიზიო ეკრანებამდე მეტ-ნაკლებ დისტანციაზე ტექნიკური ტრანსლირების გარდა.

ტერმინი აუდიოვიზუალური გამოიყენება უცხოურ ლიტერატურაში როგორც სამეცნიერო, ასევე ჟურნალისტურ სტატიებში; ყველაზე ხშირად – როგორც არსებითი სახელი და არა ზედსართავი, რაც არაჩვეულებრივად ჟღერს. განმარტებების ამგვარი, მიზანმიმართული უარყოფა, დასაშვებია, რადგან თვითგამორკვევის ფრაზები „აუდიოვიზუალური კულტურა“, „აუდიოვიზუალური ტექნოლოგია“, „აუდიოვიზუალური ხელოვნება“ და სხვები ავტომატურად აკავშირებს ახალ ფენომენს საიმედოდ დამკვიდრებულ, ნაცნობ კულტურულ სფეროებთან და იქედან იღებს მსგავსი ობიექტების მახასიათებლებს.

აუდიოვიზუალური ხელოვნება არის სისტემური, რთული და ყველაზე ძლიერი საშუალება. ის ძალიან მარტივად გადმოსცემს არა მხოლოდ ინფორმაციას, ის ასევე გადასცემს ემოციებს, რაც ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის კომუნიკაციისთვის. მასში ყველაზე მწვავედ ვლინდება კულტურისა და ანტი-კულტურის წინააღმდეგობა და ეს ყველაფერი ხდება აუდიტორიის თვალწინ – ყოველდღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს; ეკრანის ხელოვნებას შეიძლება „დროის მანქანა“ ვუწოდოთ, რომელსაც შეუძლია თავისუფლად დროში მოგზაურობა.⁶⁹

აუდიოვიზუალური კულტურის განვითარების ქრონოლოგია მოიცავს ტექნიკური პროგრესის რამდენიმე ეტაპს.

1500 წელს ლეონარდო და ვინჩიმ პირველად აღწერა კამერა-ობსკურა (camera obscura - ბნელი ოთახი); მან აჩვენა, რომ ბნელ ოთახში შესული სინათლის სხივი მოპირდაპირე კედელზე იძლევა გამოსახულებას, გაფართოებული ან შემცირებული სახით, რაც დამოკიდებულია მანძილზე; თუმცა აუდიოვიზუალური ხელოვნების

⁶⁹ Bondarenko E. Audiovisual Education Monograph. Interpretation of Audiovisual Information. 2001.14-15pp

სფეროში ძირითადი გამოგონებები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა.

ისტორიაში პირველ ფოტოსურათად შეიძლება ჩაითვალოს ფოტო „ხედი ფანჯრიდან“, რომელიც მიიღო ჟოზეფ ნისეფორ ნიეპსმა 1826 წელს, ასფალტის თხელი ფენით დაფარულ კალის ფირფიტაზე, კამერა-ობსკურას საშუალებით. მაგრამ ფოტოგრაფიის გამოგონების თარიღად ითვლება 1839 წელი, როდესაც ლუი ჟაკ მანდე დაგერმა, რომელიც ნიეპსთან მუშაობდა, გამოიგონა ვერცხლით დაფარულ სპილენძის ფირფიტაზე სურათის მიღების მეთოდი. მალე ინგლისელმა უილიამ ჰენრი ფოქს ტალბოტმა გამოიგონა ფოტოგრაფიული სურათის მიღების კიდევ ერთი მეთოდი, რომელსაც მან კალოტიპია უწოდა. მან გამოიყენა ქლოროვანი ვერცხლით გაჟღენთილი ქაღალდი, როგორც გამოსახულების მატარებელი. ეს იყო მსოფლიოში პირველი ნეგატივი.⁷⁰

ტელეგრაფის იდეა - ელექტროსიგნალების გადაცემა სადენებით - წარმოიშვა 1700-იანი წლების დასაწყისში. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა სემიუელ ფინლი ბრიზ მორზემ 1832 წელს დაიწყო ტელეგრაფის საკუთარ ვერსიაზე მუშაობა; 1838 წლისთვის მან ტელეგრაფის კონცეფცია წარადგინა აშშ-ს კონგრესზე (მორზეს კოდი, ბგერების ნაკრები, რომლებიც ანბანის ცალკეულ ასოებს შეესაბამებოდა). მორზემ მიიღო პოლიტიკური მხარდაჭერა მისი ტელეგრაფის და ბიზნესის მოდელის შესაქმნელად.

მრავალი ინოვაციის მსგავსად, ტელეფონის იდეაც გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე რეალურად განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ 1849 წელს იტალიელმა ინოვატორმა ანტონიო მეუჩჩიმ გამოიგონა ტელეფონი (მოწყობილობა, რომელიც სადენებით ბგერების ნებისმიერ მანძილზე გადაცემის საშუალებას იძლეოდა), ტელეფონის მოდელის შექმნა, 1854 წელს, ინჟინერ-მექანიკოსს, ფრანგ ჩარლზ ბურსელს ეკუთვნის. 1876 წელს კი ალექსანდერ გრეიამ ბელმა პირველმა მოახერხა მოწყობილობის პატენტის მოპოვება. ამ ინოვაციამ საშუალება მისცა საზოგადოებას, ინფორმაცია გაეცვალათ ერთმანეთში წერილობითი ფორმის გარეშე.⁷¹

⁷⁰ <https://www.britannica.com/>

⁷¹ <https://www.elon.edu>

1877 წელს ტომას ალვა ედისონი ქმნის აპარატს, რომელსაც შეუძლია ცვილის გორგოლაჭზე ბგერების ჩაწერა და დაფიქსირება - აუდიოჩანაწერი. აკუსტიკური ვიბრაციები ზეწოლას ახდენდნენ მემბრანაზე და ჩამწერი ნემსი ქმნიდა ცვლადი სიღრმის ღარს. აღმწარმოებელი ნემსი კი არსებული ღარის გასწვრივ მოძრაობდა, იმეორებდა ჩამწერის ყველა ვიბრაციას, რომელიც აიძულებდა მემბრანას დაძაბვას. ასე გაისმა ხმა და ფონოგრაფი სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. მოგვიანებით იგი ჩანაცვლდა გრამოფონით და გრამფირფიტით.

ელექტრული უკაბელო კომუნიკაციის განვითარების შემდეგი ეტაპი გახდა რადიოს გამოგონება. 1895 წელს გულიელმო მარკონის მიერ რადიოკავშირის სისტემის შექმნამ, ბიძგი მისცა მრავალი სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულების, შემოქმედებითი იდეის დაბადებას და განვითარებას.

სატელეგრაფო ინფორმაციის გადაცემის გარდა, შემდგომში დაინერგა რადიოს საშუალებით მეტყველების და მუსიკის გადაცემის სისტემები.

კინემატოგრაფია თანამედროვე გამომსახველობითი ხელოვნების ფორმაა, იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ამავე დროს მასკულტურის ყველაზე პოპულარული დარგია. ოფიციალურად კინემატოგრაფიის დაბადების დღედ 1895 წლის 28 დეკემბერი ითვლება. ამ დღეს, სალონში „Gran Cafe“ კაპუცინების ბულვარზე (პარიზი), გაიმართა „ძმები ლუმიერების კინემატოგრაფიის“ საჯარო ჩვენება. ამ სანახაობამ გამოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

ლუმიერების პირველი რეალური ფილმების ჩვენებისას, მაყურებელთა შორის იყო ჯორჯ მელიესი, პროფესიონალი ილუზიონისტი, რობერ-უდენის თეატრის დამდგმელი-რეჟისორი. რეალური ცხოვრების სცენებში, მელიესმა დაინახა მისი პოტენციალი, როგორც მასობრივი გართობის ფორმა და მომავალი შესაძლებლობები. შეიძინა კამერა, ააგო შემინული სტუდია პარიზის მახლობლად, დაწერა სცენარები, შეიმუშავა ორიგინალური დეკორაციები და თხრობისთვის გამოიყენა მსახიობები. მელიესმა პირველმა გამოიყენა კამერის ძირითადი ხერხები: მოძრაობის გაჩერება, შენელება, განზავება, თანდათანობით გაქრობა, ზედღება, ორმაგი ექსპოზიცია. მან გადაიღო ასობით ფილმი, რომლებშიც გამოსჭვივის საოცარი სასცენო ხელოვნება, ოპტიკური ილუზიები და ველური სიუჟეტები. 1902 წელს, მის ყველაზე ცნობილ

ნაწარმოებში „მოგზაურობა მთვარეზე“, პირველმა გამოიყენა ხელით შეფერილი კადრები, რაც ფერადი კინემატოგრაფიის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს.⁷²

„დისტანციაზე ხედვის“ იდეის ძირითადი პოსტულატები ეკუთვნის მწერლებს - ვალტერ სკოტს, ჟიულ ვერნს, მარკ ტვენს და ჰერბერტ ჯორჯ უელსს - სწორედ ეს შეიძლება ჩაითვალოს ტელევიზიის ყველაზე ადრეულ კონცეფციად, რომელიც მე-18-19 საუკუნეებში იშვა. შემდგომ მთელი მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები მუშაობდნენ ტელევიზიის სრულყოფისთვის.

ამერიკელი გამომგონებელი ლი დე ფორესტი 1926 წელს ამბობდა: „შესაძლებელია სპექტაკლები დაიდგას შორეულ ქალაქებში და მათი ტრანსლირება მოხდეს ასობით მილზე ადამიანების გასართობად. შესაძლებელი იქნება საუბრები ზღვების გადაღმა და მხარეები ისე დაინახავენ ერთმანეთს თითქოს ერთ ოთახში არიან შეკრებილები. ბგერისა და ხედვისათვის მანძილი მოისპობა, სამყარო კი განუზომლად შემცირდება კომუნიკაციისთვის.“⁷³

ტელევიზია წყაროდან მიმდებამდე მოძრავი გამოსახულების და ბგერის ელექტრონული გადატანაა. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩაფიქრებული, როგორც სასწავლო და პიროვნებათშორისი კომუნიკაციის საშუალება, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იქცა მაუწყებლობის დინამიურ მეთოდად, რომელსაც რადიომაუწყებლობის მოდელის მსგავსად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიჰქონდა ადამიანებამდე სიახლეები და გართობა.

თანამედროვე ტელევიზიის ტექნიკური სტანდარტები, როგორც მონოქრომული (შავ-თეთრი), ასევე ფერადი, პირველად შეიქმნა მე-20 საუკუნის შუა პერიოდში. იმ დროიდან მუდმივად ხდებოდა გაუმჯობესება და სატელევიზიო ტექნოლოგია მნიშვნელოვნად შეიცვალა XXI საუკუნის დასაწყისში. დიდი ყურადღება გამახვილდა გამოსახულების რეზოლუციის გაზრდაზე (მაღალხარისხიანი ტელევიზორი HDTV) და ტელევიზორის მიმღების ზომების შეცვლაზე ფართო ეკრანის სურათების ჩვენებისთვის. გარდა ამისა, დაიწყო ციფრული კოდირებით სატელევიზიო სიგნალების გადაცემა, ინტერაქტიული მომსახურების

⁷² Parker S. The Lumiere Brothers and Cinema. 1995.

⁷³ A report in the Indianapolis Star April 9, 1927

უზრუნველსაყოფად და მრავალი პროგრამის გადასაცემად არხების სივრცეში, რომელიც ადრე ერთი პროგრამით იყო დაკავებული.

საჯარო ინტერნეტი გამოჩნდა ტელევიზიის დომინირების ოთხი ათწლეულის, კერძო ინტერნეტის გამოყენების და განვითარების ათწლეულის შემდეგ. იგი წარმოიშვა ასობით წლის გამომგონებლური აზროვნების და ინოვაციური თეორიების შედეგად, რომელიც ეყრდნობოდა ადამიანური ინტელექტის ყველა მარცვალს, რომელიც ადრე არსებობდა. მთავარ ნოვატორებად შეიძლება ჩაითვალოს: ათობით მეცნიერი, რომელთა მუშაობა ათწლეულებს მოიცავდა, მეწარმეები, პოლიტიკური ლიდერები, ტექნიკური ადმინისტრატორები, სამთავრობო და კომერციული კონტრაქტორები, საბაზო ორგანიზატორებიც კი.⁷⁴

ინტერნეტი არის სისტემური არქიტექტურა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა საკომუნიკაციო და სავაჭრო მეთოდებში; მან საშუალება მისცა მსოფლიოს სხვადასხვა კომპიუტერულ ქსელს დაკავშირებოდნენ ერთმანეთს. ინტერნეტი, რომელსაც ზოგჯერ „ქსელების ქსელს“ ვუწოდებთ, 1970-იან წლებში გამოჩნდა, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის თვალსაჩინო 1990-იანებში გახდა. საინტერესო ფაქტია, რომ 2020 წლისთვის დაახლოებით 4,5 მილიარდ ადამიანმა, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტმა, შეძლო ინტერნეტის გამოყენება.

ინტერნეტი მრავალი პროგრამის საშუალებით უზრუნველყოფს ციფრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; იგი გახდა „ელექტრონული ბიზნესის“ დიდი და მზარდი პლატფორმა, განსაკუთრებით გლობალური პანდემიის პირობებში, გაყიდვების და მომსახურებების უმეტესი ნაწილი სწორედ ინტერნეტით ხორციელდება. თუმცა „ელექტრონული ბიზნესის“ გარდა, ინტერნეტმა რთული მისია აიღო თავის თავზე, დღესდღეობით ყველა ტიპის სწავლება სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ონლაინ პლატფორმებზე ხორციელდება. სწორედ ასეთი ტიპის კომუნიკაციები არის აუდიოვიზუალური კულტურის ახალი მიმართულება, რაც აფართოვებს მისი გავლენის არეალს. აუდიოვიზუალური კულტურის ახალი პარადიგმის ფორმირებისას მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესებიც გათვალისწინებული იყოს.

⁷⁴ <https://www.elon.edu>

თანამედროვე უსადენო სატელიტური და ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო ქსელები ეხმარება ხალხს ყველაზე შორეულ ადგილებშიც კი იპოვონ კავშირი. თავდაპირველი შეშფოთების გადალახვა, რომ კომერციალიზაცია შეზღუდავდა შემოქმედებას ან სიტყვის თავისუფლებას არ გამართლდა, პირიქით, ინტერნეტი გახდა კომერციული საიტების, მთავრობის ინფორმაციის და წარმოუდგენლად საინტერესო ვებგვერდების გიჟური ნაზავი, რომლებიც შექმნილია იმ ადამიანების მიერ, ვისაც სურს თავისი აზრების გაზიარება.

მხატვრებს, შემსრულებლებს, არტისტებს ყოველთვის აინტერესებდათ წარმოსახვითი სამყაროების შექმნის, თხრობის გამოგონილ სივრცეებში დაყენებისა და გრძნობების მოტყუების ტექნიკა. მხატვრულ და გასართობ მედიაში ხელოვნურ სამყაროში ურწმუნოების შეჩერების მრავალი პრეცედენტი წინ უძღოდა ვირტუალურ რეალობას.⁷⁵

ერთი შეხედვით, „ვირტუალური რეალობა“, მოვლენაა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში, მაგრამ ვირტუალურობის ცნება ჯერ კიდევ ციცერონის, პლატონის და არისტოტელეს ნაშრომებშია აღწერილი.

„Cinerama“ ფართოეკრანიანი ფილმის ფორმატი, რომელსაც თავდაპირველად „Vitarama“ ერქვა, გამოიგონეს 1939 წელს ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენისთვის ფრედ უოლერმა და რალფ უოკერმა, რომელიც შეიქმნა უოლერის მიერ ხედვისა და სიღრმის აღქმის კვლევის შედეგად. 1960 წელს ჯოზეფ ლიკლაიდერმა, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) ფსიქოაკუსტიკის პროფესორმა, შემოგვთავაზა პოსტულატი - „ადამიანი-კომპიუტერის სიმბიოზი“ და გამოიყენა ფსიქოლოგიური პრინციპები, ადამიანის და კომპიუტერის ინტერფეისების ურთიერთქმედება. ის ამტკიცებდა, რომ კომპიუტერებსა და ადამიანის ტვინს შორის პარტნიორობა გადააჭარბებს ერთ-ერთის შესაძლებლობებს. კიდევ ერთი პიონერი იყო ელექტრონიკური და კომპიუტერული მეცნიერი ივან საზერლენდი. 1965 წელს საზერლენდმა გამოკვეთა ის მახასიათებლები, რასაც უწოდა „საბოლოო ჩვენება“ და გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება, კომპიუტერულმა გამოსახულებამ შექმნას დამაჯერებელი და მდიდრულად გამოხატული ვირტუალური სამყარო. საბოლოოდ ტერმინი „ვირტუალური რეალობა“ 1987 წელს

⁷⁵ <https://www.britannica.com/technology/virtual-reality>

დაამკვიდრა იარონ ლანიემ, რომლის კვლევამ და ინჟინერიამ მრავალ პროდუქტს შეუწყო ხელი ახალშობილი ვირტუალური რეალობის ინდუსტრიაში. ვირტუალური რეალობა სამედიცინო სფეროსაც შეეხო. 1990-იან წლებში „Brooks“-ის ლაბორატორიამ ვირტუალური რეალობის გამოყენება დაწყო რენტგენოლოგიასა და ულტრაბგერით გამოსახულებაზე. ამავე წელს „Darpa“-ს ინიციატივით დაფინანსდა კვლევა ქირურგიული პროცედურებისთვის, ტელე-საპრეზენტაციო სამუშაო სადგურების შესაქმნელად. ეს იყო საზერლენდის „ფანჯარა ვირტუალურ სამყაროში“, სენსორული უკუკავშირის დონის დამატებითი განზომილებით, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ქირურგის მშვენიერ მოძრაობას, ხელის და თვალის კოორდინაციას. პირველი ტელექირურგიული მოწყობილობა შეიქმნა „SRI International“-ში 1993 წელს; პირველი რობოტული ოპერაცია ჩატარდა 1998 წელს პარიზის „Broussais“ ჰოსპიტალში.⁷⁶

რაც შეეხება ვირტუალური რეალობის არსს, მდგომარეობს შემდეგში: რეციპიენტი, რომელიც იმყოფება სპეციალურად აღჭურვილ სავარძელში, კომპიუტერთან დაკავშირებულია სენსორების სისტემის დახმარებით, მას შეუძლია შეაღწიოს კიბერსივრცეში თავისი ელექტრონული ორეულის გამოსახულებით. იგი ნაწილობრივ ქმნის საკუთარ იმიჯს და აქტიურად მონაწილეობს არტ-თამაშების სიტუაციებში (ან VR სათვალის მორგების შემდეგ). საწყის პარამეტრებს გვთავაზობს კომპიუტერული პროგრამა, რომლის შეცვალა შესაძლებელია ჩვენი შეხედულებისამებრ. პროგრამის ვირტუალურ, ფანტომურ პერსონაჟებთან დაკავშირება, გვადლევს საშუალებას განვიცადოთ შეგრძნებათა კომპლექსი, რომელიც სავსებით ადეკვატურია ადამიანის ქმედებებსა და შეგრძნებებთან რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.⁷⁷ ციფრული ქსელური ცივილიზაციის განვითარების ამჟამინდელი ტემპის გათვალისწინებით, ვირტუალური რეალობის ფენომენი თავის ესთეტიკურ ასპექტში არ დააყოვნებს და ძალიან მალე მოიცავს მთელ კაცობრიობას, მათ შორის თანამედროვე არტ-მწარმოებლებს. შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალური რეალობა მუდმივად არის ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში.

⁷⁶ <https://www.britannica.com/>

⁷⁷ Mankovskaya N. Bychkov B. Contemporary Art as a Phenomenon of Technogenic Civilization. 2011. 87p

ეკრანის მიერ მხატვრული და კომუნიკაციური პოტენციალის დაგროვებამ და ეტაპობრივმა განვითარებამ, ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აუდიოვიზუალური ხელოვნების ინტეგრირებას სამყაროში. წიგნების, გაზეთების, ჟურნალების სამყარო, კინო, რადიო, სატელევიზიო მაუწყებლობა, ინტერნეტ რესურსები - ეს ყოველივე გაერთიანებულია ერთ დიდ „აუდიოვიზუალური ცივილიზაციად“, რომელიც ართობს, პროპაგანდირებს, მანიპულირებს, იძლევა განათლებას, აქვს შემეცნებითი მიზნები, ახდენს გავლენას შეფასებაზე, მოსაზრებაზე, ქცევაზე, ინტელექტის განვითარებაზე, „პლანეტარული“ და „გლობალური“ აზროვნების ფორმირებაზე. ეს პროცესი მუდამ აქტიურია, შესაბამისად, ყოველდღიურად იზრდება და იცვლება ეკრანული სივრცის არეალი. აუდიოვიზუალური შემოქმედების სწრაფვა, რომელიც დაფუძნებულია ახალ მედიატექნოლოგიებზე, არის მხატვრული გამოსახულების შექმნა, რომელიც მოიცავს როგორც ნაწარმოების ბუნებას, ასევე ხმოვან-ხედვით გამოსახულებას, თითოეული ეპიზოდის, სცენის გამოსახულების ჩათვლით, სადაც ვიზუალიზმი გადაიქცევა იერსახედ. აუდიოვიზუალურ შემოქმედებაში ყველაზე რთული კინოს, ტელევიზიის, ვიდეოფილმის შექმნის პროცესია, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება. თანამედროვე ეკრანი, როგორც მთავარი საკომუნიკაციო სისტემა ადამიანსა და სოციუმს შორის ურთიერთობაში, მიუთითებს ადამიანის მანიპულირების ბევრ პრობლემაზე: ვინაიდან ნებისმიერი მანიპულირება ხორციელდება ეკრანზე ტექსტის დახმარებით, უნებურად ჩნდება რწმენა, რომ ასეთი თვითტრანსფორმირებადი ნიშნური სისტემა ატარებს კოლოსალურ მანიპულაციურ შესაძლებლობებს ადამიანის ყურადღებაზე, ფსიქიკაზე, ენერჯიასა და ღირებულებებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ეკრანული კულტურა ჩვენს წინაშე აყენებს პრობლემების უკიდურესად მნიშვნელოვან ფენას, რომელიც ასოცირდება ვირტუალური კომუნიკაციის შრეებთან ადამიანის მზარდ ჩართულობასთან.⁷⁸

აუდიოვიზუალური კულტურა, კონცეპტუალურად მეტწილად ეკრანული კულტურის სინონიმია. მასზე საუბრისას ყველაზე ხშირად ეკრანულ ფორმებს გულისხმობენ, რადგან მათთვის საერთო საწყისი აუდიოვიზუალური (ხმოვან-ხედვითი) გამოსახულებაა. თუმცა, არის ეკრანის ფუნქციონირების სფეროები, სადაც

⁷⁸ Kirillova N. Audiovisual Creativity. Ekaterinburg. 2021. 94p

აუდიო კომპონენტი არ არის ან ნიველირებულია, მაგალითად, კომპიუტერის მონიტორის ან მობილური ტელეფონის ეკრანის ზოგიერთი შეტყობინება. ამ თვალსაზრისით, ეკრანის კულტურა, როგორც კონცეფცია, მოიცავს უფრო ფართო შინაარსს. მეორეს მხრივ, თუ აუდიოვიზუალურობას ადამიანის გარემომცველი სამყაროს გამოკვლევის უნივერსალურ მახასიათებელად ჩავთვლით, მაშინ აუდიოვიზუალური კულტურის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „ეკრანის კულტურის“. ი.იოსკევიჩის სიტყვებით, აუდიოვიზუალური კულტურა „მოიცავს ადამიანის მიერ წარმოებული ხმოვან-ხედვითი ფენომენების უზარმაზარ არეალს, ყოველივე „ხილვადსა და სმენადს“. ⁷⁹

ფილოსოფიურ განზომილებაში ეკრანი განხილულია როგორც რთული სოციალური ფენომენი, ამიტომ ხშირად თანამედროვე მკვლევარები და კულტუროლოგები ეკრანს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. მაგალითად, პოლონელი მედია ექსპერტი A.Gwozdz-ი მას „აუდიოვიზუალურობის საბაზისო კონცეფციას“ უწოდებს. ფილოსოფოსი В.Подорога ამბობს, რომ ის არის „უფერო ზედაპირი, რაზეც ჩაწერილია ცნობიერების ვიზუალური გამოსახულებები, რომლებიც ხედავენ საკუთარ თავს“. ჟ.ბოდრიარმა ეკრანი განსაზღვრა, როგორც რაღაც მმართველი ამ სამყაროში. მისი აზრით, „...მაკონტროლებელი ეკრანი... შეიძლება დაჯილდოებული იყოს ტელემატიკური ძალაუფლებით, ანუ დისტანციურად ყველაფრის რეგულირების უნარით, მათ შორის საშინაო საქმეების, თამაშის, სოციალური ურთიერთობების და დასვენების.“ ⁸⁰

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკრანი არის სამყაროს სახე, რომელიც აყალიბებს საკუთარ კულტურას, ქმნის ახალ იდეებს ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ, თავისი ინტერპრეტაციით და კორექტირებით ადგილის და დროის მიხედვით, როგორც ერთგვარი პროდუქტიული ფენომენი. ის არის რეალობასა და ვირტუალურ რეალობას შორის ერთგვარი მედიუმი, რომელსაც შეუძლია რეალური სამყაროდან გვამოგზაუროს ვირტუალურში და ამავდროულად, ყოველთვის აკონტროლოს მიმდინარე სოციალური პროცესების პულსი. თანამედროვე გარემოში ადამიანის არსებობა დამოკიდებული ხდება ეკრანზე. აპლიკაციების ფართო სპექტრმა

⁷⁹ Razlogov K. New audiovisual technologies. 2005. 488p

⁸⁰ Baudrillard J. Simulacra and Simulation. 1994. 164p

განსაზღვრა ახალი სოციალური რეალობის ფორმირების ვექტორი, სოციალური ცხოვრების ვირტუალიზაცია და ადამიანთა გლობალური საკითხების წინაპირობების შექმნა.⁸¹

რაც შეეხება ტექნოლოგიას, არ არსებობს ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრების სფერო, რომელშიც ტექნოლოგია არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს: სამუშაო გარემო, სახლი, კულტურული ცხოვრება, განათლება, თამაშები, სპორტი, ტურიზმი, ჯანდაცვა, სამეცნიერო კვლევები და ა.შ. ადამიანი ცხოვრობს სპეციალურად სტრუქტურირებულ ტექნიკურ გარემოში, რომელიც ქმნის შედარებით დამოუკიდებელი ხასიათის „მესამე, ინტერპერსონალურ სამყაროს“ ბუნებრივი გარემოს გვერდის ავლით. საბოლოოდ, აუდიოვიზუალური ტექნოლოგია ადამიანის პროდუქტიული ძალების და კულტურული განვითარების ნაწილს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. Agafonova N. Screen Art: Artistic And Communicative Specificity. Minsk 2009. p273.
2. Banse G. Grunwald A. Technik und Kultur. 13 septembre 2010. p238.
3. Baudrillard J. Simulacra and Simulation (The Body, In Theory: Histories of Cultural Materialism). University of Michigan Press. December 22, 1994. p164
4. Bondarenko E. Audiovisual Education Monograph. Interpretation of Audiovisual Information. 2001. pp. 14-15.
5. Carolyn Marvin, When Old Technologies Were New: Thinking About Electric Communication in the Late Nineteenth Century (New York: Oxford, 1988) especially. p222.
6. Conboy M. Global Tabloid, Culture And Technology. April 19, 2021. p234.
7. Fagundes D. AudioVisual Collage: A computational Framework For Audiovisual Composition and Computational Art. London, United Kingdom. August 2017. p191.
8. George Gilder, "Telecosm: the New Rule of Wireless," Forbes Asap. March 29, 1993. p107.
9. Heidegger M. Die Frage Nach Der Technik. Grin Verlag GmbH. June 4, 2008. p24.

⁸¹ Agafonova N. Screen Art: Artistic And Communicative Specificity. 2009. 273p

10. Hellige H. Technikprognosen Und Technikentwicklung In Der Kommunikations - Und Informationstechnik: Ein Rückblick Auf Die Letzten 50 Jahre. Berlin 19. Dezember 2003. p20.
11. <https://www.britannica.com/>
12. <https://www.elon.edu>
13. <https://www.marshallmcluhan.com>
14. Kirillova N. Audiovisual Creativity. Ekaterinburg. 2021. p85.
15. Kirillova N. Audiovisual Creativity. Ekaterinburg. 2021. p94.
16. Kovaleva S. Media image of the screen in the post-modern space: socio-philosophical analysis. Saransk. 2013. p157
17. Mankovskaya N. Bychkov B. Contemporary Art as a Phenomenon of Technogenic Civilization. 2011. p87
18. Neumann J. The Computer and the Brain. Yale University Press. August 28, 2012. p144.
19. Organisation For Economic Co-Operation And Development. 21st Century Technologies Promises And Perils Of A Dynamic Future. Paris. 1998. p174.
20. Razlogov K. New audiovisual technologies. 2005. p488
21. Razlogov. K. Screen art. From Cinematography to the Internet. 2010. p 304.
22. Virilio P. La Machine De Vision. Galilee. October 18, 1988. p172.

მედიაგანათლება თუ მედიაწიგნიერება - ტერმინოლოგიური განმარტებისათვის

მაია თუნგია, ასისტენტ პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.20>

აბსტრაქტი

21 საუკუნის დასაწყისში მომხდარმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია მედიის სფეროშიც. ტრანსფორმირებული მედიაპეიზაჟის პირობებში და, რაც მთავარია, დროის საკმაოდ მოკლე პერიოდის გათვალისწინებით, მედიამკვლევარებს გაუჭირდათ გარკვეული პროცესებისა და მოვლენების ადეკვატურად შეფასება, ასევე მოუწიათ უკვე დამკვიდრებული ტერმინებისათვის გადახედვა ახალი ციფრული რეალობის გათვალისწინებით.

რაც შეეხება მედიასაგანმანათლებლო მოძრაობას, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ქაოსური მდგომარეობა აქ უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია გრძელდება. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ დღემდე ღიად რჩება ამ მეტად მნიშვნელოვანი სფეროსათვის ერთიანი სახელწოდების საკითხი. დღემდე მედიამკვლევარებს შორის, ამ თვალსაზრისით, აზრთა შეუთანხმებლობაა. თუმცა პრობლემას მხოლოდ სხვადასხვა სახელი კი არა, შედარებით აღიარებული ტერმინებისადმი განსხვავებული მიდგომა განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: მედიაგანათლება; მედიაწიგნიერება; ახალი ჰუმანიზმი; მედიაცნობიერება; მედიამენტალიტეტი.

Media education or media literacy - for terminological definition

Maya Tungia, Assistant professor

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

The scientific and technological revolution that took place at the beginning of the 21st century led to cardinal changes in the field of media. Under the conditions of the transformed media landscape and, most importantly, taking into account a fairly short period of time, it was difficult for media researchers to adequately assess certain processes and events, and they also had to revise already established terms in the light of the new digital reality.

As for the media education movement, in terms of terminology, chaos has reigned here for almost four decades. We mean the fact that the question of a single name for this very important area remains open to this day. To this day, there is controversy among media researchers on this issue. However, the problem is not just in different names, but in a different approach to relatively recognizable terms.

Key words: media education; media literacy; New humanism; Media awareness; Media mentality; Information society.

მედიაგანათლების, როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე, საერთაშორისო ტრიბუნებიდან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საუბრობდნენ. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე ღიად რჩება ამ სფეროსათვის სახელწოდების საკითხი. იუნესკომ ამ ახალ მიმართულებას იმთავითვე „მედიაგანათლება“ უწოდა, თუმცა თავიდანვე ისე მოხდა, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი „მედიაგანათლებას“ „მედიაწიგნიერებად“ ანდა სხვა ტერმინით მოიხსენიებდა.

ამ ფაქტორის შესახებ თვით საერთაშორისო ტრიბუნიდან აღინიშნა: „ბევრი ტერმინია დაკავშირებული იმასთან, რასაც ყველაზე ხშირად „მედიაგანათლებას“ ვეძახით: „მედიასწავლება“, „მედიის კვლევა“, „ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება“, „საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“, „საგანმანათლებლო მედია“... გერმანულ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება „მედიაკომპეტენტურობა“, მაშინ, როცა ესპანელმა ექსპერტებმა ეს მცნება „სოციალურ კომპეტენტურობამდე“ გააფართოვეს. ბოლო წლებში გავრცელდა ტერმინი „მედიაწიგნიერებაც“ [1].

თუმცა პრობლემას მხოლოდ ორი სახელი კი არა, ამ მცნებებისადმი განსხვავებული მიდგომა ქმნიდა - ზოგი მკვლევარი მათ ურთიერთგამომდინარე და ერთმანეთთან ღრმად დაკავშირებული ტერმინებად თვლიდა, ზოგიც მიჯნავდა ერთმანეთისგან, ზოგი კი, უბრალოდ, სინონიმებად მიიჩნევდა. ამის შესაბამისად, ცხადია, იცვლებოდა თითოეული მცნების პრიორიტეტების ვექტორის მიმართულებაც.

ჩვენ საგანგებოდ ჩავუღრმავდით ამ საკითხს, რის შემდეგაც, სხვადასხვა წყაროს გაანალიზების შედეგად, ჩვენს წინაშე ამგვარი სურათი გამოიკვეთა:

დღემდე მედიაგანათლების ყველაზე ამომწურავი განმარტება იუნესკოს ეკუთვნის (1999 წ.). არსებობს ამ მცნების კიდევ უამრავი განსაზღვრა სხვადასხვა მეცნიერისგან, მაგრამ, ფაქტობრივად, მათგან ვერცერთი ვერ გასცდა იუნესკოს განმარტებით შემოსაზღვრულ შინაარსობრივ არეალს.

რაც შეეხება იმ მკვლევარებს, რომლებიც მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების ყველაზე მნიშვნელოვან მიზნებსა და მათთვის დასახულ ამოცანებს ერთმანეთისაგან მიჯნავენ, ამ კომპეტენციათა ერთმანეთთან შედარებით ცხადი ხდება, რომ მათ შორის მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებაა და შინაარსობრივად იმდენად ფართო თანაკვეთა აქვთ, რომ ამგვარი გამიჯვნა ხელოვნურად კია.

მეტიც - შეიძლება ითქვას, რომ იუნესკოს მიერ შემოთავაზებული „მედიაგანათლების“ განმარტება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა დონეზე მისაღწევ კომპეტენციებს, ამ კომპეტენციათა ფარგლებში, მთლიანად მოიცავს იმ მიზნებს, რასაც „მედიაწიგნიერების“ ამოცანად სახავენ ზემოთ აღნიშნული მკვლევარები. ამდენად, მედიაწიგნიერების ცალკე მიმართულებად გამოყოფა, ამ კონტექსტში, აზრს კარგავს. ასე რომ, არასწორად გვესახება ამ ორი მცნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ასევე არ ვემხრობით მედიამკვლევარებში დღემდე ფართოდ გავრცელებულ მიდგომას მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების სინონიმებად ხმარების შესახებ. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ გარკვეულ კონტექსტში, მათი სინონიმებად ხმარება, ხაზს ვუსვამთ, გარკვეულ კონტექსტში, მისაღებია და შეცდომა ნამდვილად არ არის.

რაც შეეხება ჩვენს პირად პოზიციას, ჩვენ მხარს ვუჭერთ დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიაში გამოთქმულ განმარტებას, რომ მედიაგანათლება - ესაა პროცესი, ხოლო მედიაწიგნიერება წარმოადგენს ამ პროცესის მისაღწევ შედეგს:

„როგორც მედიაგანათლება (media education), ისევე მედიის შესწავლა (media studies) მიმართულია მედიაწიგნიერების (media literacy) მიზნის მისაღწევად, - ნათქვამია დოკუმენტში“ [2].

რაც შეეხება ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციას, როგორც იუნესკოა, იგი ერთნაირი წარმატებით ხმარობს ორივე ტერმინს, სხვადასხვა კონტექსტის შესაბამისად. თუმცა რიგი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იუნესკოს სპეციალისტებიც იზიარებენ ბრიტანეთის ენციკლოპედიაში გამოთქმულ მოსაზრებას.

მაგალითად, იუნესკოს ერთ-ერთ დადგენილებაში ნათქვამია, რომ 21-ე საუკუნეში მომხდარი ტოტალური ტრანსფორმაციები ითხოვენ სისტემატურ განათლებასა და ღრმა შეგნებულობას. იუნესკოს ეს დოკუმენტი ამ განათლებას მედიაგანათლებას უწოდებს, ხოლო ამ შეგნებულობას - მედიაწიგნიერებას[3].

იუნესკო, როგორც ამ დოკუმენტშია ხაზგასმული, ორივე პარამეტრის საბოლოო მიზნად მედიაცნობიერების (იგივე მედიამენტალიტეტის) ამაღლებას მიიჩნევს, რომელიც „ახალ ჰუმანიზმს“ უნდა უკავშირდებოდეს - ეს ის მთავარი კომპეტენციებია, რომელთაც იუნესკო 21-ე საუკუნეში ინფორმაციული საზოგადოების მისაღწევ მიზნებად სახავს.

მედიაწიგნიერებას მედიაგანათლების შედეგად მოიაზრებს ასევე ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორც ევროპარლამენტი. მის 2008 წლის 16 დეკემბრის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „მედიაგანათლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მედიაწიგნიერების მაღალი დონის მისაღწევად - პოლიტიკური განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტისა, რომელიც ეხმარება ადამიანებს, განამტკიცონ მათი აქტიური სამოქალაქო პოზიცია და მათი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების გაგება“ [4].

მოყვანილი ციტატებიდან კარგად ჩანს, რომ, ამ დოკუმენტების მიხედვით, მედიაგანათლების პროცესის უმთავრესი მიზანი მოქალაქეებში მედიაწიგნიერების

დონის მიღწევას. ამ აზრს ეთანხმებიან ცნობილი მედიამკვლევარებიც: კრისტოფერ ვორსნოპი (კანადა), ჯონ პანჯეპე (კანადა), ირვინგ როზესი (კანადა), დევიდ ბუკინგემი (დიდი ბრიტანეთი), დანიელ სუესი (შვეიცარია), დაფნა ლემიში (ისრაელი), ალექსანდრ ფედოროვი (რუსეთი), სტალ პენზიმი (რუსეთი), ვალერი მონასტირსკი (რუსეთი) და ასე შემდეგ.

მაგალითად, ცნობილი კანადელი მკვლევარი კრისტოფერ ვორსნოპი წერს: „მედიაწიგნიერება - ესაა მედიაგანათლების... შედეგი. რაც უფრო მეტად სწავლობთ თქვენ მედიას (მედიის დახმარებით), მით უფრო მედიაწიგნიერი ხართ.“ მედიამკვლევარი ისრაელიდან, დაფნა ლემიში კი მიიჩნევს, რომ „როცა საქმე ამგვარ ფართო სფეროს ეხება, ძალიან ზუსტ განმარტებებზე შეთანხმება, ერთგვარად, შეუძლებელიც კი გახლავთ.“

მედიასაგანმანათლებლო მოძრაობაში ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ეს ქაოსური მდგომარეობა უკვე რამდენიმე ათეული წლებია (გრიუნვალდის კონფერენციიდან მოყოლებული), გრძელდება. 21-ე საუკუნის დასაწყისში კი ინფორმაციული ტექნოლოგიების ხაზით მომხდარმა ტექნიკურმა რევოლუციამ მსოფლიოში ბევრი რამ შეცვალა. ეს, განსაკუთრებით, მედიაზე აისახა, რომელმაც უმოკლეს დროში ძალიან დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. შედეგად მკვლევარებს გაუჭირდათ დროის ასე მოკლე პერიოდის გადასახედიდან რიგი მოვლენებისათვის თავისი სახელის დარქმევა და მათთვის შესაბამისი ტერმინების შერჩევა.

სამწუხაროდ, მკვლევართა შორის არ არის ერთიანი პოზიცია მედიური სფეროს თვით ისეთ საკვანძო ტერმინთა განსაზღვრაში, როგორცაა „მედია“ და „ინფორმაცია“. მაგალითად, მცნება „მედიაში“ მკვლევართა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ტრადიციულად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მოიაზრებს, მაშინ, როცა არსებობენ არამასობრივი ინფორმაციის საშუალებანიც.

იუნესკოს პროგრამაში, სახელწოდებით „პედაგოგთა განსწავლის პროგრამა მედიური და ინფორმაციული წიგნიერების საფუძველზე“ - ვკითხულობთ: მედიის ქვეშ იგულისხმებიან „ფიზიკური ობიექტები, საშუალებები და ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც გამოიყენებიან კერძო, ან მასობრივი კომუნიკაციისათვის, მაგალითად, რადიო, ტელევიზია, კომპიუტერები, კინო, მობილური ტელეფონები და

ასე შემდეგ. ტერმინი ეკუთვნის ნებისმიერ ფიზიკურ ობიექტს, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისათვის. მედია წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომლის კონტენტი უნდა დაექვემდებაროს რედაქტირებას ჟურნალისტური ეთიკის გათვალისწინებით, იმ გაგებით, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის საფუძველზე, გამოიყენება რაიმე ორგანიზაციასთან, ან პირთან დაკავშირებით.“ [5]

„წიგნი ამ გაგებით მედიის ნაწილია ისევე, როგორც ბროშურა, სარეკლამო პლაკატი, რაიმე დოკუმენტი და სხვა.“ მედიის იუნესკოსეული განმარტების თანახმად, „მედია - ესაა კონტენტის მიტანის ნებისმიერი არხი, იმისდა მიუხედავად, ეს არხი მასობრივია თუ არა. ადამიანიც, გარკვეული თვალსაზრისით, მედიაა, რადგან თავის თავში გაატარებს ინფორმაციის ნაკადებს, გარდაქმნის მათ და თავად ხდება ინფორმაციის წყარო“ [6].

მკვლევართა შორის საკვანძო ტერმინებისადმი ერთიანი მიდგომის არარსებობა აისახა მედიურ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესის - კომუნიკაციური პროცესის - შესწავლაზე. მედია-პედაგოგებმა ამ პროცესის თეორიული გააზრებისას მისი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი - „ინფორმაცია“ და „მედია“ - ერთმანეთისაგან განაცალკევეს და თითოეული მათგანის ცალ-ცალკე შესწავლას შეუდგნენ. ტერმინოლოგიური განტოტვის შედეგად, მათ ცალკე შესასწავლ მიმართულებებად გამოჰყვეს მედიაგანათლება, მედიაწიგნიერება, მედიაკულტურა და მედიამენტალიტეტი (ეს მედიის ხაზით), ხოლო ინფორმაციის შესასწავლ მიმართულებებად - ინფორმაციული განათლება, ინფორმაციული წიგნიერება, ინფორმაციული კულტურა და ინფორმაციული მენტალიტეტი (ინფორმაციის ხაზით).

ამგვარმა მიდგომამ მკვლევართა ყურადღება სხვადასხვა მიმართულებით მიმართა, რამაც კომუნიკაციური პროცესის შესწავლა და გაანალიზება დააზარალა, რადგან კვლევისას ბევრს ნიშნავს სწორად შერჩეული ორიენტირი ტერმინის სახით და ის საკვლევი არეალი, რომელიც ამ ტერმინითაა შემოსაზღვრული.

ამგვარი ქაოსის თავიდან ასაცილებლად პირველი ნაბიჯები ისევ იუნესკომ გადადგა: ჯერ კიდევ 2008 წლიდან იგი შეეცადა, საერთო მნიშვნელო მოემდებნა მედიაგანათლებისა და ინფორმაციული განათლებისათვის. არსებული ტერმინების

გადააზრების შედეგად მან ახალი ტერმინი - „მედიაციური ფორმაციული წიგნიერება“ - შემოგვთავაზა.

ამ ტერმინის საერთაშორისო დონეზე „ნათლობა“ 2011 წლის 15-17 ივნისს შედგა, მაროკოში, ქ ფესში, გამართულ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც მედიური და ინფორმაციული განათლების საკითხებს ეძღვნებოდა.

ლიტერატურა:

1. [www. fb.com/mediadevelopmentfoundation](http://www.fb.com/mediadevelopmentfoundation)
2. Media education Draft recommendation.n www.mediagram.ru/. Doc. 8753.6 June 2000.
3. Федоров А.В. Новикова А.А. Медиаобразование в ведущих странах Запада. Таганрог; 2005. 270.
4. Антипина Н.Л., Герасимова Г.И., and Мурзина Е.В.. "Исследование медийно-информационной грамотности российских подростков" Вестник Сургутского государственного педагогического университета; 2 (65), 2020: 42-49.
5. Игнатов П.А. "Педагогические условия формирования медиаинформационной грамотности педагога дополнительного образования" Вестник Оренбургского государственного университета; 5 (223), 2019: 27-31
6. Recommendations Addressed to the United Nations Educational Scientific and Cultural Organization UNESCO. In: Education for the Media and the Digital Age;

პოლიტიკური პროცესები და კონფლიქტური სიტუაციები

მაკა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.21>

აბსტრაქტი

XXI საუკუნეში საქართველომ და უკრაინამ განიცადეს აპოკალიფსის საშიშროება. რუსეთი კიდევ ერთხელ შეეცადა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. საქართველო და უკრაინა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ.

რუსეთი დეზინფორმაციის გავრცელების გზით ცდილობდა დაერწმუნებინა როგორც რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო საზოგადოება, რომ ომი 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველომ დაიწყო ეთნიკურ ნიადაგზე და მოსახლეობის „დასაცავად“ რუსეთი იძულებული გახდა საქართველოში „მშვიდობის დსამყარებლად“ შემოსულიყო.

პუტინის თქმით, 2014 წელს რუსეთი „ვალდებული იყო დაეცვა ყირიმისა და სევასტოპოლის მცხოვრებლები“, 2022 წლის მოვლენები კი უკავშირდება რუსეთის დაცვას მათგან, ვინც „უკრაინა მძევლად აიყვანა“ და ცდილობდა, რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებას.

როგორც ქართული, ასევე უცხოური მედია პარალელს ავლებდა საქართველოსა და უკრაინას შორის. მათი დაკვირვებით, მსგავსება ბევრი იყო 2008 წელს საქართველოში, ხოლო 2022 წელს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს შორის, პუბლიცისტები საუბრობდნენ დასავლეთის დამოკიდებულებაზე ამ ომში. რუსეთის სისასტიკეზე, რომელიც სრულმასშტაბიან ომს „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებდა. არადა, სინამდვილეში რუსეთი ცდილობდა საქართველოსა და უკრაინაში თავისი გავლენა და მნიშვნელობა დაეფიქსირებინა, ეს იყო უპრეცედენტო სასტიკი სამხედრო აგრესია, რომელსაც შეიძლება გენოციდი ეწოდოს.

რუსული პროპაგანდისტული მედია ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ რუსეთი უკრაინაში სამშვიდობო მოსახლეობას არ ხოცავდა. ვრცელდებოდა ვიდეოები და ფოტოები, რომლებიც წარსული კონფლიქტების იყო. ზოგი მათგანი შექმნილი იყო დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გასავრცელებლად.

რუსული პროპაგანდისტული მედია არაობიექტურად და მიკერძოებულად აშუქებდა ფაქტებს. პროპაგანდა განუყრელი ნაწილი იყო საინფორმაციო საშუალებებისათვის. პროპაგანდის მიზანი იყო, მთავრობას გაემართლებინა საკუთარი თავი და მოეპოვებინა საზოგადოების მხარდაჭერა.

საკვანძო სიტყვები საქართველო უკრაინა რუსეთი დეზინფორმაცია აგრესია მედია პროპაგანდა

Political processes and conflict situations

Maka Dolidze, Associate Professor

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

In the 21st century, Georgia and Ukraine are in danger of apocalypse. Russia has tried to bring these countries under its influence once again. Georgia and Ukraine are in front of catastrophe.

By spreading misinformation, Russia tried to convince the people of Russia and Georgia, as well as the international community, that Georgia started the war on August 8, 2008 on ethnic grounds and that Russia was constrained to enter Georgia to "establish peace" to "protect" the population. And in 2014, Russia was "obliged to protect the people of the Crimea and Sevastopol," and the facts of 2022 are related to the protection of Russia from those who "being Ukraine hostage" and tried to use it against Russia.

Both Georgian and foreign media drew parallels between Georgia and Ukraine. According to their observations, there were many similarities between the events in Georgia in 2008, and between the facts in Ukraine in 2022, the publicists talked about the relationship of the West in this war. On the severity of Russia, which called the full-scale war a "special military operation." But, actually, Russia was trying to make an efforts its influence and importance both in Georgia and Ukraine, it was an unprecedented severe military aggression that could be called genocide.

The Russian propaganda media tried to persuade the public that Russia was not killing peaceful populations in Ukraine. It was spreading that videos and photos that were from past conflicts. Some of them were created to spread misinformation and propaganda. The Russian propaganda media lights up the facts in a biased manner. Propaganda was an inseperable part of the media. The aim of the propaganda was for the government to justify itself and gain public support.

Keywords: Georgia, Ukraine, Russia, Misinformation, Aggression, Media Propaganda.

XXI საუკუნეში რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო ცალკეულ ქვეყნებში კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას.

რუსეთმა ვერ მოახერხა საქართველოსა და უკრაინაზე გავლენის შენარჩუნება და ალბათ, ამ მარცხმაც განაპირობა, რომ შემდგომში უფრო აგრესიულ პოლიტიკას მიმართა, რაც საქართველოში 2008 წლის აგვისტომ დაადასტურა, ხოლო უკრაინაში 2022 წლის თებერვალმა.

„საქართველოს ისტორია აჩვენებს, რომ რუსეთთან დადებული შეთანხმებები იშვიათად სრულდება. ისტორიაში ყოფილა ბევრი შემთხვევა, როცა რუსეთმა დაარღვია დანაპირები საქართველოს მიმართ. ყველაზე ბოლო 2008 წელს იყო...

ასე რომ, ვფიქრობ, ქართველები ძალიან ფრთხილად იქნებიან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას.“ - განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა[1].

ეს ინტერვიუ იმით არის საყურადღებო, რომ გვაწვდის რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას. პირველი - რუსების მიერ ქართველი და უკრაინელი ხალხის მიმართ აგრესიული, სასტიკი ძალის გამოყენებზე; მეორე - მოკავშირეებისა და პარტნიორების ერთიანობაზე არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში; მესამე - აშშ მხარდაჭერაზე საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე. ეს ინფორმაციები რა თქმა უნდა ბევრისთვის უცხო არ იყო, მაგრამ კარგია, რომ ამ ფაქტმა სწორედ აშშ-ის ელჩის მხრიდან გაიჟღერა.

XXI საუკუნეში საქართველომ და უკრაინამ განიცადეს აპოკალიფსის საშიშროება. რუსეთი კიდევ ერთხელ შეეცადა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია საქართველო და უკრაინა. ეს ქვეყნები კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ.

„წარმოადგენს თუ არა რუსეთი საფრთხეს, როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროპისა და ამერიკისათვის?“ - კითხულობდა „ნიუ-იორკ ტაიმის“ კორესპონდენტი და დასძენდა რუსეთთან საქმიანი ურთიერთობები ვერ გაგრძელდება, თუკი ის კვლავ გააგრძელებს საქართველოს დაპყრობას და მეზობლების დაფრთხობას. [2]

XXI საუკუნეში მიუღებელი იყო რუსეთი თავს დასხმოდა თავის სუვერენულ და დამოუკიდებელ მეზობლებს, რომლებსაც ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული ხელისუფლება მართავდა. რუსეთი დეზინფორმაციის გავრცელების გზით ცდილობდა დაერწმუნებინა როგორც რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო საზოგადოება, რომ ომი 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველომ დაიწყო ეთნიკურ ნიადაგზე და მოსახლეობის „დასაცავად“ რუსეთი იძულებული გახდა საქართველოში „მშვიდობის დასამყრებლად“ შემოსულიყო.

პუტინის თქმით, 2014 წელს რუსეთი „ვალდებული იყო დაეცვა ყირიმისა და სევასტოპოლის მცხოვრებლები“, 2022 წლის მოვლენები კი უკავშირდება რუსეთის დაცვას მათგან, ვინც „უკრაინა მძევლად აიყვანა“ და ცდილობდა, რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებას.

როგორც ქართული, ასევე უცხოური მედია პარალელს ავლებდა საქართველოსა და უკრაინას შორის. მათი დაკვირვებით, მსგავსება ბევრი იყო 2008 წელს საქართველოში, ხოლო 2022 წელს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს შორის.

პუბლიცისტები საუბრობდნენ დასავლეთის დამოკიდებულებაზე ამ ომში, რუსეთის სისასტიკეზე, რომელიც სრულმასშტაბიან ომს „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებდა. არადა, სინამდვილეში რუსეთი ცდილობდა საქართველოსა და უკრაინაში თავისი გავლენა და მნიშვნელობა დაეფიქსირებინა, ეს იყო უპრეცედენტო სასტიკი სამხედრო აგრესია, რომელსაც შეიძლება გენოციდი ეწოდოს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საუბრობდა რუსეთის ფარგლებს გარეთ რუსულენოვანთა დისკრიმინაციაზე და აღნიშნავდა: „უნდა ვთქვა, რომ რუსოფობია პირველი ნაბიჯია გენოციდისაკენ. მე და შენ ვიცით რა ხდება დონბასში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ჰგავს გენოციდს.“ პუტინმა პრესას განუცხადა: „ის, რაც დონბასში ხდება, ზუსტად გენოციდია“.

საინფორმაციო გამოშვებებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად პუტინის მიერ მშობლიური რუსულენოვანი მოსახლეობის გენოციდში ბრალდებებისა, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი თავად არის მშობლიური ენით რუსულის მოლაპარაკე [3].

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები და იქ არსებული მდგომარეობა მედიის ყურადღების ცენტრში მისი დაწყების დღიდან მოექცა. ჯერ კიდევ ოქტომბერში „ვამინგტონ პოსტი“ წერდა „რუსეთს შეუძლია უკრაინის ორი მესამედი დაიკავოს. უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა, ალექსეი დანილოვმა, გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომელიც მოგვიანებით უკრაინულმა გამოცემებმაც აიტაცეს, „შეგნებული დეზინფორმაცია“ უწოდა [4].

„ვამინგტონ პოსტის“ ინფორმაცია დეზინფორმაცია არ აღმოჩნდა. ოთხი თვის შემდეგ პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ აღმოსავლეთ უკრაინაში. „რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება დონბასში სამხედრო სპეცოპერაციის ჩატარებაზე. პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ოპერაციის მიზანი ხალხის დაცვაა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამაოდ ჩაიარა ნატოსთან მოლაპარაკებების ყველა მცდელობამ, შეეჩერებინათ აღმოსავლეთისკენ გავრცელება.“ – დაანოხნა HTB-ს ჟურნალისტმა [5].

რუსულ საინფორმაციო საშუალებებში ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ნატო რეალური საფრთხეა, ბაიდენი რუსეთს დაემუქრა ნატო-ს „გადამწყვეტი პასუხით“, რუსეთი 30 წელია ცდილობდა, ნატოსთან გაფართოების შეჩერებაზე მოლაპარაკებას. არადა სინამდვილეში, რუსებს სულ სხვა მიზანი ჰქონდათ. სწორედ ამ მიზნების შესახებ საუბრობდნენ უცხოელი ექსპერტები.

„რუს ხალხს უფლება აქვს იცოდეს სიკვდილის, ტანჯვისა და დესტრუქციის შესახებ, რომელიც მათმა მთავრობამ უკრაინელ ხალხს მიაყენა. მათ ასევე უფლება აქვთ იცოდნენ ამ უაზრო ომის თავიანთი ჯარისკაცების ადამიანური დანაკარგების შესახებ“ - წერია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.[5].

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების გამო სანქციები შეეხო რუსულ სამთავრობო მედიასაშუალებებს, რომლებიც საერთაშორისო აუდიტორიაზე მუშაობდნენ. ისინი ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციებს იმის გამო, რომ გაემართლებინათ ის, რისი გამართლებაც შეუძლებელი იყო. უკრაინას ნაცისტური ხელისუფლება ჰყავს, რომლისგანაც ხალხს გათავისუფლება სჭირდება - აცხადებდნენ ისინი.

ამერიკელმა მსახიობმა ემტონ კატჩერიმ რუსულ მედიას მატყუარა უწოდა და ხალხს სწორი ინფორმაციის გავრცელებისკენ მოუწოდა. „თუკი რუსეთში ვინმეს იცნობთ, აუცილებლად დაურეკეთ მათ და უთხარით, რომ მათი მედია ატყუებთ მათ. უკრაინას ომი არ უნდა, მათ უბრალოდ პუტინის მთავრობა და ოკუპაცია არ უნდათ“[6].

რუსული პროპაგანდისტული მედია როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში კონფლიქტის თავისებურ სურათს ხატავდა. ფაქტების ანალიზისაგან თავს იკავებდა და მხოლოდ ცალმხრივი ბრალდებებით იფარგლებოდა. არაფერს ამბობდა რუსებზე, თითქოს მათ ომის გაჩაღებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვოდათ. არა და ომი რუსეთმა რომ დაიწყო ამას დასავლეთის თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება აღიარებდა და იზიარებდა მოვლენათა განვითარების როგორც ქართულ, ასევე უკრაინულ ვერსიას. ამ ფაქტს თვით პუტინიც კარგად გრძნობდა და აღშფოთებას გამოხატავდა ამის გამო. „გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა პუტინმა გაოცება ვერ დამალა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი

ასე ერთსულოვნად იზიარებს მოვლენათა განვითარების ქართულ ვერსიას – წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ [7].

ყველა რუსულ მედია საშუალებას ეკრძალებოდა, უკრაინაში მიმდინარე ომს უწოდოს ომი. თავის გასამართლებლად რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა მთელ მსოფლიოს აცნობეს, რუსეთი იცავს მშვიდობიან მოსახლეობას. „რუსეთი არა მხოლოდ იცავს მშვიდობიან მოსახლეობას უკრაინული შეტევისგან, არამედ დასავლეთის აგრესიასაც პასუხობს.“- აცხადებდა HTB -ს ჟურნალისტი [8].

რუსული პროპაგანდისტული მედია ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ რუსეთი უკრაინაში სამშვიდობო მოსახლეობას არ ხოცავდა. ვრცელდებოდა ვიდეოები და ფოტოები, რომლებიც წარსული კონფლიქტების იყო. ზოგი მათგანი შექმნილი იყო დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გასავრცელებლად.

რაც შეეხება რუსულ დამოუკიდებელ მედიას და ჟურნალისტების ნაწილს, ცდილობდნენ, თავი გაემიჯნათ პროპაგანდისგან და კონფლიქტი დაეგმოთ. „ომი არასდროს ყოფილა კონფლიქტის გადაწყვეტის მეთოდი და მას გამართლება არ აქვს“ - აცხადებდნენ ისინი.[9]

ქართველებსა და უკრაინელებს თანაგრძნობას ბევრი რუსი პიროვნება უცხადებდა, ბევრს არ უნდოდა ომი მათ წინააღმდეგ. „არა ომს“, „სირცხვილი“ – ასე სკანდირებდნენ მოსკოვში შეკრებილი მოქალაქეები. BBC-ის ცნობით, მოსკოვში დაახლოებით 200 ადამიანი იყო შეკრებილი.[10]

ბევრი პუტინსაც კი აგინებდა. „ჰიტლერს კარგად ვიცნობდი, არ მცოდნია პუტინი“, „ჰიტლერის ხელმძღვანელობით ფაშიზმს არ უკადრებია ამდენი უბედურება საბჭოთა კავშირისათვის, რაც საქართველოს გაუკეთა რუსეთმა“ – წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა“. [11]

ეს ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებას ჩამოუყალიბდეს აზრი რუსულ პოლიტიკაზე, და კერძოდ პუტინზე, რომელიც ძალისმიერი გზებით ცდილობდა საქმის მოგვარებას. რუსების ქმედება მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ნაცისტური გერმანიის მოქმედების ტოლფასი იყო.

პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა პუბლიკაციები რუსების აგრესიის შესახებ. საინფორმაციო საშუალებები გვიჩვენებდნენ მოსახლეობის განწყობილებას,

სროლისა და აფეთქების ხმის ქვეშ დაჩოქილ მოსახლეობას, დაბომბილ ქალაქებს, დამწვარ კორპუსებს, დასახიჩრებულ სხეულებს, კიდურებმოწყვეტილ ადამიანებს, ყველა იმ საშინელ კადრებს, რომლებიც არაერთხელ გაჟღერებულა მედიაში.

თითოეული პუბლიკაცია ისე ხატოვნად აღვიღწერდა ამას, რომ ძალაუნებურად მტრისადმი ზიზღსა და სიძულვილს გვინერგავდა.

რუსული პროპაგანდისტული მედია არაობიექტურად და მიკერძოებულად აშუქებდა ფაქტებს. პროპაგანდა განუყრელი ნაწილი იყო საინფორმაციო საშუალებებისათვის. პროპაგანდის მიზანი იყო, მთავრობას გაემართლებინა საკუთარი თავი და მოეპოვებინა საზოგადოების მხარდაჭერა.

ლიტერატურა

1. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31766840.html>
2. გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 2008 წლის 25 აგვისტო;
3. Vasilyeva, Nataliya (19 February 2022). „[Russians accuse Ukrainians of genocide as they pave way for potential invasion](#)“. The Telegraph.
4. <https://www.radiosvoboda.org/a/vtorzheniye-rossii-v-ukrainu-so-storony-azovskogo-morya/31629399.html>
5. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/91187-rusethi-ukrainas-konflikti-propagandistuli-mediis-mikhedvith>
6. <https://okmagazine.ge/ok-ashton-kutcher-russia-media-lying-ukraine-war/>
7. გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 2008 წლის 10 სექტემბერი;
8. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/91187-rusethi-ukrainas-konflikti-propagandistuli-mediis-mikhedvith>
9. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/91183-rusi-zhurnalistebis-natsili-gmobs-oms-ukrainasthan>
10. <https://publika.ge/ruset-ukrainis-omi-ganakhlebad/>
11. გაზ. „კვირის პალიტრა“, 2008 წლის 25-31 აგვისტო;

უცხოელი დოკუმენტალისტების კრიტიკული თვალით დანახული საქართველო

ნარგიზა კანკია, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2022.22>

აბსტრაქტი

სტატია ეხება საქართველოს შესახებ უცხოელების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს. მასში განხილულია სხვადასხვა თემაზე შექმნილი ფილმები. ამ სტატიაში, პირველ რიგში, აქცენტი გაკეთდა BBC-ის ფილმზე, რომელშიც გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი - კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომი. ეს ფილმი სხვადასხვა ინტერვიუებით, ვიდეო და ფოტომასალით დამაჯერებელს ხდის მასში აღწერილ ფაქტებს. საინტერესო ფილმებს შეიძლება განეკუთვნებოდეს ისეთი ფილმებიც, რომლებიც ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება და ასეთად სტატიაში მიჩნეულია ფრანგული დოკუმენტური ფილმი „საქართველო, ჭიათურა“, რომელიც ამ ქალაქის მოსახლეობის შრომას, პრობლემებს, ტრადიციებს ასახავს.

საკვანძო სიტყვები: დოკუმენტური ფილმი, კრიტიკა, ომი, ტრადიციები, ინტერვიუ.

Georgia seen by foreign documentalists with a critical eye

Nargiza Kankia

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

The article is about documentaries about Georgia made by foreigners. It discusses films created on different topics. This thesis focuses on a BBC film that analyzes the Russian-Georgian conflict, in particular the August 2008 war. This film with various interviews, videos and photographs makes the facts described in it convincing. An interesting number of films may include films that relate to people's daily lives, and such an article is considered to be the

French documentary "Georgia, Chiatura", which reflects the work, problems and traditions of the population of this city.

This article also focuses on foreign films in which facts and events are not thoroughly explored and to some extent even biased.

Key words: Documentary, Criticism, War, Traditions, Interview.

იმის შესახებ, რომ საქართველო თვალწარმტაცი ქვეყანაა და მისი ნახვით ბევრ საინტერესო რამეს გაიგებს ადამიანი, მეტყველებს როგორც ქართველების, ისე უცხოელების მიერ გადაღებული ფილმები. მათი დიდი ნაწილი მაინც ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას ემსახურება და ისინი ძირითადად ტურისტებისთვის არის განკუთვნილი (მათში ძირითადად საუბარია საქართველოს ისტორიაზე, ბუნებაზე, ღირსშესანიშნაობებზე, ტრადიციებზე და სხვ). ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ ფილმების შესახებ ჩვენ ერთ-ერთ სტატიაში გვქონდა კიდევ საუბარი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის შესახებ უცხოელებს გადაღებული აქვთ აგრეთვე ისეთი ფილმებიც, რომლებიც ასახავენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს. მათში გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა - მიმდინარე მოვლენები, საშინაო, თუ საგარეო პრობლემები და ა.შ.

საქართველოში 2008 წელს დიდი უბედურება დატრიალდა - ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრა რუსეთის ჯარი და მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპირებაც მოახერხა. ცხადია, ამ ამბავმა მთელი ცივილიზებული სამყაროს ყურადღება მიიქცია. მის შესახებ საუბრობდნენ მასმედიის საშუალებებში, გადაიღეს არა მარტო დოკუმენტური, არამედ მხატვრული ფილმებიც (მაგალითად, ჰოლივუდში ამ თემაზე გადაიღეს მხატვრული ფილმი „აგვისტოს ხუთი დღე“ მასში მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა მოხდა 12 აგვისტოს - როცა საქართველოს მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები).

არსებობს ისეთი უცხოური დოკუმენტური ფილმები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და მისი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებს ასახავს, მაგრამ, ჩვენი აზრით, როცა ამ საკითხზე და კერძოდ, 2008 წლის ომზე ვსაუბრობთ, პირველ

რიგში, უნდა ვახსენოთ BBC-ის დოკუმენტური ფილმები. მან არაერთი ფილმი მიუძღვნა 2008 წლის ომს, ამ ფილმების მთავარი ღირსება არის ის, რომ ისინი მიუკერძოებელია - ფაქტები ობიექტურად არის გადმოცემული, მათში მოვლენები ღრმად, არგუმენტირებულად არის გააზრებული.

საერთოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ BBC-ის დოკუმენტური ფილმები ცნობილია მთელს მსოფლიოში, მაგრამ ქართველი ტელემაყურებელი მას ძირითადად გასული საუკუნის დასასრულს, ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის ეთერით გაეცნო. სწორედ ამ ფილმებიდან გავიგეთ მაშინ ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტის, ცნობილი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და ა.შ.

2008 წლის აგვისტოს ომზე ერთ-ერთი პირველი იყო BBC-ის მიერ გადაღებული ფილმი „აგვისტოს ომი“. ჩვენი აზრით, ეს არის სწორედ ის ფილმი, რომელშიც მოვლენები შეულამაზებლად და დაბალანსებულად არის გადმოცემული. ბრიტანული „აგვისტოს ომი“ ასახავს არა მარტო საბრძოლო მოქმედებების იმ ხუთ დღეში დატრიალებულ ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ მასში გააზრებული და გაანალიზებულია როგორც ომის წინა, ისე შემდეგი პერიოდი - ფილმში მის მიზეზებზე საუბრობენ როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები და, მეტიც, მასში დიდი ადგილი ეთმობა უცხოელი პოლიტიკოსების მოსაზრებებს (ბუში, სარკოზი...), მაგალითად, აქ ხაზგასმულია აშშ-ს მაშინდელი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის პოზიცია - ჩვენ ვაფრთხილებდით საქართველოს პრეზიდენტს, რომ არ აჰყოლოდა პროვოკაციას და არ დაეწყო საბრძოლო მოქმედებებიო... ამ ფილმში, გარდა ინტერვიუებისა, დიდი რაოდენობით ვხვდებით საბრძოლო მოქმედებების ამსახველ დოკუმენტურ ქრონიკას და ფოტოებს, რაც მას, ერთის მხრივ, მეტ დამაჯერებლობას სძენს და, მეორეც, უფრო საინტერესოს ხდის. საერთოდ, ომის შესახებ ფილმის გადაღება ადვილი არ არის, ამ დროს ძალიან ძნელია სიმართლის დადგენა, იმიტომ, რომ ყველა მხარე ცდილობს თავისი ქმედება გაამართლოს და პირიქით, სხვისი გააკრიტიკოს. ამ ფაქტის რეალობას ამტკიცებს თანამედროვე პერიოდში (რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობის დროს) პოლიტოლოგების მიერ ხშირი გახსენება ოტო ბისმარკის გამონათქვამისა იმის თაობაზე, რომ ყველაზე მეტად იტყუებიან ომის დროს, ნადირობის შემდეგ და არჩევნების წინო.

ვინაიდან შევხეთ მიუკერძოებლობას და ბალანსს, გვინდა გავისვენოთ ამ თემაზე (2008 წლის ომზე) შექმნილი ერთ-ერთი პირველი ქართული ფილმი „რუსული პარტია“, რომლის ავტორიც თომა ჩაგელიშვილია. ფილმი ომის დამთავრებიდან ძალიან მალე გადაიღეს. ის, მართალია, მარტო აგვისტოს ომს არ ეხება და რუსეთის ყველა აგრესიის შეხსენება უფროა, მაგრამ მისი მთავარი ღერძი მაინც ეს ომია. ცხადია, აბსოლუტური მიუკერძოებლობა ძალიან ძნელია (ან, საერთოდ, არსებობს?). ფაქტისადმი დამოკიდებულება ხომ მისი შერჩევიდან იწყება. თანაც, როცა საქმე შენს ქვეყანას ეხება, სუბიექტურობას ძნელად გაექცევი და კიდევ-როცა ფილმი „რუსული პარტია“ გადაიღეს, ეს ომი ხომ სულ ახალი მომხდარი იყო. ჯერ ყველაფერი სრულყოფილად არ იყო და ვერც იქნებოდა გამოძიებული. არც ტალიავიანის დასკვნა იყო ცნობილი... მაგრამ მაინც, თუ ფილმს იღებ, იმის მტკიცების გარდა, რომ რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია (რაც ისედაც ყველასთვის ცნობილი ფაქტია), საჭირო იყო ამ ომის მიზეზების შესახებ მეტი ფაქტის წარმოდგენა და, მისი მრავალმხრივი გაშუქების მიზნით, უნდა დაფიქსირებულიყო, ვინ რა მოსაზრება გამოთქვა ამ ომზე... ვფიქრობთ, ამ მიზეზის გამოც, გადაწყვიტა თომა ჩაგელიშვილმა გაეგრძელებინა ეს თემა - მაგალითად, 2014 წელს გადაიღო ორნაწილიანი ფილმი „აგვისტოს ომი“, რომელიც მეტ-ნაკლებად დაბალანსებული და ობიექტურია. ამ საკითხს მან შემდეგ სხვა ფილმებიც მიუძღვნა.

ცხადია, აბსოლუტურ ობიექტურობაზე საუბარი მედიაში საერთოდ, და მათ შორის სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში, სწორი არ არის, იმიტომ რომ მას იღებს ადამიანი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში გააჩნია თავისი სუბიექტური დამოკიდებულება ფილმში განხილული მოვლენისადმი, (სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც). ფსიქოლოგების მოსაზრებაც ხომ სწორედ ამას ადასტურებს და ის მდგომარეობს იმაში, რომ განწყობა ყოველთვის უსწრებს მოქმედებას. გარდა ამისა, ფაქტების ინტერპრეტაციისთვის და ტრანსფორმაციისთვის ფილმის ავტორების ხელშია მთელი არსენალი ეკრანის გამომსახველობითი საშუალებებისა (კადრი, რაკურსი, ხედი, მონტაჟი...), რომელშიც დიდ როლს ასრულებს კადრსშიდა და კადრსგარეთ კომენტარებიც.

უცხოელი დოკუმენტალისტები იღებენ ფილმებს საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაზეც. ამ ქვეყანაში არსებულ საჭირბოროტო საკითხებზე და ამ

დროს ძალიან კარგია, როცა იგრძნობა, რომ ავტორები ამას აკეთებენ არა ჩასაფრებულის პოზიციიდან, არამედ ცდილობენ ობიექტურად ასახონ სინამდვილე მისი კარგი და ცუდი მხარეებით.

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ გადაღებული ფილმებიდან ჩვენი ინტერესი გამოიწვია ფრანგულმა დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველო, ჭიათურა“ (გადაღებულია ARTE - ს მიერ). როგორც სათაურიდანაც ჩანს, იგი ეძღვნება ამ ქალაქს და იქ მცხოვრები ადამიანების საქმიანობას. მასში ძირითადი აქცენტი კეთდება მემახტეებზე და მათი დასაქმების ადგილზე არსებულ პრობლემებზე. ვხედავთ მამაკაცებს ფორმებში „ჯორჯიან მანგანეზი“. ისინი შედიან შახტაში და მაყურებელი ხდება მოწმე იმისა, თუ როგორ მძიმე სამუშაოს ასრულებენ იქ ეს ადამიანები. ამ პროცესის უფრო სრულად საჩვენებლად, ვიდეოკადრების გარდა, გამოყენებულია ფოტოებიც, რომლებშიც მემახტეები დაფიქსირებული არიან სხვადასხვა სიტუაციაში. დინამიკური და სტატიკური კადრების მონაცვლეობა ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, კარგი ხერხი იყო ეფექტის მოსახდენად. მემახტეების გარდა, ფილმის ავტორები საკმაოდ დეტალურად გვიჩვენებენ საბაგიროზე მომუშავე ადამიანების ყოველდღიურ რუტინას.

ამ ფილმში საუბარია იმერეთის ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებზეც. მაგალითად, ფილმის შემქმნელებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ „კაცხის სვეტი“. ამ საოცარ სანახაობას კამერა სხვადასხვა ხედით და რაკურსით აჩვენებს. ხოლო მისი შექმნისა და დღევანდელი დღის შესახებ საინტერესო ინფორმაციებს მაყურებელი ეცნობა აქ მომუშავე საეკლესიო პირისაგან. ფილმში „ჭიათურა, საქართველო“ საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების კადრებს - მოძველებული მიკროავტობუსით მგზავრობა, ბაზარში მოვაჭრე ადამიანები, სილამაზის სალონში მოსაწესრიგებლად შესული ადამიანები... ამ ფილმის ავტორებს გვერდი არ აუვლიათ არც ქართული სუფრის ტრადიციებისთვის - ჩანს თამადა, პირველი სადღეგრძელო მშვიდობას ეძღვნება, ახლო ხედით ვხედავთ შამფურზე აცმულ მწვადებს, ასევე თეფშებზე დახვავებულ ხაჭაპურებს, ნიგვზიან ბადრიჯანს, იმერულ ყველს... ამ სცენაზე აქცენტის გაკეთებით, ფილმის შემქმნელები აუდიტორიას ეუბნებიან, რომ ამ ქვეყნის ტრადიციას სტუმრის პატივისცემა და,

მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები მდიდრები არ არიან, ისინი გულუხვობას მაინც იჩენენ.

უნდა ითქვას, რომ „საქართველო, ჭიათურა“ არ არის ფილმი, რომელშიც შელამაზებულია ფაქტები - ქალაქის მოსახლეობასთან ინტერვიუებით, კადრსგარეთ კომენტარებით და კონკრეტული ფაქტების ჩვენებით (მაგალითად, მოძველებულ საბაგირო კაბინები, გაფუჭებულ გზები, მოუხერხებელი სამარშრუტო მიკროავტობუსები და სხვ.), მაყურებლისთვის გასაგებია, რომ აქ ცხოვრობს ხალხი, რომლებმაც შრომაც იციან და გართობაც, მაგრამ მათი კეთილდღეობისთვის კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

შესაძლებელია, კრიტიკულ გამონათქვამებს შევხვდეთ ისეთ ფილმებშიც, სადაც არ ელი, რადგან არაფერია ხელჩასაჭიდი და თანაც, ეს მის ფუნქციებში არც შედის. ასეთ ფილმთა კატეგორიას განეკუთვნება ამერიკული „გზა ყაზბეგისაკენ“- ჯოუი შუსლერის 15 წუთიანი ფილმი. მისი შინაარსი მოკლედ ასეთია - ის სამ მეგობართან ერთად ველოსიპედით მოგზაურობს ომალოდან ყაზბეგამდე. დასაწყისში რუკაზე ინფოგრაფიკით ნაჩვენებია, სად მდებარეობს საქართველო, მერე ასევე ვხედავთ მათ მარშრუტს (ომალოდან ყაზბეგამდე). ომალოში ისინი ბინავდებიან კერძო სასტუმროში და შემდეგ იწყება მათი მოგზაურობა.

ველოსიპედებით ისინი მიქრიან ვიწრო და მოყინულ ბილიკებზე, ჩანს, რომ ისინი ექსტრემალეები არიან - რამდენჯერმე ველოსიპედიდან ჩამოვარდებიან კიდევ, უწევთ სწრაფი მთის მდინარეების გადასვლაც, შეხვდებით სხვა პატარ-პატარა წინააღმდეგობებზეც.

ფილმში ხშირად ზედხედში ვხედავთ მაღალი მთების კენწეროებს, ვიწრო ბილიკებში სწრაფად მიმავალ ველოსიპედებს, ხან ჩანს სწრაფად მიმავალი ველოსიპედისტის თვალით დანახული გზები. შთამბეჭდავია შენელებული კადრით ექსტრემალეების ტრიუკების ხილვაც.

ამ ფილმში მნიშვნელოვანია მუსიკაც - თავდაპირველად ქართული მთიულური სიმღერა კარგად ერწყმის ლამაზ და მკაცრ მთის ბუნებას, შემდეგ, ექსტრემალურ ტრიუკებს ინგლისურენოვანი შესაბამისი მუსიკა გასდევს თან. მუსიკის ტემპი კი

განსაკუთრებულად ძლიერდება ბოლოს, როდესაც ეს მოგზაურები უახლოვდებიან დასახულ მიზანს - ჩადიან ყაზბეგში.

ვერ ვიტყვით, რომ ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი რამით განსაკუთრებულად გამორჩეული და საინტერესოა და, შეიძლება, მას ჩვენი ყურადღება დიდად არც მიექცია, რომ არა ერთი ფაქტი - ფილმის ავტორი აქ ზედმეტად კრიტიკული მოგვეჩვენა, მაგალითად, ის უმიზეზო უკმაყოფილებას გამოთქვამს საზღვრის დამცველთა მიმართ. არადა, ეს ადამიანები თავის მოვალეობას ასრულებდნენ და საბუთები რომ დეტალურად შეუმოწმეს, ჩვენი აზრით, ამაში არაფერია გასაღიზიანებელი. მეტიც, ექსტრემალების კრიტიკის საგანი აღმოჩნდნენ მეცხვარეთა ძაღლებიც კი: "საშინელი შტორმი, შლეგი მდინარეების გადალახვა, მოყინული უღელტეხილი, ექსტრემალური დაღმართები, ავი ძაღლები და დამაბული შეხვედრები ზედმეტად ბეჯით მესაზღვრებთან" - ასე აღწერს ჯოჯოხეთი ამ თავგადასავალს.

დასკვნა: მისასალმებელია, რომ უცხოელები ხშირად იღებენ დოკუმენტურ ფილმებს საქართველოზე, რადგან საინტერესოა მათი თვალთ დანახული საქართველო. ამ ფილმების უმრავლესობა, მართალია, სარეკლამო ხასიათისაა და ისინი უფრო მეტად, ტურისტებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ჩვენ ამ სტატიაში განვიხილეთ ის ფილმები, რომლებშიც საუბარია ამ ქვეყნის წინაშე მდგარ საშიშროებებზე და სხვადასხვა სახის პრობლემებზე. როგორც გავარკვიეთ, მათი დიდი ნაწილი ფაქტებსა და მოვლენებს ობიექტურად ასახვენ.

ლიტერატურა

1. დოკუმენტური ფილმი „ავგისტოს ომი“, BBC, https://www.myvideo.ge/v/1796040?fbclid=IwAR077qhi6mEIV9e_yTTYLpCBDWhRRq5bP-0ogBpxZ_D0hVeyDuK_nwAGdLE
2. დოკუმენტური ფილმი „საქართველო, ჭიათურა“, ARTE, 2018 წელი
“<https://www.facebook.com/watch/?v=1373237542808297>”
3. დოკუმენტური ფილმი “გზა ყაზბეგისკენ” 2016
<https://www.youtube.com/watch?v=pdxtfFBAZNw>, <https://on.ge/story/2298>